დაწართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის №3 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დავით ჭეიშვილი

წევრები:

ეთერ მეტრეველი
ქეთევან ტურიაშვილი
ლელა გაბისონია
ნონა გორგილაძე
ნინო მარღიშვილი
შორენა ტყემალაძე
ლია ციცქიშვილი
ნათია ღოღობერიძე
ნათია ბრეგაძე
მარინა ანესაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის №3 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	239402678

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი საჩხერე
იურიდიული მისამართი	ვ. ნოზაძის ქ. №19
ფაქტობრივი მისამართი	ვ. ნოზაძის ქ. №19
საფოსტო ინდექსი	4000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge)
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	sachkhere3@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	593152891

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 3 23 0000896190 18.07.2023 წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	17 – 18 აგვისტო 2023 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	I საფეხური (I – VI კლასები)	სახელმწიფო ენა (ქართული ენა)	ქალაქი საჩხერე, ვ. ნოზაძის ქ. №19
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	II საფეხური (VII – IX კლასები)	სახელმწიფო ენა (ქართული ენა)	ქალაქი საჩხერე, ვ. ნოზაძის ქ. №19
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	III საფეხური (X – XII კლასები)	სახელმწიფო ენა (ქართული ენა)	ქალაქი საჩხერე, ვ. ნოზაძის ქ. №19

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

----

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელდა ვიზიტი საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ საჩხერის №3 საჯარო სკოლაში.
ექსპერტთა ჯგუფი, ვიზიტის დაწყებამდე გაეცნო სკოლის თვითშეფასებას და თანდართულ დოკუმენტაციას. ჯგუფმა შეიმუშავა დღის წესრიგი, წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეცა ვიზიტამდე.
ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას.
დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს ჩატარდა ინტერვიუირება დაწესებულების წარმომადგენლებთან, კერძოდ: სკოლის დირექტორთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებთან, საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებთან, სკოლის ექიმთან და საქმისმწარმოებელთან.
ვიზიტი განხორციელდა ჰიბრიდული ფორმით. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის ექსპერტი იმყოფებოდა ადგილზე ვიზიტით, ხოლო დანარჩენ საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუ .
აღიწერა და შეფასდა ოთხივე სტანდარტის ყველა კომპონენტი. სკოლამ უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განმარტეს ზოგიერთი საკითხი. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები, რომლებიც ვიზიტის დასასრულს გაეცნო დაწესებულების წარმომადგენლებს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	v **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	v **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	v **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება v **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	v **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	v **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	v **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება **v მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება **v მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

	☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 350	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება V	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, I საფეხური (I – VI კლასები);
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, II საფეხური (VII –IX კლასები);
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, III საფეხური (X – XII კლასები);

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	• მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების	სკოლამ უზრუნველყოს მაქსიმალურ ჩართულობით შენობა-ნაგებობებ

[1] გარდ მეორე სტანდარტის ნაილზივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

	დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	მდგრადობის შესახებ დასკვნის მიღება მოკლ ვადებში.
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლამ უზრუნველყოს მაქსიმალურ ჩართულობით დაფინანსების მოპოვე სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქ უსაფრთხოების ზედამხედველობის მი გაცემული მიწერილობაში მითითებულ დარღვევების აღმოსაფხვრელად.
ინდიკატორი N3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	სკოლამ საკუთარ ვებ გვერდზე განათავსი ინფორმაციები, რომლითაც მოხდე საზოგადოების ინფორმირება და მა კომუნიკაცია
ინდიკატორი N3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სკოლამ საკუთარ ვებ გვერდზე განათავსი ინფორმაციები, სკოლის და სკოლა მიმდინარე პროცესების შესახებ.
ინდიკატორი N3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლამ საკუთარ ვებ გვერდზე განათავსი ინფორმაციები: სკოლის შესახებ; მისია, ხედ ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ) სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვ პროცედურები და მისანიჭებელ კვალიფიკაცია (განათლებ დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლ პროცესთან დაკავშირებული აუცილებელ მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერ სერვისები, გასაჩივრების მექანიზმებ ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებ შესრულების შედეგები და საკონტაქტ ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

----

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N 1.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;	სკოლამ, მისიის ხედვისა და ღირებულებებ შემუშავებაში, დირექციისა და მასწავლებლებ გარდა ჩაერთოს სკოლის მოსწავლეები და მათ მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები
ინდიკატორი N 1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანებ შესაბამისი აქტივობები, შესრულებ გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტურ ვადები, პასუხისმგებელ პირები/სტრუქტურული ერთეულები შესაბამისი რესურსები, რომელ უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმ გადამუშავებისას/ცვლილებების შეტანისას გამორჩეთ და გათვალისწინებული იქნ შესრულების გაზომვადი ინდიკატორები რესურსები
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N 3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	სკოლამ შექმნას დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით „„სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი/დოკუმენტები“.
ინდიკატორი N 3.1.2.2.	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული	დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

----

	პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	შეიქმნას „საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკმენტი“.
ინდიკატორი N3.3.1.2	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;	გაიწეროს სკოლის მიერ იდენტიფიცირებული საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერები
ინდიკატორი N3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიაშ სადემონსტრაციო მაგიდის ზედაპირი მოეწყო ცეცხლგამძლე მასალისგან და დამონტაჟდ ჰაერის გამწოვი სისტემა.
ინდიკატორი N3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ იზრუნოს ლიფტის ექსპლუატაციაშ მიღებაზე.
ინდიკატორი N3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;	მოსწავლეთა პიარდ საქმეებში განთავსდ საფეხურის შესაბამისი ფოტო.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი 4.1.2.1.	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;	სკოლამ ერთი დოკმენტის სახით შექმნ მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევი მობილობის, სტატუსის შეჩერებისა ც შეწყვეტის მექანიზმები.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***რჩევა***
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებ კურიკულუმის ჩარჩოები უნდა შეიქმნას მე- კლასისთვისაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

	ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	
ინდიკატორი 2.2.2.3.	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;	ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზ ბუნებისმეტყველებაში, პროექტი „დემოკრატიული კომპეტენციების განვითარე მრავალფეროვანი შემაჯამებელი კომპლექსურ დავალებები“ ფარგლებში შექმნილი შეფასებ რუბრიკების წარმოდგენა შეიძლება, ასე დახვეწა ახალი მიდგომების შესაბამისად.
ინდიკატორი 2.3.1.3.	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.	სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა ც შეფასების გაძლიერების მიზნი სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებულ ანალიზის შედეგები და საჭიროებები.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. კერძოდ:
სკოლამ შეიმუშავა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. დოკუმენტში გაწერილია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების სტრატეგიები. აღწერილია თუ რას უნდა წარმოადგენდეს სტრატეგიული გეგმა, რა ცოდნის, ღირებულებების და უნარების ჩამოყალიბებას უნდა უწყობდეს ხელს, დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი და პროცესში ჩართული პირები, რის გამოც პირველი სტანდარტის „სკოლის ფილოსოფის“ 1.2. კომპონენტი „სკოლის დაგეგმვა და განვითარება“ შესაბამისი გახდა სტანდარტის და ავტორიზაციის პირველი სტანდარტი დაკმაყოფილდა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სკოლას 2023 წლის 19 ივლისს გააგზავნილი აქვს წერილი შპს „ექსპერტიზას“ ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელთან და ითხოვს საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ზოთა რუსთაველის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის N 3 საჯარო სკოლის, შენობის მდგრადობის საკითხის შესასწავლას. სკოლა არის მცირებიუჯეტიანი, შენობა-ნაგებობის დასკვნის მისაღებად ესაჭიროება საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან დაფინანსება. 2023 წლის 31 ივლისს, #MES 7 23 0000945793 წერილით სკოლამ მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ქალაქ საჩხერის საგანმანათლებლო რესურსცენტრს თხოვნით, დახმარება აღმოეჩინათ ფინანსური კუთხით, რადგან სკოლას არ გააჩნია შესაბამისი თანხები, რომ აღმოეფხვრან და შესაბამისობაში მოეყვანონ არსებულ სტანდარტთან, სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიერ გაცემული მიწერილობაში მითითებული დარღვევები. ამისთვის სკოლამ ჩაატარა ბაზრის კვლევა, შედგინა შესაბამისი ხრჯთაღრიცხვა და პროექტი. შესაბამისად 3.4. კომპონენტი „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება“ შესაბამისი გახდა სტანდარტის, როგორც მეტწილი;

საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ სკოლისთვის შექმნილია ვებ გვაერდი მისამართზე სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge) თუმცა სკოლის მიერ ვებ გვერდზე ინფორმაცია არაა განთავსებული, რის გამოც 3.6. კომპონენტი „საინფორმაციო რესურსები“ სტანდარტთან შესაბამისობაშია, როგორც მეტწილი.

სკოლის მიერ წარმოდგენილია ავტომობილების ტექნიკური დათვალიერების დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც ემსახურება სკოლას ტექნიკურად გამართულია. აღნიშნულის გამო 4.2. კომპონენტი „მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები“ შეფასდა, როგორც სტანდარტთან შესაბამისობაში მყოფი და ავტორიზაციის მე - 4 სტანდარტი, „მოსწავლეთა მხარდაჭერა“ დაკმაყოფილებულია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის #3 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომელიც წარმოდგენილია სკოლის სასწავლო გეგმაში. სკოლის მისიაა: ,,სკოლამ ხელი შეუწყოს აქტიური და მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე ახალგაზრდების ჩამოყალიბებას დემოკრატიული კულტური კომპეტენციების ჩამოყალიბების გზით, მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით, უსაფრთხო და შესაძლებლობებით მდიდარ გარემოში“, ხოლო სკოლის ხედვაა “სკოლაში ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, სადაც ყველა მოსწავლე შეძლებს ცოდნის შეძენას, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას და დემოკრატიულ საზოგადოებაში თანაცხოვრებისთვის საჭირო დამოკიდებულების ჩამოყალიბებას“ სკოლის მისია და ხედვა ითვალისწინებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ნაწილს და აქცენტს აკეთებს ისეთი კომპეტენციების განვითარებაზე, როგორიცაა სამოქალაქო ცნობიერების და მოქალაქეობრივი პასუხიმგებლობის განვითარება. ეს კომპეტენცია თანხვედრაში მოდის ზოგადი განათლების იმ ეროვნულ მიზნებთან რომლებიცაა: ,,იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე; ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხიმგებლობების გააზრება.“ მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილია სკოლის მისია და ხედვა უფრო მეტად დაიხვეწოს და მოვიდეს სრულ შესაბამისობაში ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სკოლის ხელმძღვანელობა ფიქრობს ამ შემთხვევაში ყურადღება გაამახვილონ თანამედროვე სამყაროში ერთ-ერთ აუცილებელ მიზანზე როგორიცაა ,,ტექნოლოგიური და სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება“ აღნიშნულ საკითხზე იმუშავებს სკოლის ფილოსოფიის ვიზირების მიზნით შექმნილი ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობაში წარმოდგენილი იქნებიან ადმინისტრაციის წარმომადგენელი და სასკოლო სტრუქტურული ერთეულებიდან მინიმუმ 1 წევრი, მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე. მათთან სასწავლო წლის დაწყებამდე გაიმართება შეხვედრები, რადგან 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებისას უკვე მზად იყოს განახლებული მისია, ხედვა და ღირებულებები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის და კოლექტივის წევრების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ნებისმიერი საქმინობა მიმართულია იქითკენ, რომ მოსწავლეს უსაფრთხოდ აგრძნობიოს თავი. სკოლა ახორციელებს საქმიანობებს, როგორც ფიზიკური გარემოს უსაფრთხოებისთვის ასევე პიროვნულ განვითარებზე ორიენტირებულ სოციო-კულტურული სივრცის შესაქმნელად. სკოლის მისიიდან და ხედვიდან გამომდინარე მიზნები და ამოცანები, რომლებიც გაწერილია სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში გვაძლევს საშუალებას, რომ დავინახოთ სკოლის სამომავლო სახე, სადაც შექმნილია ისეთ სასკოლო სასწავლო გარემო, რომელშიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თითოეული მოსწავლე შეძლებს ისწავლოს უსაფრთხო, კეთილმოწყობილ, პოზიტიურ გარემოში, სასწავლო პროცესი ორიენტირებული იქნება პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო - კულტურულ სივრცის შექმნაზე და მოსწავლე თავის შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოავლენს. სკოლის ყველა თანამშრომელი იზრუნებს თითოეული მოსწავლის გონებრივ, ფიზიკურ და ემოციურ განვითარებაზე, ვინაიდან მოსწავლეები უნდა ჩამოყალიბდნენ: კანონმორჩილ, ტოლერანტ, ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხიმგებლობების გააზრების მქონე მოქალაქეებად. ამასთანავე აღიჭურვონ 21-ე საუკუნის ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, შეძლონ ცოდნის ტრანსფერი ცხოვრებაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

სკოლის მისიის და ხედვის შემუშავებაში ჩართული იყო ძირითადად დირექციის წევრები და მასწავლებლები. მათ მიერ განხილული იყო სკოლის ძირითადი საქმიანობები და ის პრიორიტეტები რაც გამოიკვეთა მათ მიერ განხორციელებილი/გატარებული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე. სკოლაში დაგეგმილია მომავალი სასწავლო წლისთვის შექმნან სამუშაო ჯგუფი, მოსწავლეების, მასწავლებლების და მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების შემადგენლობით და ფოკუს ჯგუფის ფორმატში მოისმინონ მასწავლებელბის, მოსწავლეების და მშობლების ხედვები. რაც შეეხება ღირებულებებს, სკოლა მოსწავლეებთან ატარებს გამოკითხვას და მათი მოსაზრებებიდან გამომდინარე შეთანხმდებიან სკოლისთვის პრიორიტეტულ ღირებულებებზე, როგორიცაა: თანასწორობა, გუნდურობა, მადლიერება და კეთილგონიერება. სკოლის დირექციის აზრით ღირებულებების შეთანხმებულად შერჩევაში დაეხმარებათ სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა და სკოლის ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები, ასევე მშობლები. მშობლებთან ტარდება შეხვედრები, შეთანხმდება სამოქმედო გეგმა და ღირებულებების გაცნობიერების და და განვითარების მიზნით ჩატარებულ აქტივობებში აიღებენ კონკრეტული საქმიანობების განხორციელებაზე პასუხიმგებლობას საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში.

რჩევა - სკოლამ, მისიის ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში, დირექციისა და მასწავლებლების გარდა ჩაერთოს სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც ძირითადად შემუშავებულია სკოლის დირექციის და მასწავლებლების მიერ გავრცელდა სოციალური ქსელის საშუალებით. სკოლა ცდილობს დაგეგმილი და მიმდინარე საქმიანობებმა მაქსიმალურად უპასუხოს სკოლის მიერ გაცხადებულ მისიას, ხედვას და ღირებულებეს. ამ მიზნით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, განხორციელდა სადამრიგებლო პროექტები, ჩატარდა გამოკითხვა მოსწავლეების თუ მშობლების. ამ საქმიანობებში მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების აქტიური ჩართულობა გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ სასკოლო საზოგადოება იზიარებს სკოლის ხედვებს. სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა გეგმავს ჩაატაროს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები და ონლაინ გამოკითხვა, რისი საშუალებითაც დააზუსტებენ რამდენად იზიარებს სასკოლო საზოგადოება არსებულ მისიას, ხედვას და ღირებულებებს და სად ხედავენ საკუთარ როლს ამ პროცესში. სკოლა აღნიშნავს, რომ მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოება მხარს უჭერდეს სკოლის მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ საქმიანობებს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

გრძნობდეს მიკუთვნებულობას სკოლისადმი. ამ მიზნით გეგმავენ მოაწყონ შეხვედრები მშობლებთან და დისკუსიის საშუალებით დააზუსტონ რამდენად მხარს უჭერენ მშობლები სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. ფიქრობენ დისკუსიის გზით დააზუსტებენ მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინტერესებსა და პრიორიტეტებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის მისია და ხედვა გაკრულია სკოლის ფოიეში, პირველ სართულზე საინფორმაციო დაფაზე, ხოლო ღირებულებები გაკრულია პირველი სართულის დერეფნის კედლებზე, დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში ჩაატარებენ შეხვედრებს მშობლებთან და მოსწავლეებთან. ამ შეხვედრებზე განიხილება ძირითადი საქმიანობები თუ რას გეგმავს სკოლა წლის დასაწყისში და რას მოელის მოსწავლეებისგან და მშობლებისგან სკოლა. ამავე შეხვედრაზე ასევე დაზუსტდება მათ რა ინტერესები და შესაძლებლობები აქვთ და ამის მიხედვით რომ მოხდეს მათი ჩართულობა. სკოლა გეგმავს მომავალ სასწავლო წელს რევიზირებული მისია ხედვა და ღირებულებები ასახონ სკოლის ფეისბუქ გვერდზე. სკოლა გეგმავს ორგანიზება გაუწიოს სკოლის ლოგოს შექმნის კონკურს, რომელშიდაც მონაწილეობის მიღების უფლება ექნებათ საბაზო და საშალო საფეხურის მოსწავლეებს და ფიქრობენ, რომ ამ კონკურსის საშუალებით უფრო მეტად გაიარზრებენ სკოლის მისიასა და ხედვას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სრული სახელწოდებაა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის N3 საჯარო სკოლა. სკოლას ცნობილი პოეტის შოთა რუსთაველის სახელს ატარებს 1966 წლიდან. სკოლას ეს სახელი მიენიჭა შოთა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით. სკოლა, შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, რომელიც მოცემულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N2005 წლის 13 სექტემბრის # 448 13.09.2005 ბრძანებაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. შინაგანაწესი
3. საგანგებო სიტუაციების მართვის და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების განხორციელების მიზნით შტაბის შექმნის ბრძანება
4. მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;**

სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელმაც უნდა განსაზღვრავოს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები, არ ააქვთ. სრული სახით, არაა წარმოდგენილი. თუმცა .სკოლის სტარტეგიული განვითარების დაგეგმვასა და შემუშავებაში ამ ეტაპზე პრიორიტეტების დასახვა ძირითადად ხდება მოწოდებული ანგარიშების შესწავლით, პროცესებზე დაკვირვებით და გამოკითხვით, რომელიც არ ატარებს სისტემატიურ ხასიათს. სკოლას მომავალში დაგეგმილი აქვს უფრო მეტად დაიხვეწოს სამოქმედო გეგმის შემუშავების არსებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მეთოდები, შექმნას ერთი დოკმენტის სახით, რომელშიც აღწერილი იქნება თუ როგორ მოხდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება. მაგალითად გამოყენებული იქნება თუ არა: ინტერვიუ, რაც საშუალებას იძლევა უფრო მეტად დაზუსტდეს კონკრეტული მონაცემები, SWOT ანალიზის ცხრილი და ა. შ. განისაზღვრება ვისთან მოხდება, ვინ მოხდენს SWOT ანალიზის ცხრილი შეივსებას, ვინ დაამუშავებს მონაცემებს, როგორ მოხდება ამ მონაცემების საფუძველზე ინტერვენციების დაგეგმვა და შედეგზე ორიენტირებული გეგმის შედგენა. ინტერვენციებში იგულისხმება მასწავლებელბის, მშობლების და მოსწავლეების ინტერესისა და გამოცდილების გათვალისწინებით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა, როგორიცაა სასკოლო და სოციალური პროექტები, არაფორმალური განათლების უფრო მეტად ხელშეწყობა, მდგრადი განვითარების მიზნებზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა, რაც თავისთავად გაზრდის სასკოლო საზოგადოების სკოლისადმი მიკუთვნებულობას.

დაწესებულებამ წარმოადგინა, „სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია“, რომელშიც გაწერილია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების სტრატეგიები, განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები; აღწერილია თუ რას უნდა წარმოადგენდეს სტრატეგიული გეგმა, რა ცოდნის, ღირებულებების და უნარების ჩამოყალიბებას უნდა უწყობდეს ხელს, დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი და პროცესში ჩართული პირები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლას აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა. სკოლაში ვიზოიტის დროს სკოლის ადმონისტრაციამ წარმოადგინა სკოლის სტრატეგიული გეგმა, რომელიც არის შვიდწლიანი, ციკლური, დაფუძნებულია სკოლის მისიაზე, ხედვაზე და ღირებულებებზე,

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის #2-43 ბრძანებით და ძირითადად ეფუძნება სკოლის თვითშეფასებას, შეესაბამება სტრატეგიულ გეგმას. სკოლის სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ 5 მიმართულებას: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა. სკოლას გათვალისწინებული აქვს მთელი რიგი აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს დასახული ამოცანების შესრულებას და საბოლოო ჯამში ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია მიზნები, წარმოდგენილია ამოცანები და მათი შესაბამისი აქტივობები, განსაზღვრულია პასუხიმგებელი პირები და ვადები, თუმცა სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით ფიქრობენ, რომ სამომავლოდ საჭიროებს დახვეწას. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა უფრო მეტად დეტალური, რომ გახდეს ჩამოთვლილია შესაბამისი რესურსები და შესრულების გაზომვადი ინდიკატორები. აღნიშნული ღონისძიებები უფრო მეტად ეფექტურს გახდის გეგმას და დაეხმარება სკოლას წინასწარ განსაზღვროს თუ რა შედეგის მიღება სურს დაგეგმილი საქმიანობების განხორციელების შედეგად. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია მიზანი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მაგრამ საქმიანობები არის ზოგადი და ნაკლებად არის წარმოდგენილი სკოლის ბაზაზე პროფეიული განვითარების ფორმები. შესაბამისად სამოქმედო გეგმაში უფრო დეტალურად და სრულყოფილად რომ იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია სკოლა გეგმავს შეხვედრებს მასწავლებლებთან და დისკუსიის საშალებით დააზუსტებს მათ ინტერესებს, ასევე შეავსებენ თვითშეფასების კითხვარს. შემდეგ განისაზღვრება პასუხიმგებელ პირები და ასევე დაგეგმილი აქტივობებისთვის საჭირო რესურსები.

რჩევა - სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გადამუშავებისას/ცვლილებების შეტანისას გათვალისწინებული იქნეს შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს; მონიტორინგი ხორციელდება შევსებული კითხვარების გაანალიზებით, გაკვეთილებზე დაკვირვებით, განხორციელებული პროექტების შეფასებით და განხორციელებული საქმიანობების ანგარიშების შესაწვლით, რომლის საშუალებითაც როგორც დირექცია, ასევე სასკოლო საზოგადოება აფასებს, როგორ შესრულდეს სტრატეგიული გეგმის ერთი ნაწილი, ან, თუ არ შესრულდა, რა დახმარება არის საჭირო იმისთვის, რომ სტრატეგიულ გეგმაში გაწერილი აქტივობები თავის დროზე შესრულდეს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

იმის გამო, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ამიტომ ჯერ ვერ განახორციელებენ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს და შეფასებას, შესაბამისად ვერც სასკოლო საზოგადოებიდან და სისტემის სახვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს გაითვალისწინებენ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - არ განიხილება.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ამიტომ ჯერ ვერ ექნებათ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები, შესაბამისად ვერც გაასაჯაროებნ. გამომდინარე ნათქვამიდან სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობას ვერ განვიხილავთ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - არ განიხილება.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ამიტომ ჯერ ვერ ექნებათ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები, შესაბამისად ვერც ამ არ არსებული შედეგების სკოლის შემდგომი განვითარებისათვის გამოყენებაზე ვიმსჯელებთ. გამომდინარე ნათქვამიდან სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობას ვერ განვიხილავთ.
სკოლა გეგმავს მომავალში სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენოს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - არ განიხილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სამეურვეო საბჭოს ოქმი და 10 დეკემბრის ანგარიში
2. გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა
3. გაკვეთილის შეფასების რუბრიკა
4. პროექტების შეფასების რუბრიკები
5. პროექტის ანგარიშის ფორმა
6. შევსებული SWOT ანალიზის ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

1. სკოლის მიერ შემუშავებული სტრუქტურა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ განსაზღვრულ სკოლის სტრუქტურას, რომელიც შედგება: პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი და საგნობრივი კათედრებისგან. სკოლის სტრუქტურიდან გამომდინარე არის დამტკიცებული საშტატო განრიგი, რომელიც შედგება სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალისა და მასწავლებლებისაგან. სკოლის დირექცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ბუღალტრისაგან. სკოლის ადმინისტრაცია შედგება საინფორმაციო მენეჯერის, საქმისმწარმოებელის, ბიბლიოთეკარი და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორისგან, ხოლო ტექნიკური პერსონალი შედგება დარაჯის და დამლაგებლისაგან. სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქციები შესაბამისობაშია ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლაში დასაქმებული ყველა პირის ფუნქციები მკაფიოდაა გაწერილი მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. სკოლის სტრუქტურული ორგანოები არის არჩევითი, ამ ორგანოებს ჰყავთ მათი წევრების მიერ არჩეული თავჯდომარე და მდივანი. სასურველია სკოლას ქონდეს ცალკე დოკმენტის სახით შექმნილი „სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკმენტი/დოკმენტები“.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლაში დასაქმებულია პირები, რომლებიც ითავსებენ, როგორც ადმინისტრაციულ, ასევე აქვთ საათობრივი დატვირთვა სხვადასხვა საგანში (ატარებენ გაკვეთილებს), მათი ფუნქციები გამიჯნულია, არ ხდება ფუნქციათა აღრევა, ან გადაკვეთა, რაც თავისთავად ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. მაგალითად, სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, მათი ფუნქცია - მოვალეობები განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით და სკოლას ასევე დამტკიცებული აქვს კათედრების დებულება, რომელიც განსაზღვრავს კათედრის მიზნებსა და ამოცანებს, ფუნქციებს, თავჯდომარის არჩევის წესს, კათედრების წევრების და თავჯდომარის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაციას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სტრუქტურა
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4. საგნობრივი კათედრის დებულება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;**

სკოლაში ადამიანური რესურსის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს, ამოცანებსა და სტრატეგიას, აზუსტებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის როლს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში, წარმოდგენილია სკოლის ადამინური რესურსებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გზები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;**

სკოლას პერსონალის მართვის ერთიანი ხედვა დოკუმენტის სახით არ აქვს მომზადებული, თუმცა სკოლას პრევენციულ და ინტერვენციულ პერსონალის მართვის პოლიტიკის კუთხით წარმოდგენილი აქვს პერსონალის დანიშვნის, გათავისუფლების ბრძანებები, რომელიც რეგულირდება ხელშეკრულებებით, სკოლის შინაგანაწესით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“, საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლების წესდებით.

რჩევა - დამოუკიდებელი დოკმენტის სახით შეიქმნას „საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პოლიტიკის დოკმენტი“.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

სკოლის ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის ერთ-ერთი მიზანია სკოლის მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა; სკოლის პედაგოგიური კოლექტივის შერჩევისას გათვალისწინებულია ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმისა და მასწავლებლის საქმიანობის დაწყების , პროფესიული განვითერების კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის N68 დადგენილების მოთხოვნები. სკოალში პედაგოგთა შერჩევა ხდება შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე. დირექტორის ბრძანებით შექმნილია საკონკურსო კომისია. შერჩევა ხდება ორ ეტაპად: დოკუმენტაციის გადარჩევისა და გასაუბრების საფუძველზე. სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა, როგორც მიღების, ასევე გათავისუფლებისა და წახალისების გამჭვირვალე სისტემა, რაც ასახულია სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. ვაკანსიის შემთხვევაში განცხადებების გავრცელება სკოლაში ვაკანტური ადგილის შესახებ ხდება ელექტრონული და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით (ვებ-გვერდზე, www.pedagogi.ge/teachersjobs.ge.). კომისია თითოეულ ეტაპზე ადგენს შესაბამისი ოქმს. გადაწყვეტილების მიღებიდან ათი კალენდარული დღის ვადაში, კომისია თითოეულ კანდიდატს ელექტრონულად ან/და წერილობის აცნობოს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. კანდიდატების შეფასების შემდეგ, კომისია შესაბამის რეკომენდაციას წარუდგენს საჯარო სკოლის დირექტორს, რომელიც უფორმებს მასწავლებელს შრომით ხელშეკრულებას, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. სკოლაში მიღებულ დასაქმებულზე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად ინახება წახალისების, დისციპლინური სახდელებისა და განთავისუფლების შესახებ ბრძანების ასლები, სამოტივაციო წერილი, ავტობიოგრაფია, პირადობისა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების, სერტიფიკატების ასლები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებულ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ამას ადასტურებს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობა პერსონალის პირად საქმეებთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლაში ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის მიზანია ხელი შეუწყოს თანამშრომლების ერთობლივ წარმატებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მუშაობას, უკეთ გამოავლინოს მათი ძლიერი მხარეები და ხელი შეუწყოს სუსტი მხარეების გამოსწორებას. სკოლას ადამიანური რესურსების მართვით უზრუნველყოფს იმგვარი გარემოს შექმნას, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალისა და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა, სკოლის წინაშე დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის პროცესში. სკოლა მაქსიმალურად ცდილობს მასწავლებლებთან თანამშრომლობის გზით დაადგინოს მათი საჭიროებები და მოახდინოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ამისთვის გამოყენებულია თვითშეფასების კითხვარი და გაკვეთილზე დაკვირვება და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია სკოლის საქმიანობაში ჩართული პირების პასუხიმგებლობები, სკოლა აცნობს დოკუმენტს სასკოლო საზოგადოების წევრებს და ისმენს მათ მოსაზრებებს. საგნობრივ კათედრაზე გაერთიანებულია საგნობრივ ჯგუფში შემავალი ყველა საგნის მასწავლებელი. კათედრის წევრები ფორმალურ თუ არაფორმალურ შეხვედრებზე განიხილავენ და მსჯელობენ ერთობლივად სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით; ერთმანეთს უზიარებენ გამოცდლებას შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი შესრულების შესახებ; ამზადებენ ერთობლივ ანგარიშს პედაგოგიური საბჭოსთვის წარსადგენად. სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარება ეფუძნება გუნდურობას და თანამშრომლობას, ამ მიზნით შექმნილია სასწავლო ჯგუფები, რომელშიდაც მსგავსი საჭიროებების მქონე მასწავლებლების არიან გაერთიანებულები. ისინი წლის განმავლობაში განიხილავენ სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ერთობლივად გეგმავენ მოგვარების გზებს და შემდეგ შეხვედრებზე უზიარებენ დანერგვის პროცესში მიღწეულ წარმატებებს თუ გამოკვეთილ ხარვეზებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. სკოლის მასწავლებლების წარმატებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სისტემატიურად ხდება სკოლის ფეიბუქ გვერდის საშუალებით, აღინიშნება პედაგოგიურ საბჭოზე თუ საინფორმაციო შეხვედრაზე. სკოლა ყოველი წლის ბოლოს ატარებს მოსწავლეთა და მასწავლებელთ პირისპირ თუ ონალინ კონფერენციებს, სადაც სასკოლო საზოგადოებას წარუდგენს წლის განმავლობაში გაწულ მუშაობას ფორმალური თუ არაფორმალური მიმართულებით. სკოლის მხრიდან აღნიშნულ ღონისძიებებში წარმატებულ მასწავლებლებს გადასცემს მადლობის სიგელებს, სერთიფიკატს სკოლის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა საქმიანობებში აქტიური მონაწილეობისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი
2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

3. ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსის მასალები
4. კათედრის ოქმი
5. სასწავლო ჯგუფის მასალები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- v **შეესაბამება**
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლის დირექტორის 2022 წლის ბრძანება #2-72 ბრძანებით დამტკიცებულია „სკოლის პერსომალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკმენტი“, რომელშიც მოცემულია ადამიანური რესურსების მართვასთან და განვითარებასთან დაკავშირებულისაკითხები/მექანიზმები. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დამტკიცებული დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. ადმინისტრაციის ინფორმაციით სკოლის დირექცია და კათედრები ახორციელებენ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებას, ხდება უკუკავშირის მიცემა, კათედრაზე ხორციელდება ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ერთ -ერთი პრიორიტეტული საკითხია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, რომელიც მოიცავს შემდეგ ამოცანებს: 1)მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში სხვადასხვა აქტივობების განხორციელება, 2)ტრენინგებისა და ვებინარების დაგეგმვა და განხორციელება, 3)პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების/სტრატეგიების განხილვა და მათთვის განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა, 4) მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა, 5) მასწავლებლობის მაძიებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ამ ამოცანების განსაზღვრა ხდება მასწავლებელბის მიერ შემუშავებული თვითსეფასების კითხვარის დამუშავებით, გაკვეთილებზე დაკვირვებით, ანგარიშების გაანალიზებით მოგროვილი მონაცემების საფუძველზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლისთვის პროფესიული საჭიროებების განვითარების გზების მოძიებას და შეთავაზებას, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე სკოლის გარე სერვისებით. უწყვეტად მიმდინარეობს საგაკვეთილო დაკვირვებების ციკლი, განმავითარებელი უკუკავშირის მიცემით. ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ მასწავლებლის პროფესიული განვითარება უკავშირდებოდეს მოსწავლეთა შედეგებს. მასწავლებლები აკეთებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების საფუძველზე და მათი საჭიროებების შესაბამისად ახორციელებენ ინტერვენციებს სასწავლო პროცესში. სკოლა პერიოდულად იწვევს კვალიფიციურ სპეციალისტს ან იყენებს შიდა რესურს და მასწავლებელბს საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე უტარებს სემინარებსა და ტრენინგებს. სკოლის ფეისბუქ გვერდზე ხშირად არის გაზიარებული ინფორმაცია მასწავლებელბისთვის პროფესიული განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობების შესახებ, სკოლა ადევნებს თვალს ასევე ამ შესაძლებლობას თუ იყენებენ მასწავლებელები და მერე როგორ ნერგავენ პრაქტიკაში. სკოლაში მუშაობს სასწავლო ჯგუფები, რაც ერთ ერთი საუკეთესო გზაა პროფესიული განვითარებისთვის. სკოლის დირექცია მაქსიმალურად ცდილობს სკოლაჩართოს სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტებში, რაც თავის მხრივ უზრუნველოყოფს სკოლის პერსონალის პროფესიულ განვითარებას. გასულ სასწავლო წელს სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელბი მონაწილეობდნენ მშვიდობის კორპუსის მიერ დაფინანსებულ პროექტში ,,ვირტუალური თანამშრომლობის საპილოტე პროგრამაში“. პროგრამის ფარგლებში მშვიდობის კორპუსის ყოფილი მოხალისე დისტანციურად თანამშრომლობდა ინგლისური ენის მასწავლებლებთან. ამჟამად სკოლის დაწყებითი კლასების ქართული ენისა და მათემატიკის მასწავლებელბის ჩართულები არიან USAID საბაზისო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

განათლების პროგრამაში, სადაც გადიან ტრენინგებს და მიღებულ გამოცდილებას ნერგავენ პრაქტიკაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლაში ბოლო წლების განმავლობაში დაასაქმდა ექვსი ახალი კადრი. სკოლის დირექცია და სხვა დანარჩენი თანამშრომლები ცდილობდნენ მათი ადაპტაციის პროცესი ყოფილიყო წარმატებაზე ორიენტირებული. სკოლის დირექცია პირველ შეხვედრაზე ახალ კადრთან ძირითადად საუბრობსსკოლის შესახებ, აწვდის მოკლე ინფორმაციას სკოლის სტრუქტურის, მისიის ხედვის და ტრადიციების შესახებ და ასევე უგზავნის ძირითად დოკუმენტებს რათა დეტალურად გაეცნონ შინაარს. ესაუბრება იმ მოლოდინებზე რაც სკოლას გააჩნია კონკრეტული დასაქმებულის მიმართ, აცნობს სკოლის ყველა თანამშრომელს, გეგმავს ისეთ ღონისძიებებს მაგ: ექსკურსიების გასვლითი ღონისძიებები რათა ხელი შეუწყოს ახალი კადრის სკოლის სრულფასოვან გუნდის წევრად ჩამოყალიბებას. ატარებს შეხვედრებს მშობლებთან და აცნობს მათ ახალ მასწავლებელს. სკოლა დეტალურად ეცნობა მის პირად საქმეს და ცდილობს ისეთი საქმის განხორციელება დაავალოს პირველ ეტაპზე რაც გაუადვილებს მუშაობას და შეგუებას ახალ გარემოსთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია თანამშრომელთა წახალისების წესი. მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. ასევე სკოლა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში ითვალისწინებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმებს და ფორმებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
2. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შემადგენლობის და დებულების დამტკიცება
3. მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი
4. პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის ნიმუში და კითხვები ანგარიშისთვის
5. მასწავლებლებზე გაცემული უკუკავშირის ფორმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

v შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;**

სკოლის დირექტორის #2-43 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი“ რის მიხედვითაც სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება დაგეგმვის, დანერგვის, მონიტორინგის და შეფასების საფუძველზე. კერძოდ: კათედრების მიერ ხორციელდება სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასება და შემდგომი გაუმჯობესება, მასწავლებელთა მიერ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება. მასწავლებლის სახლის დახმარებით ხორციელდება ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. შესაძლებლობის ფარგლებში ხდება სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესება განახლება. ეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ყოველივე არის იმის საფუძველი, რომ ვთქვათ, სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ერთგვარი ციკლის შესაბამისად. თუმცა, აუცილებელია რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი იყოს ჩართული ზემოაღნიშნულ პროცესებში და გაზიარებული იყოს პასუხისმგებლობა. პროცესული მიდგომა არის სკოლის გრძელვადიანი მიზანი, რომელიც მისიიდან და ხედვიდან გამომდინარეობს. სკოლის არსებული მისია გადახედვასა და რევიზიას საჭიროებს, რომელშიც ჩართული იქნება მთელი სასკოლო საზოგადოება: მშობლები, მოსწავლეები. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს ესმოდეს სკოლაში მიმდინარე პროცესების არსი, რომ ეს არის სკოლის გრძელვადიანი მიზანი. ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლა ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ როგორც მმართველობით, ასევე ძირითად და დამხმარე პროცესებს და მათ ინდტიფიცირებას რომელიც დირექტორის #2-43 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკმენტიის“ მე - 4 მუხლში არის ჩამოთვლილი. მაგრამ არაა გაწერილი მათი აღმწერები. სკოლის მიერ საგანმანათლებლო პროცესის მართვა ხორციელდება ისეთი დოკუმენტების საუძველზე როგორიცა, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, სკოლის სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და შინაგანაწესი.

რჩევა - გაიწეროს სკოლის მიერ იდენტიფიცირებული საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერები

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლის დირექტორის #2-53 ბრძანებით დამტკიცებულია თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. რომლის მიხედვითაც შექმნილია საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის სისტემა, ამის დამადასტურებელია სკოლის შინაგანაწესი, დისციპლინური კომიტეტი და სამეურვეო საბჭო. სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი, რომელიც შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრაციაში უნდა გატარდეს დადგენილი წესით. სკოლაში შემოსულ განცხადებაზე სკოლის დირექცია რეაგირებას ახდენს საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად. სკოლაში შემოსულ საჩივარზე სკოლის დირექცია რეაგირებას ახდენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლების წესდების დამტკიცების შესახებ“ N448 ბრძანების შესაბამისად. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლის და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღონ მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლის პერსონალისა და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი. შინაგანაწესი ადგენს სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზაციას, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრავს ამ პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს, ასევე სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებს (კანონიერ წარმომადგენლებს) შორის ურთიერთობათა პირობებს. შინაგანაწესი ვრცელდება სკოლის მასწავლებლებზე, თანამშრომლებზე, მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებზე და სავალდებულოა შესასრულებლად. სკოლის დირექტორის #2-50 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. სადამრიგებლო პროექტი
4. შიდა ადმინისტრაციული აქტები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

დოკუმენტურად, ერთ კონკრეტულ დოკმენტში, გაწერილი მექანიზმები, თუ როგორ ახორციელებს სკოლა მართვის პროცესებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას არ არის წარმოდგენილი. თუმცა სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით სკოლის შესახებ ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია განთავსებულია სკოლის სოციალურ ქსელში, სადაც დაინტერესებულ პირს შეუძლია მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება. სასკოლო საზოგადოებას, მშობელსა და მოსწავლეს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში პასუხისმგებელი პირი არის დამრიგებელი. დამრიგებელს ხელშეკრულებით ევალება სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს შემდეგი დოკუმენტაცია: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობებისა და არაფორმალური განათლების შესახებ ინფორმაცია. სკოლას ბრძანებით აქვს დამტკიცებული მშობლებთან კომუნიკაციის სტარტეგია ბრძანება #2-07 01.03.2021

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

„ზოგადი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“. თითეულ მათგანში ჩართულია სკოლის საზოგადოების წევრები ყველა სტრუქტურული რგოლის მუშაობის მთავარი მიზანი სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელშეწყობაა. მშობლები აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა პროექტებში, კლასგარეშე თუ სკოლისგარეშე აქტივობებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

სკოლაში შექმნილია ფიზიკური უსაფრთხოების პირობები და გარემო. სკოლაში 24 საათის განმავლობაში არის დარაჯი, რომელიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და მის შემდგომ პერიოდში უზრუნველყოფს სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს. სკოლას ასევე ჰყავს 2 მანდატური, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვას. სკოლაში ფუნქციონირებს 14 ვიდეო - სამეთვალყურეო კამერა. სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად შექმნილია მასწავლებლების მორიგეობა, მორიგე მასწავლებლები თვალყურს ადევნებენ და ზრუნავენ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე, როგორც საკლასო სივრცეში ასევე საერთო სარგებლობის სივრცეებში. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელსაც ევალება დაიცვას სკოლაში თანამშრომელთა და მოსწავლეთა უსაფრთხოება. ასევე სკოლაში დირექტორის ბრძანებით არის განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. შემუშავებულია ევაკუაციის გეგმა, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას ყველა სართულზე. სკოლას ჰყავს ექიმი და აქვს პირველად დახმარებისთვის საჭირო ყველა აღჭურვილობით შევსებული სამედიცინო ოთახი. სკოლის ექიმი თავის კომპატენციების ფარგლებში უწევს დახმარებას სკოლის პერსონალს, მასწავლებელბს და მოსწავლეებს, აუცილებლობის შემთხვევაში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით უკავშირდება საგანგებო სიტუაციების სამსახურს 112 და იძახებს სასწრაფო დახმარებას. სკოლა მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისთვის და თანამშრომლებისთვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს მრჩეველთა საბჭოს მიერ შემუშავებული და მოწოდებული რეკომენდაციების საშუალებით. მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დირექტორის, სამურვეო საბჭოს თავმჯდომარის, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარის და მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარისაგან. მრჩეველთა საბჭო აკვირდება სკოლაში მიმდინარე პროცესებს, იკრიბება სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ოთხჯერ, გეგმავს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ აქტივობებს და მონიტორინგს უწევს აქტივობების განხორციელებას. სკოლის დირექტორის #2-49 ბრძანებით დამტკიცებულია „ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები“. სკოლას აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია შესაბამის კომპეტენტურ პირთან. სკოლის დირექციის მიერ გაგზავნილია წერილი სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მომზადებაზე. სკოლამ ვერ წარმოადგინა დოკმენტი, რომლითაც დასტურდება სკოლის შენობის მდგრადობა.

სკოლამ 2023 წლის 19 ივლისს გააგზავნა წერილი შპს „ექსპერტიზას“ ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელთან და ითხოვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - შოთა რუსთაველის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის N 3 საჯარო სკოლის, შენობის მდგრადობის საკითხის შესწავლა. სკოლა არის მცირებიუჯეტიანი, შენობა-ნაგებობის დასკვნის მისაღებად ესაჭიროება საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან დაფინანსება. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში 3.4.1.1 ინდიკატორის შესრულების ვადად განსაზღვრა 2024 წლის 19 ივლისი.
2023 წლის 31 ივლისს, #MES 7 23 0000945793 წერილით სკოლამ მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ქალაქ საჩხერის საგანმანათლებლო რესურსცენტრს თხოვნით, დახმარება აღმოეჩინათ ფინანსური კუთხით, რადგან სკოლას არ გააჩნია შესაბამისი თანხები, რომ აღმოეფხვრან და შესაბამისობაში მოიყვანონ არსებულ სტანდარტთან, სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიერ გაცემული მიწერილობაში მითითებული დარღვევები. ამისთვის სკოლამ ჩაატარა ბაზრის კვლევა, შედგინა შესაბამისი ხრჯთაღრიცხვა და პროექტი.
ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის 2 მანდატური, მორიგე მასწავლებელბი და სკოლის დარაჯი. სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხიმგებელი პირი (ბრძანება #2-36 08.09.2022) სკოლაში შექმნილია მორიგეობის განრიგი, მასწავლებლები მორიგეობენ დასვენებაზე დერეფნებში და ყურადღებას აქცევენ მოსწავლეებს, სპეციალურად გამოყოფილი პირი დილით აკონტროლებს და აღწერს დაგვიანებულ მოსწავლეებს, სკოლაში უცხო პირების გადაადგილების შეზღუდვისა და გაკონტროლების მიზნით, შემუშავებულია შემდეგი მექანიზმები: სკოლის შემასასვლელი კარი კონტროლდება მორიგე პირის მიერ. კონტროლის შედეგად გამოვლენილი პრობლემების შემცირების მიზნით, დამრიგებლები ატარებენ გასაუბრებას მოსწავლეებთან და მშობლებთან, ცდილობენ მოსწავლეებს მიეხმარონ აღარ განმეორდეს დარვევები, ხოლო მშობლებს აწვდიან დამატებით ინფორმაციას თუ როდის და რა დროს უნდა გამოცხადნენ სკოლაში, სკოლიდან შვილის განთავისულების თხოვნით ვის და რა ვადაში უნდა მიმართონ, რა პროცედურებია საჭირო რათა სკოლაში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრმა უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ აკრძალულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან მიმდებარე ტერიტორიაზე შესვლა სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. დირექციის თანხმობის შემთხვევაში, სკოლის ტერიტორიაზე მშობელთა/კანონიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

წარმომადგენელთა და გარეშე პირთა გადაადგილება შესაძლებელია სპეციალური საშვების მეშვეობით, აღნიშვნით: მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/სტუმარი. სპეციალური საშვები ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში. სკოლის დირექტორის #2-49 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები“.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლას შემუშავებული აქვს :ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელშიც განხილულია:რეგულირების სფეროდა მიზანი; ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნისა და დაცვის მექანიზმები; ფსიქოლოგიური შინაარსის კონფლიქტების მართვის სტრატეგიები; :ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნის მხარდაჭერა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები, რომელებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სასწავლო ინვენტარის (მერხები, მაგიდები, თაროები, კომპიუტერები და სხვა) გაწმენდას საწმენდი საშუალებებით. კარადების, სათავსოების, უჯრების მოწესრიგებას და ყოველდღიურად სველი წესით დამუშავებას. განსაკუთრებული კონტროლია დაწესებული სანიტარული კვანძების (ტუალეტი, ნიჟარები, უნიტაზები) სისუფთავეზე. დამლაგებლების მუშაობას ყოველდღიურ მონიტორინგს უწევს სკოლის ექთანი, სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად, გამოყოფილია ცალკე ოთახი. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ცივი/ცხელი წყალი, ქაღალდი, საპონი, ნარჩენების კალათი, ხელსახოცები და მათთვის განკუთვნილი საკიდები . სკოლის დირექტორის #2-49 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები“.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას დირექტორის 1023 წლის #2- 25 ბრძანებით აქვს დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები“, რომელსაც იცავს სრულად. ამასთანავე, გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. კერძოდ, საქმისმწარმოებელი მონაცემები ინახება საქმისმწარმოებელთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლას აქვს არქივი, სადაც მოთავსებულია სკოლის ძირითადი დოკუმენტაცია, არქივის ოთახი იკეტება. რაც შეეხება ცფირული ინფორმაციას, რომელიც განთავსებულია სკოლის დირექციის კომპიუტერში დაცულია შემსვლელი პაროლებით, თუმცა ეს არ არის საკმარისი. სკოლის დირექციის განმარტებით სკოლაში დაინერგება სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციისა და მასთან დაკავშირებული რისკების მართვას და ინფორმაციის დაცვას. გაიწერება ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პრინციპები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროცედურები, რომელთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურები იქნება გამოყოფილი.
სკოლის დირექტორის #2-49 ბრძანებით დამტკიცებულია „ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ამიტომ ჯერ ვერ განახორციელებს პერიოდულ მონიტორინგს უსაფრთხოების ფუნქციონირების შესაფასებლად, თუმცა სკოლა გეგმავს ისეთი ინსტრუმენტის შემუშავებას, (მაგ. სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას), რომელსაც ექნება სისტემატური ხასიათი და შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი იქნება სწრაფი რეაგირება.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - არ განიხილება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი
2. ბრძანება სკოლის საზოგადოებრივი წერიგის და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირი,
3. უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
v მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

სსიპ შოთა რუსთაველი სახელობის ქალაქ საჩხერის #3 საჯარო სკოლას 2016 წლის 1 ივნისიდან სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 3590.38 კვ.მ. ფართი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობით. შენობა არის 3 სართულიანი, ნულოვან სართულზე განთავსებულია სარდაფი, პირველ სართულზე განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია, 6 საკლასო ოთახი, რესურს ოთახი, მანდატურის ოთახი, ექიმის ოთახი და სველი წერტილები (მათ შორისაა ადაპტირებული სველი წერტილი), მეორე სართულზე დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, სამასწავლებლო, საბუნებისმეტყველო კათედრის ლაბორატორია და სველი წერტილები, მესამე სართულზე განთავსებულია 8 საკლასო ოთახი. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, რომელიც განთავსებულია სკოლის 1 სართულზე. დარბაზის შესასვლელში მდებარეობს გასახდელი ოთახები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის ,რომელიც აღჭურვილია სველი წერტილებით. დარბაზსში უზრუნველყოფილია სავენტილაციო სისტემა. სკოლის ეზოში განთავსებულია 100 კვ.მ გარე სპორტული მოედანი,რომლის საფარიც არის მოასფალტებული. მოედანზე ამ ეტაპზე არ არის სპორტული ინვენტარი, თუმცა სკოლის ადმინისტრაციისა და სპორტის პედაგოგის განმარტებით, როგორც სასკოლო ოლიმპიადაში გამარჯვებულ სკოლას, მუნიციპალიტეტის მერია, ჯილდოს სახით, მოუწყობს მოედანს. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ლაბორატორიული ცდების ჩასატარებელი ინვენტარით. ლაბორატორიაში არაა გამწოვი სისტემა დამონტაჟებული, თუმცა აქვს დიდი ზომის სამი ფანჯარა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ლაბორატორიის ბუნებრივი ვენტილაცია. სადემონსტრაციო მაგიდის ზედაპირი არაა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

დამზადებული ცეცხლგამძლე მასალისგან. აღსანიშნავია ისიც, რომ ლაბორატორიაში არსებული ხელსაწყობი თუ რეაქტივები არაა ისეთი სახის, რომ სადემონსტრაციო ცდის დროს გამოიწვიოს სადემონსტრაციო მაგიდის ზედაპირის აალება. ლაბორატორია განთავსებულია მე-2 სართულზე. სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო; სკოლაში არის უწყვეტი ელექტროენერგია, შენობის პირველ და მეორე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, მათ შორის შშმ პირებისთვის ადაპტირებული საპირფარეშო, შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა, რომელიც სრულად რეაბილიტირებულია. ყველა საკლასო ოთახს აქვს ორი ან მეტი ფანჯარა, რაც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას. ასევე განთავსებულია 2 ან მეტი დაფა, 1 ჩანაწერებისთვის, დანარჩენი კი რესურსებისა და ნამუშევრების დემონსტრაციისთვის.

რჩევა - საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიაში სადემონსტრაციო მაგიდის ზედაპირი მოეწყოს ცეცხლგამძლე მასალისგან და დამონტაჟდეს ჰაერის გამწოვი სისტემა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფით. საგნებისთვის საჭირო თვალსაჩინოებები განლაგებულია ლაბორატორიაში. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია, ასევე სკოლაში ფუნქციონირებს კლას კაბინეტები შემდეგ საგნებში: ინგლისური ენა, სამოქალაქო განათლება, ისტორია და გეოგრაფია, მუსიკა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია ახალი კომპიუტერები, რომელსაც მოსწავლეები გამოიყენებენ სასწავლო პროცესში. ძირითადად სკოლაში მასწავლებლები იყენებენ ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში გადმოცემულ კომპიუტერებს და პროექტორებს. პროექტორები დამონტაჟებულია მუსიკის, უცხო ენათა, ფიზიკის კლას კაბინეტებშიც. მასწავლებლებისთვის სამასწავლებლოში განთავსებულია 2 კომპიუტერი, რაც უზრუნველყოფს ელექტრონულ ჟურნალში უპრებლომოდ მუშაობას. ყველა კომპიუტერი დატვირთულია ინტერნეტ ქსელით. ხოლო კლას კაბინეტები აღჭურვილია საგნისთვის საჭირო სასწავლო რესურსებით და საჭირო ტექნიკით (კომპიუტერი და პროექტორი). ინფრასტრუქტურა ადვილად ხელმისაწვდომია ყველა მასწავლებლისთვის და მოსწავლისთვის, ბიბლიოთეკაში გამოკრულია მოსწავლეთა მიერ შემუშავებული ქცევის წესები, კომპიუტერულ ლაბორატორიაში მუშაობის წესები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის უსაფრთხოდ გამოყენების წესი, სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, ინგლისურენოვანი წიგნები, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ ბიბლიოთეკაში ასევე განთავსებული ორი კომპიუტერი, რომელიც უზრუნველყოფილია ინტერნეტით, რომელთა გამოყენება შეუძლიათ მოსწავლეებს სასწავლო პროცესში საშინაო დავალებების შესასრულებლად თუ დამატებითი ინფორმაციის მოსაძიებლად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლაში შემოსასვლელ კიბეებს დამაგრებული აქვს პანდუსი, რაც შშმ მოსწავლეს თუ სკოლის პერსონალს აძლევს შენობაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შესვლისა და გადაადგილების შესაძლებლობას. შენობაში დამონტაჟებულია ლიფტ, რომლითაც სკოლას არ უსარგებლია და დღემდე არ სარგებლობს რადგან ექსპლუატაციაში არაა მიღებული. რის გამოც სკოლის საზოგადოება ვერ სარგებლობს აღნიშნული ლიფტით. სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი, რომელიც ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. სკოლას ჰყავს 1 სპეციალური პედაგოგი, რომელიც ინდივიდუალურად მუშაობს თითოეულ სსსმ მოსწავლესთან და ეხმარება მათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში.

რჩევა - სკოლამ იზრუნოს ლიფტის ექსპლუატაციაში მიღებაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

სკოლის ძირითადი ინფრასტრუქტურა გარდა საგაკვეთილო პროცესისა, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების მიერ დაგეგმილი სოციალური, სპორტული თუ კულტურული სხვადასხვა ღონისძიებების განსახორციელებლად. მასწავლებელებლების, მოსწავლეთა თვითმმართველობის თუ კლუბის წევრი მოსწავლეების მიერ ინიცირებული აქტივობები შესაძლებელია ჩატარდეს სკოლის სპორტულ თუ სააქტო დარბაზში, რომელშიც განთავსებულია საჭირო რაოდენობის ინვენტარი. ასევე სხვადასხვა აქტივებების ჩატარება ხორციელდება ბიბლიოთეკაში, სკოლის ფოიესა და სკოლის ეზოში. ზაფხულობით სკოლის მოსწავლებისა და მასწავლებლების ინიცირებით ტარდება საზაფხულო შემეცნებითი ბანაკები, სადაც მონაწილეობას იღებენ საჩხერის რაიონის სხვა სკოლის მოსწავლეებიც. ბანაკის მონაწილეებისთვის ერთი კვირის განმავლობაში ხელმისაწვდომია სკოლის გარე და შიდა ტერიტორია, ინვენტარი და საჭირო ტექნიკა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის (ისტ-ის მიმართულებით), მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია პროექტორი და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ბუნებისმეტყველებისთვის-საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შესაბამისი ლაბორატორიული აღჭურვილობით. საბაზო და საშუალო საფეხურები: საბუნებისმეტყველო მიმართულებით ფუნქციონირებს ლაბორატორია, რომელიც განთავსებულია ცალკე საკლასო ოთახში, დგას სადემონსტრაციო მაგიდა აღჭურვილი სტემ საგნების გაკვეთილებისთვის საჭირო ინვენტარით. სპორტის გაკვეთილებისთვის-ღია და დახურული სპორტული მოედანი შესაბამისი ინვენტარით. საზოგადოებრივი მეცნიერების მიმართულებით ფუნქციონირებს კლას კაბინეტი, სადაც განთავსებულია სხვადასხვა პროექტებით მიღებული რესურსები, სამაგიდო თამაშები, საკლასო ოთახის კედელზე, მოსწავლეთა მიერ, დახატულია მსოფლიო რუკა. ესთეტიკის მიმართულებით მოწყობილია მუსიკის კლასი, სადაც განთავსებულია მუსიკალური ინსტრუმენტები. უცხო ენის კაბინეტში განთავსებულია უცხოენოვანი სხვადასხვა დინისა და ჟანრის წიგნები. კურიკულუმებით განსაზღვრული ციფრული რესურსების განხორციელებისთვის სკოლაში არის კომპიუტერებით აღჭურვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

კომპიუტერული კლასი. სამივე საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბიბლიოთეკაში არის როგროც გრიფირებული სახელმძღვანელოები ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. მცირე სამკითხველო კუთხეები მოწყობილია სხვადასხვა კლასებში.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- საზაფხულო სკოლის პროექტის ფორმა და ანგარიში
- ინვენტარიზაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;**
   ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 14 კომპიუტერი და 1 პროექტორი, ბიბლიოთეკასა და სამასწავლებლოში 2-2 კომპიუტერი. კომპიუტერი და პროექტორი გვხვდება უცხო ენათა, საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი მეცნიერებისა და მუსიკის კლას კაბინეტებში. საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლას ემსახურება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის აიტი სპეციალისტი.
   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.**
   სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 14 კომპიუტერი; კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მიზნობრივად იმუშაონ. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი.
   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიბლიოთეკით სარგებლობის და კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება 2-73 29.10.2022 წელი.
- ფოტომასალა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლაში არსებობს საქმისწარმოების წესი. საქმისწარმოება მიმდინარეოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელსაც უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელი. საქმისმწარმოებლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლაში, ასევე წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილი და დალუქულია. **რჩევა** - მოსწავლეთა პიარდ საქმეებში განთავსდეს საფეხურის შესაბამისი ფოტო.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

სისტემაში. ბრძანებით გამოყოფილი ჰყავს პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. დირექტორის განმარტებით, ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან ხდება ვადებისა და პროცედურების დაცვით, რაც დასტურდება 2022 წლის 5 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს N 7 ოქმით (სკოლის დირექტორის წლიური ანგარიშის წარდგენა).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- 2022 წლის 5 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს N 7 ოქმი
- ბიბლიოთეკით სარგებლობის და კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება 2-73 29.10.2022 წელი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;**

სკოლის დირექტორის #2-55 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთა ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“. სკოლას აქვს სოციალური გვერდი, რომლის საშუალებითაც ახდენს საზოგადოების ინფორმირებას სკოლაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, მათ შორის სკოლის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. ინფორმაციები მიმდინარე პროექტების თუ სიახლეების შესახებ ყოველკვირეულად ცხადდება ფეისბუქ გვერდზე. გვერდის ადმინისტრატორი პერიოდულად ეცნობა ინფორმაციის ირგვლივ დაწერილ უკუკავშირს და აწვდის დირექციას. საჭიროების შემთხვევაში ხდება დროული რეაგირება. მშობლებთან საკომუნიკაციოდ გამოიყენება ასევე ფეისბუქ დახურული ჯგუფები, რომლის საშუალებით შესაძლებლობა გვაქვს დროულად მივაწოდოთ ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებას. სკოლას ასევე აქვს იუთუბ არხი, სადაც განთავსებულია ვიდეოები განხორციელებული პროექტების შესახებ. სკოლას არ ააქვს საკუთარი ოფიციალური ვებ გვერდი.

საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ გამოყო, სივრცე ვებ გვერდის შესაქმნელად და განსათავსებლად, თუმცა ამ ეტაპზე, ვებ გვერდზე, სკოლის მიერ არაა შეტანილი ინფორმაცია.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლის საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ოფიალური სოციალური გვერდის საშუალებით ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხიმგებელია სკოლის დირექცია. შესაბამისად სკოლის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია, გადამოწმებულია და უტყუარი. სკოლაში მიმდინარე პროექტის შესახებ ინფორმაციის განსათავსებლად, პროექტის ხელმძღვანელი წარადგნს მოკლე ანოტაციას და სურათებს, ინფორმაციის გაცნობის შემდეგ გვერდის ადმინისტრატორი დირექციასთან შეთანხმებით ანთავსებს ინფორმაციას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

სკოლა მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთა იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა არხს: უკავშირდებით ტელეფონით, ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს თუ კამპანიებს, აწვდიან ინფორმაციას სოციალურ ქსელით, ასევე იყენებენ microsoft office პოდუქტებს, teams, onedrive და outlook. ატარებენ პირისპირ და ონლაინ გამოკითხვებს. მიღებული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე ცდილობენ უფრო ეფექტური და ხარისხიანი გახადონ სკოლის მუშაობა და პოპულარული გახდნენ თემში. სკოლის დირექტორის #2-55 ბრძანებით დამტკიცებულია მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია), რომელიც ითვალისწინებს ისეთ საკითხებს როგორიცაა მშობლის სასწავლო პროცესში ჩართულობის მიზანი, მშობლების უფლება - მოვალეობები, აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი, მშობლისთვის სავალდებულოდ მისაწოდებელი ინფორმაციის სახეები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლას არ აქვს საკუთარი ოფიციალური ვებ გვერდი

საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ გამოყო, სივრცე ვებ გვერდის შესაქმნელად და განსათავსებლად, თუმცა ამ ეტაპზე, ვებ გვერდზე სკოლის მიერ არაა შეტანილი ინფორმაცია.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლას არ აქვს საკუთარი ოფიციალური ვებ გვერდი

საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ გამოყო, სივრცე ვებ გვერდის შესაქმნელად და განსათავსებლად, თუმცა ამ ეტაპზე სკოლის მიერ არაა შეტანილი ინფორმაცია.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. სკოლის ფეისბუქ გვერდი
2. მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
v მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;**

სკოლას აქვს სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული „ფაქტობრივი ბიუჯეტი“. ,,ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ” ქვეპუნქტის შესაბამისად, სკოლის დირექტორი ყოველი წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოს წარუდგენს სკოლის ბიუჯეტს დასამტკიცებლად. გამომდინარე იქედან რომ სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი და აქვს დეფიციტური ბიუჯეტი, მისი დაგეგმვა ხორციელდება რეალური გათვლებისა და გაანგარიშებების საფუძველზე, როგორც შემოსავლით, ისე, ხარჯვით ნაწილში. სკოლის ყველა შემოსავალი და ხარჯი აისახება მის ბიუჯეტში, ხოლო სკოლის დირექტორის მიერ თანხების განკარგვა ხორციელდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის ბიუჯეტის მიხედვით. სკოლამ ბიუჯეტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაგეგმვის პროცესში ასევე განსაზღვრულია ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები შემოსავალიც. ბიუჯეტით განსაზღვული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე (ხელფასები, თანამდებობრივი სარგო, დანამატები) და კომუნალურ გადასახადებზე. მცირეოდენი თანხაა გათვალისწინებული საოფისე ხარჯებზე (საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა). ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იხარჯება ყველა იმ საჭირო საქონელსა და მომსახურებაზე, რომელიც სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით, აუცილებელია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ნორმალურად წარმართვისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი, რომლის მიზანია სკოლის სახელმწიფო შესყიდვების ფაქტიურად განხორციელებისა და ფულადი სახსრების რაციონალურად ხარჯვის უზრუნველსაყოფა, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცებისა და შესყიდვების გეგმაში კორექტირების შეტანა, პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენის წესების განსაზღვრა. აღნიშნულით სკოლას შეუძლია დასახული მიზნების განხორციელება და ამოცანების შესრულება მინიმალური დანახარჯებით. ასევე, ხელს უწყობს შესყიდვების პროცესების მეტ გამჭვირვალობასა და სუბიექტური გადაწყვეტილებების აღმოფხვრას. სკოლის შესყიდვების გეგმა გამომდინარეობს სკოლის მიზნებიდან და ამოცანებიდან. შესყიდვების გეგმამ კორექტირება შეიძლება განიცადოს საჭიროებიდან გამომდინარე. შესყიდვების გეგმის კორექტირება ხორციელდება შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის გზით. შესყიდვების გეგმის ყოველი კორექტირება აისახება ელექტრონულად ,,ePLAN" მოდულში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ბიუჯეტი
2. სკოლის შესყიდვების გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მოსწავლის დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას, მოსწავლის წახალისების ფორმებს და მის გამოყენების წესს და ჩაცმულობის წესს. მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები . შინაგანაწესი ასევე ითვალისწინებს სკოლის მანდატურის მიერ შედგენილი დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადებს და პირობებს,

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, კლასის დამრიგებლების ფუნქციებშია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება მოსწავლეებისა და მშობლებისთვის. სკოლაში მოსწავლისჩარიცხვის დროს საქმისმწარმოებელი აცნობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სკოლის შინაგანაწესს. ინფორმაციის გავრცელება ხდება სოციალური ქსელითაც. შექმნილია დისციპლინური კომიტეტის დებულება, მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია.) აქედან გამომდინარე მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალე და გაზიარებულა სასკოლო საზოგადოებასთან. იმის გამო, რომ სკოლას არ ააქვს ვებ გვერდი აღნიშნული დოკმენტები ვერ იქნება გამოქვეყნებული მასზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ორივე მხარის ინტერესები, ასევე პერსონალური მონაცემების დაცვისა და გამოყენების პირობა . ორივე მხარის შეთანხმების შემდეგ ხდება დოკუმენტზე ხელის მოწერა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრული შინაგანაწესი;
- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია).
- სკოლის შინაგანაწესი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;**

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს მოსწავლის საფეხურის დაძლევის, მობილობის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სწავლების საკითხებს. მოსწავლეთა სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვის, მობილობის და სხვ. პროცედურებისთვის ხელმძღვანელობენ კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებით, კერძოდ: სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვას, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესებსა და პირობებს სკოლა განსაზღვრავს 2017 წლის 11 იანვრის ბრძანება N04/ნ -ით, ხოლო ესგ მუხლი 35 ის მიხედვით კი, კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობებს. ასევე არეგულირებს მოსწავლეთა მობილობას. საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანების ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად, სკოლას გაწერილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი“ რომლის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების/გადაფასების და შესაბამისი დასკვნის შედგენის მიზნით, სკოლა მიმართავს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს. აღნიშნული პროცედურების შესახებ სკოლა ინფორმაციას აძლევს მშობელს მშობელთა კრებებზე და სოციალური ქსელით. კარგი იქნება სკოლამ ცალკე ერთი დოკუმენტის სახით შექმნას მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობით დადგენილ წესებს. შემუშავებულია ახალბედა მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის პირობები და მხარდაჭერის ფორმები/გზები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების და სპეციფიკის შესახებ და სკოლის შიდა პოლიტიკის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევის, შესახებ ინფორმაციას სკოლა ავრცელებს სოციალური ქსელის (სკოლის ფეისბუკ გვერდი) საშუალებით, ასევე ინტერნეტ სივრცეში შექმნილია ჯგუფები მოსწავლეებისათვის, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგნლებისთვის, მასწავლებლებისთვის სადაც სისტემატიურად არის განთავსებულ მრავალფეროვანი ინფორმაცია, რომლის განახლებაც ხდება რეგულარულად. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს დამატებით სერვისებს შეთავაზებას საკოლო საზოგადოებისთვის, კერძოდ სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებითი. სკოლას აქვს გამოცდილება საზაფხულო ბანაკის ორგანიზების, რომელიც სკოლის ტერიტორიაზე იქმნება და მასში გაერთიანებულია მოსწავლეები რაიონის/თემის სახვადასხვა სკოლიდან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლაში განხორციელებულ პროექტებსა და დამატებით სერვისებში თანაბრად ერთვებიან მოსწავლეები და ასრულებენ მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე აქტივობებს. დაგეგმილი, განხორციელებული აქტივობებისა და მიღებული შედეგების შესახებ ინფორმაციას სკოლა აქვეყნებს სოციალურ ქსელში, სკოლის გვერდზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- გამოცემული ბრძანებებით მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ;
- გაფორმებული მემორანდუმები.
- სკოლის სოციალური გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 09 აგვისტოს #2-48 ბრძანებით დამტკიცებულია „სკოლის ახალი მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის წესი/მექანიზმი“ გამომდინარე ამ ბრძანებიდან შემუშავებული ახალბედა მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის გეგმა და ტრანზიციის პროგრამა. კლასის ხელმძღვანელებს ფუნქციებში გაწერილი აქვთ ზრუნვა მოსწავლეთა წამოჭრილ საჭიროებებზე და მხარდაჭერაზე სხვადასხვა საკითხებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. შემუშავებულია ახალბედა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის გეგმა და ტრანზიციის პროგრამა, დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია ზრუნვა და მხარდაჭერა მოსწავლეთა წამოჭრილ საჭიროებებსა და ინტერესებზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

სკოლაში ვიზიტის დროს სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით სკოლა კონსულტირებას უწევს მოსწავლეს/მოსწავლეებს მისი მიღწევების გასაუმჯობესებლად, გამომდინარე იქიდან რომ, სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამოიკვეთა რომ სკოლას აქვს მზაობა სხვადასხვა ფორმით, კონსულტირება გაუწიოს მოსწავლეებს მათი მიღწევების გასაუმჯობესებლად. ამავდროულად სკოლის მასწავლელები და დირექცია მიიჩნევენ რომ ეფექტური და ნაყოფიერი იქნება, სასწავლო წლის დასაწყისში სადიაგნოსტიკო ტესტების ჩატარება და მოსწავლეთა თვითშეფასების ინსტრუმენტების გამოყენება. არასაკმარისი სასკოლო მზაობის შემთხვევაში, სკოლა დანერგავს რემედიაციულ პროგრამებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სასსასკოლო დოკმენტაციის (შინაგანაწესი, სკოლის სასწავლო გეგმა, „სკოლის ახალი მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის წესი/მექანიზმი“, „ინკლუზიური პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეთათვის“ და ა. შ.) გაცნობის შემდეგ და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების მიხედვით, ნათელია რომ სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით და აცხადებს მზაობას მომავალშიც განახორციელოს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაუწიოს მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს დამატებით სერვისებს, კერძოდ სკოლა აქვს არაფორმალური აქტივობების მხარდამჭერი სისტემა შემუშავებული. სკოლაში ფუნქციონირებს რამოდენიმე კლუბი: სამოქალაქო განათლების, დებატ კლუბი და ეკო კლუბი. სკოლაში ჩამოყალიბებულია წიგნის კითხვის კლუბი, რომელშიც გაწევრიანებულია დაწყებითი კლასის მოსწავლეები და ხელმძღვანელობს სკოლის ბიბლიოთეკარი კლუბები მუშაობენ სამოქმედო გეგმის მიხედვით და მასში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

გაერთიანებულია ძირითადად საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. კლუბის ლიდერი მასწავლებლების და მოსწავლეების მიერ წლის განმავლობაში ხორციელდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა შინაარსის აქტივობები, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები კლუბების მუშაობაში, რადგან ეძლევათ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად განვითარების შესაძლებლობა. სკოლაში რუსული ენის მასწავლებლის ინიციატივით ფუნქციონირებს რული ენის წრე სადაც მოსწავლეები იკრიბებიან კვირაში ერთხელ და ივითარებენ ენობრივ კომპეტენციას. სკოლას მრავალწლიანი გამოცდილება აქვს წითელი ჯვრის ადგილობრივ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის. სკოლაში ჩამოყალიბებულია მოსწავლეთა ხუთთა კომიტეტი. მოსწავლეების ინიციტივით იგეგმებოდა სხვადასხვა ტიპის საქველმოქმედო ღონისძიებები, აქციები სკოლაში და სკოლის გარეთ. პანდემიის დროს აღნიშნულმა კომიტეტმა შეაჩერა მუშაობა, სკოლის ხელმძღვანელების განცხადებით აღნიშნული კლუბი სექტემბრიდან განაახლებს საქმიანობას. სხვადასხვა შემეცნებით აქტივობებს ახორციელებდნენ მოსწავლეები თემში არსებულ დღის ცენტრის ბავშებისთვის. სტუმრობდნენ მათ და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით სთავაზობდნენ გასართობ და შემეცნებით აქტივობებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლის თანამშრომლების განმარტებებით და არსებული დოკმენტების მიხედვით ირკვევა, რომ დისტანციური სწავლების დასრულების შემდეგ დაინტერესებულ მხარეთა (მოსწავლე, მშობელი მასწავლებელი) უკუკავშირის საფუძველზე მოხდა დაკვირვება სასწავლო პროცესზე და დაწყებით კლასებში დაკვირვების შედეგებიდან გამოიკვეთა კონკრეტულ მოსწავლეებთან მთელი რიგი პრობლემები. ძირითადად კითხვასა და მათემატიკურ გამოთვლებში. მასწავლებლებმა შეადგინეს ინდივიდუალური გრაფიკი და დამატებით ამეცადინებენ აღნიშნულ მოსწავლეებს. დისტანციური სწავლების დროს გარდა ონლაინ გაკვეთილებას ტარდებოდა საკონსულტაციო საათი, სადაც მასწავლებელები გასცემდა დამატებით მითითებებს და რეკომენდაციებს. მიმდინარე სასწავლო წლის აპრილში კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით, შეიცვალა გაცდენების გამო მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერების პროცედურა და ვადები. კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულნი გახდნენ, მოსწავლეებს სტატუსი შეუჩერონ ზედიზედ 45 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში, ნაცვლად 90 სასწავლო დღისა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოსწავლის მიერ ზედიზედ მე-10 და მე-20 სასწავლო დღეების გაცდენის შემთხვევაში საკითხის შესასწავლად შესაძლებელი გახდა მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკის ჩართვა. შესაბამისად, სკოლამ აწარმოა საკმაოდ საინფორმაციო კამპანია ამ საკითის მშობლებისათვის და მოსწავლეებისათვის გასაცნობად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

----

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პირველკლასელთა ტრანზიციაზე პასუხისმგებელი პირის (კოორდინატორის) ჯგუფის წევრტა და მათი ფუნქციების განსაზღვრის ფორმის დამტკიცების შესახებ
- კომპლექსური დავალებების ბარათები მშობლებისთვის
- სადამრიგებლო პროექტები
- ახალბედა მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის გეგმა;
- ტრანზიციის პროგრამა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მემორანდუმები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;**
   სკოლა არაფორმალური განათლების საშუალებით ხელს უწყობს მოსწავლეებში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროცესებს. დამრიგებლები სადამრიგებლო საათის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მოსწავლეებს სთავაზობენ სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, აწვდიან ინფორმაციებს პროფესიების შესახებ, სკოლაში იწვევენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს კონკრეტული პროფესიის უკეთ გასაცნობად. სტუმრობენ სხვადასხვა ინსტიტუციებს რათა ადგილზე მოხდეს სხვადასხვა პროფესიების სპეციფიკის გაცნობა. სკოლის კურსდამთავრებულები პერიოდულად სტუმრობენ სკოლას და საუბრობენ მათ მიერ არჩეული პროფესიების შესახებ და მიღებულ სარგებელზე. ისინი მოსწავლეებს ესაუბრებიან თუ როგორ აარჩიეს პროფესია, რა ფაქტორები დაეხმარათ პროფესიის არჩევაში და რა სერვისებს სთავაზობს ის უნივერსიტეტების, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ისინი სწავლობენ. მოსწავლეები იღებენ ინფორმაციას იმ ღია კარის დღეების შესახებ რომელსაც სთავაზობენ პროფესიული კოლეჯები თუ უმაღლესი სასწავლებლების. სხვადასხვა პროექტის ფარგლებში სკოლაში იწვევენ სხვადასხვა პროფესიის მშობლებს, ისინი აცნობენ მოსწავლეებს თავიანთი პროფესიების მახასიათებლებს და ესაუბრებიან უპირატესობების შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

დამამთავრებელი კლასების მოსწავლეების მშობელბთან გამართულ შეხვედრაზე დამრიგებლები ავრცელებენ ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; სკოლის ფეისბუქ გვერდზე იდება ინფორმაცია სხვადასხვა უნივერსიტეტების შესახებ, ასევე ამ პლატფორმას იყენებენ სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა რომ ჩაატარონ ლაივი ჩართვები და მოაწყონ პრეზენტაციები. სკოლა სამომავლოდ გეგმავს ბიბლიოთეკაში გამოყონ სივრცე, სადაც წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ტიპის რესურსები ბროშურების, გაზეთების და გზამკვლევების სახით სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და უფროსკლასელები გაეცნობიან. იგეგმება ჩაატარონ გამოკითხვა, მოსწავლეებს რომელი პროფესიების შესახებ აინტერესბთ უფრო მეტი ინფორმაცია და რომელი პროფესიის წარმომადგენელთან სურთ შეხვედრა. ფიქრობენ, რომ მიღებული შედეგების გაანალიზების შემდეგ დაგეგმონ შესაბამის ინტერვენციები

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით ჩატარებული აქტივობების ბოლოს ხშირად ტარდება შეფასება და რეფლექსია. სკოლა მონაწილეებს ეკითხება თუ როგორ მოეწონათ შეხვედრა და რატომ იყო მათთვის სასარგებლო ეს შეხვედრა. იმართება დისკუსია, რომელიც გვეხმარება განვსაზღვროთ შედეგიანი იყო თუ არა მათვის ეს აქტივობა. სკოლის დირექცია ფიქრობს, რომ სამომავლოდ აუფრო მეტად დაგეგმონ უკუკავშირის ფორმები და შეიძლება უფრო მაშტაბური კვლევაც ჩაატარონ, რაც დეხმარება მათ ამ მიმართულებით დაგეგმონ მრავალფეროვანი აქტივობები და გარდა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებისა აქტიურად ჩართონ პროფესიული სასწავლებელბიც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროექტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

- მემორანდუმები;
- ფოტომასალა.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;**

სკოლაში დირექტორის ბრძანებითაა დამტკიცებული ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. სკოლას ამჟამად ჰყავს 3 სსსმ მოსწავლე და 1 სპეციალური მასწავლებელი. მოსწავლეთა შეფასება მოხდა მშობლების მომართვის საფუძველზე. ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არსებული დარღვევების დროს ან მასწავლებლების დაკვირვების და შეფასების საფუძველზე თუ მოსწავლეს აქვს სკოლაში ჩამორჩენა და ვერ ძლევს ესგ ძირითად მოთხოვნებს ხდება მშობელთან გასაუბრება, სპეციალური ფორმის შევსება და მოთხოვნის გაგზავნა შეფასების თაობაზე. მულტიდისციპლინური ჯგუფი ჩაატარებს გასაუბრებას და მათ მიერ მიღებული დასკვნის საფუძველზე სკოლა 2 კვირის ვადაში ადგენს და ამტკიცებს ისგ გეგმებს. გეგმების შედგენისას ხდება ყველა იმ რეკომენდაციის გათვალისწინება, რაც წერია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაში. სასკოლოს სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების პრინციპები და ის მექანიზმები, რომლების სკოლას ეხმარება ეფექტურად და შედეგიანად წარმართონ სამუშაო პროცესი. აღნიშნულ ვალდებულებებზე დაყრდნობით მაქსიმალურად ცდილობენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ჩაერთოს საწავლო პროცესში, შეიქმნას მათთვის უსაფრთხო გარემო, აქტიური კომუნიკაცია დამყარდეს მშობლებთან, ხელი შეეწყოს სსსმ მოსწავლეს ტრანზიციის პროცესში, მათი შესაძლებლობებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე უზრუნველყოფილი იყოს სკოლაში დაგეგმილ სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობებში მათი მოანწილეობა, ყოველწლიურად არის ზრუნვა კეთილმოეწყოს რესურსოთახი და შეივსოს ის ახალი რესურსებით. სხვადასხვა საგნის მასწავლებლები ცდილობენ ტრენინგების სემინარების თუ ვებინარების საშუალებით აიმაღლონ კომპეტენციები ინკლუზიური განათლების სფეროში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

სკოლის ადმინისტრაციის ბრძანებით თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ისგ-ის ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისგ-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება შემდეგი წევრებისაგან: სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები, სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. სკოლის ისგ ჯგუფს ჰყავს კოორდინატორი, რომელიც წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე. ჯგუფს ხელმძღვანელობას დამრიგებელი. ისგ ჯგუფი იკრიბება, სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ; ისგ ჯგუფის წევრები შეხვედრაზე განიხილავენ სსსმ მოსწავლის მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს, მის სასწავლო შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროებას, სწავლებაში ახალი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვის საჭიროებას და აუცილებელ რესურსებს. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე სპეციალური მასწავლებელი/კლასის დამრიგებელი აწარმოებს სხდომის ოქმებს. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში. სასწავლო წლის დასასრულს, ისგ ჯგუფის წევრი თითოეული მასწავლებელი აფასებს შესაბამის საგანში სსსმ მოსწავლის მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები) შესაბამისობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ანგარიშს წარუდგენს დირექტორს, პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური გეგმა;
- რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსები;
- სპეციალურ მასწავლებელთან დადებული ხელშეკრულება;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება,
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის მონიტორინგის განხორციელების წესი
- ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ.
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ოქმი.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

(არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლა ჩართულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში, რომელსაც ახორციელებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი. განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც უწევს მომსახურების შესრულებას კონტროლს/შემოწმებას და აწარმოებს შესაბამის დოკუმენტაციას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

სკოლაში არ ხორციელდება დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.
სკოლაში ჩვენი ვიზტის დროს ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა იმ სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის დამადასტურებელი დდოკმენტები, რომლებიც უნდა მოემსახურონ მოსწავლეებს. გამომდინარე ნათქვამიდან ჩანს, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტი მომსახურებას ახორციელებს უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დარღვევით და არ ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესებში სკოლა ჩართული არაა.

სკოლის მიერ წარმოდგენილია ავტომობილების ტექ. დათვალიერების დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც ემსახურება სკოლას ტექნიკურად გამართულია.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტრანსპორტით მომსახურების ხელშეკრულება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის №3 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების დოკუმენტში ასახულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. ამ დოკუმენტით განსაზღვრულია: ა) წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზის მიმართულებები; ბ) კონცეპტუალური ჩარჩო (ესგ-ს მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია); გ) კურიკულუმის დიზაინი; დ) კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცესები (დანართი №7). კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიურადაა ჩართული სასკოლო საზოგადოება: დირექცია, მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები. მაქსიმალურად არის გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების შეხედულებები, ინტერესები და შესაძლებლობები. დიდი ყურადღება ეთმობა პროექტებით სწავლებას, ჩანს მშობელთა ჩართულობა (დანართი №29, დამ. დოკ. (დანართი №15). დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები კურიკულუმის შემუშავების პროცესში განიხილავენ საკუთარ გამოცდილებას, აანალიზებენ, რის გაკეთება შეძლეს და რა ვერ განახორციელეს და განიხილავენ ხელისშემშლელ მიზეზებს. □კოლას აქვს სასკოლო კურიკულუმოს შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგის წესი და სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა სხვადსხვა დოკუმენტში გაბნეული ინფორმაციაც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

თვითშეფასების კითხვარის მიხედვით დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შექმნის პროცესში მასწავლებლბმა გაითვალისწინეს მიმდინარე 2022-2023 სასწავლო წლის მოსწავლეთა შედეგები, კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს გამოკვეთილი მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერსები, სურვილები, მასწავლებელთა მიგნებები, პრობლემები. დაწყებითი საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნის მასწავლებლების მიერ კოლეგებთან, მშობლებთან თანამშრომლობით, მოსწავლეების ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც დადგინდა მათი ინტერვიუს საშუალებით. სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტები: სადამრიგებლო პროგრამა, სასკოლო პროექტების დოკუმენტაცია, საიდანაც იკვეთება, რომ სკოლა ითვალისწინებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მოსწავლეთა და მშობლების ინტერესებს, მასწავლებლების ინიციატივებსა და წინადადებებს. სკოლა თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავს, რომ დაწყებით საფეხურის კურიკულუმის შედგენის პროცესში გამოკვეთენ ამ ასაკობრივი ჯგუფისთვის საინტერესო თემებს. ინდივიდუალური გეგმები შედგენილია მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნის საფუძველზე, სასწავლო პროექტების დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ისეთ ინტერესებს, როგორიცაა ციფრული ტექნოლოგიები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კერძოდ განსაზღვრულია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცდება მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში. სასწავლო წლის განმავლობაში კათედრებზე ხდება სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი და ამ პროცესში სასკოლო საზოგადეობის წევრების შეხედულებების ანალიზი, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ციკლურად მიმდინარეობს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ასახულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები. ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, ბეჭდითი მასალები, საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ სასკოლო საზოგადოება მუდმივად ინფორმირებულია სასწავლო პროცესში არსებულ გამოწვევებსა თუ მიღწევებზე, კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მშობლები ინფორმირებულნი არიან სოციალური ქსელის და საინფორმაციო დაფის საშუალებით. კომპლექსური დავალებების ბარათები ხელმისაწვდომია მათთვის, წლის დასაწყისში ეწყობა მშობლებთან შეხვედრები, სადაც კლასში შემსვლელი საგნის მასწავლებლები და დამრიგებლები აცნობენ წლის განმავლობაში განსახორციელებელ სამოქმედო გეგმებს, ისმენენ მშობლების უკუკავშირს. ასევე მშობლებს ეგზავნებათ კომპლექსური დავალებების ბარათები. ბარათების გაცნობის შემდეგ ტარდება მშობლებთან შეხვედრები და მასწავლებლები იღებენ მათგან უკუკავშირს განხორციელებული დავალებების შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

- სკოლის მშობლებთან ურთიერთობის დებულება)
- მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარი
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 ს/წ
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- სტატუსუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.
- კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
სახელმწიფო ენა დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის / მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ესგ-ის მიხედვით სტანდარტში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით). შუალედური მიზნები განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებებისა და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შესრულებისთვისაც მოსწავლეს სჭირდება გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები. კათედრის წევრებს მაგალითად მოჰყავთ წინარე გამოცდილება მსგავსი ტიპის კომპლექსური დავალების დანერგვის შემთხვევები. სკოლის თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ, რომ ამ ეტაპზე შემუშავებული კურიკულუმის შედგენისას თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს „მოსწავლეების შესაძლებლობებსა და ინტერესებს, მოსწავლის განვითარების ჰოლისტურ, კომპლექსურ მიდგომას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გაწერილი პროექტები და აქტივობები გათვლილია მოსწავლის როგორც მეტაკოგნიტური უნარების, ფსიქო-ემოციურ განვითარების მიზნით. კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე კათედრა გეგმავს კურიკულუმის ჩარჩოების სრულყოფას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- შემუშავებულ კურიკულუმის ჩარჩოში შემოთავაზებული/შერჩეული აქვთ ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს, თუკი სწორად მოხდება მათი დანერგვა და მორგება მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩოების დოკუმენტები, რომლითაც უცხო ენის სწავლების პროცესზე პასუხისმგებელი პირები, ჰოლისტურად გვიქმნიან წარმოდგენას, თუ რა მასალაზე დაყრდნობით, რა სტრატეგიების გამოყენებით გეგმავენ საგნის სტანდარტის მიხედვით განსაზღრულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლას უცხო ენის ფარგლებში (I_VI) ეს ყოველივე ცალსახად იკითება კომპლექსური ბუნების ტიპის დავალებებში ყველა კლასის (მთელი წლის განმავლობაში 1,2,3 შუალდური მიზანი/კომპლექსური დავალება) ინგლისური ენის 1-6 კლასის და მეორე უცხო ენის 5-6 კლასის კურიკულუმის ჩარჩოები . კლასებისთვის წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებზე დაყრდნობით შეიძელბა ვივარაუდოთ, რომ სკოლის უცხოური ენის მასწავლებლებს აქვთ მზაობა მოახდინონ საგნის სამიზნე ცნებებისა და შედეგების დამუშავება მოსწავლეებთან კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებებზე დაყრდნობით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები – ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით, შემუშავებული კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმი წარმოდგენილია ყველა კლასში, საგნობრივი კურიკულუმი შემუშვებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. დამუშავებულია სამიზნე ცნებები. კლასის საგნის კურიკულუმში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება, თუმცა პროცესი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვას: მაგ.კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებები რესურსები, მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული. ის, რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის წარმართვის და განვითარების გზას, ასევე დადასტურდა მასწავლებელთან გასაუბრებისას. წარმოდგენილი კურიკულუმები ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული პედაგოგიური მიდგომების დანერგვას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის 1-6 კლასისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნებისა და საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. შერჩეულია თემები და გაწერილია შესაბამისი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საკითხები. შედგენილი კურიკულუმები არის სრულყოფილი. თითოეული კლასის კურიკულუმში შეტანილია მრავალფეროვანი სასწავლო თემები, სადაც გათვალისწინებულია მისწავლეთა სურვილი, რაც საშუალებას იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და მათი ინტერესისა და შესაძლებლობების გათვალისწინებისა. თემების შერჩევისას გათვალისწინებულია სკოლის მდიდარი ინფრასტრუქტურა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებით საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით.საგან მუსიკის,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში, გაწერილია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, რომლებიც შესაბამისი თემის ფარგლებში მუშავდება,საკითხი/საკითხთა კლასტერები, კომპლექსური დავალების იდეები,მითითებულია აგრეთვე სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში, წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით მიიღებს, განიმტკიცებს და მიზნობრივად გამოიყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. საგნობრივი კურიკულუმებით გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგის და სამიზნე ცნების დამუშავება. მითითებულია სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. გასაუბრებიდან გაირკვა, რომ მასწავლებლები ხშირად იყენებენ სწავლების დიფერენცირებული მიდგომებისთვის საჭირო სხვადასხვა მეთოდს, აქტივობას, იყენებენ ბარათებს. ითვალისწინებენ მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებს, ცოდნის დონეს და შესაბამის დავალებებს აძლევენ. გამოიკვეთა სურათი, რომელიც გვაძლევს იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს. ახალ სასწავლო წელს შეხვდებიან სრულიად ახალი გადამუშავებული კომპლექსური დავალებებით. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო იძლევა საშუალებას, განისაზღვროს საფეხურის მზაობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის სრულყოფილად დაგეგმვისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლოდ სწორი ხედვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- დაწყებით საფეხურზე საგან ,,ჩვენი საქართველო“ სრულად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; აღნიშნულ დებულებას ადასტურებს შემდეგი ფაქტები:

შემოთავაზებული კურიკულუმი სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს აჩვენებს და უზრუნველყოფს;

- სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით;
- სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივ ცოდნის დასამუშავებლად;
- თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება;
- სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს;

საგნის ფარგლებში 5-6 კლასებში შექმნილია ცნებებზე ორიენტირებული კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც ყველა კომპონენტი სავალდებულო თემა, ცნებები, ძირითადი საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, მაგალითები შედარებისთვის, კომპლექსური დავალების იდეა და სასწავლო რესურსები სწორი პრინციპით არის აგებული.

კურიკულუმში შემოთავაზებულია მოსწავლისთვის საინტერესო კონტექსტით საკითხთა კლასტერი, ფრაგმენტულად კონტექსტ-მაგალითები და მაგალითებს შედარებისთვის.

საგან ,,მე და საზოგადოება“-ში კურიკულუმის ჩარჩო სრულად შეესებამება მოთხოვნებს. ყველა თემა დამუშავებულია მესამე და მეოთხე კლასებში, თემებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, წარმოდგენილია საინტერესო დავალებები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესზე და რეალურ ყოფით ცხოვრებაზე. მაგ: თემა ,,ჩემი ოჯახი“

სამიზნე ცნება-საზოგადოება; ქვეცნება-საზოგადოებრივი ჯგუფი-ოჯახი; საკითხი /

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საკითხთა კლასტერი-ჩემი ოჯახის ტრადიციები; კონტექსტმაგალითები-წითელი კვერცხი, ჯეჯილი და პასკა - აღდგომის დღესასწაული და ტრადიციები, რომელიც ყველა ოჯახში გვხვდება-როგორ აღნიშნავენ აღდგომას საქართველოს საზღვრებს გარეთ ; კომპლექსური დავალების იდეა ფოტო -კოლაჟის შექმნა ჩემს ოჯახში რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნასთან დაკავშირებით; სასწავლო რესურსები: სახელმძღვანელო ,,მე და საზოგადოება“; III კლასის სახელმძღვანელო, (Iნაწილი)

§ 5 რესურსი 1. სააღდგომო ტრადიციები; რესურსი 2. რამადან ბაირამის დღესასწაული პანკისში

რესურსი 3. პასექის დღესასწაული - როგორ აღნიშნავენ მას ქართველი ებრაელები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კოლა პირველივე ეტაპზეა ჩართული მე-3 თაობის ესგ დანერგვის პროცესში. სადამრიგებლო და სასწავლო/სასკოლო პროექტების დაგეგმვისას გათვალისწინებულია ესგ-ს მოთხოვნები და პრიორიტეტული თემები, ასევე ესგ-ს სწავლა-სწავლების მიზნებში წარმოდგენილია გამჭოლი კომპეტენციები. თუნდაც მოსწავლეთა კითხვარის საფუძველზე რა ინტერესები და საჭიროებები აქვთ, რომ უკეთ მოხდეს მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება. გუნდურად შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა არის უშუალოდ სკოლის მოსწავლეების განვითარების გზის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც ფორმალური (საგაკვეთილო) და არაფორმალური (კლასგარეშე) კომპონენტების გამოყენებით არის შექმნილი და განსხვავებული გამოცდილების, სხვადასხვა მოსაზრებების გაზიარება ჩანს. უნებისმეტყველების კუთხით სკოლას აქვს შესაბამისი რესურსები, მატერიალური და ციფრული, რომელსაც იყენებენ მასწავლებელები(შექმნილია კომპლექსური დავალების, მაგ. ეკოსისტემა, თუ სხვადასხვა ტიპის დავალებების პროდუქტები- ნახატები)

აღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სახელმწიფო ენა კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული დავალებების დანერგვის ეტაპზე აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა). თვითშეფასების კითხვარში სკოლა წერს: „სასკოლო კურიკულუმს ვქმნით ესგ განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, მასში ჩაშენებული კომლექსური დავალებებით ხორციელდება შუალედური მიზნების მიღწევა, ცნებების, ქვეცნებების გააზრება, იძლევა საშუალებას მივაღწიოთ სასურველ შედეგს გაწერილი აქტივობები ხელს უწყობს ისეთი უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, როგორიცაა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება, პრობლემის გადაჭრა, თანამშრომლობა და კომუნიკაცია....“ ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ იგეგმება ისეთი კომლექსური დავალებები, როგორებიცაა: წერილის შექმნა, პრეზენტაციის მომზადება აქტუალურ საკითხებზე, ამბის ციფრული თხრობა, მოთხრობის გაგრძელება, კულტურული მემკვიდრეობის ტრადიციების პოპულარიზაცია.“ **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მათემატიკა- პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმებში, რომელსაც იყენებდნენ 2022-2023 სასწავლო წელს გრძელვადიან მიზნებად გააზრებული იყო სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები; ძირითად შემთხვევაში აღქმული იყო გლობალური ფუნქციური უნარები (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი ნება) უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად). 2023-2024 სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შეფასების ინსტრუმენტი კათედრის ფარგლებში შემუშავების პროცესშია და იგეგმება ამ მიმართულებით სასწავლო წლის დაწყებამდე მუშაობა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- დაწყებითი საფეხურის უცხო ენის სასწავლო პროგრამის ჰოლისტურად აღმწერი დოკუმენტი-კურიკულუმის ჩარჩო წარმოგვიდგენს რა კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეებს, რომლებიც ზუსტად ეხმიანებიან/ამუშავებენ ამავე საფხეურისა და საგნის გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებსა და შედეგებს)თავისუფლად შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდსი მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას, ვინაიდან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები–სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შემუშავებული კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმების ანალიზისას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საგნობრივ კურიკულუმში გაწერილია ძირითადი ნაწილები. მიუხედავად იმისა რომ კლასის საგნის კურიკულუმში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება ინტერვიუს დროს მასწავლებელმა დაგვანახა მზაობა და აღნიშნულს გაითვალისწინებს. შეგვიძლია ვთქვათ რომ სკოლას აქვს მზაობა და საგნის კომპიუტერული ტექნოლოგიები კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალებები შეიცავს გამოწვევას, იწვევს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედობითობას, იწვევს ემოციურ კმაყოფილებას. მაგ მეოთხე კლასის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია შემდეგი კომპლექსური ბუნების დავალება: შუქნიშანი, მარტივი ელექტრონული მოწყობილობის გამართვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- შედგენილი და წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისაკენ. თემები შერჩეულია როგორც პრაქტიკული ასევე თეორიული მიმართულებით და ითვალისწინებს: სამიზნე ცნებებზე გასვლას, რომელიცაა: ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი და ცხოვრების ჯანსაღი წესი, გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) განვითარებასა და საგნობრივი სტანდარტის შედეგებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებით საფეხურზე საგნებში მუსიკა, სახვით და გამოყენებით ხელოვნება შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და პასუხს იძლევა კითხვაზე: რა მიზნით ისწავლება საგანი? კურიკულუმებში გაწერილი კომპონენტები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებაზე; სრულად გაწერილ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება სხვა კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ნათლად ჩანს, თუ რა მასალაზე დაყრდნობით წარიმართება სწავლება. სამიზნე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით; შერჩეულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. საგნობრივი კურიკულუმები ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გამოწვევას საგანთაშორისი კავშირებით და სწავლების კავშირით მოსწავლეში ინტერესებს, შესაძლებლობებს, ღირებულებებს და გამოცდილებას შორის.

ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებში სკოლა პირველი ეტაპიდანვე ჩაერთო შესაბამისად უკვე მეოთხე წელია სკოლაში საგნების მიხედვით შექმნილი პროგრამები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ. ყოველწლიური მოკლევადიანი მიზნების ნაცვლად მასწავლებლები ორინეტირებული არიან საფეხურებრივი გრძელვადიან მიზნებზე, ახალი სასწავლო გეგმით მასწავლებელი საფეხურის განმავლობაში ათიოდე მიზნობრივი ორიენტირით ხელმძღვანელობს მაშინ, როცა წინა თაობის სასწავლო გეგმის მიხედვით მასწავლებელს საფეხურის განმავლობაში თითოეულ საგანში საშუალოდ 150-მდე მოკლევადიანი მიზნით (შედეგებითა და ინდიკატორებით) უწევდა ოპერირება. ჩვენს მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ, ასევე ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევებს. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები აგებულია კონსტრუქტივისტურ პრონციპებზე დაყრდნობით, რომელიც მოსწავლეებში ავითარებს 21-ე საუკუნის გლობალურ ფუნციურ უნარებს, რაც ეხმარება მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი ცხოვრებაში. სტანდარტით შემოთავაზებული თემების ფარგლებში შერჩეულია მოსწავლეებისთვის საინტერესო და საჭირო საკითხებს, მასზე დაფუძნებით შექმნილია კომპლექსური დავალებები და იგეგმება მათი განხორციელება სასწავლო წლის მანძილზე. ყურადღებას გამახვილებულია ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს განსხვავებულ ხედვებსა და მოითხოვს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებას და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას, რაც შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებს მისცემს.

საგანი ,,ჩვენი საქართველო“ კურიკულუმის დაგეგმვის პრინციპი განსაზღვრავს თუ როგორ შეიძლება სასწავლო პროცესში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარება. კომპლექსური დავალება, ცნებებზე ორიენტირება, საგნობრივი საკითხები, თემები, ძირითადი და დამატებითი რესურსები, შეფასების ინსტრუმენტები მოიცავს მოსწავლეების პიროვნული განვითარებისთვის ძირითად საშუალებას.

კურიკულუმში მოცემულია კონტექსტ-მაგალითები, სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ასამაღლებლად, რაც თავის მხრივ მოიაზრებს 6 ფუნქციური უნარის გავითარებას;

კურიკულუმის ჩარჩო სრულად შევსებულია ყველა სტრუქტურული კომპონენტით. კომპონენტებს შორის, მიზნობრივი და ლოგიკური კავშირებია.

მაგ: თემა: თბილისი სამიზნე ცნება/ქვეცნება: სივრცე/გეოგრაფიული მოვლენა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დრო/თქმულება,ლეგენდა; მრავალფეროვნება/რელიგიურ-ეთნიკური კულტურული მრავალფეროვნება
დრო/ლოკალური ტრადიცია/ისტორიული ეპიზოდი საკითხი/ საკითხთა კლასტერი: საქართველოს დედაქალაქი;

- დაარსების ისტორია;
- თბილისის მოსახლეობის ეთნიკური და რეგლიგიური მრავალფეროვნება;
- თბილისელთა ძირითადი სამეურნეო საქმიანობა და ტრანსპორტის საშუალებები და ვაჭრობა თბილისში;
- ქალაქური ცხოვრება, დასვენება და გართობა თბილისში; კონტექსტ-მაგალითი: რუბრიკა-ინფორმაცია-„თანამედროვე თბილისის ეკოლოგია“ კომპლექსური დავალების იდეა: პოსტერის შემქნა ტრანსპორტთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემების შესახებ თბილისში მაგალითები შედარებისთვის: შეადარეთ ძველი და თანამედროვე თბილისის სატრანსპორტო საშუალებები. გამოყავით ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის სახეობა. ჩვ. საქართველო

გამომცემლობა „კლიო“ გვ.42-45.

სამომავლოდ მოიაზრება კომპლექსური დავალებების გაზრდილი რაოდენობა. პროცესი რომ ეფუძნება შინაგანი მოტივაციის გაღვივებას მოსწავლეებში ეს კარგად ჩანს დაგეგმილ კურიკულუმშიც. შეთავაზებულია საინტერესო და მამოტივირებელი კომპლექსური დავალების პროდუქტები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მიმდინარე კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი- კომპლექსური დავალება. ახალი სასწავლი წლისთვის კათედრამ უკვე შექმნა კურიკულუმის ჩარჩოები დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველებაში 1-6 კლასი. ბუნებისმეტყველების ახალი სტანდარტის შესაბამისად არის შეტანილი სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები კი ნაწილობრივ არის ჩაშლილად ქვესაკითხებად და ქვეცნებებად. კომპლექსური დავალებები გაწერილია თითო კლასში 2 საკითხზე. არჩეული კომპლექსური დავალებების იდეა, კონტესქტ-მაგალითი, ასევე სასურველია რესურსები სრულად და გააზრებულად იყოს წარმდგენილი.

თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ ,,...სტანდარტით შემოთავაზებული თემების ფარგლებში არჩევენ მოსწავლეებისთვის საინტერესო და საჭირო საკითხებს, მასზე დაფუძნებით ირჩევენ კომპლექსურ დავალებას და გეგმავენ მათ განხორციელებას სასწავლო წლის მანძილზე. მოწოდებული ბუნებისმეტყველების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სახელმწიფო ენა სკოლა განიხილავს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიიჩნევს, რომ განათლების უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა, ამისათვის მათ შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, კურიკულუმში შეთავაზებული კომპლექსური დავალებები. როგორც დაწყებითი კლასის პედაგოგებმა აღნიშნეს გასაუბრებისას, ისინი ქმნიან მოდიფიცირებულ კომპლექსურ დავალებებს, რათა ყველა მოსწავლე მაქსიმალურად იყოს ჩართული . **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- შერჩეული კომპლექსური დავალებები და მათი პროდუქტი, აქტივობები ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მიდგომებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ისგ გეგმები, რითაც ცხადია, რომ სკოლა გეგმავს ინკლუზიური სწავლების მონიტორინგს არის წარმოდგენილი როგორ ახდენს მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე რესურსების ან/და კომპლექსური დავალების პირობის დიფერენცირებას.ცხადია მათი მუშაობის მეთოდები ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინებით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები– სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, გაწერილია და დასტურდება მასწავლებელთან გასაუბრებითაც, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლის დიფერენცირებულ / ინკლუზიურ მიდგომებს: სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილები, შესაძლებლობები და უნარები. რის მტკიცებულებას წარმოადგენს ის, რომ მოსწავლეს სთავაზობენ სხვადასხვა კომპლექსურ დავალებებს სხვადასხვა შინაარსის და სირთულის აქტივობებს, ადაპტირებული დავალებებს, სხვადასხვა პროექტებს. კურიკულუმში მოცემული დავალებები მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებებით. შემოთავაზებული რესურსები და სასწავლო მასალა იძლევა მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- თვითშეფასების ფორმაშიც იკითხება და ინტერვიუს დროს პედაგოგებმაც აღნიშნეს, რომ ისინი მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, შეუძლია სასწავლო პროცესის მოდიფიცირება და შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში , ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში. სკოლაში ყავთ რამდენიმე სსსმ მოსწავლე, რომელთაც ესაჭიროებათ ინდგეგმა საგანში და პედაგოგმა აღნიშნა რომ სპეც მასწავლებელთან ერთად შემუშავებული აქვთ მათთვის მოდიფიცირებული გეგემა და წარმოადგინეს ეს ნიმუში ვიზიტის დღეს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკური აღზრდა - სასწავლო პროცესის დროს სკოლა ცდილობს გაითვალისწინოს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომები; სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ: „სასწავლო პროცესი იგეგმება დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, ინდივიდუალური შესაძლებლობები, ინტერესები.“ ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. საჭიროების შემთხვევაში ახდენენ როგორც პროცესის, ასევე პროდუქტის დიფერენცირებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლა გავლილი აქვს საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი ჯიპრაიდი და იუსაიდის საბაზისო განათლების პროგრამა, რომელიც დაწყებით საფეხურზე მიმდინარეობდა. თითოეული პროექტის ფარგლებში პროფესიული განვითარების მიზნით შეთავაზებული აქტივობების დახმარებით კარგად გაითავისეს მასწავლებლებმა თუ როგორ უნდა გამოეყენებინათ პრაქტიკაში დიფერენცირებული სწავლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საგნობრივი კურიკულუმი ადასტურებს სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფიის პრინციპებს, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომას, მოსწავლეზე ორიენტირებულ სიღმისეულ სწავლებას და მეორე მხრივ პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას, რასაც ადასტურებს ფორმალური და არაფორმალური განათლების სხვადასხვა დოკუმენტები.
კურიკულუმები ეფუძნება მრავალფეროვან და მოსწვალეზე მორგებულ სასწავლო პროგრამას/შინაარსს - შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.

სკოლას მოწოდებული აქვს ასევე ისგ-ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. თვითშეფასებაში ასევე ჩანს გამოცდილება დიფერენცირებული/ინკლუზიური სწავლების პრინციპების, რასაც ადასტურებს წინა წლებში განხორციელებული კომპლექსური დავალებები მაგ: საგანი ,,მე და საზოგადოება“ საგანი ,,ჩვენი საქართველო“; კურიკულუმშიც პროცესი ადასტურებს დიფერენცირებული სწავლების პრინციპების ასევე ჩანს სამომავლო ხედვა კონკრეტული მაგალითებით - დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - დიფერეცირებულ მიდგომებზე ნარატივის სახითაა მოცემული კითხვარში , მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს მოწოდებულ გაკვეთილის გეგმებში სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება მასწავლებლის მხრიდან, 2023-24 სასწავლო წლის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში ჩანს დამატებით მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებაც. ა სევე აღნიშნეს, რომ დიფერენცირებას მიმართავენ პროდუქტის არჩევის კუთხით, სხვადსხვა სტრატეგიების გამოყენებით, მაგ. ა ქვთ ტექნიკური რესურსის საშუალება, ასევე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიული რესურსები და თავად მშობლების ჩართულობით მარტივი ექსპერიმენტების მოწყობის საშუალობა. ასევე სკოლა აღნიშნავს, რომ ჰყავს სსსმ მოსწავლეები და მათვის ინგ -ის მიხედვით ახორციელებს კომპლექსურების მოდიფიცირებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების კუთხით სამი დოკუმენტი (დანართი 35, 36, 37) და მოსწავლის ინდ გეგმა.

აღნიშნულით დასტურდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომები, სკოლამ წარმოედგინა სსსმ მოსწავლეის ინგ გეგმაც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სახელმწიფო ენა განმსაძზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს: სკოლა გეგმავს ეფექტიანი განმავითარებელი შეფასების ფორმებისა და უკუკავშირის მიწოდებას საკუთარი გამოცდილების საფუძველზე: „სასწავლო წლის დასაწყისში შევსებულმა თვითშეფასების კითხვარის ანალიზმა და გასულ სასწავლო წელს გაკვეთილებზე დასწრების ანალიზმა აჩვენა, რომ დაწყებითი კოლასის მასწავლებლებს ჯერ კიდევ სჭირდებათ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დიდი ყურადღება ეთმობა სკოლაში განმავითარებელი შეფასების გამოყენებას“ (დანართი #18). დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ამას ადასტურებს ის, რომ შეფასების კრიტერიუმები მორგებულია ცნებებსა და ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს, კონკრეტული კომპლექსური ბუნების დავალებას. ასევე, სკოლა გეგმავს ჰოლისტური, შეფასების მექანიზმების განსაზღვრას, სოლო ტაქსონომიის შემუშავებასა და დანერგვას სასწავლო პროცესში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------
----

მათემატიკა- გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სოლო ტაქსონომიით აფასებენ კომპლექსურ დავალებებს. გირჩევთ იხელმძღვანელოთ მათემატიკის ახალი სტანდარტით, ახალი სამიზნე ცნებებითა და მათი მკვიდრი წარმოდგენებით, რომელსაც ავტორიზაციის მხარდამჭერი გუნდიც გაგაცნობდათ. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავებისას გამოიყენეთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მეთოდიკურ ორიენტირები, თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- უცხოური ენების კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილი არ არის განმავითარებელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა ინტერვიუს დროს ცალსახად ნათელი გახდა, რომ ამ საგნის პედაგოგებს კარგად აქვთ გაზრებული თუ როგორ უნდა მოხადინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. მასწავლებელთა მიერ განხილული შეფასების მიდგომები სრულიად ეხმიანება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ უცხოური ენის გრძელვადიან მიზნებს, მჭიდრო კორელაციას გვიჩვენებს მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები– სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება საგანში კომპიუტერული ტექნოლოგიები დასტურდება მოწოდებული რუბრიკით, რომლებიც ზოგად წარმოდგენას ქმნის საფეხურის ფარგლებში ამ ტიპის შეფასების გამოყენებაზე. სკოლას წარმოდგენილი აქვს ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა (ნიმუში 15, გვ.16 განმსაზღვრელი შეფასება ვიზუალურ პროგრამირებაში). როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასება ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს. ამ რუბრიკებზე დაფუძნებით შეფასება გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლის მიერ შექმნილი და წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები დაწყებითი საფეხურისათვის შემუშავებულია , ისე, რომ მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. ითვალისწინებს საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს . რუბრიკები შედგენილია თემების მიხედვით. დაწყებითი საფეხურის შეფასების სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილია განმავითაერებელი შეფასების რუბრიკა და 5-6 კლასებისათვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. პედგოგებმა გამოთქვეს მზაობა, რომ სამომავლოდაც შექმნიან რუბრიკებს შერჩეული თემების მიხედვით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის სასწავლო სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობაა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ, მოსწავლეთა შეფასება ეფუძნება სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. სწორედ ამიტომ მასწავლებლები წინასწარ განსაზღვრავენ შეფასების კრიტერიუმებს და ქმნიან გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს. განმავითარებელი შეფასებისთვის იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ; დაწყებით კლასებში განსაკუთრებით ეფექტურად ვიყენებთ განმავითარებელი შეფასების ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა შუქნიშანი, ცერები მაღლა-დაბლა, შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, ვიცი-მინდა-ვიცოდე, გრაფიკული ორგანიზატორები. წარმატებით იყენებენ სოლო ტაქსონომიას- როგორც კომპლექსური დავალებაზე მუშაობის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს.“ სკოლას წარმოდგენილი აქვს, როგორც მუსიკაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ასევე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები სწავლების გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით დაწყებით საფეხურზე, რომელიც წარმოდგენას ქმნის, საფეხურის ფარგლებში საგან მუსიკა, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საგანი ,,ჩვენი საქართველო“ შექმნილია შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი, რომელიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. სკოლას ასევე დამატებით დოკუმენტაციაში მტკიცებულებებში არის სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები, სადაც პროცესი მიმართულია მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებისკენ. საგანი ,,მე და საზოგადოება“ მიემართება გრძელვადიან მიზნებს და კურიკულუმის ჩარჩოს კონტექსტი მოიცავს კონსტრუქტივიზმის პრინციპებს. დოკუმენტაციაში ჩანს დაწყებით კლასებში განმავითარებელი შეფასების ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა შუქნიშანი, ცერები მაღლა-დაბლა, შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, ვიცი-მინდა-ვიცოდე, გრაფიკული ორგანიზატორები. წარმატებით იყენებენ სოლო ტაქსონომიას- როგორც კომპლექსური დავალებაზე მუშაობის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს. რომლის გამოყენებაც მასწავლებლებს შესაძლებლობას აძლევს ზუსტად განსაზღვრონ მოსწავლეთა განვითარების დონე და დაეხმარონ მათ შედეგის გაუმჯობესებაში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მოსწავლეთა შეფასება ეფუძნება სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. სწორედ ამიტომ მასწავლებლები წინასწარ განსაზღვრავენ შეფასების კრიტერიუმებს და ქმნიან გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს, რაც წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე რუბრიკით. განმავითარებელი შეფასებისთვის იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. დაწყებით კლასებში განსაკუთრებით ეფექტურად ვიყენებთ განმავითარებელი შეფასების ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა შუქნიშანი, ცერები მაღლა-დაბლა, შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, ვიცი-მინდა-ვიცოდე, გრაფიკული ორგანიზატორები, გამოსაძახებელი ჩხირები. წარმატებით იყენებენ სოლო ტაქსონომიას- როგორც კომპლექსური დავალებაზე მუშაობის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს. რომლის გამოყენებაც მასწავლებლებს შესაძლებლობას აძლევს ზუსტად განსაზღვრონ მოსწავლეთა განვითარების დონე და დაეხმარონ მათ შედეგის გაუმჯობესებაში. ბუნებისმეტყველებაში 1-4 კლასების მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ კომენტარებს, როგორც ზეპირს, ისე წერილობითს, სემესტრისა და წლის ბოლოს. მე-5, მე-6 კლასებში კი შექმნილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მართალია არ დევს დოკუმენტებში ქოუჩინგის პროცესში შექმნილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფსების რუბრიკები, თუმცა ამომწურავადაა სხვასდასხვა რუბრიკები საკლასო სასწავლო გეგმაში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სახელმწიფო ენა პედაგოგები კურიკულუმების დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. პედაგოგები, როგორც ინტერვიუში აღნიშნეს, კურიკულუმის დაგეგმვისას აანალიზებენ ხარვეზებსა და კურიკულუმს აუმჯობესებენ. „სამომავლოდ გათვალისწინებულია, კათედრების წევრებს შორის განხილული საკითხები, რიგგარეშე სხდომები, დოკუმენტურად ავსახოთ, დავწეროთ რეფლექსიები და პერმანენტული ხასითი შევძინოთ“. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- როგორც პედაგოგებმა გასაუბრების დროს ისაუბრეს, ახალი კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავებისას გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება. გაითვალისწინეს ის საჭიროებები, რომელიც გამოიკვეთა წინა წლებში შემუშავებული კურიკულუმის და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

შეთავაზებული კომპლექსური დავავლებების დანრგვის პროცესში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- სკოლას წარმოდგენილი არ აქვს დოკუმენტი სახელად რესურსი 12 თუმცა ინტერვიუს შემდეგ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლის საზოგადოებამ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვა სწორედ მიღებული შედეგების გაანალიზების ბაზაზე მოახდინეს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები– კომპიუტერული ტექნოლოგიების გადმოგზავნილი კურიკულუმიდან და ინტერვიუზე დაყრდნობით ჩანს, რომ მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ წინარე ცოდნას. ყოველი აქტივობა ეფუძნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. ინტერვიუს დროს მასწავლებელი საუბრობს განხორციელებულ პროექტებზე და ის გამოტქვამს მზაობას მომავალი სასწავლო წლიდან დაგეგმვის პროცესში როგორ გაითვალისწინებს წინარე გამოცდილებას ინტელის პრექტებთან დაკავშირებით. ასევე გადმოგზავნილი კომპლექსური დავალების და თემატური მატრიცის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- კათედრული ოქმებითა დასტურდება და ინტერვიუს შედეგადაც ნათელია, რომ კოლეგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. მათ გამოთქვეს მზაობა , რომ სამომავლოდაც ისე დაგეგმავენ სასწავლო პროცესებს, რომ უზრუნველყონ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებით საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმების პირველადი ვერსიები, რომლებიც წინარე გამოცდილებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავეს. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც სექტემბრიდან გეგმავენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. თვითშეფასების ფორმაში სკოლა წერს: სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკა საშუალებას აძლევს მასწავლებელს დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება,სასწავლო პროცესში გამოვლენილი ხარვეზებისა და წარმატებული პრაქტიკის გაზიარება ხდება კათედრაზე წარმოდგენილი ანგარიშების საშუალებით. მასწავლებლებს გაკვეთილებზე ესწრება და უკუკავშირს აძლევს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები, ისინი ისმენენ მათ რეკომენდაციებს და ითვალისწინებენ დაგეგმვის პროცესში. საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას ყურადღებას ამახვილებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებაზე. მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა და გამოცდილება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ინტერვიუს დროს მასწავლებლებთან პირისპირ გასაუბრებისას სწორედ ამ მიმართულებით დასმულ დამაზუსტებელი ტიპის შეკითხვაზე თუ რა გამოცდილება მისცა კათედრას წინა წლებში განხორციელებულმა კომპლექსურმა დავალებებმა -მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ დროის მენეჯმენტი, სასწავლო რესურსები და მშობელთა წინასწარი ინფორმირება კომპლექსურ დავალებებზე გახდა სამომავლო კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებით გასათვალისწინებელი კომპონენტები.

სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კურიკულუმი.
სრული სახით მოცემულ კომპლექსურ დავალებას თან ახლვას შეფასების რუბრიკა, რომლითაც გრძელვადიანი სამიზნე ცნება საზოგადოება ფასდება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- დანართი 35, 36, 37 და მოსწავლის ინდ გეგმა.
- სადამრიგებლო საათის პროექტი მედიაწიგნიერება
- პროექტი ჩვენ ვქმნით დემოკრატიას სკოლაში
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი
- სასწავლო პროექტი ,,რა უყვართ ჭიანჭველებს”
- სასწავლო პროექტი ქაღალდის შექმნა
- პროექტი ,,დემოკრატიული პედაგოგიკა''
- სასწავლო პროექტი- მწვანე სახურავი
- სტატუსუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.
- შეფასების რუბრიკები

v შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2კურიკულუმის განხორციელება
2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

სახელმწიფო ენა დაწყებითი საფეხურის კათედრაზე კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს ნამდვილად შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობას. სკოლას აქვს წინა წლების გამოცდილება და პედაგოგებმა ინტერვიუშიც აღნიშნეს, რომ დაკვირვების საფუძველზე ყველა სირთულე გაითვალისწინეს და ისე დაგეგმეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმი. საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო თემები წარმოადგენს მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტს. ასევე მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები და კონტექსტმაგალითები, ისინი ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. ამასთან, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს, შეიძინოს ცოდნა, იფიქროს, იმსჯელოს პრობლემის გადაჭრის შესახებ, იმოქმედოს მიზნობრივად. კომპლექსური დავალების შედეგად პროდუქტის შექმნა შემოქმედებითი უნარების გამოყენებას მოითხოვს და შესაბამისად, გაიზრდება მოსწავლეთა დაინტერესება. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ჩართულნი არიან არაფორმალურ აქტივობებში, სასკოლო პროექტებში (მტკიცებულებებში სკოლას წარმოდგენილი აქვს განხორციელებული სასკოლო პროექტების ანგარიშები), მათი ნამუშევრები გამოფენილია სასკოლო სივრცეში, სკოლაში არის პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, ღიაობა და მაღალი მიმღებლობა, რაც, ცხადია, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდასა და მათ შემოქმედებით პოცესებში ჩართვას. საგნობრივი კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა ყველა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მასწავლებლებს შერჩეული აქვთ ყველა კლასისთვის კომპლექსური დავალებები, რომელიც მათ შემოქმედებით სასწავლო პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას მისცემს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- ეფუძნება რა წარმოდგენილი სასწავლო გეგმა კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტულ დავალებებს მოსწავლე ამგავრ სასწავლო გარემოში გარანტირებულად შეძლებს იყოს შემოქედებით პროცესში ჩართული. იგი კეთების პროცესში შეძლებს ცოდნის კონსტრუირებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები– კომპიუტერული ტექნოლოგიებში წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა კომპლექსურ დავალებას. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე და კომპლექსური დავალებების პირობებიდან ჩანს, რომ სკოლა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა და გამოცდილება მოსწავლეებს შესთავაზოს სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროექტები ტექნოლოგიების მიმართულებით, მათ შორის სკოლა ჩართულია ინტელის პროექტებში, რომელიც ასევე მოიცავს სხვადასხვა STEM მიმართულების პროექტებს. ასევე მასწავლებლები საუბრობენ ისეთ ინტერდისციპლინარულ პროექტებზე როგორიცაა: გეომეტრიული ფიგურების აგება ვიზუალური პროგრამირების გამოყენებით (მათემატიკა, ტექნოლოგიები), ხარ ბედნიერი? (უცხო ენა და ტექნოლოგიები) და სხვ. ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- დაწყებითი საფეხურის (1-6 კლასები) კურიკულუმებში შეტანილი მრავალფეროვანი თემები, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით , დაგეგმილი ფესტივალები და სხვადასხვა ტიპის სპორტრული ღონისძიებები , მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისათვის შეთავაზებული შესაქმნელი პროექტები, სადაც ჩართული იქნება ყველა მოსწავლე , იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას და თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პროცესში შეძენილი უნარების გამოსავლენად. . მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინების და ხელშეწყობის მიზნით, ფიზიკური აღზრდის საგანში კოლეგები (ინტერვიუში აღნიშნეს), ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, მაგალითად განხორციელებული აქვთ ინტერგრირებული გაკვეთილი მუსიკასთან ერთად (მუსიკის მასწავლებლის მიერ შესაბამისი მუსიკალური ნომრებით გაფორმებული ფესტივალი). და თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში თავისი შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოსავლენად. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებითი საფეხურის მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ ,.სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი გულისხმობს იმას, რომ მოსწავლე თავად არის აქტიურად ჩართული შემოქმედებით პროცესებში. საგაკვეთილო პროცესის დროს თუ არაფორმალური განათლების განხორციელების პროცესში სკოლის პერსონალი მაქსიმალურად ცდილობს ყველა ბავშვს მისცეს საშუალება ისაუბროს, ახსნას, გაუზიაროს სხვებს საკუთარი გამოცდილება თუ მოსაზრებები. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ მეთოდს ,,შებრუნებული საკლასო ოთახი,“ რომელიც მოსწავლეებს ეხმარება დამოუკიდებლად სწავლის უნარის ჩამოყალიბებაში. კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში დაწყებით კლასის მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება აქტიურად ჩაერთონ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა მიდგომების გამოყენებით, როგორიცაა: კომიქსების შექმნა, ილუსტრაციების შექმნა და აღწერა, თხზულების შექმნა და წარდგენა, როლური თამაში, ინსცენირება. ინტერვიუს დროს. მუსიკის მასწავლებელმა აღნიშნა,რომ გასულ წელს ჰქონდა მუსიკის წრე, განახორციელა პროექტი სახელწოდებით,, მე ვირჩევ მუსიკას“ ამ პროექტით მოიპოვეს დაფინანსება და ამ ფინანსების გამოყენებით გახსნეს კაბინეტი, შეიძინეს ყველა საჭირო რესურსი: ხმის გამაძლიერებელი საშუალებები, დასამაგრებელი შტატივები და სხვადასხვა ინსტრუმენტი. სკოლა კომპლექსური დავალებების და სასწავლო პროექტების განხორციელებით ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საზოგადოებრივი მეცნიერებები- თვითშეფასებაში სკოლა აღწერს არაფორმალური განათლების მიმართულებით საინტერესო პრაქტიკას. ასევე კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კონტექსტ-მაგალითებიც იძლევა ამის საშუალებას. ასევე კომპლექსური დავალების იდეებიც. საგან ,,ჩვენი საქართველო და ,,მე და საზოგადოება“ შემოქმედებითობა ვლინდება კურიკულუმში მაგ: კონტექსტ-მაგალითები, რომლის საფუძველზე მოსწავლე აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით; ასევე ვლინდება შემოქმედებითი ტიპის კომპლექსური დავალებები მისი პროდუქტებით მაგ: ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

მოსწავლის მაღალი ავტონომიურობა და ჩართულობა გამოჩნდა გასაუბრების დროს მასწავლებლებთან და ასევე ჩანს სკოლის დოკუმენტაციაში, რაც სწავლა-სწავლების პროცესს ეხება; ორიენტაცია მაღალ სააზროვნო უნარებზე; მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებაზე. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ აქტიური სწავლა-სწავლება, დაფუძნებულია მოსწავლეთა ჩართულობასა და ავტონომიურობაზე. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ მეთოდს ,,შებრუნებული საკლასო ოთახი“, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება დამოუკიდებლად სწავლის უნარის ჩამოყალიბებაში. კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში დაწყებით კლასის მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება აქტიურად ჩაერთონ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა მიდგომების გამოყენებით, როგორიცაა: კომიქსების შექმნა, ილუსტრაციების შექმნა და აღწერა, თხზულების შექმნა და წარდგენა, როლური თამაში, ინსცენირება. არაფორმალური განათლების მიმართულებით კიდევ უფრო მეტად არის გამოკვეთილი სკოლაში მოსწავლეთა ავტონომიურობა და შემოქმედებითობა. ისინი ჩართულები არიან კლუბების მუშაობაში, ახორციელებენ ისეთ აქტივობებს როგორებიცაა პოსტერების და პრეზენტაციების შექმნა, დისკუსიებისა და დებატების მოწყობა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ეროვნული სასწავლო გეგმა სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებად კომპლექსური ბუნების დავალებებს მიიჩნევს. თვიშეფასების კითხვარის მიხედვით -- კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში დაწყებით კლასის მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება აქტიურად ჩაერთონ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა მიდგომების გამოყენებით, როგორიცაა: კომიქსების შექმნა, ილუსტრაციების შექმნა და აღწერა, თხზულების შექმნა და წარდგენა, როლური თამაში, ინსცენირება. არაფორმალური განათლების კუთხით წარმოდგენილი აქვთ სასწავლო პროექტები ,, რა ვუქნათ ჭიანჭველას“, ,, ქაღალდის შექმნა“, ,, მწვანე სახურავი“ . ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო და საკლასო გარემო არის ძალიან ხალისიანი, პოზიტიური, მოწესრიგებული, სასწავლო რესურსებით მდიდარი, მულაჟები, ბიბლიოთეკის საინტერესო კლასგარეშე საკითხავი ბუნებისმეტყველების კუთხით, მარტივი ექსპერიმენტების ჩასატარებლად არსებული რსურსები ქმნის მამოტივირებელ გარემოს, რომელსაც კარგად იყენებენ მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და პიროვნული განვითარებისთვის. (მოსწავლეთა ნამუშევრები) წარმოდგენილი ნარატივის და სკოლის დათვალიერების შემდეგ ნამდვილად სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

სახელმწიფო ენა სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და დაეხმარება მას ახალი მასალის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული დავალების პირობათა უმრავლესობა შემუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგალითად, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. ეს არგუმენტი ნათელყოფს, რომ მომდევნო სასწავლო წელს პროცესი წარიმართება აღნიშნულიი ფაქტორის გათვალისწინებით. კონკრეტულ დავალებამდე განსახორციელებელი აქტივობები წარმოდგენილი იქნება განხორციელების პროცესის დასასრულს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ხდება. ეს ასევე იკვეთება კურიკულუმის ჩარჩოში დალაგებული საკითხებისა და ქვესაკითხებიდან. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში შუალედური მიზნები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ იგი ცალსახად ეფუძვნება მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, რაც თავისმხრივ შემდგომ უზრუნველყოფს ახალი ცოდნის მარტივად და მოსწავლისთვის საინტერესო ავთენტურ კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას.ასევე , სკოლა გვატყობინებს, რომ არ აქვთ სადიაგნოსტიკო წერების გამოცდილება, თუმცა დაიგეგმა და შერჩეულ იქნა კონკრეტული ინსტრუმენტი სადიაგნოსტიკო შეფასებისათის, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ უცხო ენის მასწავლებელთა მზაობა ანალიზის მიხედვითაც მოახდინონ მოსწავლეთა არსებული ცოდნის ინდენტიფიცირება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები–კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმში ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივი კურიკულუმი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმასა, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია ინდიკატორთან. სკოლის მიერ გადმოგზავნილი თემატური მატრიცის, კომპლექსური დავლების აღწერილობით შეიძლება ვივარაუდოთ ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. რაც ასევე დასტურდება მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ის ფაქტი, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლემ ახალი ცოდნა დააშენოს უკვე ნაცნობ კონტექსტზე და ადრე მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- საგანში - ფიზიკურ აღზრდა , პედაგოგების თქმით (თვითშეფასების ფორმაშიც აღნიშნავენ), ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით იღებს ახალს. რაც გააადვილებს სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. პედგოგების მიერ აღწერილ სასწავლო პროცესი ჩანს მათ მიერ , წინა სასწავწლო წლის განვლილი პრაქტიკაში განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებშიც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილი პროცესის დაგეგმვა / განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას ცოდნის კონსტრუირების გზაზე. კერძოდ: სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს წინარე ცოდნის /წარმოდგენების დადგენა. ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით საგნობრივი კურიკულუმებში წარმოდგენილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

კომპლექსური დავალებები მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტებით. კომპლექსური დავალებებით მუშაობა კი უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. დაწყებით საფეხურზე მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი მასწავლებლების მიერ ინტერვიუს პროცესში იქნა მაგალითები მოყვანილი, თუ როგორ ახდენს დავალების ყოველ ახალ, მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლე წინარე ცოდნისა და გამოცდილებაზე ახალი ცოდნის დაშენებას, უკავშირებს ცხოვრებისეულ გამოცდილებას და ახდენს ცოდნის ტრანსფერს. აღნიშნული მტკიცებულებები მაძლევს საფუძველს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- ,,ჩვენი საქართველოს“ საგნობრივ კურიკულუმში აგების პრინციპი მოცემულია თემატური დაგეგმვის მიხედვით, რაც საფუძველი ხდება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურების, კურიკულუმში დამუშავებულია ყველა თემა. ასევე ფიქსირდება კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით დაა.შ.

იგივე მოცემულობაა და მიმართება საგან ,,მე და საზოგადოებაშიც“. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მასწავლებლებს გააზრებული აქვთ წინარე ცოდნის მნიშვნელობა, რომელიც შეიძლება გამოცდილებაც იყოს. სკოლას ნარატივის სახით ვრცლად აქვს მოწოდებული წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით სხვადსხვა სტრატეგიებზე, არნიშნული აქვთ მაგ. ,, ვიცი-მინდა ვიცოდე - რა გავიგე. ასევე ყურადღება არის გამახვილებული მესამე თაობის ესგ-ს მიხედვით კომპლექსური დავალებების დროს, თუ რას თვლის მასწავლებელი წინარე ცოდნად და როგორ აქვთ ჩაშენებული ეს ეტაპებში. მათთან ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ყოველთვის იყენებენ ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე მოსწავლეების გაარკვეულ გამოცდილებას მაგ. საარსებო თუ გეოგრაფიული გარემოს შესწავლის დროს. აქედან გამოდინარე შემიძლია ვთქვა, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

სახელმწიფო ენა დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, კურიკულუმით გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდდება სწავლის სწავლაზე, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. ამას მოწმობს კურიკულუმები და თანდართული მატრიცის სამუშაო ვერსიები. კურიკულუმებში მოემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, რომლებზე მუშაობაც მოითხოვს სწავლის სტრატეგიების ცოდნასა და დაუფლებას, მაგალითად, კოგნიტური სქემების გამოყენება, დაგეგმვა, რეფლექსია. კათედრის სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია, კომპლექსური დავალებების პირობები, შეფასების რუბრიკები, განხორციელებული პროექტები და მასწავლებლებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- გაანალიზებული აქვს რა სკოლას კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რასავ მათ მიერ წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

კურიკულუმის ჩარჩოები გვეუბნება, შეიძლება ვივიარაუდოთ, რომ სკოლა სრულად იცავს/ამართლებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ ძირითად კონცეფციას და მუშაობის პროცესი ისე მიჰყავთ, რომ მოსწავლეებს აფიქრებენ სწავლის სწავლაზე და შესაბამისად ეხმარებიან მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები – კომპიუტერული ტექნოლოგიებში წარმოდგენილ დოკუმენტაციის და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები, რესურსები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებით დამოუკიდებლად სწავლის საშუალებას. ასევე ყოველივე ამას ხელს უწყობს სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია (14 კომპიტერი). **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის თვითშეფასების ფორმიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური ხედვები, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. (აღნიშნული ცნობილია მასწავლებელთან გასაუბრების შედეგადაც) სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ არსებული ფიზიკური თვისებების განვითარების, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის გამოვლინებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში დანერგვისა და გამოყენების საშუალებას აძლევს. პედაგოგმა გამოთქვა სამომავლოდაც მზაობა ამ პრინციპით მუშაობის გაგარძელებისა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკური აღზრდა - საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კათედრის მიერ შერჩეული დავალებები ამაზე მიუთითებს. ესთეტიკური აღზრდის კათედრის მასწავლებლები დაწყებითი საფეხურზე გეგმავენ კომპლექსური დავალებების პირობების სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტს მეტად აკეთებენ სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე.სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან იკვეთება,რომ მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ხელშესაწყობად მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და ეხმარებიან სწავლის ეფექტური სტრატეგიების დაუფლებაში. ამ პროცესში იყენებენ გრაფიკული ორგანიზატორებს, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება არსებითი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნაში, მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამახსოვრებაში; მოვლენებსა და ფაქტებს შორის ურთიერთკავშირის დანახვაში; რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ამ სტრატეგიის ტრანსფერს სხვა მასალის დამუშავების დროს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მიმართავენ სხვადასხვა მეთოდებს. მაგ. გამსვლელი ბარათები, მოსწავლის თვითშეფასება. მასწავლებელს მოსწავლეზე დაკვირვება შესაძლებლობას აძლევს გამოიკვლიოს თუ როგორი ფორმით შეუძლია ისწავლოს, ვიზუალური, კეთებით თუ სხვა რაიმე ფორმით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- მეტაკოგნიციის წარმართვის საშუალებას იძლევა საგნობრივი კურიკულუმი დაწყებით საფეხურზე დაგეგმილი პროცესით.კოლის დოკუმენტაციაში მოცემულია ასევე განხორციელებული კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეთა თვითშეფასების ბარათები, სადაც მკაფიოდ ჩანს მეტაკოგნიტური უნარების განვითარების სხვადასხვა სტრატეგია. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლას ესმის რა არის სწავლის სწავლა, აქვთ მოყვანილი მაგალითები ნარატივის სახით, მაგ. საშინაო დავალების მომზადებისას მოსწავლესთვის გაუგებარი აღმოჩნდა წაკითხული ტექსტის შინაარსი და მასწავლებელი სთავაზობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

მოსწავლეს ტექსტის მონაკვეთებად დაყოფასა და თითოეული მონაკვეთის განხილვას და სხვ. გადაეცათ მეთოდური მასალები, ისინი დღემდე გეგმავენ აღნიშნული რესურსების გამოყენებით გაგკვეთილებს და ატარებენ. გრაფიკული ორგანიზატორებს სწავლა-სწავლების პროცესში იყენებს დაწყებითი კლასების თითქმის ყველა საგნის მასწავლებელი, ინტერვიუს დროს ეს დაადასტურეს მასწავლებლებმა. აღნიშნულიდან გამომდინარე შემიძლია ვთქვა რომ, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

სახელმწიფო ენა კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა თავის თავში გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობას. ასევე, ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები / პირობები, რომელთა განხორციელებაც მოითხოვს საკითხის დამუშავებას, ცოდნის დადასტურებას, სწავლის სტრატეგიების ფლობას, გარკვეული პროცედურების შესრულებას, პრობლემის გადაჭრას და ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსტთან დაკავშირებით შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. მოსწავლე გააცნობიერებს, რისთვის გამოადგება, რაც ისწავლა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაწყებით საფეხურზე ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე, მოსწავლეებს ექნებათ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა, მაგალითად, პროექტი „რა უყვართ ჭიანჭველებს“, „როგორ მზადდება ქაღალდი“, სადაც ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა-შერჩეული კომპლექსური დავალებების სწორად განხორციელება პასუხისმგებელია, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს ცოდნის სამივე კატეგორიაზე, რისთვისაც სკოლა ავლენს მზაობას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთანა მჭიდრო კორელაციაში მყოფი მოსწავლისთვის მარტივად გასაგებად ფორმულირებული შუალედური მიზნები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზებას . **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები– სკოლის მის მიერ შემუშავებული კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც ცოდნის ამ სამი კატეგორიის გამოყენებას გულისხმობს. მასწავლებლებთან ინტერვიუსას გაირკვა, რომ სკოლას მომავალშიც აქვთ მზაობა ასეთი ტიპის დავალებების განხორციელების, ინტერვიუს დროს მასწავლებელი საუბრობს ასევე პროექტული ბუნების მქონე დავალებებზე, მაგალითად ინტელის პროექტები, რომელიც ასევე ცოდნის ამ სამი კატეგორიის გამოყენებას გულისხმობს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ნათელია და პედაგოგებთან გასაუბრებისას აისახა, რომ, დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და შესაბამისი უნარების განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებში ცოდნის მიღებას და განვითარებას მარტივიდან რთულისაკენ. საწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ დასაწყისაში მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს თემას, უხსნის თამაშის წესებს , ტექნიკურ ელემენტებს და უჩვენებს თვითონაც პრაქტიკულად, შემდგომ ამეორებინებს და თამაშში ჩართავს ნასწავლის სათანადოდ ასათვისებლად. . მათ მიერ აღწერილი სასწავლო პროცესი ჩანს წინა წლის გავლილ პრაქტიკაში განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებშიც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკური აღზრდა - ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირებულობა ჩანს იმ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც მოცემულია საგნობრივ კურიკულუმებში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება,რომ ეფექტური სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეს სამი სახის ცოდნით უზრუნველყოფს: სტატიკური ანუ დეკლარაციული ცოდნით, დინამიკური ანუ პროცედურული ცოდნით, ფუნქციური ანუ ტრანსფერული ცოდნით. ტრანსფერული ცოდნა მოსწავლეს საშუალებას აძლევს, თავისი ცოდნა ადეკვატურად გამოიყენოს სხვადასხვა კონტექსტში. ხაზგასასმელია, რომ ტრანსფერი თავისთავად არ ხდება. საჭიროა სწავლების სპეციალური დაგეგმვა, ინტერაქციის, თანამშრომლობის და მრავალფეროვან დავალებათა არჩევანის შეთავაზება. სწორედ ამიტომ სკოლის მასწავლებლები გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და სასწავლო პროექტებს დაწყებით საფეხურზე.“ ამას ადასტურებს ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ და მსჯელობენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულად, აღწერეს რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს თემის დასრულების დროს ჰქონდეთ პასუხი კითხვაზე “რატომ ვისწავლე ეს თემა?”, აღნიშნეს ,რომ კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას. სკოლას დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან და საგნობრივი კურიკულუმიდან დაწყებით კლასებში ვლინდება მოსწავლეთა დავალებები, არაფორმალური აქტივობები, პროექტები და კომპლექსური დავავალებები, რომლებიც ეყრდნობა ცოდნის სამ კატეგორიას. კომპლექსური დავალების ყველა პროდუქტი (პოსტერები, ინტერვიუ, ბუკლეტები, წერილები, მოდელები, მაკეტები , ელ. რესურსები, წერილები, დღიურები, თხზულებები , ხელნაკეთი ნივთები) ეყრდნობა ცოდნის სამივე კატეგორიას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მიმდინარე ბუნებისმეტყველების კურიკულუმი წარმოდგენილია მხოლოდ ცხრილი-ჩარჩოს სახით და ნაკლებად ჩანს ცოდნის სამი კატეგორიაზე გასვლა, თუმცა მატრიცებში, რომელიც ატვირთულია დოკუმენტებში და ინტერვიუში კარგად გამოჩნდა, რომ ესმით მე-3 თაობის ესგ-ს კონცეპტუალური საფუძვლები. ისინი ხელმძღვანელობენ მატრიცის შაბლონებით და მასწავლებლის წიგნებიდან. ახალი კურიკულუმის ჩარჩო კი შექმნეს წინა წლების გამოცდილებით. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე უფრო გაკეთდა აქცენტი და ახლა როცა კონტექს- მაგალითები უფრო გაიაზრეს, პირობისეული ცოდნას მეტი ყურადღებით მიუდგებიან. ვიმედნოვნებ, რომ სასწავლო პროცესი სწორედ ორიენტირებული იქნება ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

სახელმწიფო ენა დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენი კურიკულუმის ჩარჩოში ასახული ინფორმაცია, განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, აღნიშნული კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. საგნობრივი კურიკულუმები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ეს ფაქტორები გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე. (დანართი № 38, 39). ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მუსიკისა და ქართული ენის მასწავლებლებმა მოაწყვეს ესეების კვირეული, რომელშიც ჩართული იყვნენ როგორც დაწყებითი, ასევე საბაზო საფეხურის მოსწავლეები. მათ ევალებოდათ გარკვეული მელოდიის მოსმენა და საკუთარ შთაბეჭდილებებსა და ჩანახატებზე დაყრდნობით უნდა შეექმნათ ესე. ასევე განახორციელეს სხვადასხვა პროექტი. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- თვითშეფასების კითხვარსა და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, თუმცა გირჩევთ საფეხურზე მაინც ერთი ინტეგრირებული კომპლექსური დავალება შესტავაზოთ მოსწავლეებს და შეიმუშაოთ შესაბამისი განმავითარებელი შეფასება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- იმ თემებზე და იმ კლასებში სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებები , მარტივია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებებს ახალ თემაზე გადასვლისთანავე , შესაბამისად ეს დაეხმარებათ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებაში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები – კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა ინტერვიურების დროს აღნიშნეს, რომ აქვთ მზაობა და გეგმავენ პროექტული სწავლების გაძლიერებას. საგნობრივ კურიკულუმში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა სურათს თუ როგორ ხდება სხვადასხვა ცოდნათა ორგანიზება და დაკავშირება დავალების პროდუქტის შესაქმნელად. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნას, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს სკოლის მზაობას ,სასწავლო პროცესში უზრუნველყოს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზება და ურიერთდაკავშირება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- ფიზიკური აღზრდის საგნისთვის შედგენილი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.. შერჩეულ თემებზე დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, რომელშიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და განხორციელდება მომდევნო სასწავლო წლიდან, მათი სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკური აღზრდა - მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში, რომლებიც სკოლამ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა, საგნობრივი კურიკულუმები სადაც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულები, აღნიშნული კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. კათედრას ეს ფაქტორები გათვალისწინებული აქვს საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე. ინტერვიუს დროს მუსიკის მასწავლებელმა აღნიშნა,რომ ითანამშრომლა ქართული ენის მასწავლებელთან და მოაწყო ესეების კვირეული.ეს კვირეული მოიცავდა 4-9კლასებს.მოსწავლეებს ევალებოდათ მოსმენილი მუსიკით,საკუთარი შთაბეჭდილებებსა და ჩანახატებზე დაყრდნობით შეექმნათ ესსე. განახორციელეს სასწავლო პროექტი სახელწოდებით „რა უყვართ ჭიანჭველებს,“ სადაც მათემატიკა,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და ტექნოლოგიების ინტეგრირება მოხდა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- დაწყებით საფეხურზე საგან ,,ჩვენი საქართველო“ და ,,მე და საზოგადოება“ თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ამ მიმართულებით ასევე საინტერესო პრაქტიკას გვაწვდის სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტები, სადაც ცოდნის წინაპირობას წარმოადგენს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს მიღებული ცოდნა. ასევე კურიკულუმში ჩანს საგანთა შორის ინტეგრაცია, მაგ: ,,ჩვენი საქართველო“ ეს საგანი პირდაპირ ხდება საგანთა ინტეგრირების საშუალებას.

სკოლაში იგეგმება ასევე ინტეგრირებული გაკვეთილები. ინტერვიუს დროს დეტალურად წარმოადგინა პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები გეოგრაფიისა და მოქალაქეობის მასწავლებლებმა. ისინი მაქსიმალურად ცდილობენ ინტეგრირებული გაკვეთილისთვის სწორად შეირჩეს საგაკვეთილო თემა. რაც ნიშნავს იმას, რომ არჩეულ თემას უნდა ჰქონდეს ყველა ინტეგრირებულ საგანთან შეხების წერტილი და ინტეგრირება იყოს ლოგიკური და ბუნებრივი. გარდა ინტეგრირებული გაკვეთილებისა ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისთვის ძალიან კარგი მიდგომაა კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება, რისი საშუალებითაც მოსწავლეები იმავე საგანში ახდენენ ცოდნის ორგანიზებას და გადატანას. მასწავლებლებს შერჩეული აქვთ ისეთი ტიპის კომპლექსური დავალებები, რომლის განხორციელების დროს მოსწავლეები მაქსიმალურად იყენებენ ნასწავლ მასალას და უმკლავდებიან სხვადასხვა ცხოვრებისეულ პრობლემებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ აქცენტი კეთდება მოსწავლის მიერ საკითხის სიღრმისეულ გააზრებაზე, კომპლექსური დავალების ,, სამი გოჭის“ , ,,წყლის წვეთის მოგზაურობა“ ,, მზის სისტემა“ და სხვ. მოსწავლეებმა საკითხი ღრმად გაიაზრეს. თუმცა იმისთვის რომ მოსწავლეებმა ურთიერთდაკავშირებული და ორგანიზებული ცოდნა ააგონ, აუცილებელია ცოდნის სამი კატეგორიის მიხედვით კომპლექსური დავალებების განხორციელება, რადგან მოსწავლემ პირობისეული ცოდნის მიხედვით შეძლოს ცოდნის განზოგადება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

----

კომპენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გაკვეთილს გეგმა
- პროექტი ,, ქაღალდის შექმნა“
- პროექტი - ,, რა უყვართ ჭიანჭველებს“
- პროექტის ,,დემოკრატიული პედაგოგიკა''
- სასწავლო პროექტი მწვანე სახურავი
- პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის ნიმუში და ანგარიში
- მასწავლებელზე გაცემული უკუკავშირის ფორმები
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- სტატუსუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სახელმწიფო ენა დაწყებითი კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებული კრიტერიუმები კორელაციაში იყოს ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, სასურველია, უფრო დეტალურად ჩაიშალოს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ სრულყოფენ კურიკულუმის ჩარჩოს, რათა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს მოსწავლემ შეძლოს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. ისინი მოსწავლეებს სთავაზობენ, შექმნან ისეთი პროდუქტი, როგორიცაა: მოთხრობის გაგრძელება, მეგობრის პორტრეტის შექმნა, სხვა პერსონაჟის პოზიციიდან გადმოცემული ამბავი, წერილით საკუთარი ემოციების გამოხატვა. ასე რომ, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში თემები უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- წარმოდგენილია რა მესამე თაობის ე.ს.გ. გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი შუალედური მიზნები უცხოურ ენებისთვის,შესაბამისად შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოუყალიბოს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან(შედეგებისა და სამიზნე ცნებების) მიმართებით.მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები– მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით, ყველა კლასში ვერ იფარება ყველა სამიზნე ცნება, ინტერვიუს დროს მასწავლებელი აანალიზებს გასაუმჯობესებელ მხარეებსა და გამოწვევებს. სკოლას აქვს მზაობა რაც მიუთითებს იმაზე რომ სასწავლო პროცესი მომავალში უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათვისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. გამომდინარე აქედან, კეთდება დასკვა, რომ აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- გასაუბრებით ჩანს და შედგენილი კურიკულუმებიც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, დავალების პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი გათვალისწინებულია სამიზნე ცნებებზე სამუშაოდ. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც როგორც შუალედური მიზანი ,მიემართება გრძელვადიან ორიენტირებს. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ სამომავლოდ შეავსებენ კურიკულუმის ჩარჩოს კომპლექსური დავალებებით. მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული დავალებებითა და აქტივობებით შეძლებენ მოსწავლეები სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ ჭრილში. საკითხების შესწავლის პარალელურად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. როგორც მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გაირკვა დაწყებით საფეხურზე მასწავლებელბი სთავაზობენ კომპლექსურ დავალებზე შექმნან ისეთი პროდუქტი როგორიცაა :ილუსტრაცია პროგრამაში ,,ვსწავლობ თამაშით, მოსმენილი მუსიკის მიხედვით და ინტერპრეტაციით საყვარელ საქმიანობაზე, ცხოველზე, ბუნებრივ მოვლენაზე პოსტერის შექმნა, წერილის დაწერა და სხვა. **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტანდარტის მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული კომპლექსური დავალებების მატრიცის ჩარჩოები საგანი ,,ჩვენი საქართველო“და ,,მე და საზოგადოება“, მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში (საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, იდეა, კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან გამომდინარეობს, არჩეული კომპლექსური დავლებები სასურველია ჩაიშალოს უფრო დეტალურად. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი აქტივობების რესურსებიდან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. კითხვარში აღნიშნულია და კურიკულუმიც ადასტურებს, რომ დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები სთავაზობენ ისეთ კომპლექსურ დავალებებს, როგორიცაა შექმენი ილუსტრაცია პროგრამაში ,,ვსწავლობ თამაშით, შექმენი კომიქსი წაკითხული ტექსტის მიხედვით და შენი ინტერპრეტაციით, საყვარელ საქმიანობაზე, ცხოველზე ბუნებრივ მოვლენაზე პოსტერის შექმნა, ილუსტრირებული მოთხრობის შედგენა, წერილის დაწერა და სხვა.

აქედან გამოდინარე შემიძლია ვთქვა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

სახელმწიფო ენა დაწყებითი კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა; სასწავლო პროცესის გარდა კათედრა/სკოლა ზრუნავს მოსწავლის სოციალურ-კულტურულ განვითარებაზე, ამაზე მიგვანიშნებს მათ მიერ განხორციელებული არაფორმალური აქტივობები, პროექტები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- თვითშეფასების კითხვარიდან, გასაუბრებიდან, ზოგიერთი შუალედური სასწავლო მიზნისა და კომპლექსური დავალებებიდან იკვეთება, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი უხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოებში დამუშავებულია ე.ს.გ. უცხოური ენების სტანდარტით გათვალისწინებული თემატური ბლოკებში შემოთავაზებული თემები, რომელთა უმეტესობა მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედური მიზნებში/კომპლექსური შინაარსის დავალებებში, რომელბიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კომპიუტერულიტექნოლოგიები –კომპიუტერული ტექნოლოგიებიში ადმოგზავნილ კურიკულუმში მოცემულ კომპლექსურ დავალებებში მოცემული საკითხები მოსწავლის ასაკობრივი თავისებურების, ინტერესის შესაბამისია. საგნობრივი კონტექსტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;, მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტივობები და რესურსები, (ასევეე კურიკულუმში თანდართული ჰიპერლინკები, სადაც წარმოდგენილია სპორტის შესაბამისი სახეობის წარმოშობის ისტორია). კურილულემებში გაწერილ თემების მიხედვით, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ კეთილდღეობას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკური აღზრდა -ესთეტიკური კათედრის საგნობრივ კურიკულუმში საკითხები იმგვარადააა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მაგ. საგან მუსიკაში, საკითხის , ,,მუსიკით ადამიანის პორტრეტის ემოციის გადმოცემა“, ხოლო სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში თემის: „იდეები, შთაბეჭდილებები, ემოციები“ შესწავლის დრო, რაც უშუალოდ ამ მიზანს ემსახურება. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ: „საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლების სხვადასხვა მეთოდს: აუდიო ჩანაწერების მოსმენას, წიგნების კითხვას, ფილმების ჩვენებას, რის შედეგადაც მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება. სხვადასხვა საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის სხვადასხვა მიმართულებით განვითარებას, პირველ რიგში ხდება მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარება, სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება.“ სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა გაწერილი ,,სადამრიგებლო საათი ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს“ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ განხორციელებული აქვთ პროექტები, რომელიც სწორედ ამ მიზნებს ემსახურება. გარდა ამისა, სასწავლო პროცესში იყენებენ დიაგრამებს, ცხრილებს, სქემებს, სურათებს, ილუსტრაციებს, როლურ თამაშებს, პრეზენტაციებს, ვიდეო და აუდიო ჩანაწერებს, რაც ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებასა და მისი ინტერესების განსაზღვრაში,რომლებიც საბოლოოდ ხელს უწყობენ მოსწავლის პიროვნულ-სოციალურ განვითარებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- არაფორმალური განათლება, პროექტული სწავლება, პრიორიტეტულ თემებზე მაგ:ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, რომელიც აქტიურად ხორციელდება სკოლაში ავითარებს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს; ხდება იდენტობის განვითარება; სკოლის მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული, რომ სოციალურ-ემოციური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას, ამიტომ მოსწავლეებს სთავაზობენ ისეთ აქტივობებს, რომელიც ეხმარებათ დაამყარონ ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. ამ პროცესში მასწავლებლები აკვირდებიან რამდენად გააჩნია მოსწავლეს უნარი, შეძლოს საკუთარი გრძნობების გაგება და გამოხატვა, სხვათა გრძნობების გაგება (თანაგრძნობა) და სათანადოდ რეაგირება. სადამრიგებლო პროექტების საშუალებით მასწავლებლები ცდილობენ ყურადღება მიაქციონ მოსწავლის დამოკიდებულებას განსხვავებული ადამიანებისა და მოვლენების მიმართ, წაახალისებენ განსხვავების მიმართ შემწყნარებლობას და მეტ ინფორმაციას აწვდიან ბავშვთა უფლებების შესახებ(ვიდეო რგოლების და პრეზენტაციების გამოყენებით) სიმულაციებით და როლური თამაშებით აჩვენებენ კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისა და ემოციების მართვის დადებით მაგალითს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მასწავლებლები საგაკვეთილო თუ არაფორმალურ გარემოში ცდილობენ დაეხმარონ მოსწავლეებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

საკუთარი თავის შეცნობაში ასაკის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით, როლური თამაშების გახორციელებით, თანამშრომლობითი მიდგომების დანერგვით. ხშირად იყენებენ შექებას და პოზიტიურ განწყობას უქმნიან მოსწავლეებს სწავლისა და შემეცნების პროცესში; სადამრიგებლო პროექტების საშუალებით მასწავლებლები ცდილობენ ყურადღება მიაქციონ მოსწავლის დამოკიდებულებას განსხვავებული ადამიანებისა და მოვლენების მიმართ, წაახალისებენ განსხვავების მიმართ შემწყნარებლობას და მეტ ინფორმაციას აწვდიან ბავშვთა უფლებების შესახებ(ვიდეო რგოლების და პრეზენტაციების გამოყენებით) სიმულაციებით და როლური თამაშებით აჩვენებენ კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისა და ემოციების მართვის დადებით მაგალითს. (პროექტი- დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა კომპლექსური დავალებების დანერგვის გზით სამივე საფეხურზე“) მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ეს საკითხვები ესმით, გააზრებული აქვთ და მომავალი სასწავლო წლის საგნობრივ მატრიცებში აუცილებლად გაითვალისწინებენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**
სახელმწიფო ენა დაწყებითი კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები წინაპირობაა მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების. მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას. ასევე სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ. კათედრის წევრები სასწავლო წლის დასაწყისში ქმნიან და იყენებენ სხვადასხვა შეფასების რუბრიკებს და აფასებენ მოსწავლეებს. ეს შეფასებისს რუბრიკები დამტკიცებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. ასე რომ, შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა- შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, ამისთვის კი საჭიროა ესგ და საგნობრივ სტანდარტზე (მიმდინარე) დაყრდნობით შემუშავდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მიეცეს მოსწავლეს ისეთი უკუკავშირი, რომელიც მის მხარდაჭერაზე იქნება ორიენტირებული და მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე პასუხისმგებელი. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხო ენა- სასკოლო კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას კერძოდ, მოსწავლის შეფასების მიზნით წარმოდგენილია სანიმუშო შეფასების რუბრიკები,(ძველი) თუმცა ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას სამიზნე ცნებების მიხედვით, რომელიც ვალიდური იქნება მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
კომპიუტერულიტექნოლოგიები –სასკოლო კურიკულუმში გაწერილია შეფასების სისტემა, კომპიუტერული ტექნოლოგიებში ასევე წარმოდგენილია შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუს საფუძველზე დაყრდნობით შეიძლება შეფასდეს, რომ **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის მიერ შექმილი და წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის საგნისთვის, თემების მიხედვით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტით გაწერილ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან და გათვლილია მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებაზე, პედაგოგების თქმით, ისინი განმავითარებელი რუბრიკების პარალელურად, ხშირად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკური აღზრდა -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით,კერძოდ: სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები, მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათ შორის მოსწავლეთა შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს და მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ ახალი გამოწვევის შესაბამისად ისეთი რუბრიკების შექმნას, სადაც მოსწავლეები საკუთარ ცოდნაზე იფიქრებენ, თავად იქნება საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში შეუწყობს ხელს. ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით მასწავლებელი აქტიურად გამოიყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. თვითშეფასებაში სკოლა წერს: „შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ. თითოეული კათედრის წევრები სასწავლო წლის დასაწყისში ქნიან და იყენებენ სხვადასხვა შეფასების რუბრიკებს, რომლის დახმარებითაც ახორციელებენ მოსწავლეთა შეფასებას, შეფასების რუბრიკები მტკიცდება სასკოლო სასწავლო გეგმით.“ სკოლას აქვს გამოცდილება და სწორი ხედვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლას სსგ-თ განსაზღვრული აქვს შეფასების ძირითადი მიზანი და ამოცანები. მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. სკოლის მიერ მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ შეფასების ფორმების მრავალფეროვნებაა: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, წარმოდგენა, წერითი ნაშრომი არგუმენტირებული მსჯელობა, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ბარათები, სიტყვიერი განმავითარებელი კომენტარი, მყისიერი უკუკავშირი და სხვ. ასევე შერჩეული და შექმნილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. ორივე საგანში კურიკულუმის ჩარჩოში და სასკოლო სასწავლო გეგმაში, თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ -კომპონენტური უნარების განვითარება: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების წინაპირობას. 2019 -2020 წასწავლო წელს სკოლაში დაიგეგმა და განხორციელდა პროექტი ,, დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა კომპლექსური დავალებების დანერგვის გზით სამივე საფეხურზე“. აღნიშნიშნული პროექტის მიზნები იყო მიზანზე და სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებზე მორგებული კომპლექსური დავალებების შექმნა, სხვადასხვა ტიპის კომპლექსური დავალებებისთვის შეფასების რუბრიკების შექმნა და დავალებების ანალიზი, კომპლექსური დავალებების და რუბრიკების ბანკის შექმნა და თანამშრომლობის გზით სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარება. პროექტის ფარგლებში შეიქმნა მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები და შეფასების რუბრიკები რომელსაც სკოლა დღემდე იყენებს. პროექტის ბოლოს ჩატარდა შემაჯამებელი კონფერენცია და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

სტენდური გამოფენა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლამ განახორციელა სასკოლო პროექტი ,,დემოკრატიული კომპეტენციების განვითარება მრავალფეროვანი შემაჯამებელი კომპლექსური დავალებები,, პროექტის ფარგლებში კათედრებზე შეიქმნა მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკები და ამ რუბრიკების გამოყენება დღესაც მიმდინარეობს. **რჩევის** სახით მინდა ვთქვა, რომ ამ პროექტის ფარგლებში შექმნილი შეფასების რუბრიკების წარმოდგენა შეიძლება, ასევე დახვეწა ახალი მიდგომების შესაბამისად.

ამ პროექტიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

სახელმწიფო ენა მომავალი სასწავლო წლისათვის კათედრა გეგმავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას, მასწავლებლებმა შეიმუშავეს შეფასების მეთოდოლოგია, შეფასების კრიტერიუმები, გაითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, გამოკვეთენ, რომელ სასწავლო შედეგს მიემართება შეფასება, შესაბამისად, შეფასება იქნება ვალიდური. მოსწავლეებს ეცოდინებათ, თუ როგორ შეფასდება მათი ცოდნა. ამ შემთხვევაში შეფასება იქნება გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. თითოეული უკუკავშირი იქნება რეალისტური, დახვეწილი და მკაფიო. ამ შემთხვევაში კი შეფასება იქნება სანდო. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მასწავლებელთა გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ შეფასება ვალიდურია, ობიექტური და სამართლიანი. განმავითარებელი შეფასების დროს ეყრდნობიან თემის, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აქცენტს აკეთებენ გრძელვადიან მიზნებზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- სკოლას წარმოდგენილი არ აქვს სანიმუშო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა დაწყებით საფეხურზე. მათთან ინტერვიუ დეტალურ სურათს გვაწვდის, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას ამავე საგნის შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით, რომელიც გვაძლევს საშუალებას დავსკვნათ, რომ იმ კონკრეტული საკითხთა კლასტერისთვის, რომელსაც ის ერთვის თან, შეფასება არის ვალიდური, სანდო, რაც შეეხება შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამაზე ინფორმაციას ამ ეტაპზე სკოლა ვერ გვაწვდის, სკოლამ შექმნა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების დოკუმენტი,რომელიც დაინერგება 2023-2024 სასწავლო წლიდან. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები – სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სკოლის მიერ წარმოდგენილია კომპიუტერული ტექნოლოგიებში განმავითარებელი შეფასების სქემა, რომელიც მორგებულია შესაბამის საკითხთან. სკოლას აქვს მზაობა შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. აქედან გამომდინარე, კეთდება დასკვა, რომ **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- მასწავლებლები ფლობენ და იყენებენ პრაქტიკაში შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს. გასაუბრების დროს გამოიკვეთა (და თვითშეფასების ფორმაც ადასტურებს), რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის შეფასების სისტემის დახვეწა და მორგება, ისე, რომ ის სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ესთეტიკური აღზრდა - მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუდან ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი ზეპირი კომენტარი თუ შეფასების რუბრიკა და მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან, თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში.ამ ეტაპზე სკოლას ნიმუშად აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სწავლების გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით; თუმცა მეტი ვალიდურობისა და სანდოობისთვის ერთობლივად გეგმავენ შეიმუშაონ საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით კონკრეტული თემების შესაბამისი და ესგ-ს შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკები.ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს (შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ბარათები, სიტყვიერი განმავითარებელი კომენტარი, მყისიერი უკუკავშირი)“ სკოლას აქვს სწორი ხედვა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ მოსწავლისათვის უფრო მეტად სანდო, გაჭვირვალე და ობიქტური შეფასების სისტემის შეიქმნის მიზნით, მასწავლებლები მათ გაკვეთილზე წინასწარ აცნობენ შეფასების რუბრიკებს, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დამთავრებამდე შეფასების კრიტერიუმი გამოკრული აქვს საკლასო ოთახში.“ სკოლას აქვს სწორი ხედვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- მოწოდებული მასალებიდან და ინტერვიუს დროს დასმული პრაქტიკული ტიპის კითხვებიდან ირკვევა რომ შეთანხმებული და გაზიარებული შეფასების ხედვაა სასკოლო საზოგადოების მხრიდან, ხდება მოსწავლეების ჩართულობა შეფასების დიზაინის შემუშავებაში, შეფასების მიზნობრიობას ვალიდურობას ექცევა კათედრაზე მუშაობით დიდი ყურადღება. ორივე საგანში ,,ჩვენი საქართველო“ და ,,მე და საზოგადოება“ სკოლას შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რომლის საფუძველზეც ფასდება გრძელვადიანი სამიზნე ცნებების დამუშავების პროცესი, რაც შეფასების სისტემას კიდევ უფრო სანდოს და გამჭვირვალეს, ობიექტურს და სამართლიანს ხდის სკოლის ბაზაზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ბუნებებისმეტყველებაში შეფასების სისტემა იცვლება შეცვლილი სტანდარტის ინდიკატორების მიხედვით. ქოუჩინგის დროს მათ შექმნეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები კურიკულუმის მიხედვით განხორციელებული კომპლექსური დავალების ფარგლებში შეფასების ნიმუში სოლო ტაქსონომიის მიხედვით.

(დანართი N17 - განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები) მოსწავლისათვის უფრო მეტად სანდო, გაჭვირვალე და ობიქტური შეფასების სისტემის შექმნის მიზნით წლის დასაწყისში მასწავლებლები მათ წინასწარ აცნობენ შეფასების რუბრიკებს, გაკვეთილის დაწყებისას მასწავლებლები საუბრობენ კონკრეტული გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმებზე, მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის; არის შემთხვევები როდესაც პედაგოგები თავად ქმნიან რუბრიკებს საჭიროებებიდან გამომდინარე. მაგალითად ასეთია პოსტერის შეფასების რუბრიკა, პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა. დაწყებით საფეხურზე ხდება მოსწავლის განვითარების შეფასება, მაქსიმალურად უზრუნველყოფს შეფასების ყველა პრინციპის დაცვას. თუმცა კარგი იქნებოდა განმავითარებელი კომენტატების ან შეფასების რუბრიკის წარმოდგენაც, რაც აუცილებლად უნდა შემუშავდეს მომდევნო სასწავლო წლისთვის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სახელმწიფო ენა სსიპ ქალაქ საჩხერის შოთა რუსთაველის სახელობის №3 საჯარო სკოლა იყენებს მოსწავლეთა შეფასების ობიექტურობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ხარისხის გაკონტროლების სხვადასხვა მექანიზმს: მოსწავლეთა შეფასების შედეგები მუდმივად განიხილება დირექციასა და პედაგოგთა რეგულარულ შეხვედრებზე; პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ მიღწევებს და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს; ყოველი სემესტრის დასრულებისას პედაგოგები ასევე აანალიზებენ შემაჯამებელი დავალებების შედეგებს. თვითშეფასების ფორმაში ასევე ვკითხულობთ, რომ პედაგოგები პერიოდულად ხვდებიან მშობლებს და მათგან იღებენ უკუკავშირს სკოლაში არსებული შეფასების სისტემის ეფექტურობისა და ხარვეზების შესახებ და ითვალისწინებენ პრაქტიკაში. სკოლას შემუშავებული აქვს განმავითარებელი შეფასების სპეციალური ფორმა, რომელიც შევსებული ინახება მოსწავლის პირად საქმეში. სკოლაში შემუშავებული აქვთ შიდა ვერიფიკაციის სისტემა, რომელიც ითვალსიწინებს სხვადასხვა მექანიზმს, მათ შორის-სემესტრულ გამოცდას. გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კათედრა გეგმავს, მომავალი სასწავლო წლისათვის ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწას, მოსწავლეთა ნამუშევრების გაანალიზებას, მოსწავლეთა და მასწავლებელთა პორტფოლიოების შექმნას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- თვითშეფასების კითხვარიდან და პედაგოგებთან გასაუბრებიდან იკვეთება, რომ სკოლაში მოქმედებს და სისტემატიურად იხვეწება შეფასების ვერიფიკაციის ერთიანი მოდელი და შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს მომდევნო შუალედური სასწავლო მიზნის დასახვისას. **იშეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- დაწესებულებამ შექმნა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია თუ როგორ განახორციელებს სკოლა შეფასების სისტემის ვერიფიკაციას 2023-2024 სასწავლო წლისათვის. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელების შემდგომ, ვერიფიკაციის ჯგუფი განიხილავს ჩატარებული პროცესის დადებით და უარყოფით მხარეებს და მოამზადებს დასკვნას. ჯგუფი დასკვნაში ნათლად ასახავს რამდენად იყო/არ იყო მოსწავლის შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. დასკვნის განხილვისა და ანალიზის შედეგად ჩართულმა მხარეებმა უნდა შეიმუშაონ პრობლემების აღმოფხვრის გზები, რომელიც ასევე შესაძლოა ვერიფიკაციის დასკვნაში რეკომენდაციების სახით იყოს ჩაწერილი. ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი მომზადებულ დასკვნას წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კომპიუტერულიტექნოლოგიები –სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელშიც წარმოადგენს სკოლაში შეფასების სისტემის, სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმს. ვერიფიკაციას სკოლა ძირითადად სამი მიმართულებით ახორციელებს: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცედურა ეხმარება მასწავლებლებს კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში იმისათვის, რომ ყველასათვის ნათელი იყოს მათი პასუხისმგებლობები სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასა და შეფასებასთან დაკავშირებით. ვერიფიკაციის შედეგების იხილავს სასკოლო საზოგადოება და წარმოშობილი პრობლემების ამოფხვრის მიზნით სახავენ მისი გადაჭრის გზებსა და საშუალებებს. შესაბამისად, განხორციელდება ცვლილებები კურიკულუმებში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად ნათელია და სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივშიც ჩანს, რომ ვერიფიკაციის მექანიზმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები აქციოს წერილობით დოკუმენტადაც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სკოლის დირექტორი, კათედრები და სასკოლო საზოგადოება სათანადოდაა ჩართული შეფასების სისტემის შექმნასა და მის მონიტორინგში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, დასტურდება,რომ სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). დეტალურადაა გაწერილი თუ როგორ ხდება ვერიფიკაციის პროცესი, შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, ვალიდაციის წესი და პროცედურა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლის დოკუმენტაციიდან ვლინდება მოწესრიგებული შეფასების სისტემა, წარმოდგენილია შეფასების ზოგადი და კონკრეტული რუბრიკები საზ. მეცნიერებების სხვადასხვა საგნობრივ დისციპლინაში. ინტერვიუს დროს აღნიშნეს მასწავლებლებმა რომ ხდება ეტაპობრივად შეფასების სისტემის რეფლექსია. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მასწავლებლის რეფლექსია შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, რომელიც ეფუძნება სტანდარტს და მიღწეული შედეგების ანალიზს. ეს პროცესი მოსწავლეთა ჩართულობით მიმდინარეობს სკოლაში. წარმოდგენილია მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა ტიპის და ფორმატის ნაშრომები, პროდუქტები და თვითშეფასების ინსტრუმენტები. აღნიშნული მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს შეფასების სისტემის რეგულაციაში. სკოლა იყენებს მოსწავლეთა შეფასების ობიექტურობის ხარისხი გაკონტროლების შემდეგ მექნიზმებს: მოსწავლეთა შეფასების შედეგები მუდმივად განიხილება დირექციასა და პედაგოგთა რეგულარულ შეხვედრებზე; პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს; ყოველი სემესტრის დასრულებისას, პედაგოგები აკეთებენ შემაჯამებელი დავალების ანალიზს. პანდემიამდე სკოლას ასევე ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდები, რაც კიდევ ერთი კარგი მექანიზმი იყო შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. პერიოდულად მშობლებთან შეხვედრებიც იმართება, სადაც სკოლა იღებს სიტყვიერ უკუკავშირს სკოლაში არსებული შეფასების სისტემის ეფექტურობასა თუ ხარვეზებზე, რასაც ვითვალისწინებთ პრაქტიკაში. დაწყებით საფეხურზე ეფექტურ განმავითარებელი შეფასების განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ მიმდინარე წლის დასაწყისში დაწყებითი კლასის ლიდრმა მასწავლებლებმა შექმნეს სასწავლო ჯგუფები USAID საბაზისო განათლების ფარგლებში და იმუშავეს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების პრაქტიკაში დანერგვაზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კითხვარში მითითებულია, რომ ,, ვერიფიკაცია არის სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. სკოლა იყენებს მოსწავლეთა შეფასების ობიექტურობის ხარისხი გაკონტროლების შემდეგ მექნიზმებს: მოსწავლეთა შეფასების შედეგები მუდმივად განიხილება დირექციასა და პედაგოგთა რეგულარულ შეხვედრებზე; პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს; ყოველი სემესტრის დასრულებისას, პედაგოგები აკეთებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შემაჯამებელი დავალების ანალიზს. (საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი N4) დაწყებით საფეხურზე ეფექტურ განმავითარებელი შეფასების განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ მიმდინარე წლის დასაწყისში დაწყებითი კლასის ლიდრმა მასწავლებლებმა შექმნეს სასწავლო ჯგუფები USAID საბაზისო განათლების ფარგლებში და იმუშავეს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების პრაქტიკაში დანერგვაზე; სკოლას აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სახელმწიფო ენა სკოლაში ელექტრონული ჟურნალის საშუალებით ხდება მოსწავლეების აღრიცხვა და შეფასება, მშობლებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება, ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისათვის განკუთვნილი დავალების თვალყურის მიდევნება, შვილის შეფასებისა და დასწრების სტატისტიკური ინფორმაციის მიღება. ყოველი წლის ბოლოს იწერება ბრძანებები კლასის დაძლევასთან დაკავშირებით, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მთკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- სკოლას შემუშავებული აქვს შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვის წესი. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- სკოლაში შეფასების სათანადო აღრიცხვა ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. ელექტრონული ჟურნალი მასწავლებლებს, მშობლებს და მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროცესის მართვას უმარტივებს, რადგანაც მისი საშუალებით შესაძლებელია: • მოსწავლეების ელექტრონული აღრიცხვა და შეფასება • მშობლებისთვის საჭირო ინფორმაციის დროული მიწოდება • სკოლის ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების ჩანიშვნა • მოსწავლეების შეფასებისა და დასწრების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღება • მოსწავლის შესახებ მშობელსა და მასწავლებელს შორის ინფორმაციის მყისიერი მიმოცვლა • სკოლის ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების თვალყურის მიდევნება • შვილის შეფასებისა და დასწრების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კომპიუტერულიტექნოლოგიები –სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- დაწყებით საფეხურზე წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის მატერიალურად ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ:“სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური განმავითარებელი შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ფორმა. როგორც წლიური, ასევე საფეხურის ნიშნები და საგნის მასწავლებლების ანალიზის საქმის მწარმოებლისთვის მიწოდებას უზრუნველყოფს დამრიგებლი. აღნიშნული ფორმები ინახება ერთ ბაინდერში სკოლის დირექტორთან. ყოველი წლის ბოლოს იწერება ბრძანებები კლასის დაძლევასთან დაკავშირებით დამრიგებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით“ . **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები სკოლაში შეფასების სათანადო აღრიცხვა ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციებს. მოსწავლეთა პირადი საქმეების და მათი შეფასებების შენახვის წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. დოკუმენტაციაში არის წარმოდგენილი მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების მათი შენახვის წესი ონლაინ ფორმატში; სკოლას აქვს სპეციალური ფორმები , სადაც ფიქსირდება, როგორც წლიური ასევე საფეხურის ნიშნები საგნის მასწავლებლების მიერ ხოლო ფორმის ანალიზს და საქმის მწარმოებლისთვის მიწოდებას უზრუნველყოფს დამრიგებლი. აღნიშნული ფორმები ინახება ერთ ბაინდერში სკოლის დირექტორთან. ყოველი წლის ბოლოს იწერება ბრძანებები კლასის დაძლევასთან დაკავშირებით დამრიგებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების / ინფორმაციის / მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლაში შეფასების სათანადო აღრიცხვა ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. ელექტრონული ჟურნალი მასწავლებლებს, მშობლებს და მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროცესის მართვას უმარტივებს, რადგანაც მისი საშუალებით შესაძლებელია:

- მოსწავლეების ელექტრონული აღრიცხვა და შეფასება
- მშობლებისთვის საჭირო ინფორმაციის დროული მიწოდება
- სკოლის ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების ჩანიშვნა
- მოსწავლეების შეფასებისა და დასწრების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღება
- მოსწავლის შესახებ მშობელსა და მასწავლებელს შორის ინფორმაციის მყისიერი მიმოცვლა
- სკოლის ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების თვალყურის მიდევნება
- შვილის შეფასებისა და დასწრების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღება

ასევე სკოლა მიუთითებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების / ინფორმაციის / მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამრიგად, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების / ინფორმაციის / მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პროექტი -,,დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა კომპლექსური დავალებების დანერგვის გზით სამივე საფეხურზე“
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- სტატუსუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.
- ვერიფიკაციის მექანიზმი, ბრძანება 2-41 10.07.2023 წელი

.2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სახელმწიფო ენა სასკოლო კურიკულუმი შექმნილია სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. დიფერენცირებული, მიდგომები, გაზიარებები, სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობას სასწავლო პროცესში, არაფორმალური აქტივობები, სასკოლო პროექტები, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ ქალაქ საჩხერის შოთა რუსთაველის სახელობის №3 საჯარო სკოლას შორის (დანართი №7) განაპირობებს სკოლაში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს ჩამოყალიბებას. საუბრის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო ცხოვრების პროცესები მიმდინარეობს თანამშრომლობით, კეთილგანწყობილი გარემო იქმნება ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობებით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მიმღებლობით და პოზიტიურ გარემოს. სასწავლო კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ფუნქციურ-გლობალური უნარების მოქმედებაში მოყვანა. სადამრიგებლო პროგრამის მიხედვით გადიან მეტად აქტუალურ თემებს. პრიორიტეტად აქციეს მედია წიგნიერება და მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისობა თითოეულ საკითხთან მიმართებაში. იმართება შეხვედრები დაწყებითი კლასების მასწავლებელბისა და მშობლის, სადაც განიხილება მოსწავლის პროგრესი, საჭიროებები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

კომპიუტერული ტექნოლოგიები –კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელთან და სხვა საგნის მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია დადგინდეს, რომ სასკოლო საზოგადოება გამოირჩევა პოზიტიური სასკოლო კლიმატით მაღალი მიმღებლობით, თანამშრომლობით. ითვალისწინებენ მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების იდეებს, მიესალმებიან მათ ჩართულობას და მონაწილეობას სკოლის განვითარებაში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთან ინტერვიუს გათვალისწინებით და სკოლის განვითარების გეგმის ნარატივიდან , ნათელია, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის პოზიტიური, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. ითვალისწინებს მათ სურვილებს და ინტერესებს დასაგეგმი ღონისძიებებისას, სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში პოზიტიური, თანამშრომლობითი და მიმღებლობითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ სასკოლო საზოგადოება გეგმავს შეიმუშავოს ახალი , მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან იკითხება, რომ სკოლა ცდილობს ისეთი გარემოს შექმნას სადაც ურთიერთობები დაფუძნებულია ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე, რაც უპირველეს ყოვლისა დიდ გავლენას ახდენს სასწავლო გარემოზე. სკოლა ცდილობს უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი როგორც საკლასო, ისე სკოლის დონეზე. მასწავლებელები გამოხატავენ ადეკვატურ პატივისცემას მოსწავლეების მიმართ, მასწავლებლები უსმენენ მოსწავლეებს და აწვდიან დროულ უკუკავშირს. კლასებში ტარდება სადამრიგებლო სააათი, სადაც აქცენტი კეთედება ბავშვთა უფლებებსა და მოვალეობებზე სკოლაში და მის გარეთ. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლის ხედვა: „სკოლაში ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ყველა მოსწავლე შეძლებს ცოდნის შეძენას.“ ხოლო ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით მასწავლებელთან ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, მასწავლებლები ერთობლივად თანამშრომლობენ, ცვლიან საკუთარ მიგნებებს, იყენებენ დიფერენცირებული მიდგომებს. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროექტებში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მასალებში ვლინდება თითოეული მოსწავლისთვის თვითრეალიზებისთვის ხელშემწყობი გარემო;შექმნილი კურიკულუმი საზ.მეცნიერებების მიმართულებით იძლევა საშუალებას გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებისას;სკოლის ბაზაზე არსებობს სხვადასხვა დოკუმენტი კათედრაზე განხორციელებული აქტივობების, რომელიც ადასტურებს რომ სასკოლო საზოგაოდების წევრებს შორის (მოსწავლე და მასწავლებელი, კათედრის წევრები, მასწავლებლები და სკოლის დირექცია) არსებობს თანამსრომლობითი გარემო. აღნიშნულ დებულებას ადასტურებს სკოლის მისია და ხედვა, რომელიც არის მოსწავლეზე ორიენტირებული; ასევე სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, რომლებიც აძლევს საშუალებას მოსწვალეებს პიროვნული ზრდისთვის; ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, მათ შესაძლებელობებს და ქმნის სივრცეს მათი პოტენციალის რეალიზებისთვის; ასევე ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის; ვლინდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მონაწილეობა სკოლის განვითარებაში, რომელიც ეფუძნება გაზიარებულ პასუხისმგებლობას; მასწავლებელებს შორის ხდება: თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა წამყვანი პრიორიტეტებია მათი საქმიანობის პროცესში. ისინი სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწვალეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე. სასკოლო ცხოვრების თანამშრომლობითი პროცესი, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით და რეფლექსიით მიმღებლობის და ღიაობის მტკიცებულებაა. სკოლა ხელს უწყობს მამოტივირებელი გარემოს შექმნას და უნივერსალური დიზაინის პრინციპის დანერგვას ნებისმიერი უნარის მქონე მოსწავლეებს. ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში სასკოლო კურიკულუმში სკოლას აქვს განხორციელებული არაფორმალური კუთხით სხვადასხვა პროექტები, რომელიც დაფუძნებულია თანამშრობლობითი და პოზიტიური გარემოს შექმნაზე. სკოლაში განხორციელდა პროექტი ,,დემოკრატიული პედაგოგიკა", რომელიც მოიცავს კლასების დონეზე სხვადასხვა პროექტებს:,,მეგობარი წესები" – I კლასი, ,,ჯადოსნური სიტყვები" – II კლასი, ,,ჩვენ ერთი გუნდი ვართ" – III კლასი ,,აქტიური მსმენელი" – IV კლასი ,,მე ვირჩევ ჯანსაღი ცხოვრების წესს" V– VI კლასი, პროექტები ხელს უწყობს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებას და საერთო სასკოლო კეთილდღეობის განმტკიცებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის 2023- 2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლის ხედვის ნაწილშია აღნიშნული მათი მისია და ხედვაა, რომ მოსწავლემ განათლება მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, ასევე იმავე დოკუმენტშია აღნიშნული, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას, ასევე როგორც სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაშია აღნიშნული სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა და დასახულია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი. სკოლაში განხორციელდა პროექტი ,,დემოკრატიული პედაგოგიკა", რომელიც მოიცავს კლასების დონეზე სხვადასხვა პროექტებს:,,მეგობარი წესები" – I კლასი, ,,ჯადოსნური სიტყვები" – II კლასი, ,,ჩვენ ერთი გუნდი ვართ" – III კლასი ,,აქტიური მსმენელი" – IV კლასი ,,მე ვირჩევ ჯანსაღი ცხოვრების წესს" V– VI კლასი, პროექტები ხელს უწყობს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებას და საერთო სასკოლო კეთილდღეობის განმტკიცებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სახელმწიფო ენა სწავლების დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. გასაუბრებისას დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ერთობლივად მუშაობენ თითოეული მოსწავლის საჭიროებებისა და ინტერესების გამოსავლენად. ხშირად ახორციელებენ სხვადასხვა პროექტს, რომლებიც ასევე უწყობს ხელს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას . **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, მათ ინტერესებზე და შესაძლებლობებზე მორგებულად. გამოყენებულია მულტიმოდალური მიდგომები. მათი მთავარი მიზანია თითოეული მოსწავლის ჩართულობის გაზრდა საგაკვეთილო პროცესში და მოტივაციის ამაღლება. შუალედური მიზნის საშუალებით გრძელვადიანი მიზნის მიღწევა. დაწყებით კლასებში მოსწავლეები უზრუნველყოფილები არიან საჭირო რესურსებით, სასწავლო კომპიუტერებით. მოსწავლეებთან ერთად გეგმავენ მიზნის მიღწევის გზებს, არგებენ მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კომპიუტერული ტექნოლოგიები– კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელთან ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. მასწავლებლები ერთობლივად თანამშრომლობენ, ცვლიან საკუთარ მიგნებებს, გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, აქვთ დიფერენცირებული მიდგომები, იყენებენ ეფექტიან სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობებში, კონფერენციებში, პროექტებში და ა შ. , სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. რაც ნიშნავს, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სსიპ ქალაქ საჩხერის შოთა რუსთაველის სახელობის # 3 საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელშიც ასახულია მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემო. ფიზიკური აღზრდის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული მათთვის საინტერესო და სასურველ თემებსა თუ სხვადასხვას სახის სპორტულ სასკოლო თუ არაფორმალური განათლების სხვადასხვა ღონისძიებებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებზეა მორგებული. ამას ადასტურებს სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ფოტო მასალა და მოსწავლებიის ჯილდოები და სერტიფიკატებიც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სკოლის თვითშეფასების ფორმაში ჩანს,რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; „სასწავლო პროცესი წარიმართება როგორც სასწავლო ოთახებში, ასევე კლას-კაბინეტებში, მასწავლებლები აქტიურად იყენებენ გარე სივრცეებს გაკვეთილების თუ პროექტების განსახორციელებლად.“ სკოლა ახორციელებს სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტებს, ატარებს ღონისძიებებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განხორციელებული პროექტების დოკუმენტები. ინტერვიუს დროს ისაუბრეს მასწავლებლებმა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეების საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებზე და სწავლის სტილზე ორიენტირებულად. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის დროს მოსწავლე არის აქტიური თავისი სწავლის პროცესში, ხოლო მასწავლებელი გეზის, მიმართულების მიმცემი. სკოლაში გამოყენებულია დიფერენცირებულ სწავლების მეთოდები. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება მოიაზრებს განმავითარებელ შეფასებასაც. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას სთავაზობენ არჩევანს თუ რა ფორმით წარადგინონ დავალება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- კომპლექსური დავალებების, გაკვეთილების სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინტერესი და შესაძლებლობები. სკოლა ზრუნავს თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ამისათვის კი იყენებს კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, ხელს უწყობს და ახალისებს თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და ქმნის ეფექტურ გარემოს მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის. განხორციელებული კონკრეტული სასწავლო პროექტები ,,დემოკრატიული პედაგოგიკა” ფარგლებში ადასტურებს ამ მოთხოვნებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სასწავლო პროცესის წარმართვისას დაწყებითი კლასის მასწავლებლები ცდილობენ პროცესი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული, რაც გამოიხატება იმაში, რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას სთავაზობენ არჩევანს თუ რა ფორმით წარადგინონ დავალება. საშინაო დავალებების მიცემის დროს მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან როგორც სავალდებულო,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

ასევე არჩევით დავალებებს. ამ მიზნით ბუნებიმეტყველებაში შემუშავებული აქვს მიმდინარე წლის კურიკულუმი. სასწავლო პროცესი წარიმართება როგორც სასწავლო ოთახებში, ასევე კლას-კაბინეტებში, მასწავლებლები აქტიურად იყენებენ გარე სივრცეებს გაკვეთილების თუ პროექტების განსახორციელებლად. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
სახელმწიფო ენა სწავლების საბაზო საფეხურზე სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს პროექტული მუშაობები ფორმალური და არაფორმალური მიმართულებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტები, კომპლექსური დავალებები. დასტურდება ერთობლივად დაგეგმილი, განხორციელებული და გაანალიზებული კომპლექსური დავალებებით, სასკოლო პროექტებით, საგნობრივი კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი (დანართი №9, 10), რომლის მიხედვითაც დასტურდება გაკვეთილზე ურთიერთდასწრება, შენიშვნები და რეკომენდაციები. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. ასევე პედაგოგებმა და ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ თანამშრომლობა, გუნდურობა, კათედრებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა-მასავლებლებთან გასაუბრებისას თვითშეფასების კითხვარიდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მაღალია თანამშრომლობითი კულტურა, გუნდური მუშაობის პრინციპი.მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას. მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების მიზნით მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ საგანთა შორის კავშირებს, ტარდება ინტეგრირებული და ურთიერთდასწრების გაკვეთილები.ხშირად იმართება კათედრებს წევრების შეხვედრები, იგეგმება და ხორციელდება სასკოლო პროექტები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
კომპიუტერული ტექნოლოგიები–კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა კათედრებს, მასწავლებლებს შორის კომუნიკაცია, თანამშრომლობა და პოზიტიური ურთიერთობა სასკოლო საზოგადოების წევრებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ფიზიკური აღზრდა და სპორტი- კოლეგების მიერ ინტერვიუსას და სკოლის თვითშეფასების ფორმაში, სკოლის სასწავლო პროცესის აღწერისას, ჩანს სკოლაში დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობისა სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან. მშობლებს, სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებულ სიახლეებს და აქტივობობებს. . მშობლებს აქვთ ინფორმაცია დაწყებით საფეხურზე ჩატარებული და დაგეგმილი სპორტულ აქტივობების შესახებ. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებას, პროექტული სწავლების გამოყენებითი და მოწყობილ ფესტივალებში შესაბამის აქტივობებში ჩართულობით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა - სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ: „სკოლის მასწავლებლები თანამშრომლობენ კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესში, ესწრებიან ერთმანეთს და აძლევენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს. მოქმედებების ასეთი თანამიმდევრულობის შემდეგ, მასწავლებლის გადაწყვეტილებები აღარ არის ერთპიროვნული, მიკერძოებული, სუბიექტური და რეალურად მოსწავლის დახმარებაზეა მიმართული, რადგან ზემოთ აღნიშნული პროცესები ხორციელდება სკოლის ბაზაზე როგორც კათედრაზე, ასევე მასწავლებლების სამუშაო ჯგუფებში.“ სასკოლო კათედრები გეგმავენ ერთობლივ ინტეგრირებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

გაკვეთილებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი მასალები და ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ურთიერთანამშრომლობის კულტურის ამაღლების მიზნით მასწავლებლები ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, გაკვეთილების დაგეგმვა ხდება ერთობლივად, მასწავლებლები კათედრებზე და კათედრებს შორის გამოცდილებებს უზიარებენ ერთმანეთს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს ზრუნვასა და მხარდაჭერაზე დაყრდნობილ თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე. ამ მიმართულებების დასამკვიდრებლად იყენებენ ჯგუფურ სამუშაოებს, კომპლექსურ დავალებებს, დისკუსიებს, ჯგუფურ პროექტებსა და პრეზენტაციებს, შემეცნებით და სპორტულ აქტივობებს. ურთიერთანამშრომლობის კულტურის ამაღლების მიზნით მასწავლებლები ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, გაკვეთილების დაგეგმვა ხდება ერთობლივად, კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებზე. მასწავლებლები კათედრებზე და კათედრებს შორის გამოცდილებებს უზიარებენ ერთმანეთს. სკოლა ჩართულია საბაზისო განათლების პროექტში, იქ გაცნობილ სიახლეებს პედაგოგები აქტიურად უზიარებენ კოლეგებს. სკოლის თანამშრომლობითი კულტურისა და კომუნიკაციის გაძლიერების მიზნით სამომავლოდ იგეგმება ინტიგრირებული გაკვეთილების ჩატარება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და გამოცდილ კომუნიკაციას, რადგან თანამშრომლური ჯგუფები და თანამშრომლური მუშაობის მოდელები დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეებში თანაგრძნობის, პატივისცემის, ტოლერანტობის, მეგობრობის, ნდობის, ემპათიის მაჩვენებლების ზრდაზე მასწავლებლები თანამშრომლობენ სხვადასხვა მიზნით,ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დაწყებითი კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვა საგნობრივ კათედრებთან მაგ. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის კოორდინირებული მუშაობაა. ამის უზრუნველყოფისათვის კი მეტად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა, გუნდურობა. ,,... როდესაც მოსწავლეს აქვს გარკვეული საგანმანათლებლო პრობლემები, ჩვენი სკოლის მასწავლებელი აქტიურად თანამშრომლოს კოლეგებთან, იკვლევს არსებული სიტუაცია და აკვირდებიან, მოსწავლეს ერთი საგნის ფარგლებში შეთავაზებული მასალის დაძლევა უჭირს მხოლოდ თუ სხვა საგნების შემთხვევაშიც იკვეთება მსგავსი პრობლემები. არის შემთხვევები როდესაც მასწავლებლების ესწრებიან პროფესიული განვითარებისთვის საჭირო სხვადასხვა ღონისძებებს: ტრენინგებს, სემინარებს თუ კონფერენციებს, შემდეგ ისინი სკოლაში კათედრაზე ან დაინტერესებულ მასწავლებელთან ატარებს პრეზენტაციას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სახელმწიფო ენა სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის ჩართულობითი რევიზია და გადამუშავება, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, კურიკულუმის დაგეგმვისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც დადებით გავლენას ახდენს სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

არსებულ პოზიტიურ კლიმატზე ყველა დონეზე (დანართი № 1, 2.). სასწავლო გარემო არის მოწესრიგებული: სკოლის დერეფნები და საკლასო ოთახები მოხატულია და გამდიდრებულია პოსტერებით, სხვადასხვა თვალსაჩინოებით, რომლებიც მოსწავლეებს უქმნის ხალისიან და საინტერესო გარემოს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში კეთილგანწყობილი და პოზიტიური გარემოა, კოლეგებსა და მოსწავლეებთან, მათ შორის მშობლებთან სისტემატიურად ხდება პოზიტიური უკუკავშირის გაცვლა, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაუყოვნებლივ რეაგირებენ სასკოლო საზოგადოების უკუკავშირზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა - ინტერვიუში ხაზგასმით აღინიშნა, რომ მასწავლებლები ცდილობენ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად ჩართონ მოსწავლეები, რათა მათ შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება. მასწავლებლები პოზიტიური, ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად ასევე იყენებენ ისეთ მამოტივირებელ ფაქტორებს, როგორიცაა თამაშით სწავლება და ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში. დაწყებითი კლასის მოსწავლეებს ამ პროცესებში ხელს უწყობს მოწესრიგებული და ორგანიზებული სასწავლო გარემო. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კომპიუტერულიტექნოლოგიები– კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს იკვეთება რომ სკოლის მიერ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ასევე თანამშრომლობითი და პროექტული სწავლება და მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები იძლევა საშუალებას ვთქვათ რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- როგორც ინტერვიუდან იკვეთება და სკოლის თვითგანვითარების გეგმაც მოწმობს, სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე : იგეგმება მოსწავლეებისათვის სასურველი და საჭირო აქტივობები, სადაც გათვალისწინებულია მათი ინტერესები და სკოლის საჭიროება, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია შემდგომში სკოლაში პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად. ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთან გასაუბრებიდან აღინიშნა, რომ სკოლაში მოსწავლეებისათვის პოზიტიური გარემოს შესაქმნელად, ხშირად ტარდება სპორტული საკლასო და სასკოლო ღონისძიებები., მოსწავლეებმა წინასწარ იციან განსახორციელებელი ფესტივალების დრო და შინაარსი, თემები შერჩეულია მათთან შეთანხმებით. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - მასწავლებლებთან გასაუბრების დროს და სკოლის თვითშეფასების დოკუმენტზე დაყრდნობით მასწავლებლები პოზიტიური გარემოს შესაქმნელად იყენებენ ისეთ მამოტივირებელ ფაქტორებს, როგორიცაა თამაშით სწავლება და ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში. დაწყებითი კლასის მოსწავლეებს ამ პროცესებში ხელს უწყობს მოწესრიგებული და ორგანიზებული სასწავლო გარემო. საკლასო ოთახები და სკოლის დერეფნები გამდიდრებულია პოსტერებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით და სხვადასხვა თვალსაჩინოებებით. მოსწავლის და მასწავლებლის ყველა მიღწევა არის აღიარებული და გაზიარებული წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოსწავლეები ჩართული არიან სასწავლო პროექტებში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- პოზიტიური კლიმატის უზრუნველსაყოფად ფუნქციები და მოვალეობები გადანაწილებულია თანაბრად სასკოლო საზოგადოებაში, კლასის ქცევის წესების შემუშავებისას მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი. თითოეული მოსწავლის ინიციატივა აღიარებული, მიღებული და წახალისებულია. იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება და აქტივობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მიკუთვნებულობის გრძნობისა და თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად. სკოლის შიდა ინტერიერი მაქსიმალურად უზრუნველყოფს სკოლის უსაფრთხოებას, სკოლაში შემუშავებულია უსაფრთხოების დებულება და ევაკუაციის გეგმა. დაწყებით კლასის მასწავლებლები ცდილობენ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად ჩართონ მოსწავლეები, რათა მათ შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება. მასწავლებლები პოზიტიური გარემოს შესაქმნელად ასევე იყენებენ ისეთ მამოტივირებელ ფაქტორებს, როგორიცაა თამაშით სწავლება და ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში. დაწყებითი კლასის მოსწავლეებს ამ პროცესებში ხელს უწყობს მოწესრიგებული და ორგანიზებული სასწავლო გარემო. საკლასო ოთახები და სკოლის დერეფნები გამდიდრებულია პოსტერებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით და სხვადასხვა თვალსაჩინოებებით. მოსწავლის და მასწავლებლის ყველა მიღწევა არის აღიარებული და გაზიარებული. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პროექტი ,,დემოკრატიული პედაგოგიკა"
- გაკვეთილზე გაცემული უკუკავშირის ფორმები
- სკოლის სამოქმედო გეგმა
- შინაგანაწესი
- სკოლის თვითშეფასების ფორმა,
- სკოლის განვითარების გეგმა
- დაწყებითი საფეხურის კურიკულ;უმები.
- მემორანდუმი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
სახელმწიფო ენა- სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. სადაც ასახულია როგორ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება. №7 დანართში ვკითხულობთ: „პედაგოგი კლასის ყველა მოსწავლეს ეხმარება შუალედური სასწავლო მიზნების დაძლევაში, პარალელურად ინიშნავს აქტივობებსა და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის კონსტრუირების პროცესში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განმავითარებელ შეფასებას, რომელიც გულისხმობს: ა) მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირებას, ბ) კომენტარს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შემდგომ წინსვლას გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, გ) მოსწავლის თვითშეფასებას, დ) მასწავლებლის რეფლექსია. გაკეთებული ჩანაწერების საფუძველზე მასწავლებელი ამზადებს თემატურ მატრიცას, რომელსაც წარუდგენს კათედრას (შესაბამისად დაწყებითი საფეხური -დაწყებითების კათედრას) და განიხილავს კოლეგებთან ერთად. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა- თვითშეფასების კითხვარიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში კურიკულუმების მონიტორინგი და შეფასება ხდება საგნობრივ კათედრებზე ანალიზის საფუძველზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხო ენა- სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია როგორ განახორციელებს სკოლა მონიტორინგსა და ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვსშეფასებას. ისეთი დოკუმენტები როგორიცაა: თვითშეფასების კითხვარი, გაკვეთილის შეფასების რუბრიკა, კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკები და სხვა. ეს რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მასწავლებლისთვის და ეხმარება მასწავლებლებს დაადგინონ, როგორ წარიმართა კურიკულუმის დანერგვის პროცესი და სამომავლოდ რა მხარეებია გასამუჯობესებელი. სამომავლოდ სკოლა გეგმავს შეიქმნას მოქნილი ჯგუფი, რომელიც ორიენტირებული იქნება კურიკულუმით გასაზღვრული საქმიანობების მონიტორინგსა და შეფასებაზე. ჯგუფის წევრები იქნებიან დირექციის წარმომომადგენლები და მასწავლებლები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
კომპიუტერული ტექნოლოგიები–სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც მოცემულია სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შეფასების ვალდებულება და ამ პროცესის განხორციელება მიმდინარეობს მეთოდოლოგიის შესაბამისად: ყურადღებას ამახვილებენ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). (1.3.4) აქვე დასძენენ რომ მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია და უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

წევრებისა და დირექციის წარმომადგენლებთან თანამშრომლობასთან. ამრიგად გადმოგზავნილი სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიიდან გამოიკვეთა რომ მოახდენენ კურიკულუმების და გახორციელებული კომპლექსურების რევიზიას და ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი, ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორციელებული აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას (კოლეგას ჰქონდა წარმოდგენილი შესაბამისად, განხორციელებული დავალების ანალიზი), რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასებისთვის სკოლამ კურიკულუმის დანერგვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში განსაზღვრა, რომ ყოველწლიურად მოახდინოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მოსწავლეთა სწავლა-სწავლების ,მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებებისა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა-ანალიზი. ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ პედაგოგები სამომავლოდ განახორციელებენ შექმნილი კურიკულუმების მონიტორინგს გაწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, ასახავენ შეფასების დოკუმენტში და გააანალიზებენ. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ: „სამომავლოდ ვგეგმავთ შევქმნათ მოქნილი ჯგუფი, რომელიც ორიენტირებული იქნება კურიკულუმით გასაზღვრული საქმიანობების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდეს უფრო ეფექტურად. ჯგუფის წევრები იქნებიან დირექციის წარმომომადგენლები და მასწავლებლები. მონიტორინგი მოხდება მინიმუმ სემესტრში ორჯერ და ყოველი სემესტრის ბოლოს“ შესაბამისად , მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასკოლო კურიკულუმების დანერგვის მონიტორინგისათვის სკოლის დირექცია აკვირდება სასწავლო პროცესს, თუ რამდენად სწორად და მიზანმიმიმართულად ხორციელდება დაგეგმილი კომპლექსური დავალებები. ამ მიზნით გამოყენებულია წინასწარ შემუშავებული დაკვირვების ფორმა. შეფასების ინდიკატორები შეესაბამება ესგ-ს სტანდარტს და არის გამჭვირვალე. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის წარმოებისთვის მხარდაჭერის მიზნით სასწავლო პროცესზე დაკვირვება ხდება სისტემატიურად. დაკვირვება ხდება ფოკუსირებულად კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებზე. სკოლაში ხდება მონიტორინგი, როგორც სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილი, შეფასება წარმოადგენს, როგორც სასწავლო პროცესის ეფექტიანობის მტკიცებულებას.სკოლის ღრუბლოვან სივრცეში, საერთო საქაღალდეში განთავსებულია ისეთი დოკუმენტები როგორიცაა: თვითშეფასების კითხვარი, გაკვეთილის შეფასების რუბრიკა, კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკები და სხვა. ეს რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მასწავლებლისთვის და ეხმარება მასწავლებლებს დაადგინონ, როგორ წარიმართა კურიკულუმის დანერგვის პროცესი და სამომავლოდ რა მხარეებია გასამუჯობესებელი. სამომავლოდ იგეგმება მოქნილი ჯგუფის შექმნა, რომელიც ორიენტირებული იქნება კურიკულუმით გასაზღვრული საქმიანობების მონიტორინგის და შეფასების განხორციელების. ჯგუფის წევრები იქნებიან დირექციის წარმომომადგენლები და მასწავლებლები. მონიტორინგი მოხდება მინიმუმ სემესტრში ორჯერ და ყოველი სემესტრის ბოლოს, მონაცემები შეგროვდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვით. მოგროვილი მონაცემების საფუძველზე დაიგეგმება სამომავლო ინტერვენციები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- დირექტორისა, ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ მიწოდებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

იქნა სხვადასხვა ტიპის ინსტრუმენტები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და წინსვლისთვის. ღრუბლოვან სივრცეში, საერთო საქაღალდე განთავსდა ისეთი დოკუმენტები როგორიცაა: თვითშეფასების კითხვარი, გაკვეთილის შეფასების რუბრიკა, კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკები და სხვა. ეს რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მასწავლებლისთვის და ეხმარება მასწავლებლებს დაადგინონ, როგორ წარიმართა კურიკულუმის დანერგვის პროცესი და სამომავლოდ რა მხარეებია გასამუჯობესებელი. სამომავლოდ გეგმავენ შექმნან მოქნილი ჯგუფი, რომელიც ორიენტირებული იქნება კურიკულუმით გასაზღვრული საქმიანობების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდეს უფრო ეფექტურად.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ინსტრუმენტებით, კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად კი შეძლებენ ამ დოკუმენტის შექმნასაც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სახელმწიფო ენა- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება უნდა განხორციელდეს სასკოლო საზოგადოების ყველა მხარის ფართო ჩართულობით (დანართი №7). კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება შემდეგი მიმართულებებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით;
- კათედრების მუშაობა
- დირექციის/ადმინისტრაციის მუშაობა სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მიმართულებით;
- მშობელთა / მოსწავლეთა ჩართულობა;

შესაბამისად, მეთოდოლოგიის დოკუმენტში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე ხდება საჭიროებების გამოკვეთა, რაც ორიენტირებულია მასწავლებელთა მხარდაჭერაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისათვის, ასევე აღინიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი,რომელიც ანხორციელებს მასწავლებლის შიდა შეფასებას, კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან. ჯგუფის მოვალეობაშ შედის ასევე სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. ხარისხის განვითარების ჯგუფი ანხორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას, შეფასებას, გასცემს უკუკავშირს და რეკომენდაციებს. ჯგუფი მასწავლებლებთან ერთად განიხილავს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციეებულ აქტივობებს და აძლვეს მათ განმავითარებელ უკუკავშირს. მასწავლებლის მიერ წლის დასაწყისში შევსებული თვითშეფასების კითხვარის გაანალიზების შემდეგ ეხმარება მას შესაბამისი აქტივობების დაგაგმვაში. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის კათედრებიც. კათედრის წარმომადგენლები ესწრებიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კომპიუტერულიტექნოლოგიები– გადმოგზავნილი სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიიდან და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მიზნით მოახდენენ კურიკულუმების და გახორციელებული კომპლექსურების რევიზიას და ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით,ისე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის სპორტის კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა და სკოლის თვითშეფასების ფორმიდანაც ჩანს, რომ სკოლაში ხდება ფიზიკური აღზრდის გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა.(პროცესი ასახულია კათედრის დოკუმენტაციაში). იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. კლასების მიხედვით. რაც საბოლოოდ ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას. ამას ისინი განახორციელენ სადიაგნისტიკო შეფასების ინსტრუმეტის შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთი არჩეული ინსტრუმენტის გამოყენებით. შეარჩიეს სადიაგნოსტიკო შეფასების ინსრტუმენტი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. კონკრეტულად გაწერილია ,როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით,ისევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლა თვითშეფასების დროს აღნიშნავს: სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი,რომელიც ანხორციელებს მასწავლებლის შიდა შეფასებას, კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან.. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის კათედრებიც. კათედრის წარმომადგენლები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. ეს ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში. ხორციელდება დირექციის მიერ გაკვეთილზე დასწრება და უკუკავშირი, სამუშაო შეხვედრები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და დახმარებას.
სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი,რომელიც ანხორციელებს მასწავლებლის შიდა შეფასებას, კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან. ჯგუფის მოვალეობაშ შედის ასევე სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. ხარისხის განვითარების ჯგუფი ანხორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას, შეფასებას, გასცემს უკუკავშირს და რეკომენდაციებს. ჯგუფი მასწავლებლებთან ერთად განიხილავს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციეებულ აქტივობებს და აძლვეს მათ განმავითარებელ უკუკავშირს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - როგორც თვითშეფასების კითხავრიდან ჩანს , ხარისხის განვითარების ჯგუფი ახორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას, შეფასებას, გასცემს უკუკავშირს და რეკომენდაციებს. ჯგუფი მასწავლებლებთან ერთად განიხილავს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციეებულ აქტივობებს და აძლვეს მათ განმავითარებელ უკუკავშირს. მასწავლებლის მიერ წლის დასაწყისში შევსებული თვითშეფასების კითხვარის გაანალიზების შემდეგ ეხმარება მას შესაბამისი აქტივობების დაგაგმვაში. (მასწ. სამოქმედო ინდივიდაულური გეგმა) აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის კათედრებიც. აღნიშნულიდან გამომდინარე ვთვლი, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

სახელმწიფო ენა- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ციკლურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება. კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
- კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე;
- სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე;

კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა- თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავენ, რომ მონიტორინგისა და შეფასების მიზანია პრობლემების გადაჭრის გზებისა და საშუალებების განსაზღვრა და რეკომენდაციების მიცემა.. მონიტორინგის შედეგებში ნათლად აისახება ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება სწავლა-სწავლებაში არსებული ხელისშემშლელი ფაქტორები . ყოველივე ამის გათვალისწინებით გეგმავენ შემდგომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაბიჯებს, წინსვლისა და განითარებისათვის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- კურიკულუმის შემუშევაბის მეთოლოგიაში სკოლას გაწერილი აქვს სტრატეგიები რომლითაც გეგმავს სკოლა მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება და სწორი რეაგირება.გაკვეთილებზე დასწრება, ასევე ფოკუს-ჯგუფების ჩატარება, როგორც მასწავლებლებთან, ასევე მოსწავლეებთან.მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს პოზიტიური უკუკავშირი, რომლის გაზიარებისას ერთობლივად დაიგეგმება პრობლემების გადაჭრის გზები. სამომავლოდ სკოლა გეგმავს ეს პროცესი იყოს უფრო ორგანიზებული, შეიქმნას მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმების ეფექტიან მონიტორინგსა და შეფასება, რათა სკოლამ უზრუნველყოს რევიზირებული კურიკულუმების და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი . **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები – გადმოგზავნილი სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კურიკულუმების და განხორციელებული კომპლექსურების რევიზიის დროს გამოკვეთენ გამოვლენილ პრობლემებს და თანამშრომლობით გადწყვეტენ მათი გადაჭრის გზებს, რასაც სამომავლოდ ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში გაწერილია, რომ მონიტორინგი და შეფასება ტარდება შეთანხმებული ფორმატით, წარმოდგენილი ვადებით და შეფასების ინსტრუმენტებით. შეფასების და მონიტორინგის სამი მიმართულებიდან ზუსტად ორი მიმართულება: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება და სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, მიმართულია ზუსტად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები. სამომავლოდ უმჯობესი იქნება სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები. ამას ისინი განახორციელენ სადიაგნისტიკო შეფასების ინსტრუმეტის შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთი არჩეული ინსტრუმენტის გამოყენებით.

რჩევა - სამომავლოდ უმჯობესი იქნება სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები. ამაში მათ დაეხმარებათ შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტიც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში ჩანს თუ როგორ განსაზღვრავს მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. კერძოდ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პრობლემების იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის გზების მოსაძიებლად განხორციელებულმა აქტივობებმა პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში?(მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი?(შეფასება). თვითშეფასების დოკუმენტში სკოლა წერს:,,სამომავლოდ გვეგმავთ ეს პროცესი იყოს უფრო ორგანიზებული, შეიქმნას მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმების ეფექტიან მონიტორინგსა და შეფასება, რათა სამომავლოდ გვქონდეს რევიზირებული კურიკულუმების და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. “ სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლო ხედვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები- კურიკულუმების შეფასების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ხელს უწყობს სკოლაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას, მასწავლებლების საჭიროებების გამოვლენასა და მხარდაჭერას. მათი გათვალისწინებით შეიძლება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. მაგალითად კურიკულუმში ცვლილებების შეტანა, კომპლექსური დავალებების მორგება კლასის ან კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებზე.

სასწავლო პროცესში პრობლემის გადაჭრის და გაუმჯობესების მიზნით ხდება,როგორც გაკვეთილებზე დასწრება, ასევე ფოკუს-ჯგუფების ჩატარება, როგორც მასწავლებლებთან, ასევე მოსწავლეებთან. დირექციის მხრიდან პერიოდულად იმართება შეხვერები კლასში შემსვლელ მასწავლებლებთან, სადაც განიხილება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული პრობლემები და პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ ადმინისტრაცია, კათედრის ხელმძღვანელები მიმართავენ სხვადასხა ხერხს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. კერძოდ მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს ეძლევათ პოზიტიური უკუკავშირი, რომლის გაზიარებისას ერთობლივად იგეგმება პრობლემების გადაჭრის გზები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - დირექციის მხრიდან პერიოდულად იმართება შეხვერები კლასში შემსვლელ მასწავლებლებთან, სადაც განიხილება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული პრობლემები და პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ ადმინისტრაცია, კათედრის ხელმძღვანელები მიმართავენ სხვადასვხა ხერხს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სამომავლოდ სკოლას გადაწყვეტილი აქვს შექმნას ისეთი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმების ეფექტიან მონიტორინგსა და შეფასება, რათა უკეთესად შექმნან რევიზირებული კურიკულუმები და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროეცესი. აქედან გამომდინარე სკოლას კარგად აქვს გააზრებული, რომ მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023
- შეფასების რუბრიკა, პროექტის სამი კატეგორია, პროექტი
- პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის ნიმუში და ანგარიში
- მასწავლებელზე გაცემული უკუკავშირის ფორმები
- სკოლის თვითშეფასების ფორმა.
- დაწყებითი საფეხურის კურიკულ;უმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სახელმწიფო ენა- სასწავლო პროცესის შეფასება იგეგმება მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით; სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა გეგმავს ინფორმაციის მოპოვებას სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით (კათედრები, დირექცია, მოსწავლეთა შედეგები, მშობლები, თანატოლები). სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე, სკოლა იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს: მოსწავლეზე დაკვირვება, შემაჯამებელი დავალებების აანალიზი, ერთმანეთთან გაკვეთილზე დასწრება და უკუკავშირი კოლეგებისაგან, დირექციისაგან, მშობლებისაგან. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები აანალიზებენ კომპლექსური დავალების შედეგებს, შემაჯამებელ დავალებებს, მოსწავლეთა ნაშრომებს, დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- გასაუბრებისას აღნიშნეს პედაგოგებმა და თვითშეფასების კითხვარებიდანაც იკვეთება, რომ იყენებენ ჰოლისტური შეფასების მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში, სადაც მოსწავლეების ემოციურ-სოციალურ-კოგნიტურ უნარების შეფასება წარმოჩინდება საგანთა და თემებს შორის კავშირებით, პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მეტწილად მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადგინდა რომ უცხო ენის მასწავლებლები შეფასების პროცესში იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს, როგორიცაა მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება, მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მშობლების უკუკავშირი, დამრიგებლის უკუკავშირი, კლასში შემსვლელი სხვა საგნების მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვა. აღნიშნული წყაროების გამოყენებით შეფასების პროცესი არის ორიენტირებული მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები – სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება მეტწილად ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და ორიენტირებული არიან მოსწავლის განვითარებაზე: სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, კომპლექსური დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვებას, შემაჯამებელი დავალების ანალიზს, მოსწავლეთა ნაშრომებს, დიაგნოსტიკური ტესტირებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- დაწყებითი საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდის საგნის განმავითარებელი შეფასებისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

ითვალისწინებენ , საგნის საფეხურის მისაღწევ შედეგებსა და მკვიდრ წარმოდგენებს, მოსწავლეთა ფიზიკურ და პიროვნულ მახასიათებლებს, დამრიგებლებისგან მიღებულ ინფორმაციას. ამ მიდგომის შესახებ საუბარი იყო თვითშეფასების ფორმაშიც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. მომავალი საწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. სასკოლო კურიკულუმი ისეა გაწერილი თითოეული საგნის მიხედვით, რომ იძლევა საშუალებას მასწავლებელი ინტეგრირებულად დააკვირდეს პროცესებს და გაითვალიწინოს მრავალმხრივი მონაცემები და მრავალფეროვანი მეთოდებით მიიღოს სრული სურათი შეფასებასთან დაკავშირებთ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს: სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის მასწავლებლის დაკვირვებას, ყოველდღიური სასწავლო პროცესის შეფასების დინამიკას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, კათედრის ხელმძღვანელის, დამრიგებლის, დირექციის უკუკავშირს. შეფასების შედეგად უნდა გაირკვეს რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ: „დაწყებითი კლასის მასწავლებლები შეფასების პროცესში იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს, როგორიცაა მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება, მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მშობლების უკუკავშირი, დამრიგებლის უკუკავშირი, კლასში შემსვლელი სხვა საგნების მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვა“ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და სწორი ხედვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის მასწავლებლის დაკვირვებას, ყოველდღიური სასწავლო პროცესის შეფასების დინამიკას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, კათედრის ხელმძღვანელის, დამრიგებლის, დირექციის უკუკავშირს. შეფასების სისტემის ჰოლისტურობა პირდაპირ კავშირშია სწავლა-სწავლების მიზნებთან. ეს კარგად ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში და სხვადასხვა ტიპის პროექტებში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სახელმწიფო ენა- სკოლას აქვს გამოცდილება მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებისა. სკოლა შეფასებისთვის იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა: დაკვირვება, კითხვარები, მონაცემთა ანალიზი (შემაჯამებელი დავალების ანალიზი), ინტერვიურება და ა.შ. მონიტორინგი და შეფასება, რომლის განხორციელებაც დაგეგმილია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების და გადაჭრის გზების დასახვისათვის; პედაგოგებთან დიალოგისას გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები აკვირდებიან, რამდენად ეფექტურია მათი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, ითვალისწინებენ მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას, თემების შინაარსს, მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით: მოსწავლის დასწრების ფაქტორი, თემის ათვისების მაჩვენებელი. მოსწავლეზე დაკვირვება ხდება სხვადასხვა კუთხით, შეფასების მიზნიდან განისაზღვრება ის კონტექსტები და ფოკუსები, რაც სჭირდებათ მოცემულ კონტექსტში. წავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მასწავლებლის მიერ იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლეებთან, ხდება გაცდენილი გაკვეთილების მასალის გაანალიზება, დაბალი აკადემიური მზაობის მოსწავლეებთან სასწავლო პროცესში გამოვლენილი სიძნელეების დაძლევა. **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

სტანდარტის მოთხოვნებს.

უცხო ენა- მასწავლებლებთან გასაუბრებისას კიდევ უფრო გამოიკვეთა, რომ შეფასებისას ითალისწინებენ რამდენიმე კონტექსტს. მოსწავლეებს აფასებენ იმის მიხედვით : საკლასო გარემოში მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ როგორ ახორციელებს სხვადასხვა საქმიანობებს, თანამშრომლობს თუ არა თანაკლასელებთან წყვილში და ჯგუფებში, როგორ იყენებს საკლასო სივრცეში არსებულ რესურსებს სასწავლო მიზნებისათვის. ასევე საშინაო დავალებების წარდგენისას ჩანს თუ არა ინდივიდუალიზმი, რამდენად ავლენს ინიციატივას არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას. მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას უზიარებენ მშობლებს . მოსწავლეები კი აქტივობის ბოლოს ან გაკვეთილის ბოლოს მასწავლებლებისგან ისმენენ ზეპირ ან იღებენ წერილობით განმავითარებელ შეფასებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კ ომპიუტერული ტექნოლოგიები– სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით - განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით, უკუკავშირებით, მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგებით შეიძლება ვთქვათ, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი სხვადასხვა კონტექსტის გამოყენებით მოსწავლის შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინებით და იძლევა მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- მასწავლებლებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა და შემუშავებული რუბრუკებიც ადასტურებს, რომ შეფასება ხორციელდება მრავამხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, ხდება თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინება. აქცენტი კეთდება აქტივობებში ჩართულობასა და სამიზნე ცნებების განვითარებაზე ... სკოლამ გამოთქვა მზაობა ამ პროცესის შემდგომში დახვეწისათვისაც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - დაწყებით საფეხურზე მუსიკის, სახვითი და გამოყენებით ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმებში გაწერილია კომპლექსური დავალების იდეა. კომპლექსური დავალებებით სწავლება კი გულისხმობს მოსწავლეების მზაობის , უნარების, შესაძლებლობების გათვალისწინებას, სკოლა შეფასების მიზნიდან გამომდინარე ახალი სასწავლო წლიდან სრულყოფილი ინფორმაციისთვის დააკვირდება და შეისწავლის მოსწავლის მზაობას სხვადასხვა კონტექსტებით და ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; სკოლა თვითშეფასებაში წერს:"შეფასების პროცესში ძირითადად ვითვალისწინებთ რამდენიმე კონტექსტს. დაწყებითი კლასის მოსწავლეებს ვაფასებთ იმის მიხედვით, საკლასო გარემოში მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ როგორ ახორციელებს სხვადასხვა საქმიანობებს, თანამშრომლობს თუ არა თანაკლასელებთან წყვილში და ჯგუფებში, როგორ იყენებს საკლასო სივრცეში არსებულ რესურსებს სასწავლო მიზნებისათვის. ასევე საშინაო დავალებების წარდგენისას ჩანს თუ არა ინდივიდუალიზმი, რამდენად ავლენს ინიციატივას არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას." სკოლას აქვს გამოცდილება და სწორი ხედვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლაში იგეგმება სამომავლოდ მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტით შესწავლა და შემდგომი შეფასება მოსწავლის პირადი და ფსიქო-ემოციური მდგომარეობის უკეთ შესწავლის მიზნით. მასწავლებლები მოსწავლეებზე დაკვირვებას განახორციელებენ სხვადასხვა სიტუაციაში, იქნება ეს ფორმალური თუ არაფორმალური გარემო: სასკოლო ექსკურსიები, ლაშქრობა, შემეცნებითი გასვლები, სხვადასხვა წრეებში ჩართულობა და სხვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - დაწყებითი კლასის მოსწავლეებს აფასებენ იმის მიხედვით, საკლასო გარემოში მოსწავლეები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

როგორ ახორციელებენ სხვადასხვა საქმიანობებს, თანამშრომლობს თუ არა თანაკლასელებთან წყვილში და ჯგუფებში, როგორ იყენებს საკლასო სივრცეში არსებულ რესურსებს სასწავლო მიზნებისათვის. ასევე საშინაო დავალებების წარდგენისას ჩანს თუ არა ინდივიდუალიზმი, რამდენად ავლენს ინიციატივას არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას. მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას მშობლებს პერიოდულად ვუზიარებთ პირისპირის შეხვედრისას ან ტელეფონით კომუნიკაციის გზით, მოსწავლეები კი აქტივობის ბოლოს ან გაკვეთილის ბოლოს მასწავლებლებისგან ისმენენ ზეპირ ან იღებენ წერილობით შეფასებას. ეს ნარატივი არის კითხვარიდან და სწორად მიუთითებს ინდიკატორზე, თუმცა დასადასტურებლად შესაძლებელია ქონდეთ დამრიგებლის ანგარიში, ან წლიური განმავითარებელი შეფსება, ან მშობელთა კრების ოქმი, სადაც შეფასების სისტემის გაცნობაზეა საუბარი და აქვთ კიდეც დოკუმენტებში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სახელმწიფო ენა- შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიაში სკოლას ნათლად აქვს წარმოდგენილი, თუ რა მონაცემების მოგროვება სურს სასკოლო საზოგადოებიდან თუ სკოლის სტრუქტურული ერთეულებიდან კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის ერთიანი სურათის დასანახად. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სკოლის ადმინისტრაციას და კათედრებს დაგეგმილი აქვთ ინფორმაციის მოპოვება შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტის გამოყენების გზით. ახალი სასწავლო წლისათვის სკოლამ შეარჩია სადიაგნოსტიკო შეფასების I ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენას და ამ მხრივ მონაცემთა შეგროვებას. ამ მხრივ სკოლას აქვს გამოცდილებაც და მზაობას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- ზემოთ უკვე აღნიშნული და განხილულია ის მეთოდები, რომელსაც შეფასების მიზნით აგროვებენ და იყენებენ პედაგოგები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდები: სკოლის მიერ ინიცირებული სადიაგნოსტიკო ტესტები სხვადასხვა კომპეტენციების მიხედვით, როგორც ინგლისურის, ასევე რუსული ენის მიმართულებით, სასწავლო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმები, მოსწავლეთა გამოკითხვა. გასაუბრებისას უცხო ენის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ 2023-2024 სასწ. წლისათვის სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტად სკოლამ შეარჩია შეთავაზებულიდან ინსტრუმენტი N1. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები– ინტერვიუირებისას წარმოჩინდა, რომ სასწავლო პროცესის შეფასება მეტწილად ხორციელდება მრავალფეროვან მეთოდებსა და მონაცემებზე დაყრდნობით რაც ასევე დასტურდება დოკუმენტაციით, საიდანაც ჩან რომ შეფასებისას იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალ მეთოდებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლას აქვს გამოცდილება (თვითშეფასების ფორმიდან გამომდინარე). მოსწავლეთა ცოდნის დონის განსზღვრის მიზნით შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. ჩვენს საგანშიც, დაწყებით საფეხურზე, არის ამისი მცდელობა და ინტერესი აღნიშნულთან დაკავშირებით (გასაუბრების საფუზველზე). შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდაში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. სკოლის დოკუმენტაციაში, კერძოდ თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ სკოლის მიერ ინიცირებული სადიაგნოსტიკო ტესტები სხვადასხვა კომპეტენციების მიხედვით, სასწავლო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმები, მოსწავლეთა გამოკითხვა ეხმარება მოაგროვონ მონაცემები როგორც თითოეულ მოსწავლეზე, ასევე საერთო კლასის ჭრილში.2023-24 სასწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი 1, რომლის მიზაანია: მოსწავლეთა შედეგების საფუძველზე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების შეფასება.შესაბამისად, მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში სათანადოდ იქნება განხორციელებული სადიაგნოსტიკო შეფასება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების რამდენიმე მეთოდი: ზეპირი გამოკითხვები მშობელთა კრებებზე ,მოსწავლეთა გამოკითხვები კლასის საათზე და სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა**. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სახელმწიფო ენა- სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო... რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაზე, ახდენს სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ნებისმიერი მოვლენის შეფასებისას ცდილობენ გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის შედეგზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- თვითშეფასების კითხვარიდან და გასაუბრების ანალიზიდან იკვეთება, რომ დაწყებით საფეხურზე პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის მიმართ მულტიფაქტორულ მიდგომებს, რომელიც დიდ გავლენას ახდენს შედეგზე, მოსწავლის თვითშეფასებაზე და ავტონომიურობაზე. მიკროსისტემიდან მეზოსისტემაში გადასული მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ მამოტივირებელ შეფასებას, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის წარმატებასთან დაკავშირებით, ჯილდოებს, სიგელებს და სკოლის გვერდს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- სასკოლო-სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, მშობელთა ჩართულობა და მხარდაჭერა სასწავლო პროცესში, მოტივაცია, მოსწავლის სტატუსი (სსსმ), მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები– გადმოგზავნილი დოკუმენტების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ რომ მოსწავლის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას ასევე გათვალისწინებული და გამოყენებულია დიფერენცირებული მიდგომის მეთოდი. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ნარატივიდან , იკვეთება, თუ როგორ ხდება შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება.. სასურველია მომავალშიც, ჩვენს საგანშიც მოხდეს შეფასებისას ყველა ფაქტორების გათვალისწინება, რომელსაც პედაგოგები გამოიყენებენ ფიზიკური აღზრდაში მოსწავლეთა საერთო განვითარების დონის და შედეგის შეფასებისთვის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სასკოლო-სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას მასწავლებელი ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებსა და მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და ასევე სკოლის თვითშეფასების ფორმის მიხედვით გამოიკვეთა ,რომ შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს: მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, მშობელთა ჩართულობა და მხარდაჭერა სასწავლო პროცესში, მოტივაცია, მოსწავლის სტატუსი (სსსმ), მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლო ხედვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით, მაგალითად მოსწავლის შეფასებისას-საგნის კონკრეტულ შინაარსის, აზროვნების და დასაბუთების უნარ-ჩვევების, კომუნიკაციის(გადმოცემის) ზოგად უნარ ჩვევების მიხედვით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის მიერ ინიცირებული სადიაგნოსტიკო ტესტები სხვადასხვა კომპეტენციების მიხედვით, როგორც ქართულის, ასევე მათემატიკის მიმართულებით, სასწავლო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმები, მოსწავლეთა გამოკითხვა. აღნიშნული მეთოდები გვეხმარება მოვაგროვოთ მონაცემები როგორც თითოეულ მოსწავლეზე, ასევე საერთო კლასის ჭრილში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 1 - თვითშეფასების ფორმა
- სამაგისტრო ნაშრომი-3-1
- სკოლის თვითშეფასების ფორმა.
- დაწყებითი საფეხურის კურიკულ;უმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

v შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სახელმწიფო ენა- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის განახლება ხდება წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კურიკულუმის რევიზიისას გათვალისწინებული იქნება წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი, თუ რამდენად მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად პროცესები და რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. ანალიზის საფუძველზე სკოლამ გეგმავს შექმნას რეკომენდაციების პაკეტი მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და რეკომენდაციების პაკეტი სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის გასაახლებლად. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- გასაუბრებისას აღნიშნეს პედაგოგებმა, რომ ითვალისწინებენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერისთვის კურიკულუმის მონიტორინგსა და ანალიზს, კათედრის წევრებს შრის გაცვლილი ინფორმაციის საფუძველზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- საგნობრივი კურიკულუმები, რომელიც შეიმუშავა სკოლამ ,,ზოგადი განათლების რეფორმის,, ფარგლებში აქტიურად ინერგება და როგორც წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, ასევე მასწავლებლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო რომ სკოლას აქვს გამოცდილება, რომლის საფუძველზეც იგეგმება კურიკულუმის კიდევ უფრო განვითარება და დახვეწა. მასწავლებლების აკვირდებიან პროცესს და აკეთებენ ჩანიშვნებს. საგნობრივი ექსპერტები გაკვეთილების ჩატარებამდე ხვდებიან მასწავლებელბს, შემდეგ ესწრებიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------
----

გაკვეთილზე და ტარდება გაკვეთილის შემდგომი შეხვედრა. ეს პროცესი მოიცავს მხარდაჭერას, რეკომენდაციების გაცემას და პროცესისი სრულყოფილებისკენ მიმართულ განმავითარებელი შეფასების გაცემას. ასევე დირექციას აკვირდება პროცეს და აკეთებს ჩანაწერებს. სასწავლო წლის ბოლოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მოხდება რეკომენდეციების პაკეტის შემუშავებაში სასკოლო სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები– ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები თნამაშრომლობენ ერთმანეთან, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას დაგგემილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში“(1.2)წერია: „ კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე“. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელთან ინტერვიუირებისას წამოჩნდა, რომ საგნობრივი კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან კურიკულუმის შემუშავების პროცესში. სავარაუდოდ, მომავალშიც, კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების ეტაპზე, ითანამშრომლებენ, გააანალიზებენ ინფორმაციას განხორციელებული აქტივობების შესახებ, გაცვლიან მონაცემებს და მათი შეჯერების საფუძველზე შექმნიან მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შესამუშავებლად. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- ინტერვიუს დროს დაფიქსირდა და თვითშეფასების ფორმაშიცაა ასახული, რომ სკოლას აქვს გარკვეული მკაფიო ხედვა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ, სადაც აღწერილი იქნება, თუ როგორ უნდა მოხდეს კურიკულუმის რევიზია. სკოლა გეგმავს (სკოლის განვითარების გეგმა ადასტურებს), ქოუჩინგის შედეგად მიღებული და არსებული გამოცდილების საფუძველზე, კურიკულუმის განხორციელების პროცესზე დაკვირვებას, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლასა და მონაცემების მოგროვებას. და ბოლოს არსებულ მონაცემების- გაკვეთილებზე დაკვირვების, მასწავლებლების რეფლექსიების, განხორციელებული შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგების (მოსწავლეთა მიღწევებს), გაანალიზების შედეგად, სკოლა მზადაა შეიმუშაონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის განვითარება ციკლური პროცესია და მოიაზრებს მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და მათზე რეფლექსიას, **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი.რომლის მიხედვითაც გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის განვითარების საჭიროება, გააზრებული და გადანაწილებული აქვთ პასუხისმგებლობა, თუ როგორ დაგეგმონ და განახორციელონ კურიკულუმის განვითარების ეტაპები. ამ მიზნით იკრიბებიან კათედრაზე და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, რის შემდეგაც გეგმავენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის პაკეტს. მხარდასაჭერად მომავალი სასწავლო წლის ბოლოს მოახდენენ პროცესების რეფლექსიას, აღწერენ მიღწეულ შედეგებს, გადასინჯვისა და რევიზიის შემდეგ შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რაც მნიშვნელოვნად დახვეწავს და განავითარებს სამომავლოდ კურიკულუმს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლას ამ ეტაპზეც აქვს კვლევის ინსტრუმენტები სასწავლო პროცესის ეფექტიანობის, თუმცა კურიკულუმის სამომავლოდ განვითარებისათვის სკოლა ამ ეტაპზეც ახდენს და სამომავლოდ უფრო მეტი კოორდინირებით და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მულტიფაქტორული მიდგომებით გეგმავს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, შედეგების გაანალიზებას, გაკვეთილების და განხორციელებული კომპლექსური დავალებების სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთას და შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინებით შედგება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - შესწავლილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სკოლას ბოლო წლების მანძილზე აქვს კურიკულუმების შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება ,,ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში შემუშავებული კომპლექსური დავალებებით სწავლებას და ორიენტირებულია ცნებებით სწავლების დანერგვაზე, როგორც გრძელვადიანი სასწავლო ორიენტირის გამოყენებაზე. მათ აქვთ პრაქტიკული გამოცდილება სწავლების ყოველ წელს ანალიზის საფუძველზე გააკეთონ დასკვნები, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. ამას მოწმობს მასწავლებელთა სკოლის ფარგლებში არსებული პრაქტიკის ურთიერთგაზიარება, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიურების პროცესში, ასევე ჩანს კათედრების მიერ წარმოდგენილ მასალებსა და პედაგოგთა რეფლექსიებში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სახელმწიფო ენა- სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. სადაც ასახულია როგორ ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის რევიზია. დოკუმენტის თანახმად (დანართი №7), ვიგებთ, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას საფუძვლად დაედება წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების გაანალიზება რამდენიმე მიმართულებით (მოსწავლეთა შედეგები, მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა, პედაგოგებისა და დირექციის მუშაობის ანალიზი. თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების მიხედვით, მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შექმნის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებულ ვერსიას, რომელიც დაეყრდნობა წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის შედეგებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ ურიკულუმის გადამოშავებისა და ახლის შექმნისას გაითვალისწინებენ პედაგოგები წინარე გამოცდილებას მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, შემუშავდება რეკომენდაციები კურიკულუმის გასაუმჯობესებლად და ამ რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის განახლებული ვერსია. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ხაზგასმით აღინიშნა , რომ 2023-24 სასწ. წლის კურიკულუმი შეიქმნა წინარე გამოცდილების მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათალისწინებით. ასევე სკოლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია , რომ მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში კათედრებზე მასწავლებლებმა ერთმანეთს გაუზიარეს კურიკულუმის განხორციელების შედეგები, გამოკვეთეს ის საკითხები და ცნებები, რომლებიც წარმატებით დაძლიეს მოსწავლეებმა. ასევე ისაუბრეს მიმდინარე წლის კურიკულუმის ეფექტურად დაგეგმვის გზებზე. ამ პროცესებში მათ ასევე გაითვალისწინეს გაკვეთილებზე დაკვირვების დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მიღებული უკუკავშირები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები – სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები კურიკულუმის განხორციელების შესახებ, საშუალებას მისცემს სკოლას წინარე გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით შეადგინოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში“(1.3.1) წერია: „ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება... “ დოკუმენტიდან ჩანს სკოლის ხედვა როგორ და რა მიმართულებით უნდა წარიმართოს რევიზია და როგორ უნდა იყოს ჩართული და გათვალისწინებული ამ პროცესში სასკოლო საზოგადოება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - კოლეგების თქმით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს კურიკულუმების ანალიზი. და მათ აქვთ მზაობა იმისა, რომ მუშაობა მიმდინარეობდეს მუდმივ რეჟიმში. გადამუშავებული კურეკულუმის შემუშავების დროს მასწავლებლები გაითვალისწინებენ როგორც კურიკულუმების გადამუშავების დროს მიღებულ საკუთარ , ისე კოლეგათა მიერ გაზიარებულ გამოცდილებას. პედაგოგები ინტერვიუს დროს საუბრობენ, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესს განიხილავენ კათედრაზე , აჯერებენ, თუ რა კავშირი და განსხვავებებია დაგეგმილ და განხორციელებულ კურიკულუმებს შორის. სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. და ამ მიდგომით 2023-24 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის გადამუშავებული კურუკულუმები მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის ჩანაწერში, ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე.“ აგრეთვე თვითშეფასების ფორმაშიც აღნიშნულია, რომ რევიზირებულ საგნობრივ კურიკულუმში აისახება წლის მანძილზე პროცესში მიღებული გამოცდილება. სკოლას აქვს მზაობა და სამომავლო ხედვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია, რომელზეც ამ ეტაპზე აქტიურად მუშაობენ მასწავლებლები ეფუძნება წინა სასწავლო წლების გამოცდილებას. სკოლა აგროვებს წინა წლის გამოცდილებას, ირჩევს სტრატეგიას ამ გამოცდილების გამოსაყენებლად სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად, მასში მოიაზრებს თანამონაწილეობით სკოლის ადმინისტრაციას, მასწავლებლებს, მოსწავლეებს და მშობლებს, ასევე შეიმუშავებს გაზიარების გზებს და საშუალებებს. სკოლის ბაზაზე აქტიურად ვლინდება კათედრის/გაერთიანებების წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვა საგნობრივ კათედრებთან/გაერთიანებებთან კოორდინირებული მუშაობა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლას გააზრებული აქვს, რომ კათედრა კურიკულუმის განვითარების პროცესში უნდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაეყრდნოს წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები, რასაც წინარე გამოცდილებისას მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა. სამომავლოდ ამ კუთხით აპირებს დაგეგმოს კონკრეტული მონიტორინგის გეგმა (პაკეტი), რომლის ფარგლებში გაეცნობიან ზედა კლასების მასწავლებელთა გამოცდილებებს, გავლილ კურიკულუმებს, გააანალიზებენ შედეგებს და ანალიზისა და აზრთა გაზიარების საფუძველზე, შექმნიან გადამუშავებულ ვერსიას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი #11 შეფასების რუბრიკა პროექტის სამი კატეგორია პროექტი
- დანართი #12 ანგარიში პროექტის
- დანართი #13 SWOT-ანალიზი
- სკოლის სამოქმედო გეგმა.
- დაწყებითი საფეხურის კურიკულ;უმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესა*
- *ძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- [v] **შეესაბამება**
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	v **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	v **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	v **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	v **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	v **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიხედვით განსაზღვრულია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, ასევე რა პრინციპებით და რა ეტაპების გავლით მოხდება კურიკულუმის განვითარება. საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია მიემართება მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს, პროცესები ეფუძნება წინა სასწავლო წლის კურიკულუმის ანალიზს. სკოლა ამისათვის იყენებს დიფერენცირებულ სწავლა-სწავლების პრინციპებს და მეთოდებს, სსსმ მოსწავლეებზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. დოკუმენტში გაწერილია, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა გაითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლების ზოგადი ფუნქციები და მოვალეობებია წარმოდგენილი. ამავე დოკუმენტში ჩანს, კათედრის თავჯდომარის, კათედრის, დირექციის როლი სამუშაო პროცესში. ასევე ჩანს მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა. როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, ასევე სკოლის თვითშეფასებიდან და კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და მისი განახლება მოხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. ათლად ჩანს,რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში, სამომავლოდაც ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმის შედგენამდე იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც სასკოლო საზოგადოების ინტერესების დადგენის მიზნით, ატარებს გამოკითხვას. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს კურიკულუმების შემუშავებას, საბაზო საფეხურის მასწავლებლები იყენებენ როგორც გასული წლის სასწავლო გეგმას, ასევე ქმნიან ახალ, საკუთარ, ორიგინალურ, შემოქმედებით და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ კომპლექსურ დავალებებს. კათედრებზე ხდება ისეთი კომპლექსური დავალებების შერჩევა, რომლებიც ეფექტიანად განხორციელდება სასწავლო პროცესში, სადაც გამოიკვეთება მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია და ჩართულობა. კათედრის სხდომებზე აანალიზებენ შედეგებს და ითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლისათვის. ასევე ითვალისწინებენ მშობლების ზეპირ უკუკავშირს / მოსაზრებებს, თუმცა ამას არ აქვს გარკვეული ფორმა. მომდევნო სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

წლისთვის იგეგმება კომპლექსური დავალებები შეირჩეს მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით. კონკრეტულად მოსწავლეები შეარჩევენ თუ რომელ თემაზე ისურვებენ კომპლექსური დავალებების განხორციელებას.გამოკითხვის შედეგების ანალიზს გააკეთებს საგნობრივი კათედრა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;.

კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოება მთლიანად არის ჩართული. რაც გამოიხატება მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, მშობელთა ჩართულობით კლასგარეშე ღონისძიებებში. საგნობრივ კათედრებზე ხდება განხორციელებული კურიკულუმის ანალიზი და ჩატარებული კომპლექსური დავალებების ზეპირი რეფლექსია. მასწავლებელები საგნობრივ კათედრებზე და სასწავლო ჯგუფებში ერთმანეთს უზიარებენ ხედვებს უკვე განხორციელებული საქმიანობის და სამომავლო გემგების შესახებ. სასკოლო სასწავლო პროექტების დაგეგმვაში ჩართულები არიან მასწავლებელები და მოსწავლეები. კერძოდ, სკოლაში საბაზო საფეხურზე ფუნქციონირებს კლუბები, სამოქალაქო განათლების, დებატ კლუბი და ეკო კლუბი. კლუბების სამოქმედო გეგმების შემუშავება ხდება კლუბის წევრი მოსწავლეების ჩართულობით. სკოლა სამომავლოდ გეგმავს კურიკულუმის შემუშვების პროცესში ჩართოს ამ საკითხით დაინტერესებული მშობლები. ჩაატაროს მათთან შეხვედრები, გააცნოს ძირითადი თემები, ცნებები, დავალების ტიპები და მოისმენს მათ მოსაზრებებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. ამ დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის გასაჯაროების გზები (სკოლის ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; სოციალური ქსელი, ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან), ასევე სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები და პასუხისმგებლობები კურიკულუმის შემუსავებასთან მიმართებით. ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ მშობლებს ეგზავნებათ კომპლექსური დავალებების ბარათები. ბარათების გაცნობის შემდეგ ტარდება მშობლებთან შეხვედრები და მასწავლებლები იღებენ მათგან უკუკავშირს განხორციელებული დავალებების შესახებ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყურადღებას ამახვილებენ მშობელთა მხარდაჭერის მნიშვნელობაზე და ასევე მოსწავლეთა უკუკავშირზე. პერიოდულად ტარდება შეხვედრები მშობლებთან მიმდინარე აქტივობებთან დაკავშრებით, ეს საქმიანობა სკოლას ეხმარება უფრო მეტად საჯარო გახადოს სკოლაში მიმდინარე მოვლენები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- სკოლის მშობლებთან ურთიერთობის დებულება)
- საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი N4
- მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარი)
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- სტატუსუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.
- კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია.

i. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
სახელმწიფო ენა - საბაზო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის / მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ესგ-ის მიხედვით სტანდარტში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით). შუალედური მიზნები განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებებისა და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შესრულებისთვისაც მოსწავლეს სჭირდება გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები. კათედრის წევრებს მაგალითად მოჰყავთ წინარე გამოცდილება მსგავსი ტიპის კომპლექსური დავალების დანერგვის შემთხვევები. სკოლის თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ, რომ ამ ეტაპზე შემუშავებული კურიკულუმის შედგენისას თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს „მოსწავლეების შესაძლებლობებსა და ინტერესებს, მოსწავლის განვითარების ჰოლისტურ, კომპლექსურ მიდგომას. გაწერილი პროექტები და აქტივობები გათვლილია მოსწავლის როგორც მეტაკოგნიტური უნარების, ფსიქო-ემოციურ განვითარების მიზნით. განხორციელებული პროექტები, გაწერილი აქტივობები ხელს უწყობს ისეთი უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

როგორიცაა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება, პრობლემის გადაჭრა, თანამშრომლობა და კომუნიკაცია. დიფერენცირებული სწავლების დროს მოსწავლეთა დაჯგუფება ხდება სხვადახვა მზაობის ინტერსისა და პროფილის მიხედვით. მასწავლებლები საბაზო საფეხურზე იყენებენ დიფერენცირებული სწავლების გამოცდილ სტრატეგიას ,,გაჩერებები.“ (დანართი №1, 22.). კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე კათედრა გეგმავს კურიკულუმის ჩარჩოების სრულყოფას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ზემოთ ავღნიშნე უკვე, რომ 2022-2023 სასწავლო წელს სარგებლობდნენ ექსპერტების მიერ მიწოდებული კურიკულუმებითა და კომპლექსური დავალებებით, რომელიც ბუნებრივია აკმაყოფილებდა ყველა კრიტერიუმს. თუმცა მათემატიკის კათედრაზე შეარჩიეს კომპლექტური დავალება, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია შემოქმედებითი უნარების, კრიტიკული აზროვნების, კვლევის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. 2023-2024 სასწავლო წლისთვის შემუშავებულ კურიკულუმებში ყურადღება გამახვილებული იქნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე, გრძელვადიან მიზნებსა და მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩოების დოკუმენტები, რომლითაც უცხო ენის სწავლების პროცესზე პასუხისმგებელი პირები, ჰოლისტურად გვიქმნიან წარმოდგენას, თუ რა მასალაზე დაყრდნობით, რა სტრატეგიების გამოყენებით გეგმავენ საგნის სტანდარტის მიხედვით განსაზღრულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლას უცხო ენის ფარგლებში . ეს ყოველივე ცალსახად იკითება კომპლექსური ბუნების ტიპის დავალებებში ყველა კლასის (მთელი წლის განმავლობაში 1,2,3 შუალდური მიზანი/კომპლექსური დავალება) ინგლისური ენის და მეორე უცხო ენის კურიკულუმის ჩარჩოები . კლასებისთვის წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებზე დაყრდნობით შეიძელბა ვივარაუდოთ, რომ სკოლის უცხოური ენის მასწავლებლებს აქვთ მზაობა მოახდინონ საგნის სამიზნე ცნებებისა და შედეგების დამუშავება მოსწავლეებთან კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებებზე დაყრდნობით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის 7-9 კლასისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნებისა და საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. შერჩეულია თემები და გაწერილია შესაბამისი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საკითხები. შედგენილი კურიკულუმები არის სრულყოფილი. თითოეული კლასის კურიკულუმში შეტანილია მრავალფეროვანი სასწავლო თემები (თეორიული და პრაქტიკული მი9მართულებით), სადაც გათვალისწინებულია მისწავლეთა სურვილი, მათი ინტერესი და შესაძლებლობები, რაც საშუალებას იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და მათი ინტერესისა და შესაძლებლობების გათვალისწინებისა. თემების შერჩევისას გათვალისწინებულია სკოლის მდიდარი ინფრასტრუქტურა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - საბაზო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით.საგან მუსიკის,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში, გაწერილია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, რომლებიც შესაბამისი თემის ფარგლებში მუშავდება,საკითხი/საკითხთა კლასტერები, კომპლექსური დავალების იდეები,მითითებულია აგრეთვე სასწავლო რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში, წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით მიიღებს, განიმტკიცებს და მიზნობრივად გამოიყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. საგნობრივი კურიკულუმებით გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგის და სამიზნე ცნების დამუშავება. მითითებულია სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. გასაუბრებიდან გაირკვა, რომ მასწავლებლები ხშირად იყენებენ სწავლების დიფერენცირებული მიდგომებისთვის საჭირო სხვადასხვა მეთოდს, აქტივობას, იყენებენ ბარათებს. ითვალისწინებენ მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებს, ცოდნის დონეს და შესაბამის დავალებებს აძლევენ. გამოიკვეთა სურათი, რომელიც გვაძლევს იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს. ახალ სასწავლო წელს შეხვდებიან სრულიად ახალი გადამუშავებული კომპლექსური დავალებებით. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო იძლევა საშუალებას, განისაზღვროს საფეხურის მზაობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის სრულყოფილად დაგეგმვისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლოდ სწორი ხედვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საბაზო საფეხურზე საგანი ,,მოქალაქეობა“ სრულად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; აღნიშნულ დებულებას ადასტურებს შემდეგი ფაქტები:

შემოთავაზებული კურიკულუმი სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს აჩვენებს და უზრუნველყოფს;

- სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით;
- სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივ ცოდნის დასამუშავებლად;
- თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება;
- სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს;

საგნის ფარგლებში 7-9 კლასებში შექმნილია ცნებებზე ორიენტირებული კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც ყველა კომპონენტი სავალდებულო თემა, ცნებები, ძირითადი საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, მაგალითები შედარებისთვის, კომპლექსური დავალების იდეა და სასწავლო რესურსები სწორი პრინციპით არის აგებული.

კურიკულუმში შემოთავაზებულია მოსწავლისთვის საინტერესო კონტექსტით საკითხთა კლასტერი, ფრაგმენტულად კონტექსტ-მაგალითები და მაგალითებს შედარებისთვის მაგ: 7 კლასში თემა:

თემი, რომელშიც ვცხოვრობთ; სამიზნე ცნებები და ქვეცნებები -საზოგადოება

- საზოგადოებრივი ჯგუფი
- თემი

დემოკრატია

- სამართლებრივი დოკუმენტები
- ბავშვთა უფლებათა კონვენცია
- ადამიანის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

საკითხი/საკითხთა კლასტერი: უფლებების დაცვის მნიშვნელობა თემში მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის;

- ბავშვის უფლებათა კონვენცია;
- ადამიანის უფლებები
- მონაწილეობა, ეს ჩემი უფლებაა;

კომპლექსური დავალების იდეა-ბუკლეტის მომზადება „ ჩემი თემის კულტურული მრავალფეროვნება“ სასწავლო რესურსები: სახელმძღვანელო, მოქალაქეობა, კლიო, გვ:6-18; დავალება სწორად და მიზნობრივად მიემართება ცნება და ქვეცნება, ასევე ქვესაკითხი. იგივე მოცემულობა გვაქვს საგან,,ისტორია“ და საგან ,,გეოგრაფიაში“; კურიკულუმის ჩარჩოები სამივე საგანში სრულად შეესებამება მოთხოვნებს და მიემართება მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესს. ყველა თემა დამუშავებულია, თემებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, წარმოდგენილია საინტერესო დავალებები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესზე და რეალურ ყოფით ცხოვრებაზე მაგ: 7 კლასში ისტორია-თემა პრეისტორიული ხანა. სამიზნე ცნებები: საზოგადოება/ყოველდღიურობა,რელიგია სივრცე/ისტორიულ გეოგრაფიული გარემო დრო/არქეოლოგიური პერიოდი. საკითხი/საკითხთა კლასტერი: როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები პალეოლითის ხანაში კონტექსტ-მაგალითი-,,ცუცხვათის მღვიმის შესახებ“. კომპლექსური დავალების იდეა: შექმნან სცენარი თემაზე: ,,ძველი ქვის ხანის ადამიანი“ ცუცხვათის მღვიმის და შოვეს (საფრანგეთი) მღვიმის შედარება სასწავლო რესურსები: მეშვიდე კლასის სახელმძღვანელო გამომცემლობა ლოგოს პრესი. ავტორები: მზია სურგულაძე, გელა გამყრელიძე. ზურაბ კიკნაძე, ლ. პატარიძე, ლაშა კერესელიძე გვ, 7-15. კურიკულუმში მოცემულია სრული სტრუქტურა კომპონენტები და მიზეზე-შედეგობრივი კავშირები. კომპლექსური დავალების პროდუქტები, რომელიც მოსწავლეებში აღვივებს შინაგან მოტივაციას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - გუნდურად შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა არის ორიგინალური, უშუალოდ სკოლის მოსწავლეების განვითარების გზის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც ფორმალური (საგაკვეთილო) და არაფორმალური (კლასგარეშე) კომპონენტების გამოყენებით . შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მართალია სკოლა ჯერ ვერ მიდის კომპლექსურიდან კომპლექსურამდე, თუმცა გააზრებული აქვთ მასწავლებლებს სტანდაარტის საფეხურებრივი შედეგები. სადამრიგებლო და სასწავლო/სასკოლო პროექტების დაგეგმვისას გთთვალისწინებულია ესგ-ს მოთხოვნები და პრიორიტეტული თემები, ასევე ესგ-ს სწავლა-სწავლების მიზნებში წარმოდგენილ გამჭოლ კომპეტენციები. (დანართი N 2 სასკოლო სასწავლო გეგმა) . სასურველია უკეთ ჩანდეს , თუნდაც მოსწავლეთა კითხვარის საფუძველზე რა ინტერესები და საჭიროებები აქვთ, რომ უკეთ მოხდეს მოსწავლეთათვის საინტერესო, და განსხვავებული გამოცდილების, სხვადსხვა მოსაზრებების გაზიარება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

სახელმწიფო ენა - კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული დავალებების დანერგვის ეტაპზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა). თვითშეფასების კითხვარში სკოლა წერს: „სასკოლო კურიკულუმს ვქმნით ესგ განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, მასში ჩაშენებული კომლექსური დავალებებით ხორციელდება შუალედური მიზნების მიღწევა, ცნებების, ქვეცნებების გააზრება, იძლევა საშუალებას მივაღწიოთ სასურველ შედეგს გაწერილი აქტივობები ხელს უწყობს ისეთი უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, როგორიცაა მაღალი საზროვნო უნარების განვითარება, პრობლემის გადაჭრა, თანამშრომლობა და კომუნიკაცია....“ ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ იგეგმება ისეთი კომლექსური დავალებები, როგორებიცაა: წერილის შექმნა, პრეზენტაციის მომზადება აქტუალურ საკითხებზე, ამბის ციფრული თხრობა, მოთხრობის გაგრძელება, კულტურული მემკვიდრეობის ტრადიციების პოპულარიზაცია.“ **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმებში, რომელსაც იყენებდნენ 2022-2023 სასწავლო .წელს გრძელვადიან მიზნებად გააზრებული იყო სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები; ძირითად შემთხვევაში აღქმული იყო გლობალური ფუნქციური უნარები (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი ნება) უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად). 2023-2024 სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შეფასების ინსტრუმენტი კათედრის ფარგლებში შემუშავების პროცესშია და იგეგმება ამ მიმართულებით სასწავლო წლის დაწყებამდე მუშაობა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- უცხო ენის სასწავლო პროგრამის ჰოლისტურად აღმწერი დოკუმენტი-კურიკულუმის ჩარჩო წარმოგვიდგენს რა კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეებს, რომლებიც ზუსტად ეხმიანებიან/ამუშავებენ ამავე საფხეურისა და საგნის გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებსა და შედეგებს)თავისუფლად შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდსი მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას, ვინაიდან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- შედგენილი და წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისაკენ. თემები შერჩეულია როგორც პრაქტიკული ასევე თეორიული მიმართულებით და ითვალისწინებს: სამიზნე ცნებებზე გასვლას, რომელიცაა: ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი და ცხოვრების ჯანსაღი წესი, გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) განვითარებასა და საგნობრივი სტანდარტის შედეგებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - საბაზო საფეხურზე საგნებში მუსიკა, სახვით და გამოყენებით ხელოვნება შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და პასუხს იძლევა კითხვაზე: რა მიზნით ისწავლება საგანი? კურიკულუმებში გაწერილი კომპონენტები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებაზე; სრულად გაწერილ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება სხვა კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ნათლად ჩანს, თუ რა მასალაზე დაყრდნობით წარიმართება სწავლება. სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით; შერჩეულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან იკითხება,რომ საბაზო საფეხურზე იგეგმება ისეთი კომპლექსური დავალებები როგორიცაა ვიდეო რგოლის მომზადება აქტუალურ საკითხებზე, წერილი, ესსე, ამბის ციფრული თხრობა, სტატია, რეპორტაჟი, კედლისგაზეთი კულტურული მემკვიდრეობის ტრადიციების პოპულარიზაციის მიზნით. საგნობრივი კურიკულუმები ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საბაზო საფეხურზე კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გამოწვევას საგანთაშორისი კავშირებით (გეოგრაფია, ისტორია და მოქალაქეობა) და სწავლების კავშირით მოსწავლეში ინტერესებს, შესაძლებლობებს, ღირებულებებს და გამოცდილებას შორის. საგანი ,,მოქალაქეობა“ კურიკულუმის დაგეგმვის პრინციპი განსაზღვრავს თუ როგორ შეიძლება სასწავლო პროცესში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარება. კომპლექსური დავალება, ცნებებზე ორიენტირება, საგნობრივი საკითხები, თემები, ძირითადი და დამატებითი რესურსები, შეფასების ინსტრუმენტები მოიცავს მოსწავლეების პიროვნული განვითარებისთვის ძირითად საშუალებას. კურიკულუმში მოცემეულია კონტექსტ-მაგალითები, სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ასამაღლებლად, რაც თავის მხრივ მოიაზრებს 6 ფუნქციური უნარის განვითარებას;

საგან ,,გეოგრაფიაში“-ში კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი სრულად შეესაბამება მოთხოვნებს. ჩარჩო აგებულია ყველა კომპონენტის დაცვით, რომელიც სასწავლო პროცესში ახდენს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას.

ინტერვიუს დროს კიდევ ერთხელ პრაქტიკულად დადასტურდა სიღრმისეულად ეს მოცემულობა. დადასტურდა კურიკულუმის აგების პრინციპი, გამოიკვეთა რომ მომდევნო ეტაპის სამუშაოებზე იქნება კიდევ უფრო საინტერესო და სრულად წარმოდგენილი;

მაგალითად მატრიცებში გათვალისწინებულია ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა შემოქმედებითი და სხვა უნარების განვითარებას ემსახურება (ესეს, ნახატის, მაკეტის, პოსტერის შექმნა, ჯგუფური პრეზენტაცია, ბროშურების შექმნა) კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებისთვის ტარდება დისკუსიები, დებატები, თავისუფალი გაკვეთილები, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი აზრის თავისუფლად დაფიქსირება; **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მიმდინარე კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი- კომპლექსური დავალება. ახალი სასწავლი წლისთვის საბუნებისმეტყველო კათედრამ შექმნა კურიკულუმის ჩარჩოები საბაზო საფეხურზე. ბიოლოგიაში, მე-7, მე-8 და მე-9 კლასების კურიკულუმში სტანდარტის შესაბამისად არის შეტანილი სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, თუმცა არ არის ქვეცნებებად ჩაშლილი. მხოლოდ 1-3 კომპლექსური დავალებაა არჩეული იდეას, თუმცა გასაუბრების მერე გამოჩნდა, რომ კონტექსტ-მაგალითი, იდეა, ქვეცნებების მნიშვნელობა კარგად ესმით და სექტემბრისთვის აპირებენ დახვეწოთ კურიკულუმები; ასევე სასურველია რესურსები სრულად და გააზრებულად იყოს წარმოდგენილი. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სახელმწიფო ენა - სკოლა განიხილავს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიიჩნევს, რომ განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა, ამისათვის მათ შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, კურიკულუმში შეთავაზებული კომპლექსური დავალებები. როგორც საბაზო საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს გასაუბრებისას, ისინი ქმნიან მოდიფიცირებულ კომპლექსურ დავალებებს, რათა ყველა მოსწავლე მაქსიმალურად იყოს ჩართული . **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- გამომდინარე იქედან, რომ დიფერენცირებული სწავლება სასწავლო პროცესის ისეთი ორგანიზებაა, რომელიც გათვლილია თითოეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფების საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე, მათემატიკის საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მიზნად დაისახეს სწავლების ეს ფორმა ეფექტიანად დაენერგათ სასწავლო პროცესში. დიფერენცირება გათვალისწინებულია ასევე კომპლექსური დავალებების საბოლოო პროდუქტში. მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას სასურველი ფორმით წარმოადგინონ ნამუშევარი, რიგ შემთხვევაში სთავაზობენ ალტერნატიულ საშუალებებს, რათა გრძელვადიანი მიზნის შესაბამის მოკლევადიან მიზანზე გავიდნენ. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ისგ გეგმები, რითაც ცხადია, რომ სკოლა გეგმავს ინკლუზიური სწავლების მონიტორინგს არის წარმოდგენილი როგორ ახდენს მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე რესურსების ან/და კომპლექსური დავალების პირობის დიფერენცირებას, ცხადია მათი მუშაობის მეთოდები ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინებით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- თვითშეფასების ფორმაშიც იკითხება და ინტერვიუს დროს პედაგოგებმაც აღნიშნეს, რომ ისინი მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, შეუძლია სასწავლო პროცესის მოდიფიცირება და შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში , სატანადო ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში. სკოლას ყავთ რამდენიმე სსსმ მოსწავლე, რომელთაც ესაჭიროებათ მათზე მორგებული ინდგეგმა ჩვენს საგანში და პედაგოგმა აღნიშნა რომ სპეც მასწავლებელთან ერთად შემუშავებული აქვთ მოსწავლეებისათვის ინდგეგემა და წარმოადგინეს ეს ნიმუში ვიზიტის დღეს, **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სასწავლო პროცესის დროს სკოლა ცდილობს გაითვალისწინოს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომები; სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ: აქტივობების შერჩევა ხდება მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების, მათი ინტერესების და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცესში ჩართულია დამრიგებელი, მშობელი, საგნის მასწავლებლები, სპეცმასწავლებელი. სსსმ მოსწავლეებისათვის იქმნება ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში,საბაზო საფეხურზე იყენებენ იყენებენ დიფერენცირებული სწავლების გამოცდილ სტრატეგიას „სასწავლო გაჩერებები“. საჭიროების შემთხვევაში ახდენენ როგორც პროცესის, ასევე პროდუქტის დიფერენცირებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო წლის დასაწყისში წინარე გამოცდილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

საფუძველზე ხდება მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების წინარე ცოდნის და გამოცდილების გათვალისწინება. დიფერენცირებული სწავლების დროს მოსწავლეთა დაჯგუფება ხდება სხვადახვა მზაობის ინტერსისა და პროფილის მიხედვით. მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების გამოცდილ სტრატეგიას ,,გაჩერებები“. საბაზო საფეხურზე მასწავლებლების მიერ შეთავაზებული მიმდინარე თუ შემაჯამებელი დავალებები სხვადასხვა დონისაა და მოიაზრებს მოსწავლეებში სხვადასხვა დასწავლის სტილის დახვეწას. მასწავლებლები ასევე დაგეგმვის პროცესში ადგენენ ისეთ დავალებებს, რომლებიც საერთოა მთელი კლასისთვის, მაგრამ სუსტ მოსწავლეებს ეძლევათ დამხმარე მასალა, რომელიც გაუადვილებთ სამუშაოს (საყრდენი სქემები, ცხრილები,ნიმუში და ა.შ.); მასწავლებლები მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობებს თვითონ აირჩიონ დავალებების ვარიანტები; მაგალითად შეასრულონ 5 დავალებიდან 3 სავალდებულო და დანარჩენი ორი სურვილის მიხედვით. სასწავლო წლის დასაწყისში ისგ ჯგუფი ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. გეგმების შედგენისას აქტივობების შერჩევა ხდება მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების, მათი ინტერესების და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცესში ჩართულია დამრიგებელი, მშობელი, საგნის მასწავლებლები, სპეცმასწავლებელი. სსსმ მოსწავლეებისათვის იქმნება ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. საგნობრივი კურიკულუმი ადასტურებს სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფიის პრინციპებს, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომას, მოსწავლეზე ორიენტირებულ სიღმისეულ სწავლებას და მეორე მხრივ პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას, რასაც ადასტურებს ფორმალური და არაფორმალური განათლების სხვადასხვა დოკუმენტები. კურიკულუმები ეფუძნება მრავალფეროვან და მოსწვალეზე მორგებულ სასწავლო პროგრამას/შინაარსს - შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სკოლას მოწოდებული აქვს ასევე ისგ-ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. თვითშეფასებაში ასევე ჩანს გამოცდილება დიფერენცირებული/ინკლუზიური სწავლების პრინციპების, რასაც ადასტურებს წინა წლებში განხორციელებული კომპლექსური დავალებები მაგ: საგანი ,,მოქალაქეობა“; კურიკულუმშიც პროცესი ადასტურებს დიფერენცირებული სწავლების პრინციპების ასევე ჩანს სამომავლო ხედვა კონკრეტული მაგალითებით - დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით. საგნობრივ კათედრებს შემუშავებული აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები .(პრეზენტაციის, პროექტების, ესეების, დებატების , დისკუსიის). სკოლაში განხორციელდა კვლევა თუ რა გავლენას ახდენს განმავითარებელი შეფასება მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაზე, მოტივაციასა და სწავლის ხარისხის ამაღლებაზე. აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს მშობლებმა, მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა.

შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - დიფერეცირებულ მიდგომებზე ნარატივის სახითაა მოცემული კითხვარში, მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს მოწოდებულ გაკვეთილის გეგმებში სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება მასწავლებლის მხრიდან, მაგრამ არ ჩანს კომპლექსურის მოდიფიცირება, თუმცა საჭიროებს დადასტურებას. ასევე სკოლა აღნიშნავს, რომ ყავს სსსმ მოსწავლეები და მათთვის ინდ.გეგმის მიხედვით ახორციელებს კომპლექსურების მოდიფიცირებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების კუთხით სამი დოკუმენტი (დანართი35,36,37). აღნიშნულით დასტურდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს დიფერენცირებულ / ინკლუზიურ მიდგომები, თუმცა სასურველი იქნებოდა ასევე წარმოედგინათ სსსმ მოსწავლეების ინგ გეგმაც და შესაბამისი მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებაც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სახელმწიფო ენა - განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს: სკოლა გეგმავს ეფექტიანი განმავითარებელი შეფასების ფორმებისა და უკუკავშირის მიწოდებას საკუთარი გამოცდილების საფუძველზე: „სასწავლო წლის დასაწყისში შევსებულმა თვითშეფასების კითხვარის ანალიზმა და გასულ სასწავლო წელს გაკვეთილებზე დასწრების ანალიზმა აჩვენა, რომ საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები დასახვეწია. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დიდი ყურადღება ეთმობა სკოლაში განმავითარებელი შეფასების გამოყენებას“ (დანართი #18). საბაზო საფეხურის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ამას ადასტურებს ის, რომ შეფასების კრიტერიუმები მორგებულია ცნებებსა და ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს, კონკრეტული კომპლექსური ბუნების დავალებას. ასევე, სკოლა გეგმავს ჰოლისტური, შეფასების მექანიზმების განსაზღვრა, სოლო ტაქსონომიის შემუშავებასა და დანერგვას სასწავლო პროცესში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ განმავიტარებელი და განმსაზღვრელი შეფასებისთვის რუბრიკებს ისე ქმნიან, რომ მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- უცხოური ენების კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილი არ არის განმავითარებელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,თუმცა ინტერვიუს დროს ცალსახად ნათელი გახდა, რომ ამ საგნის პედაგოგებს კარგად აქვთ გაზრებული თუ როგორ უნდა მოხადინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. მასწავლებელთა მიერ განხილული შეფასების მიდგომები სრულიად ეხმიანება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ უცხოური ენის გრძელვადიან მიზნებს, მჭიდრო კორელაციას გვიჩვენებს მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკაოტრებს შორის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის მიერ შექმნილი და წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საბაზო საფეხურისთვის შემუშავებულია , ისე, რომ მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. ითვალისწინებს საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს . რუბრიკები შედგენილია თემების მიხედვით. საბაზო საფეხურის შეფასების სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით, შემაჯამებლის ჩანიშვნის შემთხვევაში , წარმოდგენილია ერთი კონკრეტული თემისათვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. პედგოგებმა გამოთქვეს მზაობა, რომ სამომავლოდაც შექმნიან რუბრიკებს შერჩეული თემების მიხედვით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სკოლის სასწავლო სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობაა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ, მოსწავლეთა შეფასება ეფუძნება სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. სწორედ ამიტომ მასწავლებლები წინასწარ განსაზღვრავენ შეფასების კრიტერიუმებს და ქმნიან გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს. განმავითარებელი შეფასებისთვის იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ეფექტურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, ვიცი-მინდა-ვიცოდე, გრაფიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

ორგანიზატორები. წარმატებით იყენებენ სოლო ტაქსონომიას- როგორც კომპლექსური დავალებაზე მუშაობის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს.“ სკოლას საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი აქვს, როგორც მუსიკაში ასევე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები სწავლების გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით, რომელიც წარმოდგენას ქმნის, საფეხურის ფარგლებში საგან მუსიკა, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საგნობრივ კურიკულუმებში მოაზრებულია შექმნილია შეფასების ინსტრუმენტები / რუბრიკები როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი, რომელიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. სკოლას ასევე დამატებით დოკუმენტაციაში მტკიცებულებებში არის სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები, სადაც პროცესი მიმართულია მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებისკენ. კურიკულუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებს და კურიკულუმის ჩარჩოს კონტექსტი მოიცავს კონსტრუქტივიზმის პრინციპებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, მოსწავლეთა შეფასება ეფუძნება სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. სწორედ ამიტომ მასწავლებლები წინასწარ განსაზღვრავენ შეფასების კრიტერიუმებს და ქმნიან გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს, რაც წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე რუბრიკით. განმავითარებელი შეფასებისთვის იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. კრიტერიუმების საშუალებით ხდება მოსწავლეთა შეფასება დონეების მიხედვით, წარმოჩნდება მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, ეძლევათ რჩევა- რეკომენდაციები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიან მიზნებს. სხვასდასხვასახის რუბრიკებია საკლასო სასწავლო გეგმაში. დანართი N2 და დამატებით დოკუმენტაციაშიც არის შეფასების რუბრიკები ახალი მიდგომების შესაბამისად, თუმცა მგონია, რომ სკოლა შეძლებს -კარგად გაიაზროს და შეიმუშავოს შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სახელმწიფო ენა - საბაზო საფეხურის პედაგოგები კურიკულუმების დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. ისინი, როგორც ინტერვიუში აღნიშნეს, კურიკულუმის დაგეგმვისას აანალიზებენ ხარვეზებსა და კურიკულუმს აუმჯობესებენ. „სამომავლოდ გათვალისწინებულია, კათედრების წევრებს შორის განხილული საკითხები, რიგგარეშე სხდომები, დოკუმენტურად ავსახოთ, დავწეროთ რეფლექსიები და პერმანენტული ხასიათი შევძინოთ“. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული აქვთ წინა წლების გამოცდილება. სასწავლო პროცესი მაქსიმალურად მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე. ცდილობენ ყველა ნიუანსის გაწერის დროს გაითვალისწინონ წინარე გამოცდილება და ისე დაგეგმონ მომდევნო სასწავლო წელი. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- სკოლას წარმოდგენილი არ აქვს დოკუმენტი სახელად რესურსი 12 თუმცა ინტერვიუს შემდეგ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლის საზოგადოებამ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვა სწორედ მიღებული შედეგების გაანალიზების ბაზაზე მოახდინეს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- კათედრული ოქმებით დასტურდება და ინტერვიუს შედეგადაც ნათელია, რომ კოლეგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. მათ გამოთქვეს მზაობა, რომ სამომავლოდაც ისე დაგეგმავენ სასწავლო პროცესებს, რომ უზრუნველყონ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - საბაზო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმების პირველადი ვერსიები, რომლებიც წინარე გამოცდილებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავეს. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც სექტემბრიდან გეგმავენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. თვითშეფასების ფორმაში სკოლა წერს: „კათედრაზე ხდება პრაქტიკისს და გამოცდილების გაზიარება. საკონფერენციო თემების შემუშავება და გატანა რაიონულ და რესპულიკურ კონფერენციებზე. სკოლის ფარგლებში ჩატარდა ონლაინ კონფერენცია, სადაც მასწავლებლებმა წარადგინეს გასულ წელს განხორციელებული კომპლექსური დავალებები და ისაუბრეს მიღწეულ შედეგებზე.“ ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკა საშუალებას აძლევთ დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინონ წინარე გამოცდილება, სასწავლო პროცესში გამოვლენილი ხარვეზებისა და წარმატებული პრაქტიკის გაზიარება ხდება კათედრაზე წარმოდგენილი ანგარიშების საშუალებით. მასწავლებლებს გაკვეთილებზე ესწრება და უკუკავშირს აძლევს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები, ისინი ისმენენ მათ რეკომენდაციებს და ითვალისწინებენ დაგეგმვის პროცესში. საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას ყურადღებას ამახვილებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებაზე. მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა და გამოცდილება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული / რევიზირებული კურიკულუმი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლის თვითშეფასების კითხავრში ნარატივის სახით მოცემულია, რომ სასწავლო პროცესში გამოვლენილი ხარვეზებისა და წარმატებული პრაქტიკის გაზიარება ხდება კათედრაზე წარმოდგენილი ანგარიშების საშუალებით. (სუსრველია იყოს დოკუმენტალურად მასწავლებლის საგნობრივი ანგარიში) მასწავლებლებს გაკვეთილებზე ესწრება და უკუკავშირს აძლევს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები, ისინი ისმენენ მათ რეკომენდაციებს და ითვალისწინებენ დაგეგმვის პროცესში. (დანართი N19) მასწავლებლები ასევე აქტიურად აანალიზებენ საკუთარ პრაქტიკას თვითშეფასების ფორმების და ჩატარებული გაკვეთილების რეფლექსიის გაანალიზების საშუალებით. ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობებიდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე ერთობლივად გეგმავენ მომავალ სასწავლო წელს და ადგენენ სასწავლო გეგმებს. მომდევნო წლისთვის უკვე ექნება რევიზირებული კურიკულუმები. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- სტატუსუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.
- საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი N4
- ხელშეკრულება მშობელსა და სკოლას შორის;
- პროექტი ,, ჩვენ ვქმნით დემოკრატიას სკოლაში“
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- ბრძანება 2-83 19.11.2020 (ხარისხის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სახელმწიფო ენა - საბაზო საფეხურის კათედრაზე კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს ნამდვილად შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობას. სკოლას აქვს წინა წლების გამოცდილება და პედაგოგებმა ინტერვიუშიც აღნიშნეს, რომ დაკვირვების საფუძველზე ყველა სირთულე გაითვალისწინეს და ისე დაგეგმეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმი. საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო თემები წარმოადგენს მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტს. ასევე მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები და კონტექსტმაგალითები, ისინი ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. ამასთან, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს, შეიძინოს ცოდნა, იფიქროს, იმსჯელოს პრობლემის გადაჭრის შესახებ, იმოქმედოს მიზნობრივად. კომპლექსური დავალების შედეგად პროდუქტის შექმნა შემოქმედებითი უნარების გამოყენებას მოითხოვს და შესაბამისად, გაიზრდება მოსწავლეთა დაინტერესება. საბაზო საფეხურის მოსწავლეები ჩართულნი არიან არაფორმალურ აქტივობებში, სასკოლო პროექტებში (მტკიცებულებებში სკოლას წარმოდგენილი აქვს განხორციელებული სასკოლო პროექტების ანგარიშები), მათი ნამუშევრები გამოფენილია სასკოლო სივრცეში, სკოლაში არის პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, ღიაობა და მაღალი მიმღებლობა, რაც, ცხადია, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდასა და მათ შემოქმედებით პოცესებში ჩართვას. საგნობრივი კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა ყველა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **შესაბამისობაშია სტანდარტთან;**

მათემატიკა- თვითშეფასების კითხვარისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ისე აქვთ დაგეგმილი, რომ იძლევა მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კურიკულუმის შემუშავებისას შესაბამისად არჩევენ კომპლექსური დავალებებს. მომდევნო სასწავლო წლისთვის იგეგმება მატრიცებზე დაფუძნებით კურიკულუმის შემუშავება/შეფასება, სადაც მკაფიოდ გამოიკვეთება ის საჭიროებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშს მოსწავლეებისა და მასწავლებლის დონეზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- ეფუძნება რა წარმოდგენილი სასწავლო გეგმა კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტულ დავალებებს მოსწავლე ამგავრ სასწავლო გარემოში გარანტირებულად შეძლებს იყოს შემოქედებით პროცესში ჩართული. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შეტანილი მრავალფეროვანი თემები, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით , დაგეგმილი ფესტივალები და სხვადასხვა ტიპის სპორტრული ღონისძიებები , მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისათვის შეთავაზებული შესაქმნელი პროექტები, სადაც ჩართული იქნება ყველა მოსწავლე , იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას და თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პროცესში შეძენილი უნარების გამოსავლენად. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინების და ხელშეწყობის მიზნით, ფიზიკური აღზრდის საგანში კოლეგები (ინტერვიუში ღნიშნეს), ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, მაგალითად მუსიკა, ხელოვნება და თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში თავისი შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოსავლენად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ესთეტიკა - საბაზო საფეხურის მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ ,,სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი გულისხმობს იმას, რომ მოსწავლე თავად არის აქტიურად ჩართული შემოქმედებით პროცესებში. საგაკვეთილო პროცესის დროს თუ არაფორმალური განათლების განხორციელების პროცესში სკოლის პერსონალი მაქსიმალურად ცდილობს ყველა ბავშვს მისცეს საშუალება ისაუბროს, ახსნას, გაუზიაროს სხვებს საკუთარი გამოცდილება თუ მოსაზრებები. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სტრატეგიას ,,სასწავლო გაჩერებები“ რომელიც მოსწავლეებს ეხმარება დამოუკიდებლად სწავლის უნარის ჩამოყალიბებაში. კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში .ინტერვიუს დროს მუსიკის მასწავლებელმა აღნიშნა,რომ გასულ წელს ჰქონდა მუსიკის წრე, განახორციელა პროექტი სახელწოდებით,, მე ვირჩევ მუსიკას“ ამ პროექტით მოიპოვეს დაფინანსება და ამ ფინანსების გამოყენებით გახსნეს კაბინეტი,შეიძინეს ყველა საჭირო რესურსი: ხმის გამაძლიერებელი საშუალებები,დასამაგრებელი შტატივები და სხვადასხვა ინსტრუმენტი.სკოლა კომპლექსური დავალებების და სასწავლო პროექტების განხორციელებით ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- შემოქმდებითი უნარების განსავითარებლად გამოყენებულია სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი კომპლექსურ დავალებები. მაგალითად, გეოგრაფიის გაკვეთილზე შექმნილი კომლექსური დავალებები „მოგზაურობა ჩემს საოცნებო კონტინენტზე“, წერილი, ესე, ციფრული თხრობა, პოსტერი, როლური თამაშები და ა. შ.

თვითშეფასებაში სკოლა აღნიშნავს არაფორმალური განათლების და მოსწავლეთა თვითმართველობის აქტიურობას. ასევე კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კონტექსტ-მაგალითებიც იძლევა ამის საშუალებას. ასევე კომპლექსური დავალების იდეებიც. საგნებში მოქალაქეობა, გეოგრაფია და ისტორია შემოქმედებითობა ვლინდება კურიკულუმში მაგ: კონტექსტ-მაგალითები, რომლის საფუძველზე მოსწავლე აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით; ასევე ვლინდება შემოქმედებითი ტიპის კომპლექსური დავალებები მისი პროდუქტებით მაგ: ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მოსწავლის მაღალი ავტონომიურობა და ჩართულობა გამოჩნდა გასაუბრების დროს მასწავლებლებთან და ასევე ჩანს სკოლის დოკუმენტაციაში, რაც სწავლა-სწავლების პროცესს ეხება; ორიენტაცია მაღალ სააზროვნო უნარებზე; მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებაზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ მოსწავლეები საბაზო საფეხურზე აქტიურად ჩავრთოთ საგაკვეთილო პროცესში და განუვითაროთ მაღალი სააზროვნო უნარები, ვიყენებთ მრავალფეროვან მიმდინარე და კომპლექსურ დავალებებს. მაგალითად, გეგრაფიის გაკვეთილზე შექმნილი კომლექსური დავალებები „მოგზაურობა ჩემს საოცნებო კონტინენტზე“,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

უცხო ენების კათედრაზე დაგეგმილი კომპლექსური დავალებები: წერილი, ესე, ციფრული თხრობა, პოსტერი, როლური თამაშები და ა. შ.
ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო და საკლასო გარემო არის ძალიან ხალისიანი, პოზიტიური, მოწესრიგებული, სასწავლო რესურსებით მდიდარი, მულაჟები, ბიბლიოთეკის საინტერესო კლასგარეშე საკითხავი ბუნებისმეტყველების კუთხით, მარტივი ექსპერიმენტების ჩასატარებლად არესბული რსურსები ქმნის მამოტივირებელ გარემოს, რომელსაც კარგად იყენებენ მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და პიროვნული განვითარებისთვის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სახელმწიფო ენა - სსიპ ქალაქ საჩხერის შოთა რუსთაველის სახელობის №3 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და დაეხმარება მას ახალი მასალის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული დავალების პირობათა უმრავლესობა შემუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგალითად, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. ეს არგუმენტი ნათელყოფს, რომ მომდევნო სასწავლო წელს პროცესი წარიმართება აღნიშნულიი ფაქტორის გათვალისწინებით. კონკრეტულ დავალებამდე განსახორციელებელი აქტივობები წარმოდგენილი იქნება განხორციელების პროცესის დასასრულს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებების პირობის ფორმულირების მნიშვნელოვანი პრინციპია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოიტანონ - სწორედ ეს იყო მიზანი კომპლექსური დავალებების შერჩევისა და განხორციელების დროს - მოსწავლეებმა გადაჭრან მათთვის ნაცნობი პრობლემა, რომელიც ამავდროულად აჩვენებს კავშირს ყოფა-ცხოვრებასთან, გააკეთონ ანალოგია, შექმნან საინტერესო პროდუქტი - ეს ყოველივე კი კონსტრუირებული იყოს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში შუალედური მიზნები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ იგი ცალსახად ეფუძვნება მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, რაც თავისმხრივ შემდგომ უზრუნველყოფს ახალი ცოდნის მარტივად და მოსწავლისთვის საინტერესო ავთენტურ კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. ასევე, სკოლა გვატყობინებს, რომ არ აქვთ სადიაგნოსტიკო წერების გამოცდილება, თუმცა დაიგეგმა და შერჩეულ იქნა კონკრეტული ინსტრუმენტი სადიაგნოსტიკო შეფასებისათვის, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ უცხო ენის მასწავლებელთა მზაობა ანალიზის მიხედვითაც მოახდინონ. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა სა სპორტი- საგანში - ფიზიკური აღზრდა და სპორტი პედაგოგების თქმით (თვითშეფასების ფორმაშიც აღნიშნავენ), ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაშენებით. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით იღებს და ითვისებს ახალს. რაც გააადვილებს სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლას. პედგოგების მიერ აღწერილი სასწავლო პროცესი ჩანს მათ მიერ , წინა სასწავწლო წლის განვლილ პრაქტიკაში განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებშიც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილი პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას ცოდნის კონსტრუირების გზაზე. კერძოდ: სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა. ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით საგნობრივი კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტებით. კომპლექსური დავალებებით მუშაობა უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი მასწავლებლების მიერ ინტერვიუს პროცესში იქნა მაგალითები მოყვანილი, თუ როგორ ახდენს დავალების ყოველ ახალ, მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლე წინარე ცოდნისა და გამოცდილებაზე ახალი ცოდნის დაშენებას, უკავშირებს ცხოვრებისეულ გამოცდილებას და ახდენს ცოდნის ტრანსფერს. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან იკითხება: „მოსწავლეებს წინარე ცოდნის საფუძველზე შეუძლიათ ახალი ცოდნის აშენება, მიღებული ინფორმაციის (ცოდნის) დახარისხება, შედარება ადრე მიღებულ(არსებულთან), დასკვნების გამოტანა, დამოუკიდებელი აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება, რომლისთვისაც ეფექტურად ვიყენებთ გონებრივ იერიშს, როლურ თამაშებს, წყვილებში და ჯგუფურ მუშაობას, დისკუსიას.ქეისებით სწავლება, სიტუაციური ამოცანების განხილვა დილემებით სწავლება“. აღნიშნული მტკიცებულებები მაძლევს საფუძველს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საბაზო საფეხურზე საგან მოქალაქეობა, გეოგრაფია და ისტორია საგნობრივ კურიკულუმებში აგების პრინციპი მოცემულია თემატური დაგეგმვის მიხედვით, რაც საფუძველი ხდება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურების, კურიკულუმში დამუშავებულია ყველა თემა. ასევე ფიქსირდება კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით დაა.შ. დოკუმენტაციაში ვლინდება განხორციელებული კომპლექსური დავალება გეოგრაფიაში თემაზე: საქართველო - ბუნებრივი და საზოგადოებრივი სისტემები, მოსახლეობა და მეურნეობა, ქვეცნება: მეურნეობის სტრუქტურა; კერძო ცნება: მოპოვებითი და გადამუშავებითი მრეწველობა (პირველადი დარგები) მდგრადი განვითარება ქვეცნება: გარემო კერძო ცნება: გარემოს დაცვა, რესურსუზრუნველყოფა. საკითხი: ჭიათურის მანგანუმი. მოცემული სტრუქტურა კიდევ ერთხელ ადასტურებს კომპეტენციას კურიკულუმის ჩარჩოს სწორად და მიზნობრივად აგებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები მოსწავლეებს წინარე ცოდნის საფუძველზე შეუძლიათ ახალი ცოდნის აშენება, მიღებული ინფორმაციის (ცოდნის) დახარისხება, შედარება ადრე მიღებულ(არსებულთან), დასკვნების გამოტანა, დამოუკიდებელი აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება, რომლისთვისაც ეფექტურად ვიყენებთ გონებრივ იერიშს, როლურ თამაშებს, წყვილებში და ჯგუფურ მუშაობას, დისკუსიას.ქეისებით სწავლება,სიტუაციური ამოცანების განხილვა დილემებით სწავლება. საბაზო საფეხურზე ასევე პოპულარობით სარგებლობს კეთებით სწავლება, რა დროსაც მასწავლებლები ახორციელებენ ექსპერიმენტებს, სიმულაციებდასკვნების გამოტანა, დამოუკიდებელი აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება, რომლისთვისაც ეფექტურად ვიყენებთ გონებრივ იერიშს, როლურ თამაშებს, წყვილებში და ჯგუფურ მუშაობას, დისკუსიას.ქეისებით სწავლება,სიტუაციური ამოცანების განხილვა დილემებით სწავლება. საბაზო საფეხურზე ასევე პოპულარობით სარგებლობს კეთებით სწავლება, რა დროსაც მასწავლებლები ახორციელებენ ექსპერიმენტებს, სიმულაციებს. აქედან გამოდინარე შემიძლია ვთქვა, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სახელმწიფო ენა - კურიკულუმით გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდდება სწავლის სწავლაზე, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. ამას მოწმობს კურიკულუმები, რომელშიც მოემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, ამ სამუშაოს შესრულება კი მოითხხოვს სწავლის სტრატეგიების ცოდნასა და დაუფლებას, მაგალითად, კოგნიტური სქემების გამოყენება, დაგეგმვა, რეფლექსია... კათედრის სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია, კომპლექსური დავალებების პირობები, შეფასების რუბრიკები, განხორციელებული პროექტები და მასწავლებლებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- თვითშეფასების კითხვარითა და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. დავალებების/თემის შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და გამოცდილებას. ზეპირი ფორმით ხდება შესრულებული დავალებების თვითრეფლექსია მოსწავლეების მიერ, ყურადღების გამახვილება კომპლექსური დავალებების საკვანძო შეკითხვებზე, მათი ინდივიდუალური გამოცდილების გაზიარება და სამუშაო პროცესის დაგეგმვისას ამის გათვალისწინება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- გაანალიზებული აქვს რა სკოლას კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რასავ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები გვეუბნება, შეიძლება ვივიარაუდოთ, რომ სკოლა სრულად იცავს/ამართლებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ ძირითად კონცეფციას და მუშაობის პროცესი ისე მიჰყავთ, რომ მოსწავლეებს აფიქრებენ სწავლის სწავლაზე და შესაბამისად ეხმარებიან მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის თვითშეფასების ფორმიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური ხედვები, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. (აღნიშნულზე საუბრობდნენ მასწავლებლები გასაუბრებისას) სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ არსებული ფიზიკური თვისებების განვითარების, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის გამოვლინებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში დანერგვისა და გამოყენების საშუალებას აძლევს. პედაგოგმა გამოთქვა სამომავლოდაც მზაობა ამ პრინციპით მუშაობის გაგარძელებისა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კათედრის მიერ შერჩეული დავალებები ამაზე მიუთითებს. კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტს მეტად აკეთებენ სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე.სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან იკვეთება,რომ მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ხელშესაწყობად მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და ეხმარებიან სწავლის ეფექტური სტრატეგიების დაუფლებაში. ამ პროცესში იყენებენ გრაფიკული ორგანიზატორებს, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება არსებითი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნაში, მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამახსოვრებაში; მოვლენებსა და ფაქტებს შორის ურთიერთკავშირის დანახვაში; რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ამ სტრატეგიის ტრანსფერს სხვა მასალის დამუშავების დროს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

მიმართავენ სხვადასხვა მეთოდებს. მაგ. გამსვლელი ბარათები, მოსწავლის თვითშეფასება. მასწავლებელს მოსწავლეზე დაკვირვება შესაძლებლობას აძლევს გამოიკვლიოს თუ როგორი ფორმით შეუძლია ისწავლოს, ვიზუალური, კეთებით თუ სხვა რაიმე ფორმით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასწავლო პროცესი იგეგმება ისეთი სტრატეგიებით, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეს საკუთარი თავის შესწავლასა და თვითრეგულირებაში. კომპლექსური დავალებებით საგნობრივ ცოდნის მიღებასთან ერთად , ახორციელებენ ისეთ სტრატეგიებს, რომელიც მოსწავლეს ეხმარება ცოდნის კონსტრუირებასა და პრაქტიკაში გამოყენებაში. მეტაკოგნიციის წარმართვის საშუალებას იძლევა საგნობრივი კურიკულუმი დაგეგმილი პროცესით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლას ესმის რა არის სწავლის სწავლა, აქვთ მოყვანილი მაგალითები ნარატივის სახით. კურიკულუმით გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. ამას მოწმობს კურიკულუმები, რომელშიც მოემულია კომპლექსური დავალებების იდეები / პირობები. ამ სამუშაოს შესრულება კი მოითხოვს სწავლის სტრატეგიების ცოდნასა და დაუფლებას, მაგალითად, კოგნიტური სქემების გამოყენება, დაგეგმვა, რეფლექსია. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სახელმწიფო ენა - კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა თავის თავში გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობას. ასევე, ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები / პირობები, რომელთა განხორციელებაც მოითხოვს საკითხის დამუშავებას, ცოდნის დადასტურებას, სწავლის სტრატეგიების ფლობას, გარკვეული პროცედურების შესრულებას, პრობლემის გადაჭრას და ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსტთან დაკავშირებით შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. მოსწავლე გააცნობიერებს, რისთვის გამოადგება, რაც ისწავლა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაწებით საფეხურზე ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე, მოსწავლეებს ექნებათ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა, მაგალითად, პროექტები: მედიაწიგნიერება, დემოკრატიული პედაგოგიკა, მწვანე სახურავი, სადაც ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- თვითშეფასების კითხვარიდან და გასაუბრებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში შუალედურ სასწავლო მიზნებად ჩაშენებული კომპლექსური დავალებები ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას. დავალებათა პირობები გაწერილია იმგვარად, რომ მოსწავლეებს სძენს ფაქტობრივ ცოდნას ამა თუ იმ საკითხზე, აძლევს საშუალებას ეს ცოდნა წარმოაჩინონ დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულ აქტივობებში და კომპლექსური დავალების პროდუქტის შექმნისას განახორციელებენ მიღებული ცოდნის ტრანსფერს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მოსწავლისთვის მარტივად გასაგებად ფორმულირებული შუალედური მიზნები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

მოსწავლეებისათვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ნათელია და პედაგოგებთან გასაუბრებისას აისახა, რომ, საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და შესაბამისი უნარების განვითარებას. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებში ცოდნის მიღებას და განვითარებას მარტივიდან რთულისაკენ. საწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ დასაწყისაში მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს თემას, უხსნის თამაშის წესებს , შერჩეული თემის (სახეობის) ტექნიკურ ელემენტებს და უჩვენებს თვითონაც პრაქტიკულად, შემდგომ ამეორებინებს და თამაშში ჩართავს ნასწავლი ტექნიკის შესაბამისად ასათვისებლად. მათ მიერ აღწერილი სასწავლო პროცესი ჩანს წინა წლის გავლილ პრაქტიკაში განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებშიც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირებულობა ჩანს იმ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც მოცემულია საგნობრივ კურიკულუმებში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ ეფექტური სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეს სამი სახის ცოდნით უზრუნველყოფს: სტატიკური ანუ დეკლარაციული ცოდნით, დინამიკური ანუ პროცედურული ცოდნით, ფუნქციური ანუ ტრანსფერული ცოდნით. ტრანსფერული ცოდნა მოსწავლეს საშუალებას აძლევს, თავისი ცოდნა ადეკვატურად გამოიყენოს სხვადასხვა კონტექსტში. ხაზგასასმელია, რომ ტრანსფერი თავისთავად არ ხდება. საჭიროა სწავლების სპეციალური დაგეგმვა, ინტერაქციის, თანამშრომლობის და მრავალფეროვან დავალებათა არჩევანის შეთავაზება. სწორედ ამიტომ სკოლის მასწავლებლები გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და სასწავლო პროექტებს. ამას ადასტურებს ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლის დროსაც აღნიშნესრომ საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობენ სასწავლო პროექტებს STEM -ის და INTEL -ის მიმართულებით, რაც მათ ეხმარებათ ცოდნის პრაქტიკაში გადატანასა და ყოველდღიურობასთან დაკავშირებაში, შესასწავლი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში. აღწერეს რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს თემის დასრულების დროს ჰქონდეთ პასუხი კითხვაზე "რატომ ვისწავლე ეს თემა?", აღნიშნეს, რომ კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას. სკოლას ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით,საბაზო საფეხურის ყველა კლასის საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან და საგნობრივი კურიკულუმიდან საბაზო საფეხურზე ვლინდება მოსწავლეთა დავალებები, არაფორმალური აქტივობები, პროექტები და კომპლექსური დავავალებები, რომლებიც ეყრდნობა ცოდნის სამ კატეგორიას. კომპლექსური დავალების ყველა პროდუქტი (პოსტერები, ინტერვიუ, ბუკლეტები, წერილები, მოდელები, მაკეტები , ელ.რესურსები, წერილები, დღიურები, თხზულებები , ხელნაკეთი ნივთები) ეყრდნობა ცოდნის სამივე კატეგორიას. ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ თემები რომელიც სრულად არ არის სევსებული სექტემბრისთვის ყველა საკითხზე იქნება აგებული კომპლექსური დავალების იდეა და იქნება ყველა თემაში დამუშავებული ამის საფუძველზე ყველა ცნება. ასევე ყველა თემაზე იქნება შეფასების რუბრიკები შექმნილი. სკოლის მასწავლებლები გეგმავენ სასწავლო პროექტებს და სიმულაციებს, პროექტები მოსწავლეებს ეხმარება ტრანსფერის უნარის განვითარებასა და საკითხის სიღრმისეულად შესწავლაში, რაც საინტერესოს და სახალისოს ხდის სასწავლო პროცესს და ამაღლებს მოტივაციას. ასეთი მუშაობის პროცესი ხელს უწყობს დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის გამოყენების პირობების გააზრებას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

სხვადასხვა კონსტექსტში ტრანსფერის უნარის განვითარების შესაძლებლობას.ტრანსფერის უნარის განვითარებისთვის საუკეთესო საშუალებაა კომპლექსური დავალებები, რადგან ასეთი ტიპის დავალება არის შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც თავად მოსწავლე ქმნის. ამ დროს ისინი აქტიურად უყენებენ თითოეულ საგანში მიღებულ ცოდნას. საბაზო საფეხურზე მასწავლებელბი მოსწავლეებს სთავაზობენ სასწავლო პროექტებს STEM -ის და INTEL -ის მიმართულებით, რაც მათ ეხმარებათ ცოდნის პრაქტიკაში გადატანასა და ყოველდღიურობასთან დაკავშირებაში, შესასწავლი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მიმდინარე ბუნებისმეტყველების კურიკულუმი წარმოდგენილია მხოლოდ ცხრილი-ჩარჩოს სახით და ნაკლებად ჩანს ცოდნის სამი კატეგორიაზე გასვლა, თუმცა მატრიცებში, რომელიც ატვირთულია დოკუმენტებში და ინტერვიუში კარგად გამოჩნდა, რომ ესმით მე-3 თაობის ესგ-ს კონცეპტუალური საფუძვლები. ისინი ხელმძღვანელობენ მატიცის შაბლონებით და მასწავლებლის წიგნებიდან. ახალი კურიკულუმის ფორმაში კი აუცილებლად გააკეთებენ სამუშაო მატრიცებს, დიფერენცირებული და მრავალფეროვანი აქტივობებით გაწერილს, რათა მოსწავლემ შეძლოს ცოდნის აგება, გააზრება და განზოგადება. რჩევის სახით შემიძლია ვთქვა რომ შესაძლებელია საგნობრივ ანგარიშში აისახოს ვიმედნოვნებ, რომ სასწავლო პროცესი სწორედ ორიენტირებული იქნება ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სახელმწიფო ენა - საბაზო საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენი კურიკულუმის ჩარჩოში ასახული ინფორმაცია, განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, აღნიშნული კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. საგნობრივი კურიკულუმები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ეს ფაქტორები გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მუსიკისა და ქართული ენის მასწავლებლებმა მოაწყვეს ესეების კვირეული, რომელშიც ჩართული იყვნენ როგორც დაწყებითი, ასევე საბაზო საფეხურის მოსწავლეები. მათ ევალებოდათ გარკვეული მელოდიის მოსმენა და საკუთარ შთაბეჭდილებებსა და ჩანახატებზე დაყრდნობით უნდა შეექმნათ ესე. ასევე განახორციელეს სხვადასხვა პროექტი.
შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

მათემატიკა- მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ხელს უწყობენ მოსწავლეებს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში, ამაში ეხმარება ცნებების, წესის ერთობლივად ჩამოყალიბება, კონსტრუქტივისტული მიდგომით გაკვეთილების ჩატარება, დამაზუსტებელი კითხვებით ახალი საკითხის მოსწავლეების მიერ დამოუკიდებლად გააზრების წახალისება. საკითხის სწავლების საჭიროების გამოკვეთა, საგანთაშორის კავშირის დანახვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- იმ თემებზე და იმ კლასებში სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებები , მარტივია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებებს ახალ თემაზე გადასვლისთანავე , შესაბამისად ეს დაეხმარებათ მოსწავლეებს ცოდნათა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ორგანიზებაში, თუმცა ცოდნათა ურთიერთ დაკავშირების მხრივ უფრო მეტი სიცხადისთვის წარმოდგენილი უნდა იქნეს ინტეგრირებული კომპლექსური დავალების თუნდაც ერთი ნიმუში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნისთვის შედგენილი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.. მომდევნო სასწავლო წლისათვის, შერჩეულ თემებზე დაგეგმილი კომპლექსური დავალებების, სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში , თუკი წინა პრაქტიკის მსგავსად, თანმიმდევრულად და სწორად წარიმართება დაგეგმილი აქტივობები, ისე რომ, გაეცნობიან მოსწავლეები თემას, მასწავლებელი აუხსნის სახეობის წარმოშობის ისტირიას და წესებს, თანმიმდევრულად შეასწავლის ტექნიკური ელემენტებს და მერე მათ სრულყოფს და გააერთიანებს სახეობაში თამაშით, მაშინ შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში, რომლებიც სკოლამ საბაზო საფეხურზე წარმოადგინა, საგნობრივი კურიკულუმები სადაც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულები, აღნიშნული კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. კათედრას ეს ფაქტორები გათვალისწინებული აქვს საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე. ინტერვიუს დროს მუსიკის მასწავლებელმა აღნიშნა,რომ ითანამშრომლა ქართული ენის მასწავლებელთან და მოაწყო ესეების კვირეული. ეს კვირეული მოიცავდა 4-9კლასებს. მოსწავლეებს ევალებოდათ მოსმენილი მუსიკით, საკუთარი შთაბეჭდილებებსა და ჩანახატებზე დაყრდნობით შეექმნათ ესსე. VII კლასში, განახორციელეს სასწავლო ინტეგრირებული პროექტი ,,მწვანე სახურავი“ სადაც საგნების, ბიოლოგია, ფიზიკა, მათემატიკა, სხვითი და გამოყენებითი ხელოვნების ინტეგრირებაა. წარმოდნილი დოკუმენტების მიხედვით ესთეტიკური აღზრდის მიმართუებით, დაგეგმილი და განხორციელებული აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილები, სადაც ჩანს, რომ ინტეგრირება ლოგიკური და ბუნებრივია. ამ მიმართულებით სკოლას აქვს გამოცდილება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებებში საგნობრივ კურიკულუმებში თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ამ მიმართულებით ასევე საინტერესო პრაქტიკას გვაწვდის სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტები, სადაც ცოდნის წინაპირობას წარმოადგენს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს მიღებული ცოდნა. ასევე კურიკულუმში ჩანს საგანთა შორის ინტეგრაცია. სკოლა საბაზო საფეხურზე საზ.მეცნიერებებში მაქსიმალურად ცდილობს ინტეგრირებული გაკვეთილისთვის სწორად შეირჩეს საგაკვეთილო თემა. რაც ნიშნავს იმას, რომ არჩეულ თემას უნდა ჰქონდეს ყველა ინტეგრირებულ საგანთან შეხების წერტილი და ინტეგრირება იყოს ლოგიკური და ბუნებრივი. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

აბუნებისმეტყველო მეცნიერბები- საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საგნობრივ კურიკულუმებში თემატური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

დაგეგმვა და უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ამ მიმართულებით ასევე საინტერესო პრაქტიკას გვაწვდის სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტები, სადაც ცოდნის წინაპირობას წარმოადგენს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს მიღებული ცოდნა. ასევე კურიკულუმში ჩანს საგანთა შორის ინტეგრაცია. □აბუნებისმეტყველო კლუბიც ,, ახალგაზრდა მკვლევარები" ამის დასტურია. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- სტატუსუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.
- სასწავლო პროექტები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სახელმწიფო ენა - საბაზო საფეხურის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. გასათვალისწინებელია ის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

გარემოება, რომ კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებული კრიტერიუმები კორელაციაში იყოს ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, სასურველია, უფრო დეტალურად ჩაიშალოს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ სრულყოფენ კურიკულუმის ჩარჩოს, რათა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს მოსწავლემ შეძლოს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. კურიკულუმის მიხედვით მოსწავლეები შექმნიან ისეთი პროდუქტს, როგორიცაა: წარმოსახვითი ინტერვიუ პერსონაჟთან, ნაწარმოებში წარმოდგენილი და თანამედროვე ეპოქათა დაკავშირება (მე-9 კლ. კურიკულუმი), პერსონაჟის პოზიციიდან მოვლენების შეფასება, სიმულაცია(მე-7 კლ. კურიკულუმი), ესეს შექმნა. ასე რომ, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- თვითშეფასების კითხვარისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით - მიმდინარე სასწავლო წელს მათემატიკაში განახორციელეს 1-2 კომპლექსური დავალება, შესაბამისად აქცენტი გაკეთდა მკვიდრ წარმოდგენებზე. პედაგოგები ორიენტირებული არიან,, რომ თემის ფარგლებში საკითხებზე დაყრდნობით გაითავისონ მოსწავლეებმა სამიზნე ცნება და მკვიდრი წარმოდგენები. 2023-2024 სასწავლო წლიდან შუალედური სასწავლო მიზნები მკაფიოდ იქნება განსაზღვრული გრძელვადიან (საფეხურის) სასწავლო მიზნებზე. 2023-2024 სასწავლო წლისთვის კურიკულუმის ჩარჩოები მესამე თაობის ესგ სტანდარტის შესაბამისად არის შემუშავებული, ასევე შემუშავდება შეფასების რუბრიკები, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება გაითავისოს სამიზნე ცნება და მისი მკვიდრი წარმოდგენები საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. განსაკუთრებით IX კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მკაფიოდაა გამახვილებული ყურადღება შუალედური სასწავლო მიზნების მიზანმიმართულ დაგეგმარება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- წარმოდგენილია რა მესამე თაობის ე.ს.გ. გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი შუალედური მიზნები უცხოურ ენებისთვის,შესაბამისად შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოუყალიბოს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან(შედეგებისა და სამიზნე ცნებების) მიმართებით.მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- გასაუბრებით ჩანს და შედგენილი კურიკულუმებიც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსღი წესი) და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან თემას, მისი წარმოშობის ისტორიასა და თამაშის წესებს, თემის ფარგლებში საგნობრივ საკითხებს, დავალების პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი გათვალისწინებულია სამიზნე ცნებეზე სამუშაოდ. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც როგორც შუალედური მიზანი ,მიემართება გრძელვადიან ორიენტირებს. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ სამომავლოდ შეავსებენ კურიკულუმის ჩარჩოს სრულყოფილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

კომპლექსური დავალებებით. მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული დავალებებითა და აქტივობებით შეძლებენ მოსწავლეები სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ ჭრილში. სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლოდ მზაობა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული კომპლექსური დავალებების მატრიცის ჩარჩოები საგანი საზოგადოებრივ მეცნიერებებშიმკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- კურიკულუმებში (საკითხი ,კონტექსტ-მაგალითი, იდეა, კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან გამომდინარეობს, თუმცა არის უფრო ზედაპირული. არჩეული კომპლექსური დავლება სასურველია ჩაიშალოს უფრო დეტალურად. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი აქტივობების რესურსებიდან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. კითხვარში აღნიშნულია და კურიკულუმიც ადასტურებს, რომ საბაზო საფეხურზე მასწავლებელბი სთავაზობენ ისეთ კომპლექსურ დავალებებს, როგორიცაა შექმენი კომიქსი წაკითხული ტექსტის მიხედვით და შენი ინტერპრეტაციით, საყვარელ საქმიანობაზე, ცხოველზე ბუნებრივ მოვლენაზე პოსტერის შექმნა, ილუსტრირებული მოთხრობის შედგენა, წერილის დაწერა და სხვა. აქედან გამოდინარე შემიძლია ვთქვა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სახელმწიფო ენა - საბაზო საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს, ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა; სასწავლო პროცესის გარდა კათედრა/სკოლა ზრუნავს მოსწავლის სოციალურ-კულტურულ განვითარებაზე, ამაზე მიგვანიშნებს მათ მიერ განხორციელებული არაფორმალური აქტივობები, პროექტები (დანართი № 42, 43, 44,) **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა - მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მოსწავლეებს სთავაზობენ კომპლექსურ დავალებებს ისეთ თემებზე, რომლებიც მათ პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა - ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი უხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოებში დამუშავებულია ე.ს.გ. უცხოური ენების სტანდარტით გათვალისწინებული თემატური ბლოკებში შემოთავაზებული თემები, რომელთა უმეტესობა მუშავდება ავთენტური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შინაარსის მქონე შუალედური მიზნებში/კომპლექსური შინაარსის დავალებებში, რომელბიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;, მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტივობები და რესურსები, (ასევეე კურიკულუმში თანდართული ჰიპერლინკები, სადაც წარმოდგენილია სპორტის შესაბამისი სახეობის წარმოშობის ისტორია), კურილულემებში გაწერილ თემების მიხედვით, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პრეზენტაციები სხვადასხვა თემაზე, დაგეგმილი სასკოლო თუ სკოლის გარე არაფორმალური მიმაღთულებით პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ კეთილდღეობას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - ესთეტიკური კათედრის საგნობრივ კურიკულუმში საკითხები იმგვარადააა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლების სხვადასხვა მეთოდს: აუდიო ჩანაწერების მოსმენას, ფილმების ჩვენებას, რის შედეგადაც მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება. კონტექსტები ემსახურება მოსწავლის სხვადასხვა მიმართულებით განვითარებას, პირველ რიგში ხდება მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარება, სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება. სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა გაწერილი ,,სადამრიგებლო საათი ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს“ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ განხორციელებული აქვთ პროექტები, რომელიც სწორედ ამ მიზნებს ემსახურება. გარდა ამისა, სასწავლო პროცესში იყენებენ დიაგრამებს, ცხრილებს, სქემებს, სურათებს, ილუსტრაციებს, როლურ თამაშებს, პრეზენტაციებს, ვიდეო და აუდიო ჩანაწერებს, რაც ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებასა და მისი ინტერესების განსაზღვრაში,რომლებიც საბოლოოდ ხელს უწყობენ მოსწავლის პიროვნულ-სოციალურ განვითარებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- არაფორმალური განათლება, პროექტული სწავლება, პრიორიტეტულ თემებზე მაგ:ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, რომელიც აქტიურად ხორციელდება სკოლაში ავითარებს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს; ხდება იდენტობის განვითარება; საზოგადოებრივ მეცნიერებებში საბაზო საფეხურზე კურიკულუმებში შედეგები და მისი ინდიკატორები ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; აქტივობების და მეთოდის საშუალებით ხელშეწყობა ხდება მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარების მრავალფეროვანი აქტივობების (პროექტები, დისკუსია, ინტერვიუ, პოდკასტი, რეპორტაჟი, პოსტერი, პოსტქარდი, კლასის საათი, საჯარო გამოსვლა) სახით. სკოლაში ფორმალურ განათლებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებას. სკოლაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი, მეწარმეობისა და იდეების , სპორტული კლუბები. კლუბები ახორციელებენ სოციალურ პროექტებს, ტარდება ღონისძიებები მდგრადი განვითარების მიზნით. განხორციელდა პროექტი ,,დემოკრატიული პედაგოგიკა“; სასწავლო პროექტი რა უყვართ ჭიანჭველებს, ქაღალდის შექმნა, მწვანე სახურავი. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მასწავლებლები საგაკვეთილო თუ არაფორმალურ გარემოში ცდილობენ დაეხმარონ მოსწავლეებს საკუთარი თავის შეცნობაში ასაკის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით, როლური თამაშების განხორციელებით, თანამშრომლობითი მიდგომების დანერგვით. ხშირად იყენებენ შექებას და პოზიტიურ განწყობას უქმნიან მოსწავლეებს სწავლისა და შემეცნების პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სადამრიგებლო პროექტების საშუალებით მასწავლებლები ცდილობენ ყურადღება მიაქციონ მოსწავლის დამოკიდებულებას განსხვავებული ადამიანებისა და მოვლენების მიმართ, წაახალისებენ განსხვავების მიმართ შემწყნარებლობას და მეტ ინფორმაციას აწვდიან ბავშვთა უფლებების შესახებ(ვიდეო რგოლების და პრეზენტაციების გამოყენებით) სიმულაციებით და როლური თამაშებით აჩვენებენ კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისა და ემოციების მართვის დადებით მაგალითს. (პროექტი- დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა კომპლექსური დავალებების დანერგვის გზით სამივე საფეხურზე“) მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ეს საკითხები ესმით, გააზრებული აქვთ და მომავალი სასწავლო წლის საგნობრივ მატრიცებში აუცილებლად გაითვალისწინებენ. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სახელმწიფო ენა - საბაზო საფეხურის სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები წინაპირობაა მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების. მოსწავლეთა საჭიროებების დაგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას. ასევე სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ. კათედრის წევრები სასწავლო წლის დასაწყისში ქმნიან და იყენებენ სხვადასხვა შეფასების რუბრიკებს და აფასებენ მოსწავლეებს. ეს შეფასებისს რუბრიკები დამტკიცებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. ასე რომ, შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა - თვითშეფასების კითხვარიდან ჩანს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- სასკოლო კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას კერძოდ, მოსწავლის შეფასების მიზნით წარმოდგენილია სანიმუშო შეფასების რუბრიკები,(ძველი) თუმცა ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას სამიზნე ცნებების მიხედვით, რომელიც ვალიდური იქნება მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის მიერ შექმილი და წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნისთვის, თემების მიხედვით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტით გაწერილ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან და გათვლილია მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებაზე, პედაგოგების თქმით, ისინი განმავითარებელი რუბრიკების პარალელურად, ხშირად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარებს და მყისიერ უკუკავშირს აქტივობებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, კერძოდ: სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

სასკოლო შეფასების პრინციპები. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათ შორის მოსწავლეთა შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს და მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ ახალი გამოწვევის შესაბამისად ისეთი რუბრიკების შექმნას, სადაც მოსწავლეები საკუთარ ცოდნაზე იფიქრებენ, თავად იქნება საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში შეუწყობს ხელს. ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით მასწავლებელი აქტიურად გამოიყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. სკოლის თვითშეფასების ფორმაში იკითხება,რომ სკოლაში განხორციელდა პროექტი ,,დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა კომპლექსური დავალებების დანერგვის გზით სამივე საფეხურზე“. აღნიშნული პროექტის მიზნები იყო სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებზე მორგებული კომპლექსური დავალებებისა და ამ კომპლექსური დავალებებისთვის შეფასების რუბრიკების შექმნა. პროექტის ფარგლებშ შეიქმნა მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები რომელსაც სკოლა დღემდე იყენებს. ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით დამამტკიცებელ დოკუმენტად წარმოდგენილი აქვთ, როგორც განმავითარებელი,ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლის მიერ მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ შეფასების ფორმების მრავალფეროვნებაა: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, წარმოდგენა, წერითი ნაშრომი არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ. ასევე შერჩეული და შექმნილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. საზ.მეცნიერებებში კურიკულუმის ჩარჩოში და სასკოლო სასწავლო გეგმაში, თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ - კომპონენტური უნარების განვითარება: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების წინაპირობას. სკოლაში შემუშავებულია შეფასების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ყველა მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და პროგრესს. სსსმ მოსწავლისთვის იქმნება ე.ს.გ.-ზე დაფუძნებული ინდ გეგმები, რომელთა მონიტორინგი პერიოდულად ხორციელდება.შედეგები ორიენტირებულია ბავშვის წინსვლაზე, რაც მიზნად ისახავს მოსწავლის აკადემიური, კოგნიტური, სოციალური, ქცევითი , ემოციური , მოტორული უნარების განვითარებისათვის საჭიროებების დადგენას მოსწავლეთა პროგრესის უზრუნველყოფისათვის. 2019 -2020 წასწავლო წელს სკოლაში დაიგეგმა და განხორციელდა პროექტი ,,დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა კომპლექსური დავალებების დანერგვის გზით სამივე საფეხურზე“. აღნიშნიშნული პროექტის მიზნები იყო მიზანზე და სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებზე მორგებული კომპლექსური დავალებების შექმნა, სხვადასხვა ტიპის კომპლექსური დავალებებისთვის შეფასების რუბრიკების შექმნა და დავალებების ანალიზი, კომპლექსური დავალებების და რუბრიკების ბანკის შექმნა და თანამშრომლობის გზით სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარება. პროექტის ფარგლებში შეიქმნა მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები და შეფასების რუბრიკები რომელსაც სკოლა დღემდე იყენებს. პროექტი ბოლოს ჩატარდა შემაჯამებელი კონფერენცია და სტენდური გამოფენა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლამ განახორციელა სასკოლო პროექტი ,,დემოკრატიული კომპეტენციების განვითარება მრავალფეროვანი შემაჯამებელი კომპლექსური დავალებები, პროექტის ფარგლებში კათედრებზე შეიქმნა მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკები და ამ რუბრიკების გამოყენება დღესაც მიმდინარეობს, თუმცა საბუნებისმეტყველო საგნების კუთხით უფრო მეტი სამუშაოა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სახელმწიფო ენა - მომავალი სასწავლო წლისათვის კათედრა გეგმავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას, მასწავლებლებმა შეიმუშავეს შეფასების მეთოდოლოგია, შეფასების კრიტერიუმები, გაითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, გამოკვეთენ, რომელ სასწავლო შედეგს მიემართება შეფასება, შესაბამისად, შეფასება იქნება ვალიდური. მოსწავლეებს ეცოდინებათ, თუ როგორ შეფასდება მათი ცოდნა. მათ აქვთ გამოცდილება და მზაობა. შეფასება იქნება გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. თითოეული უკუკავშირი იქნება რეალისტური, დახვეწილი, მკაფიო და სანდო. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლის დონეზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; მოსწავლეები შეფასებამდე იცნობენ შეფასების რუბრიკებს, განმსაზღვრელი შეფასების დროს მკაფიოდ ხდება კრიტერიუმების განსაზღვრა, რომ მოსწავლეს არ ჰქონდეს უსამართლობის განცდა. ამ ეტაპზე სკოლა იყენებს განსაზღვრელ და განმავიტარებელ შეფასებების რუბრიკებს, განმავითარებელი შეფასება ზეპირი უკუკავშირის ფორმით ხდება, მაგრამ განმსაზღვრელი შეფასებისთვის კათედრის ფარგლებში შემუშავებულია რუბრიკები, რომელიც შეესაბამება სტანდარტის შედეგებს, თუმცა დახვეწას საჭიროებს მესამე თაობის ესგ-თან შესაბამისობისთვის. 2023 წლის სექტემბრამდე იგეგმება ყველა თემაზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შემუშავება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- სკოლას წარმოდგენილი აქვს სანიმუშო განსმაზღვრელი შეფასები რუბრიკა საბაზო საფეხურზე. მათთან ინტერვიუ დეტალურ სურათს გვაწვდის, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას ამავე საგნის შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით, რომელიც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ იმ კონკრეტული საკითხთა კლასტერისთვის, რომელსაც ის ერთვის თან შეფასება არის ვალიდური, სანდო, რაც შეეხება შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამაზე ინფორმაციას ამ ეტაპზე სკოლა ვერ გვაწვდის, თუმცა შექმნილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების დოკუმენტი, რომელსაც გამოიყენებს 2023-2024 სასწავლო წლიდან.. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- მასწავლებლები ფლობენ და იყენებენ პრაქტიკაში შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს. გასაუბრების დროს გამოიკვეთა (და თვითშეფასების ფორმაც ადასტურებს), რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდასა და სპორტში შეფასების სისტემის დახვეწა და მორგება, ისე, რომ ის სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუდან ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი ზეპირი კომენტარი თუ შეფასების რუბრიკა და მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან, თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. ამ ეტაპზე სკოლას ნიმუშად აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სწავლების გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით; თუმცა მეტი ვალიდურობისა და სანდოობისთვის ერთობლივად გეგმავენ შეიმუშაონ საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით კონკრეტული თემების შესაბამისი და ესგ-ს შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს (შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ბარათები, სიტყვიერი განმავითარებელი კომენტარი, მყისიერი უკუკავშირი)“ სკოლას აქვს სწორი ხედვა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ სასწავლო პროცესში სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. შეფასება ხდება სისტემატიურად. კათედრებზე შემუშავებულ შეფასების რუბრიკებში ჩაშლილია შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც გამოკრულია კლასში თვალსაჩინო ადგილზე, მოსწავლეებმა იციან რა კრიტერიუმებით ფასდებიან, რუბრიკები ხელმისაწვდომია მშობლებისათვის და დაინტერესებული პირებისათვის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- მოწოდებული მასალებიდან და ინტერვიუს დროს დასმული პრაქტიკული ტიპის კითხვებიდან ირკვევა რომ შეთანხმებული და გაზიარებული შეფასების ხედვაა სასკოლო საზოგადოების მხრიდან, ხდება მოსწავლეების ჩართულობა შეფასების დიზაინის შემუშავებაში, შეფასების მიზნობრიობას ვალიდურობას ექცევა კათედრაზე მუშაობით დიდი ყურადღება. სკოლას შერჩეული აქვს სამივე საგანში სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რომლის საფუძველზეც შეფასდება გრძელვადიანი სამიზნე ცნებების დამუშავების პროცესი, რაც შეფასების სისტემას კიდევ უფრო სანდოს, გამჭვირვალეს, ობიექტურსა და სამართლიანს ხდის სკოლის ბაზაზე. კათედრებზე შემუშავებულ შეფასების რუბრიკებში ჩაშლილია შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც გამოკრულია კლასში თვალსაჩინო ადგილზე, მოსწავლეებმა იციან რა კრიტერიუმებით ფასდებიან , რუბრიკები ხელმისაწვდომია მშობლებისათვის და დაინტერესებული პირებისათვის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- ქოუჩინგის დროს მათ შექმნეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები კურიკულუმის მიხედვით განხორციელებული კომპლექსური დავალების ფარგლებში შეფასების ნიმუში სოლო ტაქსონომიის მიხედვით. მოსწავლისათვის უფრო მეტად სანდო, გაჭვირვალე და ობიქტური შეფასების სისტემის შექმნის მიზნით წლის დასაწყისში მასწავლებლები მათ წინასწარ აცნობენ შეფასების რუბრიკებს, გაკვეთილის დაწყებისას მასწავლებლები საუბრობენ კონკრეტული გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმებზე, მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის; არის შემთხვევები როდესაც პედაგოგები თავად ქმნიან რუბრიკებს საჭიროებებიდან გამომდინარე. მაგალითად ასეთია პოსტერის შეფასების რუბრიკა, პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა. საბაზო საფეხურზე მოსწავლის განვითარების შეფასება, მაქსიმალურად უზრუნველყოფს შეფასების ყველა პრინციპის დაცვას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სახელმწიფო ენა - სსიპ ქალაქ საჩხერის შოთა რუსთაველის სახელობის №3 საჯარო სკოლა იყენებს მოსწავლეთა შეფასების ობიექტურობის ხარისხის გაკონტროლების სხვადასხვა მექანიზმს: მოსწავლეთა შეფასების შედეგები მუდმივად განიხილება დირექციასა და პედაგოგთა რეგულარულ შეხვედრებზე; პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ მიღწევებს და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს; ყოველი სემესტრის დასრულებისას პედაგოგები ასევე აანალიზებენ შემაჯამებელი დავალებების შედეგებს. თვითშეფასების ფორმაში ასევე ვკითხულობთ, რომ პედაგოგები პერიოდულად ხვდებიან მშობლებს და მათგან იღებენ უკუკავშირს სკოლაში არსებული შეფასების სისტემის ეფექტურობისა და ხარვეზების შესახებ და ითვალისწინებენ პრაქტიკაში. სკოლას შემუშავებული აქვს განმავითარებელი შეფასების სპეციალური ფორმა, რომელიც შევსებული ინახება მოსწავლის პირად საქმეში. სკოლაში შემუშავებული აქვთ შიდა ვერიფიკაციის სისტემა, რომელიც ითვალსიწინებს სხვადასხვა მექანიზმს, მათ შორის სემესტრულ გამოცდას. გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კათედრა გეგმავს, მომავალი სასწავლო წლისათვის ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწას, მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნამუშევრების გაანალიზებას, მოსწავლეთა და მასწავლებელთა პორტფოლიოების შექმნას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- ინტერვიუს დროს მათემატიკის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხდება კათედრების დონეზე, ამ ეტაპზე შეფასების რუბრიკები გამოიყენებოდა პედაგოგების მიერ გაწერილი, კონკრეტული საკითხების ერთობლიობაზე მორგებული, რიგ შემთხვევაში თემის ფარგლებშიც. ავტორიზაციის განაცხადის შევსების პერიოდში, 2023 წლის სექტემბრამდე იგეგმება ყველა თემაზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შემუშავება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- დაწესებულებამ შექმნა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია თუ როგორ განახორციელებს სკოლა შეფასების სისტემის ვერიფიკაციას 2023-2024 სასწავლო წლისათვის. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელების შემდგომ, ვერიფიკაციის ჯგუფი განიხილავს ჩატარებული პროცესის დადებით და უარყოფით მხარეებს და მოამზადებს დასკვნას. ჯგუფი დასკვნაში ნათლად ასახავს რამდენად იყო/არ იყო მოსწავლის შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. დასკვნის განხილვისა და ანალიზის შედეგად ჩართულმა მხარეებმა უნდა შეიმუშაონ პრობლემების აღმოფხვრის გზები, რომელიც ასევე შესაძლოა ვერიფიკაციის დასკვნაში რეკომენდაციების სახით იყოს ჩაწერილი. ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი მომზადებულ დასკვნას წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად ნათელია და სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივშიც ჩანს, რომ ვერიფიკაციის მექანიზმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები აქციოს წერილობით დოკუმენტადაც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სკოლის დირექტორი, კათედრები და სასკოლო საზოგადოება სათანადოდაა ჩართული შეფასების სისტემის შექმნასა და მის მონიტორინგში. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). დეტალურადაა გაწერილი თუ როგორ ხდება ვერიფიკაციის პროცესი, შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, ვალიდაციის წესი და პროცედურა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლის დოკუმენტაციიდან ვლინდება მოწესრიგებული შეფასების სისტემა, წარმოდგენილია შეფასების ზოგადი და კონკრეტული რუბრიკები საზ.მეცნიერებების სხვადასხვა საგნობრივ დისციპლინაში. ინტერვიუს დროს აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ ხდება ეტაპობრივად შეფასების სისტემის რეფლექსია. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მასწავლებლის რეფლექსია შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, რომელიც ეფუძნება სტანდარტს და მიღწეული შედეგების ანალიზს. ეს პროცესი მოსწავლეთა ჩართულობით მიმდინარეობს სკოლაში. წარმოდგენილია მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა ტიპის და ფორმატის ნაშრომები, პროდუქტები და თვითშეფასების ინსტრუმენტები. აღნიშნული მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს შეფასების სისტემის რეგულაციაში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კითხვარში მითითებულია, რომ ,, ვერიფიკაცია არის სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. სკოლა იყენებს მოსწავლეთა შეფასების ობიექტურობის ხარისხი გაკონტროლების შემდეგ მექნიზმებს: მოსწავლეთა შეფასების შედეგები მუდმივად განიხილება დირექციასა და პედაგოგთა რეგულარულ შეხვედრებზე; პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს; ყოველი სემესტრის დასრულებისას, პედაგოგები აკეთებენ შემაჯამებელი დავალების ანალიზს. სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სახელმწიფო ენა - სკოლაში ელექტრონული ჟურნალის საშუალებით ხდება მოსწავლეების აღრიცხვა და შეფასება, მშობლებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება, ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისათვის განკუთვნილი დავალების თვალყურის მიდევნება, შვილის შეფასებისა და დასწრების სტატისტიკური ინფორმაციის მიღება. ყოველი წლის ბოლოს იწერება ბრძანებები კლასის დაძლევასთან დაკავშირებით, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მთკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- ელექტრონული ფორმატით ხდება შეფასება და მონაცემები ინახება ბაზაში. რაც შეეხება მოსწავლეთა ნამუშევრებს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შენახულია მიმდინარე წლის ნამუშევრები, თუმცა მომდევნო ეტაპისთვის უზრუნველყოფილი იქნება მტკიცებულებების აღრიცხვა სათანადო აღრიცხვისა და შენახვის წესის შესაბამისად. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- სკოლის მიერ შევსებული ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარი . სკოლაში შეფასების სათანადო აღრიცხვა ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. ელექტრონული ჟურნალი მასწავლებლებს, მშობლებს და მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროცესის მართვას უმარტივებს, რადგანაც მისი საშუალებით შესაძლებელია: • მოსწავლეების ელექტრონული აღრიცხვა და შეფასება • მშობლებისთვის საჭირო ინფორმაციის დროული მიწოდება • სკოლის ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების ჩანიშვნა • მოსწავლეების შეფასებისა და დასწრების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღება • მოსწავლის შესახებ მშობელსა და მასწავლებელს შორის ინფორმაციის მყისიერი მიმოცვლა • სკოლის ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების თვალყურის მიდევნება • შვილის შეფასებისა და დასწრების შესახებ. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- საბაზო საფეხურზე წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის მატერიალურად ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ: "სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური განმავითარებელი შეფასების ფორმა. როგორც წლიური, ასევე საფეხურის ნიშნები და საგნის მასწავლებლების ანალიზის საქმის მწარმოებლისთვის მიწოდებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

უზრუნველყოფს დამრიგებლი. აღნიშნული ფორმები ინახება ერთ ბაინდერში სკოლის დირექტორთან. ყოველი წლის ბოლოს იწერება ბრძანებები კლასის დაძლევასთან დაკავშირებით დამრიგებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით". **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციებს. მოსწავლეთა პირადი საქმეების და მათი შეფასებების შენახვის წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. დოკუმენტაციაში არის წარმოდგენილი მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების მათი შენახვის წესი ონლაინ ფორმატში; სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებისა და მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლაში შეფასების სათანადო აღრიცხვა ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. ელექტრონული ჟურნალი მასწავლებლებს, მშობლებს და მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროცესის მართვას უმარტივებს, რადგანაც მისი საშუალებით შესაძლებელია:

- მოსწავლეების ელექტრონული აღრიცხვა და შეფასება
- მშობლებისთვის საჭირო ინფორმაციის დროული მიწოდება
- სკოლის ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების ჩანიშვნა
- მოსწავლეების შეფასებისა და დასწრების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღება
- მოსწავლის შესახებ მშობელსა და მასწავლებელს შორის ინფორმაციის მყისიერი მიმოცვლა
- სკოლის ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების თვალყურის მიდევნება
- შვილის შეფასებისა და დასწრების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღება

ასევე სკოლა მიუთითებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების / ინფორმაციის / მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების / ინფორმაციის / მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- სტატუსუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.
- სასწავლო პროექტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- ბრძანება 2-41 10.07.2023 წ. (ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ).

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სახელმწიფო ენა - სასკოლო კურიკულუმი შექმნილია სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. დიფერენცირებული, მიდგომები, გაზიარებები, სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობას სასწავლო პროცესში, არაფორმალური აქტივობები, სასკოლო პროექტები, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ ქალაქ საჩხერის შოთა რუსთაველის სახელობის №3 საჯარო სკოლას შორის (დანართი №7) განაპირობებს სკოლაში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს ჩამოყალიბებას. საუბრის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო ცხოვრების პროცესები მიმდინარეობს თანამშრომლობით, კეთილგანწყობილი გარემო იქმნება ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობებით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; სასკოლო საზოგადოებას აქვს გამომხატველობის შესაძლებლობა და ქმნიან ნაყოფიერ სივრცეს თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციისთვის სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. ამის დასტურია კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობა, მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლისა და მასწავლებლის თანამშრომლობითი ურთიერთობები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- სკოლა ცდილობს უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი როგორც საკლასო, ისე სკოლის დონეზე. მასწავლებელები გამოხატავენ ადევატურ პატივისცემას მოსწავლეების მიმართ, მასწავლებლები უსმენენ მოსწავლეებს და აწვდიან დროულ უკუკავშირს.ინტერვიუში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ყველა პედაგოგი იყენებს სწავლის ხარისხის დონის ასამაღლებელ შეფასებებს, მიმართავენ ეფექტურ უკუკავშირს, რომელიც დაფუძნებულია მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენაზე. ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში სასკოლო კურიკულუმში სკოლას აქვს განხორციელებული არაფორმალური კუთხით სხვადასხვა პროექტები, რომელიც დაფუძნებულია თანამშრობლობითი და პოზიტიური გარემოს შექმნაზე. სკოლაში განხორციელდა პროექტი ,,დემოკრატიული პედაგოგიკა“, რომელიც მოიცავს კლასების დონეზე სხვადასხვა პროექტებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა სა სპორტი- ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთან ინტერვიუს გათვალისწინებით და სკოლის განვითარების გეგმის ნარატივიდან, ნათელია, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის პოზიტიური, მხარდამჭერი და მიმღებლობითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გარემოს შექმნას. ითვალისწინებს მათ სურვილებს და ინტერესებს. დასაგეგმი ღონისძიებებისას სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში პოზიტიური, თანამშრომლობითი და მიმღებლობითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ სასკოლო საზოგადოება გეგმავს შეიმუშავოს ახალი , მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან იკითხება, რომ სკოლა ცდილობს ისეთი გარემოს შექმნას სადაც ურთიერთობები დაფუძნებულია ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე, რაც უპირველეს ყოვლისა დიდ გავლენას ახდენს სასწავლო გარემოზე. სკოლა ცდილობს უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი როგორც საკლასო, ისე სკოლის დონეზე. მასწავლებელები გამოხატავენ ადეკვატურ პატივისცემას მოსწავლეების მიმართ, მასწავლებლები უსმენენ მოსწავლეებს და აწვდიან დროულ უკუკავშირს. კლასებში ტარდება სადამრიგებლო სააათი, სადაც აქცენტი კეთედება ბავშვთა უფლებებსა და მოვალეობებზე სკოლაში და მის გარეთ. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლის ხედვა: „სკოლაში ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ყველა მოსწავლე შეძლებს ცოდნის შეძენას.“ სკოლას შემუშავებული აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი. ხოლო ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით მასწავლებელთან ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, მასწავლებლები ერთობლივად თანამშრომლობენ, ცვლიან საკუთარ მიგნებებს, იყენებენ დიფერენცირებული მიდგომებს. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროექტებში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მასალებში ვლინდება თითოეული მოსწავლისთვის თვითრეალიზებისთვის ხელშემწყობი გარემო; შექმნილი კურიკულუმი საზ.მეცნიერებების მიმართულებით იძლევა საშუალებას გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებისას; სკოლის ბაზაზე არსებობს სხვადასხვა დოკუმენტი კათედრაზე განხორციელებული აქტივობების, რომელიც ადასტურებს რომ სასკოლო საზოგაოდების წევრებს შორის (მოსწავლე და მასწავლებელი, კათედრის წევრები, მასწავლებლები და სკოლის დირექცია) არსებობს თანამსრომლობითი გარემო. აღნიშნულ დებულებას ადასტურებს სკოლის მისია და ხედვა, რომელიც არის მოსწავლეზე ორიენტირებული; ასევე სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, რომლებიც აძლევს საშუალებას მოსწვალეებს პიროვნული ზრდისთვის; ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, მათ შესაძლებელობებს და ქმნის სივრცეს მათი პოტენციალის რეალიზებისთვის; ასევე ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის; ვლინდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მონაწილეობა სკოლის განვითარებაში, რომელიც ეფუძნება გაზიარებულ პასუხისმგებლობას; მასწავლებელებს შორის ხდება: თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა წამყვანი პრიორიტეტებია მათი საქმიანობის პროცესში. ისინი სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწვალეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე. სასკოლო ცხოვრების თანამშრომლობითი პროცესი, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით და რეფლექსიით მიმღებლობის და ღიაობის მტკიცებულებაა. სკოლა ზრუნავს თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ამისათვის კი იყენებს კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, ხელს უწყობს და ახალისებს თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და ქმნის ეფექტურ გარემოს მოსწვალეთა პოტენციალის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

რეალიზებისთვის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის 2023- 2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში სკოლის ხედვის ნაწილშია აღნიშნული რომ მოსწავლემ განათლება მიიღოს უსაფრთხო, დემოკრატიულ, თავისუფალ გარემოში, ასევე იმავე დოკუმენტშია აღნიშნული, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას, ასევე როგორც სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაშია აღნიშნული სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა და დასახუალია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი აქტივობები. სკოლაში განხორციელდა პროექტი ,,დემოკრატიული პედაგოგიკა“, რომელიც მოიცავს კლასების დონეზე სხვადასხვა პროექტებს სამივე საფეხურზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სახელმწიფო ენა - სწავლების საბაზო საფეხურის წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. გასაუბრებისას დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ერთობლივად მუშაობენ თითოეული მოსწავლის საჭიროებებისა და ინტერესების გამოსავლენად. ხშირად ახორციელებენ სხვადასხვა პროექტს, რომლებიც ასევე უწყობს ხელს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა - თვითშეფასების კითხვარისა და მასწავლებლების ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს. ძირითად შემთხვევაში ერთობლივად არჩევენ კომპლექსურ დავალებას, ითვალისწინებენ მშობლების ზეპირ უკუკავშირს /მოსაზრებებს, თუმცა ამას არ აქვს გარკვეული ფორმა. მომდევნო სასწავლო წლისთვის იგეგმება კომპლექსური დავალებები შეირჩეს მოსწავლეების მიერ - მოსწავლეები შეარჩევენ თუ რომელ თემაზე ისურვებენ კომპლექსური დავალებების განხორციელებას, მათი სურვილიდან გამომდინარე ჩაერთვებიან ამ პროცესში მშობლებიც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- წარმოდგენილი კურიკულუმებით თვალსაჩინოა, რომ მასწავლებლები ცდილობენ პროცესი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული, რაც გამოიხატება იმაში, რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას სთავაზობენ არჩევანს თუ რა ფორმით წარადგინონ დავალება. საშინაო დავალებების მიცემის დროს მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით დავალებებს. საგაკვეთილო პროცესის დროს გათვალისწინებულია სამივე დასწავლის სტილი. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- საჩხერის # 3 საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელშიც ასახულია მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემო. . ფიზიკური აღზრდის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული მათთვის საინტერესო და სასურველ თემებსა თუ სხვადასხვას სახის სპორტულ სასკოლო თუ არაფორმალური განათლების სხვადასხვა ღონისძიებებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებზეა მორგებული და ისინი აღწევენ კიდეც წარმატებებს სპორტის სახეობებში ინტერესის მიხედვით. მაალითად წელს ამ სსკოლის მოსწავლეთა ფეხბურთის გუნდი, ცემპიონი გახდა ქვეყნის მაშტაბით. ამას ადასტურებს სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ფოტო მასალა და მოსწავლეების ჯილდოები და სერტიფიკატებიც. **შეესაბამება სტანდარტის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

მოთხოვნებს.

ესთეტიკა - სკოლის თვითშეფასების ფორმაში ჩანს,რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; „სასწავლო პროცესი წარიმართება როგორც სასწავლო ოთახებში, ასევე კლას-კაბინეტებში, მასწავლებლები აქტიურად იყენებენ გარე სივრცეებს გაკვეთილების თუ პროექტების განსახორციელებლად.“ სკოლა ახორციელებს სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტებს, ატარებს ღონისძიებებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განხორციელებული პროექტების დოკუმენტები . ინტერვიუს დროს ისაუბრეს მასწავლებლებმა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეების საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებზე და სწავლის სტილზე ორიენტირებულად. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის დროს მოსწავლე არის აქტიური თავისი სწავლის პროცესში, ხოლო მასწავლებელი გეზის, მიმართულების მიმცემი. სკოლაში გამოყენებულია დიფერენცირებულ სწავლების მეთოდები. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება მოიაზრებს განმავითარებელ შეფასებასაც. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას სთავაზობენ არჩევანს თუ რა ფორმით წარადგინონ დავალება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- კომპლექსური დავალებების, გაკვეთილების სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინტერესი და შესაძლებლობები. მოსწავლეები ჩართულნი არიან როგორც სასკოლო, ასევე სოციალურ პროექტებში, კურიკულუმი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის შემუშავება ხდება თითოეული მასწავლებლის მიერ თვითშეფასების საფუძველზე მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სკოლის მასწავლებლების მიერ კონტრუქტივისტულ პრინციპებზე დაფუძნებული სასკოლო კურიკულუმი მოზარდებს სთავაზობს წინარე ცოდნა-გამოცდილებასთან დაკავშირებულ ნაცნობ, ცხოვრებისეულ კონტექსტებს და იწვევს მათ უცნობის, ახლის აღმოსაჩენად; კურიკულუმებში წარმოდგენილი აქტივობები და დავალებები ისე არის შერჩეული, რომ სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეებში აძლიერებს ძიების ბუნებრივ წყურვილს და ბიძგს აძლევს სააზროვნო პროცესებს. მოსწავლეზე ორინეტირებული კურიკულუმები ხელს უწყობს ერთი მხრივ, გონებაში ცოდნის სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და, მეორე მხრივ, კომპლექსური აზროვნების განვითარებას. შესაბამისად, ამგვარად დაგეგმილი სასწავლო პროცესის შედეგად მოსწავლეები ცოდნის შეძენასთან ერთად დაეუფლებიან კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარებს. კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება კი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს კომპეტენციებს პირადი და საზოგადოებრივი კეთილდღეობის შესაქმნელად. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სასწავლო პროცესის წარმართვისას საბაზო საფეხურის მასწავლებლები ცდილობენ პროცესი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული, რაც გამოიხატება იმაში რომ სხვადასხვა დავალებებზე მუშაობისას სთავაზობენ აჩევანს რა ფორმით წარადგინონ დავალება. საშინაო დავალებების მიცემის დროს მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან როგორც სავალდებულო, ისე არჩევით დავალებებს. საგაკვეთილო პროცესის დროს გათვალისწინებულია სამივე დასწავლის ტიპი. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სახელმწიფო ენა - სწავლების საბაზო საფეხურზე სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს პროექტული მუშაობები ფორმალური და არაფორმალური მიმართულებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტები, კომპლექსური დავალებები. დასტურდება ერთობლივად დაგეგმილი, განხორციელებული და გაანალიზებული კომპლექსური დავალებებით, სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროექტებით, საგნობრივი კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი (დანართი №9, 10, 11), რომლის მიხედვითაც დასტურდება გაკვეთილზე ურთიერთდასწრება, შენიშვნები და რეკომენდაციები. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. ასევე პედაგოგებმა და ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ თანამშრომლობა, გუნდურობა, კათედრებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა - პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლის დირექცია პედაგოგებთან შეხვედრებისა და პედსაბჭოს კრებების საშუალებით, აცნობს პედაგოგებს სიახლეებს და გამოკვეთს სკოლის საჭიროებებს, რომლებსაც საგნობრივი კათედრები განიხილავენ და დასახავენ გზებს მუშაობაში აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სკოლა სისტემატიურად ახორციელებს კათედრებს შორის ცოდნა / გამოცდილება / პრაქტიკის გაზიარებას. პედაგოგებს კარგად გვაქვს გააზრებული გუნდური მუშაობის მნიშვნელობა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სკოლის სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და გამოცდილ კომუნიკაციას. რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი კურილუმის ჩარჩოები, სხვადსხვა საგნებში განხორციელებულის პროექტები, რომლებიც შეიქმნა ურთიერთთანამშრომლობის და გამოცდილების გაზიარებით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - კოლეგების მიერ ინტერვიუსას და სკოლის თვითშეფასების ფორმაში, სკოლის სასწავლო პროცესის აღწერისას, ჩანს სკოლაში დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობისა სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან. მშობლებს და სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებულ სიახლეებს და აქტივობობებს. . მშობლებს აქვთ ინფორმაცია საბაზო საფეხურზე ჩატარებული და დაგეგმილი სპორტულ აქტივობების და ფესტივალების შესახებ. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებას, პროექტული სწავლების გამოყენებითი და მოწყობილ ფესტივალებში შესაბამის აქტივობებში ჩართულობით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სკოლის მიერ წარდგენილ დოკუმენტებსა და ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა,რომ მასწავლებლები ინტენსიურად თანამშრომლობენ ერთმნეთთან, კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. სამეურვეო საბჭოს წევრები/მშობლები ინფორმირებულნი არიან სასწავლო პროცესში შემოთავაზებული ინოვაციების, ახალი მეთოდების, კურიკულუმის დანერგვის შესახებ. სურვილის შემთხვევაში, თანამშრომლობის კუთხით, მშობლებს აქვთ შესაძლებლობა დაესწრონ გაკვეთილებს, გააკეთონ უკუკავშირი. სასკოლო კათედრები გეგმავენ ერთობლივ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს ზრუნვასა და მხარდაჭერაზე დაყრდნობილ თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე. ამ მიმართულებების დასამკვიდრებლად იყენებენ ჯგუფურ სამუშაოებს, კომპლექსურ დავალებებს, დისკუსიებს, ჯგუფურ პროექტებსა და პრეზენტაციებს, შემეცნებით და სპორტულ აქტივობებს. ურთიერთანამშრომლობის კულტურის ამაღლების მიზნით მასწავლებლები ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, გაკვეთილების დაგეგმვა ხდება ერთობლივად, კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებზე. მასწავლებლები კათედრებზე და კათედრებს შორის გამოცდილებებს უზიარებენ ერთმანეთს. სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

ჩართულია იუსაიდის საბაზისო განათლების პროექტში, იქ გაცნობილ სიახლეებს პედაგოგები აქტიურად უზიარებენ კოლეგებს. სკოლის თანამშრომლობითი კულტურისა და კომუნიკაციის გაძლიერების მიზნით სამომავლოდ იგეგმება ინტიგრირებული გაკვეთილების ჩატარება. სასწავლო პროცესში ინტენსიურად თანამშრომლობენ მასწავლებლები ეს ჩანს დოკუმენტაციის მტკიცებულებებში,, კრიტიკული მეგობარი“, გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ანგარიში და სხვა. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან, მათ შორის: სამეურვეო საბჭოსთან, პედაგოგიურ საბჭოსთან, საგნობრივ კათედრებთან, მრჩეველთა საბჭოსთან, დისციპლინარულ კომიტეტთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან.კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. სამეურვეო საბჭოს წევრები/მშობლები ინფორმირებულნი არიან სასწავლო პროცესში შემოთავაზებული ინოვაციების, ახალი მეთოდების, კურიკულუმის დანერგვის შესახებ. სურვილის შემთხვევაში, თანამშრომლობის კუთხით,, მშობლებს აქვთ შესაძლებლობა დაესწრონ გაკვეთილებს. გააკეთონ უკუკავშირი. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლის სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და გამოცდილ კომუნიკაციას, რადგან თანამშრომლური ჯგუფები და თანამშრომლური მუშაობის მოდელები დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეებში თანაგრძნობის, პატივისცემის, ტოლერანტობის, მეგობრობის, ნდობის, ემპათიის მაჩვენებლების ზრდაზე მასწავლებლები თანამშრომლობენ სხვადასხვა მიზნით. სამოქმედო გეგმის მიხედვით,ჩანს, რომ მე-3 თაობის დანერგვის პროცესში საწიროების მიხედვით აწყობენ შიდა ტრენინგებს, ასევე მასწავლებლების ესწრებიან პროფესიული განვითარებისთვის საჭირო სხვადასხვა ღონისძებებს: ტრენინგებს, სემინარებს თუ კონფერენციებს, შემდეგ ისინი სკოლაში კათედრაზე ან დაინტერესბულ მასწავლებელთან ატარებს პრეზენტაციას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სახელმწიფო ენა - სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის ჩართულობითი რევიზია და გადამუშავება, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, კურიკულუმის დაგეგმვისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც დადებით გავლენას ახდენს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატზე ყველა დონეზე (დანართი № 1, 2.). სასწავლო გარემო არის მოწესრიგებული: სკოლის დერეფნები და საკლასო ოთახები მოხატულია და გამდიდრებულია პოსტერებით, სხვადასხვა თვალსაჩინოებით, რომლებიც მოსწავლეებს უქმნის ხალისიან და საინტერესო გარემოს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა - თვითშეფასების კითხვარისა და მასწავლებლების ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. უზრუნველყოფლია მოსწავლეთა უსაფრთხოება სკოლის დონეზე, კლასის დონეზეც. მაღალია მიკუთვნებულობის განცდა სკოლისადმი არა მხოლოდ მასწავლებლებისა და მოსწავლეების მხრიდან, არამედ მშობელთა ჩართულობით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

უცხო ენა- ინტერვიუში ხაზგასმით აღინიშნა, რომ მასწავლებლები ცდილობენ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად ჩართონ მოსწავლეები, რათა მათ შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება. მასწავლებლები პოზიტიური, ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად ასევე იყენებენ ისეთ მამოტივირებელ ფაქტორებს, როგორიცაა თამაშით სწავლება და ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში. საბაზო საფეხურის მოწავლეებს ამ პროცესებში ხელს უწყობს მოწესრიგებული და ორგანიზებული სასწავლო გარემო. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- როგორც ინტერვიუდან იკვეთება და სკოლის თვითგანვითარების გეგმაც მოწმობს, სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე : იგეგმება მოსწავლეებისათვის სასურველი და საჭირო აქტივობები, სადაც გათვალისწინებულია მათი ინტერესები და სკოლის საჭიროება, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია შემდგომში სკოლაში პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრებიდან აღინიშნა, რომ სკოლაში მოსწავლეებისათვის პოზიტიური გარემოს შესაქმნელად, ხშირად ტარდება სპორტული საკლასო და სასკოლო ღონისძიებები, მოსწავლეებმა წინასწარ იციან განსახორციელებელი ფესტივალების დრო და შინაარსი, თემები შერჩეულია მათთან შეთანხმებით. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - მასწავლებლებთან გასაუბრების დროს და სკოლის თვითშეფასების დოკუმენტზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თითოეული მასწავლებელი ცდილობს შექმნას პოზიტიური კლიმატი სასკოლო გარემოში. სკოლაში შექმნილია სივრცეები, სადაც აქვთ გამოფენილი მოსწავლეთა ნამუშევრები. ასევე სკოლაში მიმდინარე პროექტებში მოსწავლეებთან ერთად აქტიურად იღებენ მონაწილეობას მშობლები და ცდილობენ პოზიტიური განწყობა შემოიტანონ სკოლის ცხოვრებაში. სასკოლო საზოგადოების წევრები თანასწორნი არიან: მიუხედავად ეროვნებისა, რელიგიური აღმსარებლობისა და სქესისა. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა და მასწავლებელთა ნებისმიერი ინიციატივა წახალისებულია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოსწავლეები ჩართული არიან სასწავლო პროექტებში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- პოზიტიური კლიმატის უზრუნველსაყოფად ფუნქციები და მოვალეობები გადანაწილებულია თანაბრად სასკოლო საზოგადოებაში, კლასის ქცევის წესების შემუშავებისას მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი. თითოეული მოსწავლის ინიციატივა აღიარებული, მიღებული და წახალისებულია. იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება და აქტივობა, სასწავლო და სოციალური პროექტები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასწავლო პროცესი რომ პოზიტიურ გარემოში წარიმართოს მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების გამოყენება, საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირება. მასწავლებლები პოზიტიური გარემოს შესაქმნელად იყენებენ ისეთ მამოტივირებელ ფაქტორებს როგორიცაა თამაშით სწავლება და ტენოლოგიების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში, რასაც ხელს უწყობს მოწესრიგებული და ორგანიზებული სასწავლო გარემო. საკლასო ოთახები და სკოლის დერეფნები გამდიდრებულია პოსტერებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით და სხვადასხვა თვალსაჩინოებებით. მოსწავლისა და მასწავლებლის ყველა მიღწევა არის აღიარებული და გაზიარებული. სკოლაში პოზიტიური გარემოს შესაქმნელად მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სამოქალაქო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

განათლების კლუბის ინიციატივით ხორციელდება სხვადსხვა აქტივობები. მაგ: საზაფხულო სკოლა „ განათლება დემოკრატიისათვის“ , ტოლერანტობის დღის აღნიშვნა, ადამიანის უფლებების კვირეული და ა.შ. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პროექტი ,,დემოკრატიული პედაგოგიკა”
- გაკვეთილზე გაცემული უკუკავშირის ფორმები
- სკოლის სამოქმედო გეგმა
- შინაგანაწესი
- სკოლის თვითშეფასების ფორმა,
- სკოლის განვითარების გეგმა
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები.
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან;
- დანართი #12 ანგარიში პროექტის
- დანართი #13 SWOT-ანალიზი
- დანართი #17 კათედრის ოქმი N1 2022-2023 წელი
- დანართი #18 სასწავლო ჯგუფის მუშაობა
- დანართი #21 პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის ნიმუში და ანგარიში
- დანართი #22 მასწავლებელზე გაცემული უკუკავშირის ფორმები
- დანართი #23 სადამრიგებლო საათის პროექტი მედიაწიგნიერება
- სამაგისტრო-ნაშრომი-3-1

.....

შეფასება:

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სახელმწიფო ენა- სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც ასახულია, როგორ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება. №7 დანართში ვკითხულობთ: „პედაგოგი კლასის ყველა მოსწავლეს ეხმარება შუალედური სასწავლო მიზნების დაძლევაში, პარალელურად ინიშნავს აქტივობებსა და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის კონსტრუირების პროცესში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განმავითარებელ შეფასებას, რომელიც გულისხმობს: ა) მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირებას, ბ) კომენტარს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შემდგომ წინსვლას გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, გ) მოსწავლის თვითშეფასებას, დ) მასწავლებლის რეფლექსია. გაკეთებული ჩანაწერების საფუძველზე მასწავლებელი ამზადებს თემატურ მატრიცას, რომელსაც წარუდგენს კათედრას (შესაბამისად საბაზო საფეხური - საბაზო საფეხურის კათედრას) და განიხილავს კოლეგებთან ერთად.“ **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრის შეხვედრებზე სისტემატიურად ხდება კურიკულუმების შეფასება და მონიტორიგნი - რამ გაამართლა? რა არის გასაუმჯობესებელი? რის განხორციელება ვერ შეძლეს - სწორედ ამ მიზნით სამინისტროს მიერ მოწოდებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით შეიმუშავეს კურიკულუმი, გეგმავენ მონიტორინგს და შეფასებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია როგორ განახორციელებს სკოლა მონიტორინგსა და შეფასებას. ისეთი დოკუმენტები როგორიცაა: თვითშეფასების კითხვარი, გაკვეთილის შეფასების რუბრიკა, კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკები და სხვა. ეს რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მასწავლებლისთვის და ეხმარება მასწავლებლებს დაადგინონ, როგორ წარიმართა კურიკულუმის დანერგვის პროცესი და სამომავლოდ რა მხარეებია გასამუჯობესებელი. სამომავლოდ სკოლა გეგმავს შეიქმნას მოქნილი ჯგუფი, რომელიც ორიენტირებული იქნება კურიკულუმით გასაზღვრული საქმიანობების მონიტორინგსა და შეფასებაზე. ჯგუფის წევრები იქნებიან დირექციის წარმომომადგენლები და მასწავლებლები. **შეესაბამება სტანდარტის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მოთხოვნებს.

ფიზკიური აღზრდა და სპორტი- სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი, ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორციელებული აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას (კოლეგას ჰქონდა წარმოდგენილი, განხორციელებული დავალების ანალიზი), რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასებისთვის სკოლამ კურიკულუმის დანერგვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში განსაზღვრა, რომ ყოველწლიურად მოახდინოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მოსწავლეთა სწავლა-სწავლების, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებებისა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა-ანალიზი. ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ პედაგოგები სამომავლოდ განახორციელებენ შექმნილი კურიკულუმების მონიტორინგს გაწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, ასახავენ შეფასების დოკუმენტში და გააანალიზებენ. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ: „სამომავლოდ ვგეგმავთ შევქმნათ მოქნილი ჯგუფი, რომელიც ორიენტირებული იქნება კურიკულუმით გასაზღვრული საქმიანობების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდეს უფრო ეფექტურად. ჯგუფის წევრები იქნებიან დირექციის წარმომომადგენლები და მასწავლებლები. მონიტორინგი მოხდება მინიმუმ სემესტრში ორჯერ და ყოველი სემესტრის ბოლოს“ შესაბამისად , მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასკოლო კურიკულუმების დანერგვის მონიტორინგისათვის სკოლის დირექცია აკვირდება სასწავლო პროცესს, თუ რამდენად სწორად და მიზანმიმიმართულად ხორციელდება დაგეგმილი კომპლექსური დავალებები. ამ მიზნით გამოყენებულია წინასწარ შემუშავებული დაკვირვების ფორმა. შეფასების ინდიკატორები შეესაბამება ესგ-ს სტანდარტს და არის გამჭვირვალე. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის წარმოებისთვის მხარდაჭერის მიზნით სასწავლო პროცესზე დაკვირვება ხდება სისტემატიურად. დაკვირვება ხდება ფოკუსირებულად კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებზე. სკოლაში ხდება მონიტორინგი, როგორც სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილი, შეფასება წარმოადგენს, როგორც სასწავლო პროცესის ეფექტიანობის მტკიცებულებას.წლის დასაწყისში სკოლის დირექტორისა და ხარისხისა განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ხდება სხვადსხვა ტიპის ინსტრუმენტების მიწოდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და წინსვლისთვის. ღრუბლოვან სივრცეში, საერთო საქაღალდეა ისეთი დოკუმენტებით როგორიცაა: თვითშეფასების კითხვარი, გაკვეთილის შეფასების რუბრიკა, კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკები და სხვა. ეს რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მასწავლებლისთვის და ეხმარება მასწავლებლებს დაადგინონ, როგორ წარიმართა კურიკულუმის დანერგვის პროცესი და სამომავლოდ რა მხარეებია გასამუჯობესებელი. ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ სამომავლოდ სკოლა გეგმავს შექმნას უფრო მოქნილი ჯგუფი, რომელიც ორიენტირებული იქნება კურიკულუმით განსაზღვრული საქმიანობების მონიტორინგსა და შეფასებაზე; **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -- დირექტორის, ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ მიწოდებულ იქნა სხვადსხვა ტიპის ინსტრუმენტები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და წინსვლისთვის. ღრუბლოვან სივრცეში, საერთო საქაღალდეში განთავსდა ისეთი დოკუმენტები როგორიცაა: თვითშეფასების კითხვარი, გაკვეთილის შეფასების რუბრიკა, კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დავალებების შეფასების რუბრიკები და სხვა. ეს რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მასწავლებლისთვის და ეხმარება მასწავლებლებს დაადგინონ, როგორ წარიმართა კურიკულუმის დანერგვის პროცესი და სამომავლოდ რა მხარეებია გასამუჯობესებელი. სამომავლოდ გეგმავენ შექმნან მოქნილი ჯგუფი, რომელიც ორიენტირებული იქნება კურიკულუმით გასაზღვრული საქმიანობების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდეს უფრო ეფექტურად. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სახელმწიფო ენა- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება უნდა განხორციელდეს სასკოლო საზოგადოების ყველა მხარის ფართო ჩართულობით (დანართი №7). კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება შემდეგი მიმართულებებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით;
- კათედრების მუშაობა
- დირექციის/ადმინისტრაციის მუშაობა სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მიმართულებით;
- მშობელთა / მოსწავლეთა ჩართულობა;

შესაბამისად, მეთოდოლოგიის დოკუმენტში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მასწავლებლები ერთმანეთის მხარდაჭერის მიზნით ახორციელებენ მონიტორინგს, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი დაგეგმონ. ამ მიმართულებით ერტ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად/ორგანოდ თვლიან ხარისხის მართვის ჯგუფს, ასევე იგეგმება კათედრაზე, კათედრის ყველა წევრის ჩართულობით მოხდეს კურიკულუმების მონიტორინგი და შეფასება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისათვის, ასევე აღინიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ანხორციელებს მასწავლებლის შიდა შეფასებას, კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან. ჯგუფის მოვალეობაში შედის, სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. ხარისხის განვითარების ჯგუფი ანხორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას, შეფასებას, გასცემს უკუკავშირს და რეკომენდაციებს. ჯგუფი მასწავლებლებთან ერთად განიხილავს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციეებულ აქტივობებს და აძლევს მათ განმავითარებელ უკუკავშირს. მასწავლებლის მიერ წლის დასაწყისში შევსებული თვითშეფასების კითხვარის გაანალიზების შემდეგ ეხმარება მას შესაბამისი აქტივობების დაგაგმვაში. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის კათედრებიც. კათედრის წარმომადგენლები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის სპორტის კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა და სკოლის თვითშეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

ფორმიდანაც ჩანს, რომ სკოლაში ხდება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა.(პროცესი ასახულია კათედრის დოკუმენტაციაში). იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას კლასების მიხედვით. რაც საბოლოოდ ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას. ამას ისინი განახორციელენ სადიაგნისტიკო შეფასების ინსტრუმეტის შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთი არჩეული ინსტრუმენტის გამოყენებით. საამისოდ შეარჩიეს სადიაგნოსტიკო შეფასების ინსრტუმენტი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. კონკრეტულად გაწერილია, როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლა თვითშეფასების დროს აღნიშნავს: სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ანხორციელებს მასწავლებლის შიდა შეფასებას, კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან.. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის კათედრებიც. კათედრის წარმომადგენლები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. ეს ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში. ხორციელდება დირექციის მიერ გაკვეთილზე დასწრება და უკუკავშირი, სამუშაო შეხვედრები ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და დახმარებას**. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - როგორც თვითშეფასების კითხავრიდან ჩანს , ხარისხის განვითარების ჯგუფი ანხორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას, შეფასებას, გასცემს უკუკავშირს და რეკომენდაციებს. ჯგუფი მასწავლებლებთან ერთად განიხილავს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციეებულ აქტივობებს და აძლევს მათ განმავითარებელ უკუკავშირს. მასწავლებლის მიერ წლის დასაწყისში შევსებული თვითშეფასების კითხვარის გაანალიზების შემდეგ ეხმარება მას შესაბამისი აქტივობების დაგაგმვაში. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის კათედრებიც . **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

სახელმწიფო ენა- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ცილკურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება. კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
- კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე;
- სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე;
- კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მონიტორიგნი და შეფასება ეხმარება მათ გამოკვეთილი ხარვეზებისთვის დაგეგმონ ინტერვენციები, გადაამუშაონ კურიკულუმები და გადაჭრან არსებული პრობლემები. 2023-2024 სასწავლო წელს გეგმავენ ამავე მიმართულებით გააგრძელონ მუშაობა და არსებული პრაქტიკა გააგრძელონ, საჭიროებისამებრ დაკვირვების საფუძველზე - პროცესში გაუმჯობესონ ანალიზის საფუძველზე, რომელიც კათედრებისა და დირექციის დისკუსიის საფუძველზე გამოიკვეთება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- კურიკულუმის შემუშევაბის მეთოლოგიაში სკოლას გაწერილი აქვს სტრატეგიები რომლითაც გეგმავს სკოლა მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება და სწორი რეაგირება .გაკვეთილებზე დასწრება, ასევე ფოკუს-ჯგუფების ჩატარება, როგორც მასწავლებლებთან, ასევე მოსწავლეებთან. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს პოზიტიური უკუკავშირი, რომლის გაზიარებისას ერთობლივად დაიგეგმება პრობლემების გადაჭრის გზები. სამომავლოდ სკოლა გეგმავს ეს პროცესი იყოს უფრო ორგანიზებული, განახორციელოს შექმნილი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმების ეფექტიან მონიტორინგსა და შეფასება, რათა სკოლამ უზრუნველყოს რევიზირებული კურიკულუმების და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროეცესი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები. სამომავლოდ უმჯობესი იქნება სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები. ამას ისინი განახორციელენ სადიაგნისტიკო შეფასების ინსტრუმეტის შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთი არჩეული ინსტრუმენტის გამოყენებით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში ჩანს თუ როგორ განსაზღვრავს მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. კერძოდ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პრობლემების იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის გზების მოსაძიებლად განხორციელებულმა აქტივობებმა პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში?(მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი?(შეფასება). თვითშეფასების დოკუმენტში სკოლა წერს: სამომავლოდ ვგეგმავთ ეს პროცესი იყოს უფრო ორგანიზებული, შეიქმნას მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმების ეფექტიან მონიტორინგსა და შეფასებას. სკოლას აქვს მზაობა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საზოგადოებრივი მეცნიერებები- კურიკულუმების შეფასების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ხელს უწყობს სკოლაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას, მასწავლებლების საჭიროებების გამოვლენასა და მხარდაჭერას. მათი გათვალისწინებით შეიძლება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. მაგალითად კურიკულუმში ცვლილებების შეტანა, კომპლექსური დავალებების მორგება კლასის ან კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- დირექციის მხრიდან პერიოდულად იმართება შეხვერები კლასში შემსვლელ მასწავლებლებთან, სადაც განიხილება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული პრობლემები და პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ ადმინისტრაცია, კათედრის ხელმძღვანელები მიმართავენ სხვადასხვა ხერხს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სამომავლოდ სკოლას გადაწყვეტილი აქვს შექმნას ისეთი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმების ეფექტიან მონიტორინგსა და შეფასება, რათა უკეთესად შექმნან რევიზირებული კურიკულუმები და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხისა განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- საბუნებისეტყველო კათედრის სხდომის ოქმი N4
- სკოლის თვითშეფასების ფორმა.
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
სახელმწიფო ენა- სასწავლო პროცესის შეფასება იგეგმება მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით; სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა გეგმავს ინფორმაციის მოპოვებას სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით (კათედრები, დირექცია, მოსწავლეთა შედეგები, მშობლები, თანატოლები). სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (დანართი №11, დამატებითი დანართი № 2, 22) და ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე, სკოლა იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს: მოსწავლეზე დაკვირვება, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, ერთმანეთთან გაკვეთილზე დასწრება და უკუკავშირი კოლეგებისაგან, დირექციისაგან, მშობლებისაგან. საბაზო საფეხურის მასწავლებლები აანალიზებენ კომპლექსური დავალების შედეგებს, შემაჯამებელ დავალებებს, მოსწავლეთა ნაშრომებს, დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მასწავლებლებთან ინტერვიუმ და თვითშეფასების კითხვარმა აჩვენა, რომ სკოლაში მოსწავლის და პროცესის შეფასების სისტემა ჰოლისტური ხასიათისაა, ეყრდნობა მრავალფეროვან ინსტრუმენტებს: ჩართულია მშობელი, აქტუალურია მოსწავლეების ურთიერთშეფასება, რითიც იღრმავებენ ცოდნას და იძენენ გამოცდილებას. სკოლას აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კომპლექსურ დავალებებს კი აფასებენ სოლო ტაქსონომიით - ზეპირი უკუკავშირის ფორმით აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. შეფასების სისტემაში იცავენ ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობის / სამართლიანობის პრინციპებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მეტწილად მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადგინდა რომ უცხო ენის მასწავლებლები შეფასების პროცესში იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს, როგორიცაა მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოციდილება, მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მშობლების უკუკავშირი, დამრიგებლის უკუკავშირი, კლასში შემსვლელი სხვა საგნების მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვა. აღნიშნული წყაროების გამოყენებით შეფასების პროცესი არის ორიენტირებული მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- საბაზო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნის განმავითარებელი შეფასებისას ითვალისწინებენ, საგნის საფეხურის მისაღწევ შედეგებსა და მკვიდრ წარმოდგენებს, მოსწავლეთა ფიზიკურ და პიროვნულ მახასიათებლებს, დამრიგებლებისგან მიღებულ ინფორმაციას. ამ მიდგომის შესახებ საუბარი იყო თვითშეფასების ფორმაშიც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. მომავალი საწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. სასკოლო კურიკულუმი ისეა გაწერილი თითოეული საგნის მიხედვით, რომ იძლევა საშუალებას მასწავლებელი ინტეგრირებულად დააკვირდეს პროცესებს და გაითვალიწინოს მრავალმხრივი მონაცემები და მრავალფეროვანი მეთოდებით მიიღოს სრული სურათი შეფასებასთან დაკავშირებთ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს: სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის მასწავლებლის დაკვირვებას, ყოველდღიური სასწავლო პროცესის შეფასების დინამიკას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, კათედრის ხელმძღვანელის, დამრიგებლის, დირექციის უკუკავშირს. შეფასების შედეგად უნდა გაირკვეს რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ: „საბაზო საფეხურის მასწავლებლები შეფასების პროცესში იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს, როგორიცაა მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოციდილება, მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მშობლების უკუკავშირი, დამრიგებლის უკუკავშირი, კლასში შემსვლელი სხვა საგნების მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვა“ მასწავლებლებს აქვთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

გამოცდილება და სწორი ხედვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის მასწავლებლის დაკვირვებას, ყოველდღიური სასწავლო პროცესის შეფასების დინამიკას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, კათედრის ხელმძღვანელის, დამრიგებლის, დირექციის უკუკავშირს. შეფასების სისტემის ჰოლისტურობა პირდაპირ კავშირშია სწავლა-სწავლების მიზნებთან. ეს კარგად ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში და სხვადასხვა ტიპის პროექტებში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ საბაზო საფეხურზე მასწავლებლები შეფასების პროცესში იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს, როგორიცაა მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება, მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობა, პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. აქ მოიაზრება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, როგორც წყარო, ასევე სხვადასხვა დოკუმენტური, სტატისტიკური, ფინანსური თუ სხვა ტიპის რესურსი. მაგ., თუ ჩვენ ვაგროვებთ მოსწვალის შესახებ ინფორმაციას გარკვეული პრობლემის შეფასებისა და მოგვარების მიზნით, რეკომენდებულია ინფორმაციის სისრულისთვის მისი მოპოვება რაც შეიძლება მრვალფეროვანი წაყროებიდან: ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწავალებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა. მშობლების უკუკავშირი, დამრიგებლის უკუკავშირი, კლასში შემსვლელი სხვა საგნების მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვა. აღნიშნულის დასადასტურებლად შესაძლებელია განივიხილოთ სასკოლო სასწავლო გეგმა და შეფასების სქემები, თუმცა სასურველია ამ ინდიკატორისთვის დამრიგებლის ანგარიში და მშობელთა კრების ოქმები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სახელმწიფო ენა- სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების გზები. სკოლა შეფასებისთვის იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა დაკვირვება, კითხვარები, მონაცემთა ანალიზი (შემაჯამებელი დავალების ანალიზი, ფინალური გამოცდების შედეგების ანალიზი), ინტერვიურება და ა.შ. მონიტორინგი და შეფასება, რომლის განხორციელებაც დაგეგმილია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების და გადაჭრის გზების დასახვისათვის; პედაგოგებთან დიალოგისას გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის მასწავლებლები აკვირდებიან, რამდენად ეფექტურია მათი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, ითვალისწინებენ მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას, თემების შინაარსს, მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- თვითშეფასების კითხვარიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა ფიზიკური, კოგნიტური და ფსიქო-ემოციური განვითარების ხელშესაწყობად, მასწავლებლები ცდილობენ შეისწავლონ მოსწავლეები სხვადასხვა კონტექსტში: გაითვალისწინონ მოსწავლეთა სოციალურ - ემოციური ფონი, განსაზღვრონ მოსწავლეთა წინარე ცოდნა / გამოცდილება, ინტერესები, კოგნიტური / ფიზიკური უნარები და ამის შესაბამისად მოახდინონ მოსწავლეთა სწავლის პროცესის დაგეგმვა-შეფასება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- მასწავლებლებთან გასაუბრებისას კიდევ უფრო გამოიკვეთა, რომ შეფასებისას ითალისწინებენ რამდენიმე კონტექსტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მოსწავლეებს აფასებენ იმის მიხედვით : საკლასო გარემოში მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ როგორ ახორციელებს სხვადასხვა საქმიანობებს, თანამშრომლობს თუ არა თანაკლასელებთან წყვილში და ჯგუფებში, როგორ იყენებს საკლასო სივრცეში არსებულ რესურსებს სასწავლო მიზნებისათვის. ასევე საშინაო დავალებების წარდგენისას ჩანს თუ არა ინდივიდუალიზმი, რამდენად ავლენს ინიციატივას არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას. მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას უზიარებენ მშობლებს. მოსწავლეები კი აქტივობის ბოლოს ან გაკვეთილის ბოლოს მასწავლებლებისგან ისმენენ ზეპირ ან იღებენ წერილობით განმავითარებელ შეფასებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- მასწავლებლებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა და შემუშავებული რუბრიკებიც ადასტურებს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, ხდება თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით, მათი ინტერესების , ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების: ეს იქნება ფიზკური უნარებისა თუ გონებრივი განვითარების დონის გათვალისწინება. აქცენტი კეთდება აქტივობებში ჩართულობასა და სამიზნე ცნებების განვითარებაზე. სკოლამ გამოთქვა მზაობა ამ პროცესის შემდგომში დახვეწისათვისაც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - საბაზო საფეხურზე მუსიკის, სახვითი და გამოყენებით ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმებში გაწერილია კომპლექსური დავალების იდეა. კომპლექსური დავალებებით სწავლება კი გულისხმობს მოსწავლეების მზაობის , უნარების, შესაძლებლობების გათვალისწინებას, სკოლა შეფასების მიზნიდან გამომდინარე ახალი სასწავლო წლიდან სრულყოფილი ინფორმაციისთვის დააკვირდება და შეისწავლის მოსწავლის მზაობას სხვადასხვა კონტექსტებით და ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; სკოლა თვითშეფასებაში წერს: „შეფასების პროცესში ძირითადად ვითვალისწინებთ რამდენიმე კონტექსტს. თანამშრომლობს თუ არა თანაკლასელებთან წყვილში და ჯგუფებში, როგორ იყენებს საკლასო სივრცეში არსებულ რესურსებს სასწავლო მიზნებისათვის. ასევე საშინაო დავალებების წარდგენისას ჩანს თუ არა ინდივიდუალიზმი, რამდენად ავლენს ინიციატივას არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას.“ სკოლას აქვს გამოცდილება და სწორი ხედვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლაში იგეგმება სამომავლოდ მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტით შესწავლა და შემდგომი შეფასება მოსწავლის პირადი და ფსიქო-ემოციური მდგომარეობის უკეთ შესწავლის მიზნით. მასწავლებლები მოსწავლეებზე დაკვირვებას განახორციელებენ სხვადასხვა სიტუაციაში, იქნება ეს ფორმალური თუ არაფორმალური გარემო: სასკოლო ექსკურსიები, ლაშქრობა, შემეცნებითი გასვლები, სხვადასხვა წრეებში ჩართულობა და სხვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მოსწავლეების შეფასებას მრავალი კონტექსტის გათვალისთინებით ახდენენ. მოსწავლეებს ვაფასებთ საკლასო და საშინაო კომპონენტებით, ვაფასებთ თანამშრომლობს თუ არა თანაკლასელებთან წყვილში თუ ჯგუფებში. როგორ იყენებს საკლასო სივრცეში არსებულ რესუსრსებს სასწავლო მიზნებისთვის. საშინაო დავალებების წარდგენისას ჩანს თუ არა ინდივიდუალიზმი. რამდენად ავლენს ინიციატივებს არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სახელმწიფო ენა- შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიაში სკოლას ნათლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

აქვს წარმოდგენილი, თუ რა მონაცემების მოგროვება სურს სასკოლო საზოგადოებიდან თუ სკოლის სტრუქტურული ერთეულებიდან კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის ერთიანი სურათის დასანახად. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის ადმინისტრაციას და კათედრებს დაგეგმილი აქვთ ინფორმაციის მოპოვება შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტის გამოყენების გზით. ახალი სასწავლო წლისათვის სკოლამ შეარჩია სადიაგნოსტიკო შეფასების I ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენას და ამ მხრივ მონაცემთა შეგროვებას (დანართი №2, 6, 29, დამატებითი დანართი №15) სკოლას აქვს გამოცდილებაც და მზაობას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ მათ მიერ დაკვირვების შედეგად მიღებულ ინფორმაციას - საკლასო აქტიურობა, საშინაო დავალებები, შემაჯამებელი დავალებები, ასევე დამრიგებლისგანაც იღებენ ინფორმაციას - შესაძლოა მასწავლებლისთვის მკაფიო არ იყოს მოსწავლის არასაგაკვეთილო პერიოდის უნარ-ჩვევები, ამ ინფორმაციას კი მასწავლებელი იყენებენ სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვისას, მათ შორის კონტექსტ მაგალითების შეთავაზება, კომპლექსური დავალებების განხორციელება, პროექტების დაგეგმვა შესაძლოა სხვა ინსტრუმენტების გამოყენებაც, რომლის შესახებაც მოიძიებენ ინფორმაციას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდები: სკოლის პიერ ინიცირებული სადიაგნოსტიკო ტესტები სხვადასხვა კომპეტენციების მიხედვით, როგორც ქართულის, ასევე მათემატიკის მიმართულებით, სასწავლო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმები, მოსწავლეთა გამოკითხვა. გასაუბრებისას უცხო ენის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ 2023-2024 სასწ. წლისათვის სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტად სკოლამ შეარჩია შეთავაზებულიდან ინსტრუმენტი N1 **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლას აქვს გამოცდილება (თვითშეფასების ფორმიდან გამომდინარე). მოსწავლეთა ცოდნის დონისა და ფიზიკური განვითარების მაჩვენებლების განსზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. ჩვენს საგანშიც, საბაზო საფეხურზე, არის ამისი მცდელობა და ინტერესი აღნიშნულთან დაკავშირებით (გასაუბრების საფუზველზე), . შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. სკოლის დოკუმენტაციაში, კერძოდ თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ სკოლის მიერ ინიცირებული სადიაგნოსტიკო ტესტები სხვადასხვა კომპეტენციების მიხედვით, სასწავლო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმები, მოსწავლეთა გამოკითხვა ეხმარება მოაგროვონ მონაცემები როგორც თითოეულ მოსწავლეზე, ასევე საერთო კლასის ჭრილში.2023-24 სასწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი 1, რომლის მიზაანია: მოსწავლეთა შედეგების საფუძველზე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების შეფასება.შესაბამისად, მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში სათანადოდ იქნება განხორციელებული სადიაგნოსტიკო შეფასება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. სკოლას აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გამოცდილება და მზაობა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების რამდენიმე მეთოდი: ზეპირი გამოკითხვები მშობელთა კრებებზე ,მოსწავლეთა გამოკითხვები კლასის საათზე და სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის მიერ ინიცირებული სადიაგნოსტიკო ტესტები სხვადასხვა კომპეტენციების მიხედვით, როგორც ქართულის, ასევე მათემატიკის მიმართულებით, სასწავლო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმები, მოსწავლეთა გამოკითხვა. აღნიშნული მეთოდები გვეხმარება მოვაგროვოთ მონაცემები როგორც თითოეულ მოსწავლეზე, ასევე საერთო კლასის ჭრილში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სახელმწიფო ენა- სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაზე, ახდენს სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ნებისმიერი მოვლენის შეფასებისას ცდილობენ გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის შედეგზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის შეფასებისას ითვალისწინებენ ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა აკადემიური უნარები, აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები და კომუნიკაციის ზოგადი უნარ-ჩვევები. შეფასების ამ ფაქტორებს იყენებენ მოსწავლისათვის სასწავლო მასალისა და რესურსების ადაპტირებისას. მუშაობენ სპეციალური საჭიროებების მოსწავლეებთან, სადაც ყურადღება ექცევა მოსწავლის განვითარების დონეს, სპეციალურ საჭიროებებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- სასკოლო-სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, მშობელთა ჩართულობა და მხარდაჭერა სასწავლო პროცესში, მოტივაცია, მოსწავლის სტატუსი (სსსმ), მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ნარატივიდან , იკვეთება, თუ როგორ ხდება შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. სასურველია მომავალშიც, ჩვენს საგანშიც მოხდეს შეფასებისას ყველა ფაქტორის გათვალისწინება, რომელსაც პედაგოგები გამოიყენებენ ფიზიკური აღზრდაში მოსწავლეთა საერთო განვითარების დონის და შედეგის შეფასებისთვის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სასკოლო-სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას მასწავლებელი ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებსა და მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და ასევე სკოლის თვითშეფასების ფორმის მიხედვით გამოიკვეთა, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს: მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, მშობელთა ჩართულობა და მხარდაჭერა სასწავლო პროცესში, მოტივაცია, მოსწავლის სტატუსი (სსსმ), მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით, მაგალითად მოსწავლის შეფასებისას-საგნის კონკრეტულ შინაარსის, აზროვნების და დასაბუთების უნარ-ჩვევების, კომუნიკაციის(გადმოცემის) ზოგად უნარ ჩვევების მიხედვით**. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - შეფასება ხორციელდება სხვადსხვა ფაქტორების გათვალისინებით: მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, ფსიქო ემოციური მდგომარეობა, მშობელთა ჩართულობა და მხარდაჭერა სასწავლო პროცესში, მოტივაცია, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მოსწავლის სტატუსი (სსსმ). ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, ნებისმიერი პროცესის თუ მოვლების შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების ფორმა.
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები.
- დანართი №11, შეფასების რუბრიკა. (ცოდნის 3 კატეგორიის მიხედვით)
- დამატებითი დანართი № 2, 22 (სადიაგნოსტიკო შეფასება)
- შეფასების რუბრიკები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
სახელმწიფო ენა- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის განახლება ხდება წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კურიკულუმის რევიზიისას გათვალისწინებული იქნება წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი, თუ რამდენად მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად პროცესები და რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს, შექმნას რეკომენდაციების პაკეტი მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და რეკომენდაციების პაკეტი სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის გასაახლებლად. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა- სკოლას ამ მიმართულებით შემდეგი ტიპის გამოცდილება აქვს: კათედრის წევრები აკეთებენ ზეპირ რეფლექსიას კურიკულუმის განხორციელების ეტაპებთან დაკავშირებით, რამ გაამართლა, რა არის გასაუმჯობესებელი და ერთობლივად შეიმუშავებენ საჭიროებებისთვის ინტერვენციებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხო ენა- საგნობრივი კურიკულუმები, რომელიც შეიმუშავა სკოლამ ,,ზოგადი განათლების რეფორმის,, ფარგლებში აქტიურად ინერგება და როგორც წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, ასევე მასწავლებლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო რომ სკოლას აქვს გამოცდილება, რომლის საფუძველზეც იგეგმება კურიკულუმის კიდევ უფრო განვითარება და დახვეწა. მასწავლებლების აკვირდებიან პროცესს და აკეთებენ ჩანიშვნებს. საგნობრივი ექსპერტები გაკვეთილების ჩატარებამდე ხვდებიან მასწავლებელბს, შემდეგ ესწრებიან გაკვეთილზე და ტარდება გაკვეთილის შემდგომი შეხვედრა. ეს პროცესი მოიცავს მხარდაჭერას, რეკომენდაციების გაცემას და პროცესისი სრულყოფილებისკენ მიმართულ განმავითარებელი შეფასების გაცემას. ასევე დირექცია აკვირდება პროცეს და აკეთებს ჩანაწერებს. სასწავლო წლის ბოლოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მოხდება რეკომენდეციების პაკეტის შემუშავება სასკოლო სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

სტრუქტურის ყველა დონისთვის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზკიური აღზრდა და სპორტი– ინტერვიუს დროს დაფიქსირდა და თვითშეფასების ფორმაშიცაა ასახული, რომ სკოლას აქვს მკაფიო ხედვა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ, სადაც აღწერილი იქნება, თუ როგორ უნდა მოხდეს კურიკულუმის რევიზია. სკოლა გეგმავს (სკოლის განვითარების გეგმა ადასტურებს), ქოუჩინგის შედეგად მიღებული და არსებული გამოცდილების საფუძველზე, კურიკულუმის განხორციელების პროცესზე დაკვირვებას, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლასა და მონაცემების მოგროვებას. და ბოლოს არსებული მონაცემების- გაკვეთილებზე დაკვირვების ანალიზის, მასწავლებლების რეფლექსიების, განხორციელებული შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგების -მოსწავლეთა მიღწევების, გაანალიზების შედეგად, სკოლა მზადაა შეიმუშაონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის განვითარება ციკლური პროცესია და მოიაზრებს მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და მათზე რეფლექსიას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის განვითარების საჭიროება, გააზრებული და გადანაწილებული აქვთ პასუხისმგებლობა, თუ როგორ დაგეგმონ და განახორციელონ კურიკულუმის განვითარების ეტაპები. ამ მიზნით იკრიბებიან კათედრაზე და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, რის შემდეგაც გეგმავენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის პაკეტს. მხარდასაჭერად მომავალი სასწავლო წლის ბოლოს მოახდენენ პროცესების რეფლექსიას, აღწერენ მიღწეულ შედეგებს, გადასინჯვისა და რევიზიის შემდეგ შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რაც მნიშვნელოვნად დახვეწავს და განავითარებს სამომავლოდ კურიკულუმს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები– კურიკულუმის სამომავლოდ განვითარებისათვის სკოლა ამ ეტაპზეც ახდენს და სამომავლოდ უფრო მეტი კოორდინირებით და მულტიფატქორული მიდგომებით გეგმავს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, შედეგების გაანალიზებას, გაკვეთილების და განხორციელებული კომპლექსური დავალებების სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთას და შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინებით მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების შედგენას. პედაგოგებმა თავიანთი თემატური მატრიცების ფარგლებში აირჩიეს და განახორციელეს კომპლექსური დავალებები, საგნის ექსპერტებთან თანამშრომლობით პედაგოგებთან ხდებოდა სამუშაო პროცესის გაანალიზება, ამას ემატებოდა კათედრების და სკოლის წინა ორი წლის პრაქტიკული გამოცდილება და შესაბამისად რევიზია მოხდება წლის ბოლოს. ეს კი ხელს შეუწყობს როგორც საგნობრივი, ასევე სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესებას. დირექცია აკვირდება პროცესს და აკეთებს ჩანაწერებს. სასწავლო წლის ბოლოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მოხდება რეკომენდაციების პაკეტის შემუშავება სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - შესწავლილი დოკუმენტაციის მიხედვით , სკოლა სამომავლოდ გეგმავს გაითვალისწინონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის (მიღწევების თვითშეფასება, SWOT ანალიზი, გადამუშავებული კურიკულუმი, წლიური სამოქმედო გეგმა) რევიზირებულ საგნობრივ კურიკულემში აისახება წლის მანძილზე დანერგვის პროცესში მიღებული გამოცდილება (საგნობრივი კურიკულუმის რეფლექსიები, კურიკულუმის შეფასების მექანიზმი). **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სახელმწიფო ენა- სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. სადაც ასახულია როგორ ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის რევიზია. დუკუმენტის თანახმად (დანართი №7, 8), ვიგებთ, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას საფუძვლად დაედება წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების გაანალიზება რამდენიმე მიმართულებით - მოსწავლეთა შედეგები, მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა, პედაგოგებისა და დირექციის მუშაობის ანალიზი. თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების მიხედვით, მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შექმნის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებულ ვერსიას, რომელიც დაეყრდნობა წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის შედეგებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ 2022-2023 სასწავლო წელს სკოლა იყენებდნენ სამინისტროს ექსპერტების მიერ მოწოდებულ კურიკულუმებს, წლის განმავლობაში ხორციელდებოდა კომპლექსური დავალებები. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად მიღებული მიგნებები ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში აისახება. საჭიროებების გათვალისწინებით და პედაგოგების პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე გაიწერება. 2023-2024 სასწავლო წლისთვის მასწავლებელთა პრაქტიკული საქმიანობისთვის შერჩეულია მატრიცებზე დაფუძნებით კვლევის წარმოება. კურიკულუმის რევიზიაში ჩართული იქნება არა მხოლოდ ის პედაგოგი, ვისი კლასის კურიკულუმიც განიხილება, არამედ კათედრის ყველა წევრი. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ხაზგასმით აღინიშნა , რომ 2023-2024 სასწ. წლის კურიკულუმი შეიქმნა წინარე გამოცდილების მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათალისწინებით. ასევე სკოლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში კათედრებზე მასწავლებლებმა ერთმანეთს გაუზიარეს კურიკულუმის განხორციელების შედეგები, გამოკვეთეს ის საკითხები და ცნებები, რომლებიც წარმატებით დაძლიეს მოსწავლეებმა. ასევე ისაუბრეს მიმდინარე წლის კურიკულუმის ეფექტურად დაგეგმვის გზებზე. ამ პროცესებში მათ ასევე გაითვალისწინეს გაკვეთილებზე დაკვირვების დროს მიღებული უკუკავშირები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- კოლეგების თქმით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს კურიკულუმების ანალიზი. და მათ აქვთ მზაობა იმისა, რომ მუშაობა მიმდინარეობდეს მუდმივ რეჟიმში. გადამუშავებული კურიკულუმის შემუშავების დროს მასწავლებლები გაითვალისწინებენ როგორც კურიკულუმების გადამუშავების დროს მიღებულ საკუთარ , ისე კოლეგათა მიერ გაზიარებულ გამოცდილებას. პედაგოგები ინტერვიუს დროს საუბრობენ, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესს განიხილავენ კათედრაზე , აჯერებენ, თუ რა კავშირი და განსხვავებებია დაგეგმილ და განხორციელებულ კურიკულუმებს შორის. სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. ამ მიდგომით 2023-24 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის გადამუშავებული კურუკულუმები მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის ჩანაწერში, ასახულია კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე.“აგრეთვე თვითშეფასების ფორმაშიც აღნიშნულია, რომ რევიზირებულ საგნობრივ კურიკულუმში აისახება წლის მანძილზე პროცესში მიღებული გამოცდილება. სკოლას აქვს მზაობა და სამომავლო ხედვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია, რომელზეც ამ ეტაპზე აქტიურად მუშაობენ მასწავლებლები ეფუძნება წინა სასწავლო წლების გამოცდილებას. სკოლა აგროვებს წინა წლის გამოცდილებას, ირჩევს სტრატეგიას ამ გამოცდილების გამოსაყენებლად სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად, მასში მოიაზრებს თანამონაწილეობით სკოლის ადმინისტრაციას, მასწავლებლებს, მოსწავლეებს და მშობლებს, ასევე შეიმუშავებს გაზიარების გზებს და საშუალებებს. სკოლის ბაზაზე აქტიურად ვლინდება კათედრის / გაერთიანებების წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვა საგნობრივ კათედრებთან /გაერთიანებებთან კოორდინირებული მუშაობა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - განხორციელებულ საგნობრივ კურიკულუმების შედეგების ანალიზი და რევიზია მოგვცემს საშუალებას ახალი სასწავლო წლის კურუკულუმებში მოვახდინოთ კომპლექსური დავალების მოდიფიცირება, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამატებითი დოკუმენტებიდან დანართი № 7, 22.
- დანართი N7. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია საჩხერე #3
- დანართი #2 სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023
- სკოლის სამოქმედო გეგმა.
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	**v შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიხედვით განსაზღვრულია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, ასევე რა პრინციპებით და რა ეტაპების გავლით მოხდება კურიკულუმის განვითარება. დოკუმენტში გაწერილია, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა გაითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლების ზოგადი ფუნქციები და მოვალეობებია წარმოდგენილი. ამავე დოკუმენტში ჩანს, კათედრის თავჯდომარის, კათედრის, დირექციის როლი სამუშაო პროცესში. ასევე ჩანს მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა. როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, ასევე სკოლის თვითშეფასებიდან და კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და მისი განახლება მოხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. ნათლად ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნის მასწავლებლების მიერ კოლეგებთან, მშობლებთან თანამშრომლობით, მოსწავლეების ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტები: სადამრიგებლო პროგრამა, სასკოლო პროექტების დოკუმენტაცია, საიდანაც იკვეთება, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესებს, მასწავლებლების ინიციატივებსა და წინადადებებს. კურიკულუმების შემუშავებას, მასწავლებლები იყენებენ როგორც გასული წლის სასწავლო გეგმას, ასევე ქმნიან ახალ, საკუთარ ორიგინალურ, შემოქმედებით და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ კომპლექსურ დავალებებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მათთვის საინტერესო თემებს და სწორედ ამ თემებზე დაგეგმავენ კომპლექსურ დავალებებსაც. გააანალიზებენ შედეგებს და გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლისათვისაც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;.

კურიკულუმის შემუშავების პრინციპებზე ძირითადად მუშაობენ მასწავლებლები, ამ პროცესში ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა მოსაზრებებს, რომელიც ძირითადად ზეპირსიტყვიერია. ასევე კათედრებზე მასწავლებელბი წლის ბოლოს წარადგენენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, გამოკვეთენ განხორციელებული დავალებების დადებით და უარყოფით, ძლიერ და სუსტ მხარეებს, ასევე რა არის გასაუმჯობესებელი, მსჯელობენ რომელი კომპეტენციის განვითარება შეძლეს კონკრეტული შემაჯამებლის ფარგლებში. სასკოლო პროექტები ძირითადად იგეგმება მოსწავლეების მიერ მათი ინტერესების მიხედვით, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მიმართულებით. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა / მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების / წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი და ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების შეხედულებების ანალიზი, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ციკლურად მიმდინარეობს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ასახულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, ბეჭდითი მასალები, საჯარო ღონისძიებები, ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მშობლები ინფორმირებულნი არიან სოციალური ქსელის და საინფორმაციო დაფის საშუალებით. კომპლექსური დავალებების ბარათები ხელმისაწვდომია მათთვის, როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს წლის დასაწყისში ეწყობა მშობლებთან შეხვედრები, სადაც მასწავლებლები აცნობენ წლის განმავლობაში განსახორციელებელ სამოქმედო გეგმებს, ისმენენ მშობლების უკუკავშირს. ასევე მშობლებს ეგზავნებათ კომპლექსური დავალებების ბარათები. ბარათების გაცნობის შემდეგ ტარდება მშობლებთან შეხვედრები და მასწავლებლები იღებენ მათგან უკუკავშირს განხორციელებული დავალებების შესახებ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყურადღებას ამახვილებენ მშობელთა მხარდაჭერის მნიშვნელობაზე და ასევე მოსწავლეთა უკუკავშირზე. პერიოდულად ტარდება შეხვედრები მშობლებთან მიმდინარე აქტივობებთან დაკავშირებით, ეს საქმიანობა სკოლას ეხმარება უფრო მეტად საჯარო გახადოს სკოლაში მიმდინარე მოვლენები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N29, სკოლის მშობლებთან ურთიერთობის დებულება
- საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი N4
- დანართი N20, მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარი
- საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი N4
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- სტატუსუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.
- კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სახელმწიფო ენა - კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე კათედრა გეგმავს კურიკულუმის ჩარჩოების სრულყოფას, მომავალი სასწავლო წლისათვის ყურადღებას გაამახვილებენ თავიანთ გამოცდილებასა და მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე. ა ღნიშნეს, რომ გასულ სასწავლო წელს ისარგებლეს ექსპერტების მიერ მიწოდებული კურიკულუმის ნიმუშებითა და კომპლექსური დავალებებით. აშუალო საფეხურზე, კერძოდ, მე-10 კლასში შერჩეულია სამი კომპლექსური დავალება, რომლებიც მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი და კვლევითი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა - გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ზემოთ ავღნიშნე უკვე, რომ 2022-2023 სასწავლო წელს სარგებლობდნენ ექსპერტების მიერ მიწოდებული კურიკულუმებითა და კომპლექსური დავალებებით, რომელიც ბუნებრივია აკმაყოფილებდა ყველა კრიტერიუმს. თუმცა მათემატიკის კათედრაზე შეარჩიეს კომპლექტური დავალება, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია შემოქმედებითი უნარების, კრიტიკული აზროვნების, კვლევის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. 2023-2024 სასწავლო წლისთვის შემუშავებულ კურიკულუმებში ყურადღება გამახვილებული იქნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე, გრძელვადიან მიზნებსა და მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა - წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩოების დოკუმენტები, რომლითაც უცხო ენის სწავლების პროცესზე პასუხისმგებელი პირები, ჰოლისტურად გვიქმნიან წარმოდგენას, თუ რა მასალაზე დაყრდნობით, რა სტრატეგიების გამოყენებით გეგმავენ საგნის სტანდარტის მიხედვით განსაზღრულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლას უცხო ენის ფარგლებში. ეს ყოველივე ცალსახად იკითება კომპლექსური ბუნების ტიპის დავალებებში ყველა კლასისთვის წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებზე დაყრდნობით შეიძელბა ვივარაუდოთ, რომ სკოლის უცხოური ენის მასწავლებლებს აქვთ მზაობა მოახდინონ საგნის სამიზნე ცნებებისა და შედეგების დამუშავება მოსწავლეებთან კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებებზე დაყრდნობით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალო საფეხურის 10-12 კლასისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნებისა და საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. შერჩეულია თემები და გაწერილია შესაბამისი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საკითხები. შედგენილი კურიკულუმები არის სრულყოფილი. თითოეული კლასის კურიკულუმში შეტანილია მრავალფეროვანი სასწავლო თემები (თეორიული და პრაქტიკული მიმართულებით), სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილი, მათი ინტერესი და შესაძლებლობები, რაც საშუალებას იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის, მათი ინტერესისა და შესაძლებლობების გათვალისწინებას. თემების შერჩევისას გათვალისწინებულია სკოლის მდიდარი ინფრასტრუქტურა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით, წარმოდგენილ დოკუმენტებიდან, ასევე ინტერვიუ მასწავლებლებთან, მაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ დავინახო სამომავლო ხედვა იმასთან დაკავშირებით, რომ შემუშავებული კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას პროექტული სწავლების საშუალებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს სავალდებულო თემების, სამიზნე ცნებების, საკითხებისა და რესურსების, შესახებ რომლებითაც ხდება პროექტზე მუშაობის წარმართვა. თემები რომლებიც პროექტის ფარგლებში დამუშავდება, მოწავლეებს მისცემს საშუალებას რომ საბოლოო პროდუქტი მრავალფეროვანი იყოს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საშუალო საფეხურზე მუსიკა და სახვითი ხელოვნება ისწავლება სავალდებულო პროექტების სახით X ან XI კლასში. ამ საფეხურზე ხდება ერთგვარი შეჯამება იმ ცოდნისა რაც დაწყებით და საბაზო საფეხურზე მიიღეს.განხორციელებული პროექტის დროს მოსწვლე შემოქმედებითად წარმოაჩენს თავს და აზუსტებს რამდენად ჩამოუყალიბდა მკვიდრი წარმოდგენები. 2022-23 სასწავლო წელს პროექტული სწავლება მიმდინარეობდა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში X - კლასში. მომავალ სასწავლო წელს იგეგმება სავალდებულო პროექტების განხორციელება მუსიკის მიმართულებითაც. სკოლას წარმოდგენილი აქვს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმი, სადაც ყველა სტრუქტურული ერთეული გაწერილია. სკოლას აქვს გამოცდილება და როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, გაიზიარებენ უკვე არსებულ პრაქტიკას და არდადეგების პერიოდში აპირებენ მუსიკის მიმართულებითაც მომავალი წლისთვის დაგეგმონ მასწავლებლის სახელმძღვანელოზე დაყრდნობით პროექტული სწავლება საშუალო საფეხურზე. აქვთ მზაობა, გამოცდილება და სწორი ხედვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საშუალო საფეხურზე საგანი ,,მოქალაქეობა“ სრულად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; აღნიშნულ დებულებას ადასტურებს შემდეგი ფაქტები:

შემოთავაზებული კურიკულუმი სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს აჩვენებს და უზრუნველყოფს;

- სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით;
- სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივ ცოდნის დასამუშავებლად;
- თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება;
- სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს;

საგნის ფარგლებში შექმნილია ცნებებზე ორიენტირებული კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც ყველა კომპონენტი სავალდებულო თემა, ცნებები, ძირითადი საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, მაგალითები შედარებისთვის, კომპლექსური დავალების იდეა და სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

რესურსები სწორი პრინციპით არის აგებული.

კურიკულუმში შემოთავაზებულია მოსწავლისთვის საინტერესო კონტექსტით საკითხთა კლასტერი, ფრაგმენტულად კონტექსტ-მაგალითები და მაგალითებს შედარებისთვის მაგ: მეათე კლასში თემა:გლობალური მოქალაქეობა შემდეგი სახით არის შემოთავაზებული კურიკულუმში ერთ-ერთი კომპლექსური დავალება-სამიზნე ცნებები და ქვეცნებები სამოქალაქო მონაწილეობა

- სამოქალაქო მონაწილეობის კიბე
- ინფორმირება;

საკითხი და ქვესაკითხი: დეზინფორმაცია და მისი შედეგები

- დეზინფორმაცია და ყალბი ამბები
- კონფორმულობა და პოსტსიმართლე
- ფაქტი და მოსაზრება

კომპლექსური დავალება: კედლის გაზეთის მომზადება „დეზინფორმაციისა და ყალბი ამბებისგან მომდინარე საფრთხეები“

სასწავლო რესურსები: სახელმძღვანელო, მოქალაქეობა, კლიო, გვ:49-56

იგივე მოცემულობა გვაქვს საგან,,ისტორია“ და საგან ,,გეოგრაფიაში“; კურიკულუმის ჩარჩოები სამივე საგანში სრულად შეესებამება მოთხოვნებს და მიემართება მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესს. ყველა თემა დამუშავებულია, თემებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, წარმოდგენილია საინტერესო დავალებები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესზე და რეალურ ყოფით ცხოვრებაზე. მაგ: მეათე კლასში თემა პრეისტორია , სამიზნე ცნებები და ქვეცნებები: სივრცე / ისტორია გეოგრაფიული ტერიტორია საზოგადეობა / სოფიალური ფენა, რელიგია ძველი ახალი აღმოსავლეთი ბაბილანის ძველი სამეფო. ხამურაბის კანონები მოხსენება თემაზე შუამდინარული ქალაქ სახელმწიფოს მმართველობა თანამედროვე მმართველობის სისტემასთან. თანამედროვე ქალაქის თვითმართველობა ძვ. მსოფლიო ისტორია. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - თვითშეფასების კითხვარის მიხედვით ჩანს, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო კურიკულუმის შემუშავება ხდება თითოეული მასწავლებლის მიერ თვითშეფასების საფუძველზე მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სკოლის მასწავლებლების მიერ კონტრუქტივისტულ პრინციპებზე დაფუძნებული სასკოლო კურიკულუმი მოზარდებს სთავაზობს წინარე ცოდნა-გამოცდილებასთან დაკავშირებულ ნაცნობ, ცხოვრებისეულ კონტექსტებს და იწვევს მათ უცნობის, ახლის აღმოსაჩენად. (დანართი N 2 სასკოლო სასწავლო გეგმა) მოსწავლეთა კითხვარის საფუძველზე გამოჩნდა რა ინტერესები და საჭიროებები აქვთ და უკეთ მოახდინეს მოსწავლეთათვის საინტერესო, და განსხვავებული გამოცდილების, სხვადსხვა მოსაზრებების გაზიარება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

სახელმწიფო ენა - აშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული დავალებების დანერგვის ეტაპზე აქტივობები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა). ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გასულ წელს გრძელვადიან მიზნებად გააზრებული იყო გლობალური ფუნქციური უნარები. ომავალი წლისთვის კურიკულუმის შეფასების ინსტრუმენტებზე პედაგოგები მუშაობენ მისი სრულყოფისათვის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა - პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმებში, რომელსაც იყენებდნენ 2022-2023 სასწავლო .წელს გრძელვადიან მიზნებად გააზრებული იყო სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები; ძირითად შემთხვევაში აღქმული იყო გლობალური ფუნქციური უნარები (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა, ხასიათი, ნება) უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად). 2023-2024 სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შეფასების ინსტრუმენტი კათედრის ფარგლებში შემუშავების პროცესშია და იგეგმება ამ მიმართულებით სასწავლო წლის დაწყებამდე მუშაობა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- უცხო ენის სასწავლო პროგრამის ჰოლისტურად აღმწერი დოკუმენტი-კურიკულუმის ჩარჩო წარმოგვიდგენს რა კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეებს, რომლებიც ზუსტად ეხმიანებიან / ამუშავებენ ამავე საფეხურისა და საგნის გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებსა და შედეგებს) თავისუფლად შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას, ვინაიდან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - შედგენილი და წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისაკენ. თემები შერჩეულია როგორც პრაქტიკული ასევე თეორიული მიმართულებით და ითვალისწინებს: სამიზნე ცნებებზე გასვლას, რომელიცაა: ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი და ცხოვრების ჯანსაღი წესი, გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) განვითარებასა და საგნობრივი სტანდარტის შედეგებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და პასუხს იძლევა კითხვაზე: რა მიზნით ისწავლება საგანი? კურიკულუმებში გაწერილი კომპონენტები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებაზე; სრულად გაწერილ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება სხვა კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ნათლად ჩანს, თუ რა მასალაზე დაყრდნობით წარიმართება სწავლება. სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით; შერჩეულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან იკითხება,რომ საბაზო საფეხურზე იგეგმება ისეთი კომპლექსური დავალებები როგორიცაა ვიდეო რგოლის მომზადება აქტუალურ საკითხებზე, წერილი, ესსე, ამბის ციფრული თხრობა, სტატია, რეპორტაჟი, კედლის გაზეთი კულტურული მემკვიდრეობის ტრადიციების პოპულარიზაციის მიზნით. საგნობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

კურიკულუმები ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა / ნებელობა - განვითარებაზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საშუალო საფეხურზე კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გამოწვევას საგანთაშორისი კავშირებით (გეოგრაფია, ისტორია და მოქალაქეობა) და სწავლების კავშირით მოსწავლეში ინტერესებს, შესაძლებლობებს, ღირებულებებს და გამოცდილებას შორის.საგანი ,,მოქალაქეობა“ კურიკულუმის დაგეგმვის პრინციპი განსაზღვრავს თუ როგორ შეიძლება სასწავლო პროცესში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარება. კომპლექსური დავალება, ცნებებზე ორიენტირება, საგნობრივი საკითხები, თემები, ძირითადი და დამატებითი რესურსები, შეფასების ინსტრუმენტები მოიცავს მოსწავლეების პიროვნული განვითარებისთვის ძირითად საშუალებას. კურიკულუმში მოცემეულია კონტექსტ-მაგალითები, სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ასამაღლებლად, რაც თავის მხრივ მოიაზრებს 6 ფუნქციური უნარის განვითარებას; სწორედ ასეთი პროექტებისა და კლუბური მუშაობის დროს ხდება მოსწავლეთა შემოქმედებით, კრიტიკული და უნარების განვითარებას ახდენს. საგან ,,გეოგრაფიაში“-ში კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი სრულად შეესაბამება მოთხოვნებს. ჩარჩო აგებულია ყველა კომპონენტის დაცვით, რომელიც სასწავლო პროცესში ახდენს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას. ინტერვიუს დროს კიდევ ერთხელ პრაქტიკულად დადასტურდა სიღრმისეულად ეს მოცემულობა. დადასტურდა კურიკულუმის აგების პრინციპი, გამოიკვეთა რომ მომდევნო ეტაპის სამუშაოებზე იქნება კიდევ უფრო საინტერესო და სრულად წარმოდგენილი; მაგალითად მატრიცებში გათვალისწინებულია ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა შემოქმედებითი და სხვა უნარების განვითარებას ემსახურება (ესეს, ნახატის, მაკეტის, პოსტერის შექმნა, ჯგუფური პრეზენტაცია, ბროშურების შექმნა) კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებისთვის ტარდება დისკუსიები, დებატები, თავისუფალი გაკვეთილები, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი აზრის თავისუფლად დაფიქსირება; **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მიმდინარე კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი- კომპლექსური დავალება. ახალი სასწავლი წლისთვის საბუნებისმეტყველო კათედრამ შექმნა კურიკულუმის ჩარჩოები საშუალო საფეხურზე. ბიოლოგიაში, ფიზიკასა და ქიმიაში წარმოდგენილია მხოლოდ მე-10 კლასში . კურიკულუმში სტანდარტის შესაბამისად არის შეტანილი სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, თუმცა არ არის ქვეცნებებად ჩაშლილი. მხოლოდ 1 კომპლექსური დავალებაა არჩეული იდეას, კონტექსტ-მაგალითს ნაკლებად გააზრება ეტყობა და შესადარებელი მაგალითებიც არ არის მოყვანილი, თუმცა გასაუბრების დროს გაირკვა, კურიკულუმებს დახვეწავენ და მინიმუმ 3 კომ. დავალებას დაგეგმავენ/ ასევე სასურველია რესურსები სრულად და გააზრებულად იყოს წარმდგენილი. **რჩევის** სახით შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის ჩარჩოები უნდა შეიქმნას მე-11 კლასისთვისაც. მოწოდებული საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სახელმწიფო ენა - სკოლა განიხილავს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიიჩნევს, რომ განათლების უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა, ამისათვის მათ შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სასწავლო გეგმები, კურიკულუმში შეთავაზებული კომპლექსური დავალებები. როგორც საშუალო საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს გასაუბრებისას, ისინი ქმნიან მოდიფიცირებულ კომპლექსურ დავალებებს, რათა ყველა მოსწავლე მაქსიმალურად იყოს ჩართული . **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- გამომდინარე იქედან, რომ დიფერენცირებული სწავლება სასწავლო პროცესის ისეთი ორგანიზებაა, რომელიც გათვლილია თითოეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფების საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე, მათემატიკის საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მიზნად დაისახეს სწავლების ეს ფორმა ეფექტიანად დაენერგათ სასწავლო პროცესში. დიფერენცირება გათვალისწინებულია ასევე კომპლექსური დავალებების საბოლოო პროდუქტში. მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას სასურველი ფორმით წარმოადგინონ ნამუშევარი, რიგ შემთხვევაში სთავაზობენ ალტერნატიულ საშუალებებს, რათა გრძელვადიანი მიზნის შესაბამის მოკლევადიან მიზანზე გავიდნენ.**შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ისგ გეგმები, რითაც ცხადია, რომ სკოლა გეგმავს ინკლუზიური სწავლების მონიტორინგს. წარმოდგენილია როგორ ახდენს მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე რესურსების ან/და კომპლექსური დავალების პირობის დიფერენცირებას და არჩევს მეთოდებ სინკლუზიური მიდგომების გათვალისწინებით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - თვითშეფასების ფორმაშიც იკითხება და ინტერვიუს დროს პედაგოგებმაც აღნიშნეს, რომ ისინი მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, შეუძლია სასწავლო პროცესის მოდიფიცირება და შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში , სათანადო ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში. სკოლას ყავს რამდენიმე სსსმ მოსწავლე, რომელთაც ესაჭიროებათ მათზე მორგებული ინდ. გეგმა ჩვენს საგანში. პედაგოგმა აღნიშნა რომ სპეც მასწავლებელთან ერთად შემუშავებული აქვთ მოსწავლეებისათვის ინდ. გეგემა და წარმოადგინა ეს ნიმუში ვიზიტის დღეს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სასწავლო პროცესის დროს სკოლა ცდილობს გაითვალისწინოს დიფერენცირებულ / ინკლუზიურ მიდგომები; სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები, კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ: ,,აქტივობების შერჩევა ხდება მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების, მათი ინტერესების და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცესში ჩართულია დამრიგებელი, მშობელი, საგნის მასწავლებლები, სპეცმასწავლებელი. სსსმ მოსწავლეებისათვის იქმნება ადაპტირებული კომპლექსური დავალებები“. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში, საშუალო საფეხურზე იყენებენ დიფერენცირებული სწავლების გამოცდილ სტრატეგიებს. საჭიროების შემთხვევაში ახდენენ როგორც პროცესის, ასევე პროდუქტის დიფერენცირებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საგნობრივი კურიკულუმი ადასტურებს სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფიის პრინციპებს, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომას, მოსწავლეზე ორიენტირებულ სიღმისეულ სწავლებას და მეორე მხრივ პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას, რასაც ადასტურებს ფორმალური და არაფორმალური განათლების სხვადასხვა დოკუმენტები. კურიკულუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ეფუძნება მრავალფეროვან და მოსწვალეზე მორგებულ სასწავლო პროგრამას / შინაარსს - შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სკოლას მოწოდებული აქვს ასევე ისგ-ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. თვითშეფასებაში ასევე ჩანს გამოცდილება დიფერენცირებული / ინკლუზიური სწავლების პრინციპების, რასაც ადასტურებს წინა წლებში განხორციელებული კომპლექსური დავალებები მაგ: საგანი ,,მოქალაქეობა"; კურიკულუმშიც პროცესი ადასტურებს დიფერენცირებული სწავლების პრინციპების ასევე ჩანს სამომავლო ხედვა კონკრეტული მაგალითებით - დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით. საგნობრივ კათედრებს შემუშავებული აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. (პრეზენტაციის, პროექტების, ესეების, დებატების , დისკუსიის). სკოლაში განხორციელდა კვლევა თუ რა გავლენას ახდენს განმავითარებელი შეფასება მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაზე, მოტივაციასა და სწავლის ხარისხის ამაღლებაზე. აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს მშობლებმა, მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - დიფერეცირებულ მიდგომებზე ნარატივის სახითაა მოცემული კითხვარში, მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს მოწოდებულ გაკვეთილის გეგმებში სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება მასწავლებლის მხრიდან, მაგრამ არ ჩანს კომპლექსურის მოდიფიცირება, თუმცა საჭიროებს დადასტურებას. ასევე სკოლა აღნიშნავს, რომ ყავს სსსმ მოსწავლეები და მათვის ინგ - ის მიხედვით ახორციელებს კომპლექსურების მოდიფიცირებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების კუთხით სამი დოკუმენტი. აღნიშნულით დასტურდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომები, თუმცა სასურველი იქნებოდა ასევე წარმოედგინათ სსსმ მოსწავლეების ინგ გეგმაც და შესაბამინის მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებაც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სახელმწიფო ენა - სკოლა გეგმავს ეფექტიანი განმავითარებელი შეფასების ფორმებისა და უკუკავშირის მიწოდებას საკუთარი გამოცდილების საფუძველზე: „სასწავლო წლის დასაწყისში შევსებულმა თვითშეფასების კითხვარის ანალიზმა და გასულ სასწავლო წელს გაკვეთილებზე დასწრების ანალიზმა აჩვენა, რომ საშუალო საფეხურის მასწავლებლებს ჯერ კიდევ სჭირდებათ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დიდი ყურადღება ეთმობა სკოლაში განმავითარებელი შეფასების გამოყენებას" . **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებისთვის რუბრიკებს ისე ქმნიან, რომ მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- უცხოური ენების კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილი არ არის განმავითარებელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,თუმცა ინტერვიუს დროს ცალსახად ნათელი გახდა, რომ ამ საგნის პედაგოგებს კარგად აქვთ გაზრებული თუ როგორ უნდა მოხადინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. მასწავლებელთა მიერ განხილული შეფასების მიდგომები სრულიად ეხმიანება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ უცხოური ენის გრძელვადიან მიზნებს, მჭიდრო კორელაციას გვიჩვენებს მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკაოტრებს შორის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის მიერ შექმნილი და წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საშუალო საფეხურისთვის შემუშავებულია , ისე, რომ მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. ითვალისწინებს საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს . რუბრიკები შედგენილია თემების მიხედვით. საშუალო საფეხურის შეფასების სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით, შემაჯამებლის ჩანიშვნის შემთხვევაში , წარმოდგენილია ერთი კონკრეტული თემისათვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. პედგოგებმა გამოთქვეს მზაობა, რომ სამომავლოდაც შექმნიან რუბრიკებს შერჩეული თემების მიხედვით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სკოლის სასწავლო სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობაა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ, მოსწავლეთა შეფასება ეფუძნება სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. სწორედ ამიტომ მასწავლებლები წინასწარ განსაზღვრავენ შეფასების კრიტერიუმებს და ქმნიან გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს. განმავითარებელი შეფასებისთვის იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ეფექტურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, ვიცი-მინდა-ვიცოდე, გრაფიკული ორგანიზატორები. წარმატებით იყენებენ სოლო ტაქსონომიას- როგორც კომპლექსური დავალებაზე მუშაობის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს.“ პროექტული სწავლება ფასდება განმავითარებელი შეფასებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს, როგორც მუსიკაში ასევე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუში სწავლების გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით, რომელიც წარმოდგენას ქმნის, საფეხურის ფარგლებში ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საგნობრივ კურიკულუმებში მოაზრებულია შექმნილია შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი, რომელიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. სკოლას ასევე დამატებით დოკუმენტაციაში მტკიცებულებებში არის სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები, სადაც პროცესი მიმართულია მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებისკენ. კურიკულუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებს და კურიკულუმის ჩარჩოს კონტექსტი მოიცავს კონსტრუქტივიზმის პრინციპებს.
სკოლა საშუალო საფეხურზე განმავითარებელი შეფასებისთვის იყენებენ შფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს. 2019 -2020 წასწავლო წელს სკოლაში დაიგეგმა და განხორციელდა პროექტი ,, დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა კომპლექსური დავალებების დანერგვის გზით სამივე საფეხურზე“. აღნიშნიშნული პროექტის მიზნები იყო მიზანზე და სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებზე მორგებული კომპლექსური დავალებების შექმნა, სხვადასხვა ტიპის კომპლექსური დავალებებისთვის შეფასების რუბრიკების შექმნა და დავალებების ანალიზი, კომპლექსური დავალებების და რუბრიკების ბანკის შექმნა და თანამშრომლობის გზით სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარება. პროექტის ფარგლებში შეიქმნა მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები და შეფასების რუბრიკები რომელსაც სკოლა დღემდე იყენებს. პროექტი ბოლოს ჩატარდა შემაჯამებელი კონფერენცია და სტენდური გამოფენა, რაც დასტურდება სევე სკოლის მიერ მოწოდებულ ძირითად დოკუმენტაციაში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, მოსწავლეთა შეფასება ეფუძნება სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. სწორედ ამიტომ მასწავლებლები წინასწარ განსაზღვრავენ შეფასების კრიტერიუმებს და ქმნიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს, რაც წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე რუბრიკით. განმავითარებელი შეფასებისთვის იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. კრიტერიუმების საშუალებით ხდება მოსწავლეთა შეფასება დონეების მიხედვით, წარმოჩნდება მათი ძლიერი და სუსტი მხარეები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სახელმწიფო ენა - საშუალო საფეხურის პედაგოგები კურიკულუმების დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. როგორც ინტერვიუში აღნიშნეს, კურიკულუმის დაგეგმვისას აანალიზებენ ხარვეზებსა და კურიკულუმს აუმჯობესებენ. „სამომავლოდ გათვალისწინებულია, კათედრების წევრებს შორის განხილული საკითხები, რიგგარეშე სხდომები, დოკუმენტურად ავსახოთ, დავწეროთ რეფლექსიები და პერმანენტული ხასითი შევძინოთ“. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული აქვთ წინა წლების გამოცდილება. სასწავლო პროცესი მაქსიმალურად მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე. ცდილობენ ყველა ნიუანსის გაწერის დროს გაითვალისწინონ წინარე გამოცდილება და ისე დაგეგმონ მომდევნო სასწავლო წელი. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- სკოლას წარმოდგენილი არ აქვს დოკუმენტი სახელად რესურსი 12 თუმცა ინტერვიუს შემდეგ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლის საზოგადოებამ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვა სწორედ მიღებული შედეგების გაანალიზების ბაზაზე მოახდინეს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- კათედრული ოქმებით დასტურდება და ინტერვიუს შედეგადაც ნათელია, რომ კოლეგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. მათ გამოთქვეს მზაობა , რომ სამომავლოდაც ისე დაგეგმავენ სასწავლო პროცესებს, რომ უზრუნველყონ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმების პირველადი ვერსიები, რომლებიც წინარე გამოცდილებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავეს. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც სექტემბრიდან გეგმავენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკა საშუალებას აძლევთ დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინონ წინარე გამოცდილება, სასწავლო პროცესში გამოვლენილი ხარვეზებისა და წარმატებული პრაქტიკის გაზიარება ხდება კათედრაზე წარმოდგენილი ანგარიშების საშუალებით. მასწავლებლებს გაკვეთილებზე ესწრება და უკუკავშირს აძლევს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები, ისინი ისმენენ მათ რეკომენდაციებს და ითვალისწინებენ დაგეგმვის პროცესში. საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას ყურადღებას ამახვილებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებაზე. მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა და გამოცდილება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი. ინტერვიუს დროს ასევე მასწავლებლებმა დასმულ კითხვაზე თუ რა გამოწვევებს წააწყდნენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მათ დაასახელეს: დროის მენეჯმენტი, თითოეული მოსწვალის მიერ შესრულება პროდუქტის, მშობელთა არამიზნობრივი ჩართულობა, შეფასების კრიტერიუმების სირთულე, სწორედ ამ ჩამონათვალზე მათ დაგეგმეს კათედრაზე გრძელვადიანი სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა ინტერვენციებით. სწორედ ამ მიღწევებს კი ისინი გაითვალისწინებენ ასევე სამომავლო კურიკულუმის განხორციელებისას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლის თვითშეფასების კითხვარში ნარატივის სახით მოცემულია, რომ სასწავლო პროცესში გამოვლენილი ხარვეზებისა და წარმატებული პრაქტიკის გაზიარება ხდება კათედრაზე წარმოდგენილი ანგარიშების საშუალებით. (სუსრველია მასწავლებლის საგნობრივი ანგარიში) მასწავლებლებს გაკვეთილებზე ესწრება და უკუკავშირს აძლევს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები, ისინი ისმენენ მათ რეკომენდაციებს და ითვალისწინებენ დაგეგმვის პროცესში. მასწავლებლები ასევე აქტიურად აანალიზებენ საკუთარ პრაქტიკას თვითშეფასების ფორმების და ჩატარებული გაკვეთილების რეფლექსიის გაანალიზების საშუალებით. ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობებიდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე ერთობლივად გეგმავენ მომავალ სასწავლო წელს და ადგენენ სასწავლო გეგმებს. მომდევნო წლისთვის უკვე ექნება რევიზირებული კურიკულუმები. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი #11 შეფასების რუბრიკა პროექტის სამი კატეგორია პროექტი
- დანართი #32 პროექტი ჩვენ ვქმნით დემოკრატიას სკოლაში
- დანართი #51 გაკვეთილის გეგმა საშუალო საფეხურის სამოქალაქო განათლება
- დანართი #42 პროექტი-მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები-სკოლაში დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა კომპლექსური შემაჯამებელი დავალებების დანერგვის გზით სამიევე საფეხურზე“
- დანართი #35 ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
- დანართი #36 ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი
- დანართი #1 მოსწავლეების შეფასების კითხვარი 1
- დანართი #1 მოსწავლეების შეფასების კითხვარი 2
- დანართი #2 სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- შეფასების რუბრიკები
- სტატუსუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სახელმწიფო ენა - საშუალო საფეხურის კათედრაზე კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს ნამდვილად შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობას. სკოლას აქვს წინა წლების გამოცდილება და პედაგოგებმა ინტერვიუშიც აღნიშნეს, რომ დაკვირვების საფუძველზე ყველა სირთულე გაითვალისწინეს და ისე დაგეგმეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმი. საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო თემები წარმოადგენს მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტს. ასევე მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები და კონტექსტმაგალითები, ისინი ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. ამასთან, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს, შეიძინოს ცოდნა, იფიქროს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

იმსჯელოს პრობლემის გადაჭრის შესახებ, იმოქმედოს მიზნობრივად. კომპლექსური დავალების შედეგად პროდუქტის შექმნა შემოქმედებითი უნარების გამოყენებას მოითხოვს და შესაბამისად, გაიზრდება მოსწავლეთა დაინტერესება. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ჩართულნი არიან არაფორმალურ აქტივობებში, სასკოლო პროექტებში (მტკიცებულებებში სკოლას წარმოდგენილი აქვს განხორციელებული სასკოლო პროექტების ანგარიშები), სკოლაში არის პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, ღიაობა და მაღალი მიმღებლობა. მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა ყველა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა - თვითშეფასების კითხვარისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ისე აქვთ დაგეგმილი, რომ იძლევა მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კურიკულუმის შემუშავებისას შესაბამისად არჩევენ კომპლექსური დავალებებს. მომდევნო სასწავლო წლისთვის იგეგმება მატრიცებზე დაფუძნებით კურიკულუმის შემუშავება/შეფასება, სადაც მკაფიოდ გამოიკვეთება ის საჭიროებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშს მოსწავლეებისა და მასწავლებლის დონეზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- ეფუძნება რა წარმოდგენილი სასწავლო გეგმა კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტულ დავალებებს მოსწავლე ამგავრ სასწავლო გარემოში გარანტირებულად შეძლებს იყოს შემოქედებით პროცესში ჩართული. იგი კეთების პროცესში შეძლებს ცოდნის კონსტრუირებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - საშუალო საფეხურის კურიკულუმებში შეტანილი მრავალფეროვანი თემები, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით , დაგეგმილი ფესტივალები და სხვადასხვა ტიპის სპორტრული ღონისძიებები , მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისათვის შეთავაზებული შესაქმნელი პროექტები, სადაც ჩართული იქნება ყველა მოსწავლე , იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას და თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პროცესში შეძენილი უნარების გამოსავლენად. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინების და ხელშეწყობის მიზნით, ფიზიკური აღზრდა და სპორტის საგანში კოლეგები (ინტერვიუში აღნიშნეს), ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, მაგალითად მუსიკა, ხელოვნება და თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში თავისი შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოსავლენად. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - საშუალო საფეხურის მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ ,.სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი გულისხმობს იმას, რომ მოსწავლე თავად არის აქტიურად ჩართული შემოქმედებით პროცესებში. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ირკვევა, რომ არაფორმალური განათლების მიმართულებით კიდევ უფრო მეტად არის გამოკვეთილი სკოლაში მოსწავლეთა ავტონომიურობა და შემოქმედებითობა. ისინი ჩართულები არიან კლუბების მუშაობაში, გეგმავენ სხვადასხვა ტიპის აქტივობებს და ახორციელებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მასწავლებლების მხარდაჭერით. მოსწავლეთა ინიციატივით გასულ სასწავლო წელს დაიგეგმა და სკოლის დირექციის მხარდაჭერით განხორციელდა საზაფხულო ბანაკი. მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა აქტივობები დაეგეგმათ და განეხორციელებინათ მათთვის საინტერეო თემებზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- თვითშეფასებაში სკოლა აღნიშნავს არაფორმალური განათლების და მოსწავლეთა თვითმართველობის აქტიურობას. ასევე კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კონტექსტ-მაგალითებიც იძლევა ამის საშუალებას. ასევე კომპლექსური დავალების იდეებიც. საგნებში მოქალაქეობა, გეოგრაფია და ისტორია შემოქმედებითობა ვლინდება კურიკულუმში მაგ: კონტექსტ-მაგალითები, რომლის საფუძველზე მოსწავლე აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით; ასევე ვლინდება შემოქმედებითი ტიპის კომპლექსური დავალებები მისი პროდუქტებით მაგ: ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მოსწავლის მაღალი ავტონომიურობა და ჩართულობა გამოჩნდა გასაუბრების დროს მასწავლებლებთან და ასევე ჩანს სკოლის დოკუმენტაციაში, რაც სწავლა-სწავლების პროცესს ეხება; ორიენტაცია მაღალ სააზროვნო უნარებზე; მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებაზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს ასეთი გამოცდილება, როცა წლის დასაწყისში რამოდენიმე მასწავლებელმა მოსწავლეებს გააცნო კომპლექსური დავალებების ტიპები და მათ მისცა საშუალება აერჩიათ მათვის სასურველი და საინტერესო დავალება. არის შემთხვევები როცა მოსწავლეებს აქვთ ინიციატივა და მასწავლებლის დახმარებით გეგმავენ აქტივობებს. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ მეთოდს ,,შებრუნებული საკლასო ოთახი“, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება დამოუკიდებლად სწავლის უნარის ჩამოყალიბებაში.კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება აქტიურად ჩაერთონ სწავლა სწავლების პროცესში სხვადასხვა მეიდგომების საშუალებით როგორიცაა: კომიქსის შექმნა, ილუსტრაციების შექმნა და აღწერა, თხზულების შექმნა და წარდგენა, როლური თამაში. დებატები, დისკუსია. რაც შეეხება არჩევით საგნებს, მოსწავლეებს სკოლა სთავაზობს ჩამონათვალს და ისინი საკუთარი ინტერესებიდან და სკოლის შესაძლებლობებიდან გამომდინარე აკეთებენ არჩევანს. არაფორმალური განათლების მიმართულებით კიდევ უფრო მეტად არის გამოკვეთილი სკოლაში მოსწავლეთა ავტონომიურობა და შემოქმედებითობა. ისინი ჩართულები არიან კლუბების მუშაობაში, გეგმავენ სხვადასხვა ტიპის აქტივობებს და ახორციელებენ მასწავლებლების მხარდაჭერით. მოსწავლეთა ინიციატივით გასულ სასწავლო წელს დაიგეგმა და სკოლის დირექციის მხარდაჭერით განხორციელდა საზაფხულო ბანაკი. მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა აქტივობები დაეგეგმათ და განეხორციელებინათ მათთვის საინტერეო თემებზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

აბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი გულისხმობს იმას რომ მოსწავლე თავად არის აქტიურად ჩართული შემოქმედებით პროცესებში და ყველა თავს გრძნობს თანასწორ მდგომარეობაში; საგაკვეთილო პროცესის დროს თუ არაფორმალური განათლების განხორციელების პროცესში სკოლის პერსონალი მაქსიმალურად ცდილობს ყველა ბავშვს მისცეს საშუალება ახსნას, გაუზიაროს სხვებს საკუთარი გამოცდილება თუ მოსაზრებები. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ მეთოდს ,,შებრუნებული საკლასო ოთახი“, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება დამოუკიდებლად სწავლის უნარის ჩამოყალიბებაში.კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება აქტიურად ჩაერთონ სწავლა სწავლების პროცესში სხვადასხვა მეიდგომების საშუალებით როგორიცაა: კომიქსის შექმნა, ილუსტრაციების შექმნა და აღწერა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

თხზულების შექმნა და წარდგენა, როლური თამაში. დებატები, დისკუსია. რაც შეეხება არჩევით საგნებს, მოსწავლეებს სკოლა სთავაზობს ჩამონათვალს და ისინი საკუთარი ინტერესებიდან და სკოლის შესაძლებლობებიდან გამომდინარე აკეთებენ არჩევანს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სახელმწიფო ენა - სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და დაეხმარება მას ახალი მასალის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული დავალების პირობათა უმრავლესობა შემუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგალითად, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი - მოამზადოს რეპორტაჟი, დაწეროს სამოტივაციო წერილი, შექმნას პიესა, ახსნას ნაცნობი მოვლენა. ეს არგუმენტი ნათელყოფს, რომ მომდევნო სასწავლო წელს პროცესი წარიმართება აღნიშნულოი ფაქტორის გათვალისწინებით. კონკრეტულ დავალებამდე განსახორციელებელი აქტივობები წარმოდგენილი იქნება განხორციელების პროცესის დასასრულს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა - მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებების პირობის ფორმულირების მნიშვნელოვანი პრინციპია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოიტანონ - სწორედ ეს იყო მიზანი კომპლექსური დავალებების შერჩევისა და განხორციელების დროს - მოსწავლეებმა გადაჭრან მათთვის ნაცნობი პრობლემა, რომელიც ამავდროულად აჩვენებს კავშირს ყოფა-ცხოვრებასთან, გააკეთონ ანალოგია, შექმნან საინტერესო პროდუქტი - ეს ყოველივე კი კონსტრუირებული იყოს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში შუალედური მიზნები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ იგი ცალსახად ეფუძნება მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, რაც თავისმხრივ შემდგომ უზრუნველყოფს ახალი ცოდნის მარტივად და მოსწავლისთვის საინტერესო ავთენტურ კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. ასევე , სკოლა გვატყობინებს, რომ არ აქვთ სადიაგნოსტიკო წერების გამოცდილება, თუმცა დაიგეგმა და შერჩეულ იქნა კონკრეტული ინსტრუმენტი სადიაგნოსტიკო შეფასებისათვის, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ უცხო ენის მასწავლებელთა მზაობა ანალიზის მიხედვითაც მოახდინონ მოსწავლეთა არსებული ცოდნის ინდენტიფიცირება . **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- საგანში - ფიზიკურ აღზრდა და სპორტი პედაგოგების თქმით (თვითშეფასების ფორმაშიც აღნიშნავენ), ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაშენებით. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით იღებს და ითვისებს ახალს. რაც გაადვილებს სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. პედგოგების მიერ აღწერილ სასწავლო პროცესი ჩანს მათ მიერ, წინა სასწავწლო წლის განვლილი პრაქტიკაში განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებშიც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილი პროცესის დაგეგმვა / განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას ცოდნის კონსტრუირების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

გზაზე. კერძოდ: სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა. ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით საგნობრივი კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტებით. კომპლექსური დავალებებით მუშაობა უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი მასწავლებლების მიერ ინტერვიუს პროცესში იქნა მაგალითები მოყვანილი, თუ როგორ ახდენს დავალების ყოველ ახალ, მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლე წინარე ცოდნისა და გამოცდილებაზე ახალი ცოდნის დაშენებას, უკავშირებს ცხოვრებისეულ გამოცდილებას და ახდენს ცოდნის ტრანსფერს. სკოლის თვითშეფასებიის ფორმიდან იკითხება: „მოსწავლეებს წინარე ცოდნის საფუძველზე შეუძლიათ ახალი ცოდნის აშენება, მიღებული ინაფორმაციის (ცოდნის) დახარისხება, შედარება ადრე მიღებულ(არსებულთან), დასკვნების გამოტანა, დამოუკიდებელი აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება, რომლისთვისაც ეფექტურად ვიყენებთ გონებრივ იერიშს, როლურ თამაშებს, წყვილებში და ჯგუფურ მუშაობას, დისკუსიას.ქეისებით სწავლება, სიტუაციური ამოცანების განხილვა დილემებით სწავლება“. აღნიშნული მტკიცებულებები მაძლევს საფუძველს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საშუალო საფეხურზე საგან მოქალაქეობა, გეოგრაფია და ისტორია საგნობრივ კურიკულუმებში აგების პრინციპი მოცემულია თემატური დაგეგმვის მიხედვით, რაც საფუძველი ხდება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურების, კურიკულუმში დამუშავებულია ყველა თემა. ასევე ფიქსირდება კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით და ა.შ.

დოკუმენტაციაში ვლინდება განხორციელებული მაგ: ისტორიაში მეათე კლასში თემა: გვიან ანტიკური ხანა და ადრეული შუა საუკუნეები დრო / ისტორიული ეპოქა სივრცე / ისტორიული ტერიტორია / ისტორიული მოვლენა / ისტორიული პიროვნება ანტიკურონბიდან შუა საუკუნეებამდე თქმულება პირველ ცოდვის შესახებ. ძველი აღქმის მიხედვით საგაზეთო სტატია რატომ გახდა ქრისტიანობა ბიზანტიის იმპერის მთავარი იდეოლოგია. სხვა მონეთოისტური რელიოგიების ინფორმაცია მე 10კლასი ისტ . სახელმძღვანელო, გამომცემლობა ლოგოს პრესი. ავტ: გ.ენისელი, მ. სულგულაძე. გელა ქარქანია.მათე ქარდავა

ინტერვიუს დროს დაზუსტდა რომ იგივე მოცემულობით იქნება ყველა საკითხი ცნება და თემა დამუშავებული სრული სახით სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრების ურთიერთანამშრომლობით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

აბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მოსწავლეებს წინარე ცოდნის საფუძველზე შეუძლიათ ახალი ცოდნის აშენება, მიღებული ინაფორმაციის (ცოდნის) დახარისხება, შედარება ადრე მიღებულ(არსებულთან), დასკვნების გამოტანა, დამოუკიდებელი აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება. აქედან გამოდინარე შემიძლია ვთქვა, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სახელმწიფო ენა - საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, კურიკულუმით გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდდება სწავლის სწავლაზე, კურიკულუმებში მოემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, რომლებზე მუშაობაც მოითხხოვს სწავლის სტრატეგიების ცოდნასა და დაუფლებას, მაგალითად, კოგნიტური სქემების გამოყენება, დაგეგმვა, რეფლექსია... კათედრის სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კომპლექსური დავალებების პირობები, განხორციელებული პროექტები და მასწავლებლებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- თვითშეფასების კითხვარითა და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. დავალებების/თემის შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და გამოცდილებას. ზეპირი ფორმით ხდება შესრულებული დავალებების თვითრეფლექსია მოსწავლეების მიერ, ყურადღების გამახვილება კომპლექსური დავალებების საკვანძო შეკითხვებზე, მათი ინდივიდუალური გამოცდილების გაზიარება და სამუშაო პროცესის დაგეგმვისას ამის გათვალისწინება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა - გაანალიზებული აქვს რა სკოლას კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რასავ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები გვეუბნება, შეიძლება ვივიარაუდოთ, რომ სკოლა სრულად იცავს / ამართლებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ ძირითად კონცეფციას და მუშაობის პროცესი ისე მიჰყავთ, რომ მოსწავლეებს აფიქრებენ სწავლის სწავლაზე და შესაბამისად ეხმარებიან მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლის თვითშეფასების ფორმიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური ხედვები, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. (აღნიშნულზე საუბრობდნენ მასწავლებლები გასაუბრებისას) სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ არსებული ფიზიკური თვისებების განვითარების, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის გამოვლინებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში დანერგვისა და გამოყენების საშუალებას აძლევს. პედაგოგმა გამოთქვა სამომავლოდაც მზაობა ამ პრინციპით მუშაობის გაგარძელების. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სთეტიკა - საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილ პროექტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კათედრის მიერ შერჩეული დავალებები ამაზე მიუთითებს. პროექტულ სწავლების დროს მუშაობის პროცესში აქცენტს მეტად აკეთებენ სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან იკვეთება,რომ მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ხელშესაწყობად მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და ეხმარებიან სწავლის ეფექტური სტრატეგიების დაუფლებაში. ამ პროცესში იყენებენ გრაფიკული ორგანიზატორებს, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება არსებითი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნაში, მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამახსოვრებაში; მოვლენებსა და ფაქტებს შორის ურთიერთკავშირის დანახვაში; რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ამ სტრატეგიის ტრანსფერს სხვა მასალის დამუშავების დროს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მიმართავენ სხვადასხვა მეთოდებს. მაგ. გამსვლელი ბარათები, მოსწავლის თვითშეფასება. მასწავლებელს მოსწავლეზე დაკვირვება შესაძლებლობას აძლევს გამოიკვლიოს თუ როგორი ფორმით შეუძლია ისწავლოს, ვიზუალური, კეთებით თუ სხვა რაიმე ფორმით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი იგეგმება ისეთი სტრატეგიებით, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეს საკუთარი თავის შესწავლასა და თვითრეგულირებაში. კომპლექსური დავალებებით საგნობრივ ცოდნის მიღებასთან ერთად , ახორციელებენ ისეთ სტრატეგიებს, რომელიც მოსწავლეს ეხმარება ცოდნის კონსტრუირებასა და პრაქტიკაში გამოყენებაში . მეტაკოგნიციის წარმართვის საშუალებას იძლევა საგნობრივი კურიკულუმი დაგეგმილი პროცესით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლას ესმის რა არის სწავლის სწავლა, აქვთ მოყვანილი მაგალითები ნარატივის სახით, მაგ. საშინაო დავალების მომზადებისას მოსწავლესთვის გაუგებარი აღმოჩნდა წაკითხული ტექსტის შინაარსი და მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეს ტექსტის მონაკვეთებად დაყოფას და თითოეული მონაკვეთის განხილვას და სხვ. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სახელმწიფო ენა - ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, რომელთა განხორციელებაც მოითხოვს საკითხის დამუშავებას, ცოდნის დადასტურებას, სწავლის სტრატეგიების ფლობას, გარკვეული პროცედურების შესრულებას, პრობლემის გადაჭრას და ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსტთან დაკავშირებით შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი საშუალო საფეხურზე ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე, მოსწავლეებს ექნებათ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა - თვითშეფასების კითხვარიდან და გასაუბრებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში შუალედურ სასწავლო მიზნებად ჩაშენებული კომპლექსური დავალებები ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას. დავალებათა პირობები გაწერილია იმგვარად, რომ მოსწავლეებს სძენს ფაქტობრივ ცოდნას ამა თუ იმ საკითხზე, აძლევს საშუალებას ეს ცოდნა წარმოაჩინონ დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულ აქტივობებში და კომპლექსური დავალების პროდუქტის შექმნისას განახორციელებენ მიღებული ცოდნის ტრანსფერს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთანა მჭიდრო კორელაციაში მყოფი მოსწავლისთვის მარტივად გასაგებად ფორმულირებული შუალედური მიზნები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ნათელია და პედაგოგებთან გასაუბრებისას აისახა, რომ, საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და შესაბამისი უნარების განვითარებას. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებში ცოდნის მიღებას და განვითარებას მარტივიდან რთულისაკენ. საწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ დასაწყისაში მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს თემას, უხსნის თამაშის წესებს , შერჩეული თემის (სახეობის) ტექნიკურ ელემენტებს და უჩვენებს თვითონაც პრაქტიკულად, შემდგომ ამეორებინებს და თამაშში ჩართავს ნასწავლი ტექნიკის შესაბამისად ასათვისებლად. მათ მიერ აღწერილი სასწავლო პროცესი ჩანს წინა წლის გავლილ პრაქტიკაში განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებშიც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირებულობა ჩანს პროექტებში, რომლებიც წარმოდგენილია საგნობრივ კურიკულუმებში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ ეფექტური სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეს სამი სახის ცოდნით უზრუნველყოფს: სტატიკური ანუ დეკლარაციული ცოდნით, დინამიკური ანუ პროცედურული ცოდნით, ფუნქციური ანუ ტრანსფერული ცოდნით. ტრანსფერული ცოდნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მოსწავლეს საშუალებას აძლევს, თავისი ცოდნა ადეკვატურად გამოიყენოს სხვადასხვა კონტექსტში. ხაზგასასმელია, რომ ტრანსფერი თავისთავად არ ხდება. საჭიროა სწავლების სპეციალური დაგეგმვა, ინტერაქციის, თანამშრომლობის და მრავალფეროვან დავალებათა არჩევანის შეთავაზება. სწორედ ამიტომ სკოლის მასწავლებლები გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და სასწავლო პროექტებს. ამას ადასტურებს ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლის დროსაც აღნიშნეს რომ საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობენ სასწავლო პროექტებს STEM -ის და INTEL -ის მიმართულებით, რაც მათ ეხმარებათ ცოდნის პრაქტიკაში გადატანასა და ყოველდღიურობასთან დაკავშირებაში, შესასწავლი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში. აღწერეს რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს თემის დასრულების დროს ჰქონდეთ პასუხი კითხვაზე "რატომ ვისწავლე ეს თემა?", აღნიშნეს ,რომ კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას. სკოლას ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით,საბაზო საფეხურის ყველა კლასის საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან და საგნობრივი კურიკულუმიდან საბაზო საფეხურზე ვლინდება მოსწავლეთა დავალებები, არაფორმალური აქტივობები, პროექტები და კომპლექსური დავავალებები, რომლებიც ეყრდნობა ცოდნის სამ კატეგორიას. კომპლექსური დავალების ყველა პროდუქტი (პოსტერები, ინტერვიუ, ბუკლეტები, წერილები, მოდელები, მაკეტები, ელ. რესურსები, წერილები, დღიურები, თხზულებები, ხელნაკეთი ნივთები) ეყრდნობა ცოდნის სამივე კატეგორიას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მიმდინარე საშუალო საფეხურის კურიკულუმი წარმოდგენილია მხოლოდ ცხრილი-ჩარჩოს სახით და ნაკლებად ჩანს ცოდნის სამი კატეგორიაზე გასვლა, თუმცა თვითშეფასების კითხვარის საფუძველზე სკოლას ესმის, რომ საჭიროა სწავლების სპეციალური დაგეგმვა, ინტერაქციის, თანამშრომლობის და მრავალფეროვან დავალებათა არჩევანის შეთავაზება. სწორედ ამიტომ ჩვენი სკოლის მასწავლებლები გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და სასწავლო პროექტებს, ინტეგრირებული გაკვეთილებს, ახალი კურიკულუმის ფორმაში კი აუცილებლად გააკეთებენ სამუშაო მატრიცებს, დიფერენცირებული და მრავალფეროვანი აქტივობებით გაწერილს, რათა მოსწავლემ შეძლოს ცოდნის აგება, გააზრება და განზოგადება. რჩევა სახით შემიძლია ვთქვა რომ შესაძლებელია საგნობრივ ანგარიშში აისახოს ვიმედნოვნებ, რომ სასწავლო პროცესი სწორედ ორიენტირებული იქნება ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სახელმწიფო ენა - საშუალო საფეხურის ქართული ენის კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. საგნობრივი კურიკულუმები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ხელს უწყობენ მოსწავლეებს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში, ამაში ეხმარება ცნებების, წესის ერთობლივად ჩამოყალიბება, კონსტრუქტივისტული მიდგომით გაკვეთილების ჩატარება, დამაზუსტებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კითხვებით ახალი საკითხის მოსწავლეების მიერ დამოუკიდებლად გააზრების წახალისება. საკითხის სწავლების საჭიროების გამოკვეთა, საგანთაშორის კავშირის დანახვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- იმ თემებზე და იმ კლასებში სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებები , მარტივია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებებს ახალ თემაზე გადასვლისთანავე , შესაბამისად ეს დაეხმარებათ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებაში, თუმცა ცოდნათა ურთიერთ დაკავშირების მხირვ უფრო მეტი სიცხადისთვის, სასურველი იქნებოდა ინტეგრირებული კომპლექსური დავალების თუნდაც ერთი ნიმუშის წარმოდგენა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნისთვის შედგენილი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მომდევნო სასწავლო წლისათვის, შერჩეულ თემებზე დაგეგმილი კომპლექსური დავალებების,სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში, თუკი წინა პრაქტიკის მსგავსად, თანმიმდევრულად და სწორად წარიმართება დაგეგმილი აქტივობები, ისე რომ, გაეცნობიან მოსწავლეები თემას, მასწავლებელი აუხსნის სახეობის წარმოშობის ისტირიას და წესებს, თანმიმდევრულად შეასწავლის ტექნიკური ელემენტებს და მერე მათ სრულყოფს და გააერთიანებს სახეობაში თამაშით, მაშინ შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - მასწავლებელთა მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი X კლასში სხვადასხვა საგნის ინტეგრირებულად და ურიერთდაკავშირებულად სწავლების შესაძლებლობას იძლევა. ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ყოველთვის იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს,რაც გვაფიქრებინებს,რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. აღნიშნულს ამყარებს სკოლის მიერ წარმოდგენილი ინტეგრირებული პროექტები.

სადამრიგებლო დებულებისა და თვითშეფასების ფორმის მიხედვით, მომავალ 2023-2024 სასწავლო წელს, მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად სკოლას მიაჩნია მოსწავლეთთვის კიდევ უფრო მრავალფეროვანი არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებისა და პროექტების შეთავაზება, ასევე მასწავლებლეთა გააქტიურება სადამრიგებლო საათზე განხორციელებული მუშაობის კუთხით. ამ მიმართულებით სკოლას აქვს გამოცდილება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებებში საგნობრივ კურიკულუმებში თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ამ მიმართულებით ასევე საინტერესო პრაქტიკას გვაწვდის სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტები, სადაც ცოდნის წინაპირობას წარმოადგენს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს მიღებული ცოდნა. ასევე კურიკულუმში ჩანს საგანთა შორის ინტეგრაცია**. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საგნობრივ კურიკულუმებში თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ამ მიმართულებით ასევე საინტერესო პრაქტიკას გვაწვდის სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

პროექტები, სადაც ცოდნის წინაპირობას წარმოადგენს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს მიღებული ცოდნა. სსევე არაფორმალური განათლების კუთხითაც, აქვთ კლუბი ,, ახალგაზრდა მკვლევარები'', სადაც აქტიურად მიმდინარეობს ცოდნის ორგანიზება და პრაქტიკულად გამოყენება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი #10 გაკვეთილის შეფასების რუბრიკა
- დანართი #21 პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის ნიმუში და ანგარიში
- დანართი #32 პროექტი ჩვენ ვქმნით დემოკრატიას სკოლაში
- დანართი #51 გაკვეთილის გეგმა საშუალო საფეხურის სამოქალაქო განათლება
- დანართი #50 კურიკულუმი საშუალო საფეხური-მოქალაქეობა-გეოგრაფია-ისტორია
- დანართი #42 პროექტი-მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები-სკოლაში დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა კომპლექსური შემაჯამებელი დავალებების დანერგვის გზით სამიევე საფეხურზე“
- დანართი #37 ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი
- დანართი #43 პროექტის ,,დემოკრატიული პედაგოგიკა'' საჩხერე #3 სკოლა
- დანართი #44 სასწავლო პროექტი მწვანე სახურავი
- დანართი #2 სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023
- დანართი #11 შეფასების რუბრიკა პროექტის სამი კატეგორია პროექტი
- დანართი #12 ანგარიში პროექტის
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- სტატუსუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სახელმწიფო ენა - საშუალო საფეხურის პედაგოგების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებული კრიტერიუმები კორელაციაში იყოს ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, სასურველია, უფრო დეტალურად ჩაიშალოს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ სრულყოფენ კურიკულუმის ჩარჩოს, რათა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს მოსწავლემ შეძლოს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ასე რომ, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით . **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა - თვითშეფასების კითხვარისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით - მიმდინარე სასწავლო წელს მათემატიკაში განახორციელეს 1-2 კომპლექსური დავალება, შესაბამისად აქცენტი გაკეთდა მკვიდრ წარმოდგენებზე. პედაგოგები ორიენტირებული არიან,, რომ თემის ფარგლებში საკითხებზე დაყრდნობით გაითავისონ მოსწავლეებმა სამიზნე ცნება და მკვიდრი წარმოდგენები. 2023-2024 სასწავლო წლიდან შუალედური სასწავლო მიზნები მკაფიოდ იქნება განსაზღვრული გრძელვადიან (საფეხურის) სასწავლო მიზნებზე. 2023-2024 სასწავლო წლისთვის კურიკულუმის ჩარჩოები მესამე თაობის ესგ სტანდარტის შესაბამისად არის შემუშავებული, ასევე შემუშავდება შეფასების რუბრიკები, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება გაითავისოს სამიზნე ცნება და მისი მკვიდრი წარმოდგენები საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. განსაკუთრებით X კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მკაფიოდაა გამახვილებული ყურადღება შუალედური სასწავლო მიზნების მიზანმიმართულ დაგეგმარება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- წარმოდგენილია რა მესამე თაობის ე.ს.გ. გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი შუალედური მიზნები უცხოურ ენებისთვის,შესაბამისად შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოუყალიბოს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებისა და სამიზნე ცნებების) მიმართებით.მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა სა სპორტი- გასაუბრებით ჩანს და შედგენილი კურიკულუმებიც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსღი წესი) და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან თემას, მისი წარმოშობის ისტორიასა და თამაშის წესებს, თემის ფარგლებში საგნობრივ საკითხებს, დავალების პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი გათვალისწინებულია სამიზნე ცნებებზე სამუშაოდ. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი პროექტები, მიემართება გრძელვადიან ორიენტირებს. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ სამომავლოდ მუსიკის საგანშიც შეავსებენ კურიკულუმის ჩარჩოს სრულყოფილი პროექტებით, რომლებშიც ჩაშენებული იქნება კომპლექსური დავალებები. მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული დავალებებითა და აქტივობებით შეძლებენ მოსწავლეები სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ ჭრილში. სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლოდ მზაობა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული კომპლექსური დავალებების მატრიცის ჩარჩოები საგანი საზოგადოებრივ მეცნიერებებში მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სახელმწიფო ენა - საშუალო კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა; სასწავლო პროცესის გარდა კათედრა/სკოლა ზრუნავს მოსწავლის სოციალურ-კულტურულ განვითარებაზე, ამაზე მიგვანიშნებს მათ მიერ განხორციელებული არაფორმალური აქტივობები, პროექტები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მოსწავლეებს სთავაზობენ კომპლექსურ დავალებებს ისეთ თემებზე, რომლებიც მათ პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა - ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი უხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოებში დამუშავებულია ე.ს.გ. უცხოური ენების სტანდარტით გათვალისწინებული თემატური ბლოკებში შემოტავაზებული თემები, რომელთა უმეტესობა მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედური მიზნებში/კომპლექსური შინაარსის დავალებებში, რომელბიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტივობები და რესურსები,(ასევეე კურიკულუმში თანდართული ჰიპერლინკები, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

წარმოდგენილია სპორტის შესაბამისი სახეობის წარმოშობის ისტორია), კურილულემებში გაწერილ თემების მიხედვით, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პრეზენტაციები სხვადასხვა თემაზე, დაგეგმილი სასკოლო თუ სკოლის გარე არაფორმალური მიმართულებით პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ კეთილდღეობას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - ესთეტიკური კათედრის საგნობრივ კურიკულუმში საკითხები იმგვარადააა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლების სხვადასხვა მეთოდს: აუდიო ჩანაწერების მოსმენას, ფილმების ჩვენებას, რის შედეგადაც მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება. კონტექსტები ემსახურება მოსწავლის სხვადასხვა მიმართულებით განვითარებას, პირველ რიგში ხდება მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარება, სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება. სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა გაწერილი ,,სადამრიგებლო საათი ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს“ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ განხორციელებული აქვთ პროექტები, რომელიც სწორედ ამ მიზნებს ემსახურება. გარდა ამისა, სასწავლო პროცესში იყენებენ დიაგრამებს, ცხრილებს, სქემებს, სურათებს, ილუსტრაციებს, როლურ თამაშებს, პრეზენტაციებს, ვიდეო და აუდიო ჩანაწერებს, რაც ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებასა და მისი ინტერესების განსაზღვრაში,რომლებიც საბოლოოდ ხელს უწყობენ მოსწავლის პიროვნულ-სოციალურ განვითარებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- არაფორმალური განათლება, პროექტული სწავლება, პრიორიტეტულ თემებზე მაგ:ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, რომელიც აქტიურად ხორციელდება სკოლაში ავითარებს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს; ხდება იდენტობის განვითარება; საზოგადოებრივ მეცნიერებებში საშუალო საფეხურზე კურიკულუმებში შედეგები და მისი ინდიკატორები ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; აქტივობების და მეთოდის საშუალებით ხელშეწყობა ხდება მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარების მრავალფეროვანი აქტივობების (პროექტები, დისკუსია, ინტერვიუ, პოდკასტი, რეპორტაჟი, პოსტერი, პოსტქარდი, კლასის საათი, საჯარო გამოსვლა) სახით. სკოლაში ფორმალურ განათლებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებას. სკოლაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი, მეწარმეობისა და იდეების, სპორტული კლუბები. კლუბები ახორციელებენ სოციალურ პროექტებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კითხვარში და კურიკულუმშიც იკითხება რომ მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავენ ორი მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით: ერთი, გრძელვადიან მიზნებზე (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) ორიენტირება, რომელიც გულისხმობს სამიზნე ცნებების საშუალებით სასწავლო საკითხებისა და თემების სწავლა-სწავლებას და ცხოვრებისეულ სიტუაციაში რეალიზებას და მეორე, სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაყრდნობით, თუმცა საშუალო საფეხურზე არის უფრო ზედაპირული. არჩეული კომპლექსური დავლება სასურველია ჩაიშალოს უფრო დეტალურად. ასვე აღნიშნეს, რომ დანერგვის პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობს და საუალო საფეხურზე ჯერ გაწაფულნი ვერ არიან, თუმცა წელს უკვე წინა კლასებში მუშაობის გამოცდილებას გაითვალისწინებენ. აქედან გამოდინარე შემიძლია ვთქვა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სახელმწიფო ენა - სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ გააზრებული აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მნიშვნელობა, თვითშეფასების კითხვარიც ადასტურებს, რომ შეფასება მიზანმიმართულია მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- თვითშეფასების კითხვარიდან ჩანს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- სასკოლო კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას კერძოდ, მოსწავლის შეფასების მიზნით წარმოდგენილია სანიმუშო შეფასების რუბრიკები,(ძველი) თუმცა ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ გან,საძღრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას სამიძნე ცნებების მიხედვით, რომელიც ვალიდური იქნება მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის მიერ შექმილი და წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნისთვის, თემების მიხედვით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტით გაწერილ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან და გათვლილია მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებაზე, პედაგოგების თქმით, ისინი განმავითარებელი რუბრიკების პარალელურად, ხშირად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარებს და მყისიერ უკუკავშირს აქტივობებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით,კერძოდ: სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები, მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათ შორის მოსწავლეთა შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს და მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ ახალი გამოწვევის შესაბამისად ისეთი რუბრიკების შექმნას, სადაც მოსწავლეები საკუთარ ცოდნაზე იფიქრებენ, თავად იქნება საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში შეუწყობს ხელს. ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით მასწავლებელი აქტიურად გამოიყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. სკოლის თვითშეფასების ფორმაში იკითხება,რომ სკოლაში განხორციელდა პროექტი ,,დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა კომპლექსური დავალებების დანერგვის გზით სამივე საფეხურზე“. აღნიშნული პროექტის მიზნები იყო სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებზე მორგებული კომპლექსური დავალებებისა და ამ კომპლექსური დავალებებისთვის შეფასების რუბრიკების შექმნა. პროექტის ფარგლებში შეიქმნა მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები რომელსაც სკოლა დღემდე იყენებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლის მიერ მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ შეფასების ფორმების მრავალფეროვნებაა: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, წარმოდგენა, წერითი ნაშრომი არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ. ასევე შერჩეული და შექმნილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. საზ.მეცნიერებებში კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ჩარჩოში და სასკოლო სასწავლო გეგმაში, თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ - კომპონენტური უნარების განვითარება: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების წინაპირობას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მასწავლებელებს გააზრებული აქვთ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; ამიტომ მოსწავლეებს სთავაზეობენ ისეთ აქტივობებს, რომელიც ეხმარებათ დაამყარონ ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. ამ პროცესში მასწავლებლები აკვირდებიან რამდენად გააჩნია მოსწავლეს უნარი, შეძლოს საკუთარი გრძნობების გაგება და გამოხატვა, სხვათა გრძნობების გაგება (თანაგრძნობა) და სათანადოდ რეაგირება. მასწავლებლები საგაკვეთილო თუ არაფორმალურ გარემოში ცდილობენ დაეხმარონს მოსწავლეებს საკუთარი თავის შეცნობაში ასაკის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით, როლური თამაშების გახორციელებით სადამრიგებლო პროექტების საშუალებით მასწავლებლები ცდილობენ ყურადღება მიაქციონ მოსწავლის დამოკიდებულებას განსხვავებული ადამიანებისა და მოვლენების მიმართ, წაახალისებენ განსხვავების მიმართ შემწყნარებლობას და მეტ ინფორმაციას აწვდიან ბავშვთა უფლებების შესახებ (ვიდეო რგოლების და პრეზენტაციების გამოყენებით) სიმულაციებით და როლური თამაშებით აჩვენებენ კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისა და ემოციების მართვის დადებით მაგალითს. (პროექტი- დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა კომპლექსური დავალებების დანერგვის გზით სამივე საფეხურზე“) მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ეს საკითხები ესმით, გააზრებული აქვთ და მომავალი სასწავლო წლის საგნობრივ მატრიცებში აუცილებლად გაითვალისწინებენ. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სახელმწიფო ენა - მომავალი სასწავლო წლისათვის კათედრა გეგმავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას, მასწავლებლებმა შეიმუშავეს შეფასების მეთოდოლოგია, შეფასების კრიტერიუმები, გაითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, გამოკვეთენ, რომელ სასწავლო შედეგს მიემართება შეფასება, შესაბამისად, შეფასება იქნება ვალიდური. მოსწავლეებს ეცოდინებათ, თუ როგორ შეფასდება მათი ცოდნა. ამ შემთხვევაში შეფასება იქნება გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. თითოეული უკუკავშირი იქნება რეალისტური, დახვეწილი და მკაფიო ამ შემთხვევაში კი შეფასება იქნება სანდო. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლის დონეზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; მოსწავლეები შეფასებამდე იცნობენ შეფასების რუბრიკებს, განმსაზღვრელი შეფასების დროს მკაფიოდ ხდება კრიტერიუმების განსაზღვრა, რომ მოსწავლეს არ ჰქონდეს უსამართლობის განცდა. ამ ეტაპზე სკოლა იყენებს განსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებების რუბრიკებს, განმავითარებელი შეფასება ზეპირი უკუკავშირის ფორმით ხდება, მაგრამ განმსაზღვრელი შეფასებისთვის კათედრის ფარგლებში შემუშავებულია რუბრიკები, რომელიც შეესაბამება სტანდარტის შედეგებს, თუმცა დახვეწას საჭიროებს მესამე თაობის ესგ-თან შესაბამისობისთვის. 2023 წლის სექტემბრამდე იგეგმება ყველა თემაზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შემუშავება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

უცხო ენა- სკოლას წარმოდგენილი არ აქვს სანიმუშო განსმაზღვრელი შეფასები რუბრიკა საშუალო საფეხურზე, თუმცა მათთან ინტერვიუ დეტალურ სურათს გვაწვდის, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას ამავე საგნის შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით, რომელიც გვაძლევს საშუალებას დავსკვნათ, რომ იმ კონკრეტული საკითხთა კლასტერისთვის, რომელსაც ის ერთვის თან შეფასება არის ვალიდური, სანდო, რაც შეეხება შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამაზე ინფორმაციას ამ ეტაპზე სკოლა ვერ გვაწვდის, თუმცა დაგეგმილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების დოკუმენტის შექმა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- მასწავლებლები ფლობენ და იყენებენ პრაქტიკაში შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს. გასაუბრების დროს გამოიკვეთა (და თვითშეფასების ფორმაც ადასტურებს), რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდასა დავ სპორტში შეფასების სისტემის დახვეწა და მორგება, ისე, რომ ის სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუდან ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი ზეპირი კომენტარი თუ შეფასების რუბრიკა და მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან, თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. ამ ეტაპზე სკოლას ნიმუშად აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სწავლების გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით; თუმცა მეტი ვალიდურობისა და სანდოობისთვის ერთობლივად გეგმავენ შეიმუშაონ საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით კონკრეტული თემების შესაბამისი და ესგ-ს შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკები.ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს (შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ბარათები, სიტყვიერი განმავითარებელი კომენტარი, მყისიერი უკუკავშირი)“ სკოლას აქვს სწორი ხედვა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ სასწავლო პროცესში სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. შეფასება ხდება სისტემატიურად. კათედრებზე შემუშავებულ შეფასების რუბრიკებში ჩაშლილია შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც გამოკრულია კლასში თვალსაჩინო ადგილზე, მოსწავლეებმა იციან რა კრიტერიუმებით ფასდებიან, რუბრიკები ხელმისაწვდომია მშობლებისათვის და დაინტერესებული პირებისათვის. სკოლას აქვს სწორი ხედვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- მოწოდებული მასალებიდან და ინტერვიუს დროს დასმული პრაქტიკული ტიპის კითხვებიდან ირკვევა რომ შეთანხმებული და გაზიარებული შეფასების ხედვაა სასკოლო საზოგადოების მხრიდან, ხდება მოსწავლეების ჩართულობა შეფასების დიზაინის შემუშავებაში, შეფასების მიზნობრიობას ვალიდურობას ექცევა კათედრაზე მუშაობით დიდი ყურადღება. სკოლას შერჩეული აქვს სამივე საგანში სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რომლის საფუძველზეც შეფასდება გრძელვადიანი სამიზნე ცნებების დამუშავების პროცესი, რაც შეფასების სისტემას კიდევ უფრო სანდოს და გამჭვირვალეს, ობიექტურს და სამართლიანს ხდის სკოლის ბაზაზე.

ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ თემები რომელიც სრულად არ არის სევსებული სექტემბრისთვის ყველა საკითხზე იწნება აგებული კომპლექსური დავალების იდეა და იქნება ყველა თემაში დამუშავებული ამის საფუძველზე ყველა ცნება. ასევე ყველა თემაზე იქნება შეფასების რუბრიკები შექმნილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სკოლა საშუალო საფეხურზე იყენებს მოსწავლეთა შეფასების ობიექტურობის ხარისხი გაკონტროლების შემდეგ მექნიზმებს:
- მოსწავლეთა შეფასების შედეგები მუდმივად განიხილება დირექციასა და პედაგოგთა რეგულარულ შეხვედრებზე;
- პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს;
- ყოველი სემესტრის დასრულებისას, პედაგოგები აკეთებენ შემაჯამებელი დავალების ანალიზს. პანდემიამდე სკოლას ასევე ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდები. პერიოდულად მშობლებთან შეხვედრების დროს სკოლა იღებს სიტყვიერ უკუკავშირს სკოლაში არსებული შეფასების სისტემის ეფექტურობასა თუ ხარვეზებზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - აღნიშნულია რომ სკოლა განმავითარებელ შეფასებას საშუალო საფეხურზე ძირითადად აძლევს ზეპირსიტყვიერად. განმავითარებელი შეფასების სისტემატიური გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს თვითშეფასების უნარისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში. (გასასვლელი და შესასვლელი ბილეთები). განმავითარებელ კომპლექსური დავალებების შეფასებებისას მივმართავთ როგორც წერილობით სოლო ტაქსონომიას, ასევე ზეპირ შეფასებისგან. სკოლამ განახორციელა სასკოლო პროექტი ,,დემოკრატიული კომპეტენციების განვითარება მრავალფეროვანი შემაჯამებელი კომპლექსური დავალებები. პროექტის ფარგლებში კათედრებზე შეიქმნა და დაიხვეწა მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკები. ამ რუბრიკებს საგაკვეთილო პროცესში გამოიყენებენ. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სახელმწიფო ენა - მოსწავლეთა შეფასების შედეგები მუდმივად განიხილება დირექციასა და პედაგოგთა რეგულარულ შეხვედრებზე; პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ მიღწევებს და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს; ყოველი სემესტრის დასრულებისას პედაგოგები ასევე აანალიზებენ შემაჯამებელი დავალებების შედეგებს. თვითშეფასების ფორმაში ასევე ვკითხულობთ, რომ პედაგოგები პერიოდულად ხვდებიან მშობლებს და მათგან იღებენ უკუკავშირს სკოლაში არსებული შეფასების სისტემის ეფექტურობისა და ხარვეზების შესახებ და ითვალისწინებენ პრაქტიკაში. სკოლას შემუშავებული აქვს განმავითარებელი შეფასების სპეციალური ფორმა, რომელიც შევსებული ინახება მოსწავლის პირად საქმეში. სკოლაში შემუშავებული აქვთ შიდა ვერიფიკაციის სისტემა, რომელიც ითვალსიწინებს სხვადასხვა მექანიზმს, მათ შორის-სემესტრულ გამოცდას. გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კათედრა გეგმავს, მომავალი სასწავლო წლისათვის ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწას, მოსწავლეთა ნამუშევრების გაანალიზებას, მოსწავლეთა და მასწავლებელთა პორტფოლიოების შექმნას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა - ინტერვიუს დროს მათემატიკის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხდება კათედრების დონეზე, ამ ეტაპზე შეფასების რუბრიკები გამოიყენებოდა პედაგოგების მიერ გაწერილი, კონკრეტული საკითხების ერთობლიობაზე მორგებული, რიგ შემთხვევაში თემის ფარგლებშც. ავტორიზაციის განაცხადის შევსების პერიოდში, 2023 წლის სექტემბრამდე იგეგმება ყველა თემაზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შემუშავება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- დაწესებულებამ შექმნა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია თუ როგორ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

განახორციელებს სკოლა შეფასების სისტემის ვერიფიკაციას 2023-2024 სასწავლო წლისათვის. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელების შემდგომ, ვერიფიკაციის ჯგუფი განიხილავს ჩატარებული პროცესის დადებით და უარყოფით მხარეებს და მოამზადებს დასკვნას. ჯგუფი დასკვნაში ნათლად ასახავს რამდენად იყო/არ იყო მოსწავლის შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. დასკვნის განხილვისა და ანალიზის შედეგად ჩართულმა მხარეებმა უნდა შეიმუშაონ პრობლემების აღმოფხვრის გზები, რომელიც ასევე შესაძლოა ვერიფიკაციის დასკვნაში რეკომენდაციების სახით იყოს ჩაწერილი. ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი მომზადებულ დასკვნას წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად ნათელია და სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივშიც ჩანს, რომ ვერიფიკაციის მექანიზმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები აქციოს წერილობით დოკუმენტადაც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სკოლის დირექტორი, კათედრები და სასკოლო საზოგადოება სათანადოდაა ჩართული შეფასების სისტემის შექმნასა და მის მონიტორინგში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, დასტურდება, რომ სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). დეტალურადაა გაწერილი თუ როგორ ხდება ვერიფიკაციის პროცესი, შრფასების ინსტრუმენტების შერჩევა, ვალიდაციის წესი და პროცედურა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლის დოკუმენტაციიდან ვლინდება მოწესრიგებული შეფასების სისტემა, წარმოდგენილია შეფასების ზოგადი და კონკრეტული რუბრიკები საზ.მეცნიერებების სხვადასხვა საგნობრივ დისციპინაში. ინტერვიუს დროს აღნიშნეს მასწავლებლებმა რომ ხდება ეტაპობრივად შეფასების სისტემის რეფლექსია. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მასწავლებლის რეფლექსია შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, რომელიც ეფუძნება სტანდარტს და მიღწეული შედეგების ანალიზს. ეს პროცესი მოსწავლეთა ჩართულობით მიმდინარეობს სკოლაში. წარმოდგენილია მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა ტიპის და ფორმატის ნაშრომები, პროდუქტები და თვითშეფასების ინსტრუმენტები. აღნიშნული მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს შეფასების სისტემის რეგულაციაში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -კითხვარში მითითებულია, რომ ,, ვერიფიკაცია არის სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. სკოლა იყენებს მოსწავლეთა შეფასების ობიექტურობის ხარისხი გაკონტროლების შემდეგ მექნიზმებს: მოსწავლეთა შეფასების შედეგები მუდმივად განიხილება დირექციასა და პედაგოგთა რეგულარულ შეხვედრებზე; პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს; ყოველი სემესტრის დასრულებისას, პედაგოგები აკეთებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

შემაჯამებელი დავალების ანალიზს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სახელმწიფო ენა - სკოლაში ელექტრონული ჟურნალის საშუალებით ხდება მოსწავლეების აღრიცხვა და შეფასება, მშობლებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება, ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისათვის განკუთვნილი დავალების თვალყურის მიდევნება, შვილის შეფასებისა და დასწრების სტატისტიკური ინფორმაციის მიღება. ყოველი წლის ბოლოს იწერება ბრძანებები კლასის დაძლევასთან დაკავშირებით, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა - ელექტრონული ფორმატით ხდება შეფასება და მონაცემები ინახება ბაზაში. რაც შეეხება მოსწავლეთა ნამუშევრებს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შენახულია მიმდინარე წლის ნამუშევრები, თუმცა მომდევნო ეტაპისთვის უზრუნველყოფილი იქნება მტკიცებულებების აღრიცხვა სათანადო აღრიცხვისა და შენახვის წესის შესაბამისად. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა - სკოლის მიერ შევსებული ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარზე დაყრდნობით, სკოლაში შეფასების სათანადო აღრიცხვა ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. ელექტრონული ჟურნალი მასწავლებლებს, მშობლებს და მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროცესის მართვას უმარტივებს, რადგანაც მისი საშუალებით შესაძლებელია: მოსწავლეების ელექტრონული აღრიცხვა და შეფასება, მშობლებისთვის საჭირო ინფორმაციის დროული მიწოდება, სკოლის ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების ჩანიშვნა, მოსწავლეების შეფასებისა და დასწრების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღება, მოსწავლის შესახებ მშობელსა და მასწავლებელს შორის ინფორმაციის მყისიერი მიმოცვლა, სკოლის ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების თვალყურის მიდევნება, შვილის შეფასებისა და დასწრების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- საშუალო საფეხურზე წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის მატერიალურად ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სტეტიკა - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ: "სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური განმავითარებელი შეფასების ფორმა. როგორც წლიური, ასევე საფეხურის ნიშნები და საგნის მასწავლებლების ანალიზის საქმის მწარმოებლისთვის მიწოდებას უზრუნველყოფს დამრიგებლი. აღნიშნული ფორმები ინახება ერთ ბაინდერში სკოლის დირექტორთან. ყოველი წლის ბოლოს იწერება ბრძანებები კლასის დაძლევასთან დაკავშირებით დამრიგებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით" . **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციებს. მოსწავლეთა პირადი საქმეების და მათი შეფასებების შენახვის წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. დოკუმენტაციაში არის წარმოდგენილი მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების მათი შენახვის წესი ონლაინ ფორმატში; სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებისა და მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვას. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები და მტკიცებულებები ინახება მოსწავლის პირად საქმეში. სკოლაში შეფასების სათანადო აღრიცხვა ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. ელექტრონული ჟურნალი მასწავლებლებს, მშობლებს და მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროცესის მართვას უმარტივებს, რადგანაც მისი საშუალებით შესაძლებელია:

- მოსწავლეების ელექტრონული აღრიცხვა და შეფასება
- მშობლებისთვის საჭირო ინფორმაციის დროული მიწოდება
- სკოლის ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების ჩანიშვნა
- მოსწავლეების შეფასებისა და დასწრების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღება
- მოსწავლის შესახებ მშობელსა და მასწავლებელს შორის ინფორმაციის მყისიერი მიმოცვლა
- სკოლის ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების თვალყურის მიდევნება
- შვილის შეფასებისა და დასწრების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღება

პედაგოგების მსგავსად, სისტემაზე წვდომა ნებისმიერი ადგილიდან, მობილური ტელეფონისა და პერსონალური კომპიუტერის გამოყენებით მშობლებსაც შეუძლიათ და მიუხედავად გადატვირთული სამუშაო გრაფიკისა შეძლებენ შვილის სასწავლო პროცესის კონტროლს. სკოლას აქვს სპეციალური ფორმები , სადაც ფიქსირდება როგორც წლიური ასევე საფეხურის ნიშნები საგნის მასწავლებლების მიერ ხოლო ფორმის ანალიზს და საქმის მწარმოებლისთვის მიწოდებას უზრუნველყოფს დამრიგებლი. აღნიშნული ფორმები ინახება ერთ ბაინდერში სკოლის დირექტორთან. ყოველი წლის ბოლოს იწერება ბრძანებები კლასის დაძლევასთან დაკავშირებით დამრიგებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების / ინფორმაციის / მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლაში შეფასების სათანადო აღრიცხვა ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. ელექტრონული ჟურნალი მასწავლებლებს, მშობლებს და მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროცესის მართვას უმარტივებს, რადგანაც მისი საშუალებით შესაძლებელია:

- მოსწავლეების ელექტრონული აღრიცხვა და შეფასება
- მშობლებისთვის საჭირო ინფორმაციის დროული მიწოდება
- სკოლის ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების ჩანიშვნა
- მოსწავლეების შეფასებისა და დასწრების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღება
- მოსწავლის შესახებ მშობელსა და მასწავლებელს შორის ინფორმაციის მყისიერი მიმოცვლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

• სკოლის ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების თვალყურის მიდევნება
• შვილის შეფასებისა და დასწრების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღება
ასევე სკოლა მიუთითებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 8. ვერიფიკაცია #1 წესი და ბრძანება N2-42 10.07.2023 წ.
- დანართი #2 სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023
- დანართი #10 გაკვეთილის შეფასების რუბრიკა
- დანართი #42 პროექტი-მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები-სკოლაში დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა კომპლექსური შემაჯამებელი დავალებების დანერგვის გზით სამივე საფეხურზე“
- დანართი #34 ბარათები მშობლებისთვის სხვადასხვა საგნებში
- დანართი #19 სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფისა და დებულების დამტკიცების შესახებ
- დანართი #20 მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი
- დანართი 1 - თვითშეფასების ფორმა
- დანართი #1 მოსწავლეების შეფასების კითხვარი 1
- დანართი #1 მოსწავლეების შეფასების კითხვარი 2
- დანართი N7. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია საჩხერე #3
- დანართი #6 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- დანართი #46 შეფასების რუბრიკები
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სახელმწიფო ენა - სასკოლო კურიკულუმი შექმნილია სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. დიფერენცირებული, მიდგომები, გაზიარებები, სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობას სასწავლო პროცესში, არაფორმალური აქტივობები, სასკოლო პროექტები, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ ქალაქ საჩხერის შოთა რუსთაველის სახელობის №3 საჯარო სკოლას შორის (დანართი №7) განაპირობებს სკოლაში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს ჩამოყალიბებას. საუბრის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო ცხოვრების პროცესები მიმდინარეობს თანამშრომლობით, კეთილგანწყობილი გარემო იქმნება ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობებით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა - მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; სასკოლო საზოგადოებას აქვს გამომხატველობის შესაძლებლობა და ქმნიან ნაყოფიერ სივრცეს თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციისთვის სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. ამის დასტურია კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობა, მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლისა და მასწავლებლის თანამშრომლობითი ურთიერთობები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- სკოლა ცდილობს უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი როგორც საკლასო, ისე სკოლის დონეზე. მასწავლებელები გამოხატავენ ადევატურ პატივისცემას მოსწავლეების მიმართ, მასწავლებლები უსმენენ მოსწავლეებს და აწვდიან დროულ უკუკავშირს.ინტერვიუში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ყველა პედაგოგი იყენებს სწავლის ხარისხის დონის ასამაღლებელ შეფასებებს, მიმართავენ ეფექტურ უკუკავშირს, რომელიც დაფუძნებულია მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენაზე. ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში სასკოლო კურიკულუმში სკოლას აქვს განხორციელებული არაფორმალური კუთხით სხვადასხვა პროექტები, რომელიც დაფუძნებულია თანამშრობლობითი და პოზიტიური გარემოს შექმნაზე. სკოლაში განხორციელდა პროექტი ,,დემოკრატიული პედაგოგიკა“, რომელიც მოიცავს კლასების დონეზე სხვადასხვა პროექტებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთან ინტერვიუს გათვალისწინებით და სკოლის განვითარების გეგმის ნარატივიდან, ნათელია, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის პოზიტიური, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. ითვალისწინებს მათ სურვილებს და ინტერესებს. დასაგეგმი ღონისძიებებისას სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში პოზიტიური, თანამშრომლობითი და მიმღებლობითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ სასკოლო საზოგადოება გეგმავს შეიმუშავოს ახალი , მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

სთეტიკა - სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან იკითხება, რომ სკოლა ცდილობს ისეთი გარემოს შექმნას სადაც ურთიერთობები დაფუძნებულია ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე, რაც უპირველეს ყოვლისა დიდ გავლენას ახდენს სასწავლო გარემოზე. სკოლა ცდილობს უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი როგორც საკლასო, ისე სკოლის დონეზე. მასწავლებელები გამოხატავენ ადეკვატურ პატივისცემას მოსწავლეების მიმართ, მასწავლებლები უსმენენ მოსწავლეებს და აწვდიან დროულ უკუკავშირს. კლასებში ტარდება სადამრიგებლო სააათი, სადაც აქცენტი კეთედება ბავშვთა უფლებებსა და მოვალეობებზე სკოლაში და მის გარეთ. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლის ხედვა: „სკოლაში ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ყველა მოსწავლე შეძლებს ცოდნის შეძენას.“ სკოლას შემუშავებული აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი. ხოლო ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით მასწავლებელთან ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, მასწავლებლები ერთობლივად თანამშრომლობენ, ცვლიან საკუთარ მიგნებებს, იყენებენ დიფერენცირებული მიდგომებს. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროექტებში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მასალებში ვლინდება თითოეული მოსწავლისთვის თვითრეალიზებისთვის ხელშემწყობი გარემო; შექმნილი კურიკულუმი საზ.მეცნიერებების მიმართულებით იძლევა საშუალებას გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებისას; სკოლის ბაზაზე არსებობს სხვადასხვა დოკუმენტი კათედრაზე განხორციელებული აქტივობების, რომელიც ადასტურებს რომ სასკოლო საზოგაოდების წევრებს შორის (მოსწავლე და მასწავლებელი, კათედრის წევრები, მასწავლებლები და სკოლის დირექცია) არსებობს თანამსრომლობითი გარემო. აღნიშნულ დებულებას ადასტურებს სკოლის მისია და ხედვა, რომელიც არის მოსწავლეზე ორიენტირებული; ასევე სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, რომლებიც აძლევს საშუალებას მოსწვალეებს პიროვნული ზრდისთვის; ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, მათ შესაძლებელობებს და ქმნის სივრცეს მათი პოტენციალის რეალიზებისთვის; ასევე ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის; ვლინდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მონაწილეობა სკოლის განვითარებაში, რომელიც ეფუძნება გაზიარებულ პასუხისმგებლობას; მასწავლებელებს შორის ხდება: თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა წამყვანი პრიორიტეტებია მათი საქმიანობის პროცესში. ისინი სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწვალეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე. სასკოლო ცხოვრების თანამშრომლობითი პროცესი, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით და რეფლექსიით მიმღებლობის და ღიაობის მტკიცებულებაა. არაფორმალური კუთხით სხვადასხვა პროექტები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ,რომელიც დაფუძნებულია თანამშრობლობითი და პოზიტიური გარემოს შექმნაზე. სკოლაში განხორციელდა პროექტი ,,დემოკრატიული პედაგოგიკა, ,რომელიც მოიცავს კლასების დონეზე სხვადასხვა პროექტებს. პროექტები ხელს უწყობს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებას და საერთო სასკოლო კეთილდღეობის განმტკიცებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის 2023- 2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში სკოლის ხედვის ნაწილში აღნიშნულია რომ, მოსწავლემ განათლება მიიღოს უსაფრთხო, დემოკრატიულ, თავისუფალ გარემოში, ასევე იმავე დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

შემუშავებას და განხორციელებას, ასევე როგორც სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაშია აღნიშნული სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა და დასახუალია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი აქტივობები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სახელმწიფო ენა - სწავლების საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. გასაუბრებისას დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ერთობლივად მუშაობენ თითოეული მოსწავლის საჭიროებებისა და ინტერესების გამოსავლენად. ხშირად ახორციელებენ სხვადასხვა პროექტს, რომლებიც ასევე უწყობს ხელს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა - თვითშეფასების კითხვარისა და მასწავლებლების ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს. ძირითად შემთხვევაში ერთობლივად არჩევთ კომპლექსურ დავალებას, ითვალისწინებენ მშობლების ზეპირ უკუკავშირს /მოსაზრებებს, თუმცა ამას არ აქვს გარკვეული ფორმა. მომდევნო სასწავლო წლისთვის იგეგმება კომპლექსური დავალებები შეირჩეს მოსწავლეების მიერ - მოსწავლეები შეარჩევენ თუ რომელ თემაზე ისურვებენ კომპლექსური დავალებების განხორციელებას, მათი სურვილიდან გამომდინარე ჩაერთვებიან ამ პროცესში მშობლებიც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- წარმოდგენილი კურიკულუმებით თვალსაჩინოა, რომ მასწავლებლები ცდილობენ პროცესი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული, რაც გამოიხატება იმაში, რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას სთავაზობენ არჩევანს თუ რა ფორმით წარადგინონ დავალება. საშინაო დავალებების მიცემის დროს მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით დავალებებს. საგაკვეთილო პროცესის დროს გათვალისწინებულია სამივე დასწავლის სტილი, (აუდიალი, ვიზუალი და კინესთეტიკი) **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- საჩხერის # 3 საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელშიც ასახულია მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემო. . ფიზიკური აღზრდია და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული მათთვის საინტერესო და სასურველ თემებსა თუ სხვადასხვას სახის სპორტულ სასკოლო თუ არაფორმალური განათლების სხვადასხვა ღონისძიებებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებზეა მორგებული და ისინი აღწევენ კიდეც წარმატებებს სპორტის სახეობებში ინტერესის მიხედვით. მაალითად წელს ამ სსკოლის მოსწავლეთა ფეხბურთის გუნდი, ჩემპიონი გახდა ქვეყნის მაშტაბით. ამ ყველაფრის დასტურია სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ფოტო მასალა და მოსწავლებიის ჯილდოები და სერტიფიკატებიც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სკოლის თვითშეფასების ფორმაში ჩანს,რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; „სასწავლო პროცესი წარიმართება როგორც სასწავლო ოთახებში, ასევე კლას-კაბინეტებში, მასწავლებლები აქტიურად იყენებენ გარე სივრცეებს გაკვეთილების თუ პროექტების განსახორციელებლად.“ სკოლა ახორციელებს სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტებს, ატარებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ღონისძიებებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განხორციელებული პროექტების დოკუმენტები . ინტერვიუს დროს ისაუბრეს მასწავლებლებმა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეების საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებზე და სწავლის სტილზე ორიენტირებულად. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის დროს მოსწავლე არის აქტიური თავისი სწავლის პროცესში, ხოლო მასწავლებელი გეზის, მიმართულების მიმცემი. სკოლაში გამოყენებულია დიფერენცირებულ სწავლების მეთოდები. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება მოიაზრებს განმავითარებელ შეფასებასაც. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას სთავაზობენ არჩევანს თუ რა ფორმით წარადგინონ დავალება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასწავლო პროცესის წარმართვისას საშუალო საფეხურის მასწავლებლები ცდილობენ პროცესი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული, რაც გამოიხატება იმაში რომ სხვადასხვა დავალებებზე მუშაობისას სთავაზობენ არჩევანს რა ფორმით წარადგინონ დავალება. საშინაო დავალებების მიცემის დროს მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან როგორც სავალდებულო ისე არჩევით დავალებებს. საგაკვეთილო პროცესის დროს გათვალისწინებულია სამივე დასწავლის ტიპი. მასწავლებლები ახალ მასალას მოსწავლეებისთვის წარადგენენ თვალსაჩინოებების, ტექნოლოგიების გამოყენებით, მინი ლექციების ან პრქტიკული დავალებებით. მუშაობის პროცეში მოსწავლეთა ორგანიზების ფორმები მრავალფეროვანია, მასწავლებლები იყენებენ როგორც ინდივიდუალურ, ასევე წყვილებში და ჯგუფურ მუშაობებს. სასწავლო პროცესი წარიმართება როგორც სასწავლო ოთახებში, ისე კლას კაბინეტებში. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ გარე სივრცეებს გაკვეთილების თუ პროექტების წარმართვის პროცესში. მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა კლუბურ მუშაობაში, სადაც მათთან თანამშრომლობით იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა პროექტები. კომპლექსური დავალებების, გაკვეთილების სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინტერესი და შესაძლებლობები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სასწავლო პროცესის წარმართვისას საშუალო საფეხურის მასწავლებლები ცდილობენ პროცესი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული, რაც გამოიხატება იმაში რომ სხვადასხვა დავალებებზე მუშაობისას სთავაზობენ არჩევანს რა ფორმით წარადგინონ დავალება. საშინაო დავალებების მიცემის დროს მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან როგორც სავალდებულო ისე არჩევით დავალებებს. საგაკვეთილო პროცესის დროს გათვალისწინებულია დასწავლის ტიპები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სახელმწიფო ენა - სწავლების საშუალო საფეხურზე სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს პროექტული მუშაობები ფორმალური და არაფორმალური მიმართულებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტები, კომპლექსური დავალებები. დასტურდება ერთობლივად დაგეგმილი, განხორციელებული და გაანალიზებული კომპლექსური დავალებებით, სასკოლო პროექტებით, საგნობრივი კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დასტურდება გაკვეთილზე ურთიერთდასწრება, შენიშვნები და რეკომენდაციები. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. პედაგოგებმა და ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ თანამშრომლობა, გუნდურობა, კათედრებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა - პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლის დირექცია პედაგოგებთან შეხვედრებისა და პედსაბჭოს კრებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

საშუალებით, აცნობს პედაგოგებს სიახლეებს და გამოკვეთს სკოლის საჭიროებებს, რომლებსაც საგნობრივი კათედრები განიხილავენ და დასახავენ გზებს მუშაობაში აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სკოლა სისტემატიურად ახორციელებს კათედრებს შორის ცოდნა / გამოცდილება / პრაქტიკის გაზიარებას. პედაგოგებს კარგად გვაქვს გააზრებული გუნდური მუშაობის მნიშვნელობა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა - სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებისას აღინიშნა, სკოლის სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და გამოცდილ კომუნიკაციას. რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი კურილუმის ჩარჩოები, სხვადასხვა საგნებში განხორციელებულის პროექტები, რომლებიც შეიქმნა ურთიერთთანამშრომლობის და გამოცდილების გაზიარებით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- კოლეგების მიერ ინტერვიუსას და სკოლის თვითშეფასების ფორმაში, სკოლის სასწავლო პროცესის აღწერისას, ჩანს სკოლაში დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობისა სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან. მშობლებს და სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებულ სიახლეს და აქტივობობებს. . მშობლებს აქვთ ინფორმაცია საშუალო საფეხურზე ჩატარებული და დაგეგმილი სპორტულ აქტივობების და ფესტივალების შესახებ. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებას, პროექტული სწავლების გამოყენებითი და მოწყობილ ფესტივალებში შესაბამის აქტივობებში ჩართულობით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სკოლის მიერ წარდგენილ დოკუმენტებსა და ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ინტენსიურად თანამშრომლობენ ერთმნეთთან, კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. სამეურვეო საბჭოს წევრები / მშობლები ინფორმირებულნი არიან სასწავლო პროცესში შემოთავაზებული ინოვაციების, ახალი მეთოდების, კურიკულუმის დანერგვის შესახებ. სურვილის შემთხვევაში, თანამშრომლობის კუთხით, მშობლებს აქვთ შესაძლებლობა დაესწრონ გაკვეთილებს. გააკეთონ უკუკავშირისასკოლო კათედრები გეგმავენ ერთობლივ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს ზრუნვასა და მხარდაჭერაზე დაყრდნობილ თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე. ამ მიმართულებების დასამკვიდრებლად იყენებენ ჯგუფურ სამუშაოებს, კომპლექსურ დავალებებს, დისკუსიებს, ჯგუფურ პროექტებსა და პრეზენტაციებს, შემეცნებით და სპორტულ აქტივობებს. ურთიერთანამშრომლობის კულტურის ამაღლების მიზნით მასწავლებლები ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, გაკვეთილების დაგეგმვა ხდება ერთობლივად, კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებზე. მასწავლებლები კათედრებზე და კათედრებს შორის გამოცდილებებს უზიარებენ ერთმანეთს. სკოლა ჩართულია საბაზო განათლების პროექტში, იქ გაცნობილ სიახლეებს პედაგოგები აქტიურად უზიარებენ კოლეგებს. საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი სკოლაში დამყარებულია კათედრების თანამშრომლობასა და ეფექტურ კომუნუიკაციაზე. არის შემთხვევები როდესაც მასწავლებლების ესწრებიან პროფესიული განვითარებისთვის საჭირო სხვადასხვა ღონისძებებს: ტრენინგებს, სემინარებს თუ კონფერენციებს, შემდეგ ისინი სკოლაში კათედრაზე ან დაინტერესებულ მასწავლებელთან ატარებენ პრეზენტაციას, მასწავლებელს უზიარებენ ახალ ცოდნას და ერთობლივად მსჯელობენ როგორ დანერგონ პრაქტიკაში. სკოლის მასწავლებელბი ასევე თანამშრომლობენ კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესში, ესწრებიან ერთმანეთს და აძლევენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მოქმედებების ასეთი თანამიმდევრულობის შემდეგ, მასწავლებლის გადაწყვეტილებები აღარ არის ერთპიროვნული, მიკერძოებული, სუბიექტური და რეალურად მოსწავლის დახმარებაზეა მიმართული. რადგან ზემოთ აღნიშნული პროცესები ხორციელდება სკოლის ბაზაზე როგორც კათედრაზე, ასევე მასწავლებლების სასწავლო ჯგუფებში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და გამოცდილ კომუნიკაციას, რადგან თანამშრომლური ჯგუფები და თანამშრომლური მუშაობის მოდელები დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეებში თანაგრძნობის, პატივისცემის, ტოლერანტობის, მეგობრობის, ნდობის, ემპათიის მაჩვენებლების ზრდაზე. მასწავლებლები თანამშრომლობენ სხვადასხვა მიზნით. სამოქმედო გეგმის მიხედვით, ჩანს, რომ მე-3 თაობის დანერგვის პროცესში საჭიროების მიხედვით აწყობენ შიდა ტრენინგებს, ასევე მასწავლებლები ესწრებიან პროფესიული განვითარებისთვის საჭირო სხვადასხვა ღონისძებებს: ტრენინგებს, სემინარებს თუ კონფერენციებს, შემდეგ ისინი სკოლაში კათედრაზე ან დაინტერესებულ მასწავლებელთან ატარებენ პრეზენტაციას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სახელმწიფო ენა - სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის ჩართულობითი რევიზია და გადამუშავება, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, კურიკულუმის დაგეგმვისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც დადებით გავლენას ახდენს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატზე ყველა დონეზე. სასწავლო გარემო არის მოწესრიგებული: სკოლის დერეფნები და საკლასო ოთახები მოხატულია და გამდიდრებულია პოსტერებით, სხვადასხვა თვალსაჩინოებით, რომლებიც მოსწავლეებს უქმნის ხალისიან და საინტერესო გარემოს. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა - თვითშეფასების კითხვარისა და მასწავლებლების ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. უზრუნველყოფლია მოსწავლეთა უსაფრთხოება სკოლის დონეზე, კლასის დონეზეც. მაღალია მიკუთვნებულობის განცდა სკოლისადმი არა მხოლოდ მასწავლებლებისა და მოსწავლეების მხრიდან, არამედ მშობელთა ჩართულობით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- ინტერვიუში ხაზგასმით აღინიშნა, რომ მასწავლებლები ცდილობენ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად ჩართონ მოსწავლეები, რათა მათ შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება. მასწავლებლები პოზიტიური,ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად ასევე იყენებენ ისეთ მამოტივირებელ ფაქტორებს, როგორიცაა თამაშით სწავლება და ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში. დაწყებითი კლასის მოსწავლეებს ამ პროცესებში ხელს უწყობს მოწესრიგებული და ორგანიზებული სასწავლო გარემო. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- როგორც ინტერვიუდან იკვეთება და სკოლის თვითგანვითარების გეგმაც მოწმობს, სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე : იგეგმება მოსწავლეებისათვის სასურველი და საჭირო აქტივობები, სადაც გათვალისწინებულია მათი ინტერესები და სკოლის საჭიროება, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია შემდგომში სკოლაში პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრებიდან აღინიშნა, რომ სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მოსწავლეებისათვის პოზიტიური გარემოს შესაქმნელად, ხშირად ტარდება სპორტული საკლასო და სასკოლო ღონისძიებები, მოსწავლეებმა წინასწარ იციან განსახორციელებელი ფესტივალების დრო და შინაარსი, თემები შერჩეულია მათთან შეთანხმებით. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - მასწავლებლებთან გასაუბრების დროს და სკოლის თვითშეფასების დოკუმენტზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თითოეული მასწავლებელი ცდილობს შექმნას პოზიტიური კლიმატი სასკოლო გარემოში. სკოლაში შექმნილია სივრცეები, სადაც აქვთ გამოფენილი მოსწავლეთა ნამუშევრები. ასევე სკოლაში მიმდინარე პროექტებში მოსწავლეებთან ერთად აქტიურად იღებენ მონაწილეობას მშობლები და ცდილობენ პოზიტიური განწყობა შემოიტანონ სკოლის ცხოვრებაში. სასკოლო საზოგადოების წევრები თანასწორნი არიან: მიუხედავად ეროვნებისა, რელიგიური აღმსარებლობისა და სქესისა. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა და მასწავლებელთა ნებისმიერი ინიციატივა წახალისებულია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოსწავლეები ჩართული არიან სასწავლო პროექტებში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საკლასო და სასკოლო დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს მოსწავლეების მიმართ მასწავლებლების მაღალი მოლოდინები, მათი შესაძლებლობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი რომ პოზიტიურ გარემოში წარიმართოს მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების გამოყენება, საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირება. მასწავლებლები პოზიტიური გარემოს შესაქმნელად იყენებენ ისეთ მამოტივირებელ ფაქტორებს როგორიცაა თამაშით სწავლება და ტენოლოგიების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში, რასაც ხელს უწყობს მოწესრიგებული და ორგანიზებული გარემო სასწავლო გარემო. საკლასო ოთახები და სკოლის დერეფნები გამდიდრებულია პოსტერებით , მოსწავლეთა ნამუშევრებით და სხვადსხვა თვალსაჩინოებებით. მოსწავლისა და მასწავლებლის ყველა მიღწევა არის აღიარებული და გაზიარებული. სკოლაში პოზიტიური გარემოს შესაქმნელად მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სამოქალაქო განათლების კლუბის ინიციატივით ხორციელდება სხვადსხვა აქტივობები. მაგ: საზაფხულო სკოლა „ განათლება დემოკრატიისათვის“ , ტოლერანტობის დღის აღნიშვნა, ადამიანის უფლებების კვირეული და ა.შ

პოზიტიური კლიმატის უზრუნველსაყოფად ფუნქციები და მოვალეობები გადანაწილებულია თანაბრად სასკოლო საზოგადოებაში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასწავლო პროცესი რომ პოზიტიურ გარემოში წარიმართოს მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების გამოყენება, საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირება. მასწავლებლები პოზიტიური გარემოს შესაქმნელად იყენებენ ისეთ მამოტივირებელ ფაქტორებს როგორიცაა თამაშით სწავლება და ტენოლოგიების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში, რასაც ხელს უწყობს მოწესრიგებული და ორგანიზებული გარემო სასწავლო გარემო. საკლასო ოთახები და სკოლის დერეფნები გამდიდრებულია პოსტერებით , მოსწავლეთა ნამუშევრებით და სხვადსხვა თვალსაჩინოებებით. მოსწავლისა და მასწავლებლის ყველა მიღწევა არის აღიარებული და გაზიარებული. სკოლაში პოზიტიური გარემოს შესაქმნელად მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სამოქალაქო განათლების კლუბის ინიციატივით ხორციელდება სხვადსხვა აქტივობები. მაგ: საზაფხულო სკოლა „ განათლება დემოკრატიისათვის“ , ტოლერანტობის დღის აღნიშვნა, ადამიანის უფლებების კვირეული და ა.შ. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N7. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია საჩხერე #3
- დანართი #6 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- დანართი #2 სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023
- დანართი #32 პროექტი ჩვენ ვქმნით დემოკრატიას სკოლაში
- დანართი #34 ბარათები მშობლებისთვის სხვადასხვა საგნებში
- დანართი #35 ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
- დანართი #43 პროექტის ,,დემოკრატიული პედაგოგიკა'' საჩხერე #3 სკოლა
- დანართი #29 მშობლებთან ურთიერთობის დებულების (კომუნიკაციის სტრატეგიის) დამტკიცების შესახებ
- სამაგისტრო-ნაშრომი-3-1
- დანართი #51 გაკვეთილის გეგმა საშუალო საფეხურის სამოქალაქო განათლება
- დანართი #42 პროექტი-მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები-სკოლაში დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა კომპლექსური შემაჯამებელი დავალებების დანერგვის გზით სამიევე საფეხურზე“
- დანართი #43 პროექტის ,,დემოკრატიული პედაგოგიკა'' საჩხერე #3 სკოლა
- დანართი #17 კათედრის ოქმი N1 2022-2023 წელი
- დანართი #18 სასწავლო ჯგუფის მუშაობა
- დანართი #22 მასწავლებელზე გაცემული უკუკავშირის ფორმები
- გაკვეთილზე გაცემული უკუკავშირის ფორმები
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სახელმწიფო ენა- სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. სადაც ასახულია როგორ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება. №7 დანართში ვკითხულობთ: „პედაგოგი კლასის ყველა მოსწავლეს ეხმარება შუალედური სასწავლო მიზნების დაძლევაში, პარალელურად ინიშნავს აქტივობებსა და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის კონსტრუირების პროცესში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განმავითარებელ შეფასებას, რომელიც გულისხმობს: ა) მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირებას, ბ) კომენტარს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შემდგომ წინსვლას გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, გ) მოსწავლის თვითშეფასებას, დ) მასწავლებლის რეფლექსია. გაკეთებული ჩანაწერების საფუძველზე მასწავლებელი ამზადებს თემატურ მატრიცას, რომელსაც წარუდგენს კათედრას (შესაბამისად დაწყებითი საფეხური -დაწყებითების კათედრას) და განიხილავს კოლეგებთან ერთად.“**შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრის შეხვედრებზე სისტემატიურად ხდება კურიკულუმების შეფასება და მონიტორიგნი - რამ გაამართლა? რა არის გასაუმჯობესებელი? რის განხორციელება ვერ შეძლეს - სწორედ ამ მიზნით სამინისტროს მიერ მოწოდებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით შეიმუშავეს კურიკულუმი, გეგმავენ მონიტორინგს და შეფასებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია როგორ განახორციელებს სკოლა მონიტორინგსა და შეფასებას. ისეთი დოკუმენტები როგორიცაა: თვითშეფასების კითხვარი, გაკვეთილის შეფასების რუბრიკა, კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკები და სხვა. ხელმისაწვდომია ყველა მასწავლებლისთვის და ეხმარება მასწავლებლებს დაადგინონ, როგორ წარიმართა კურიკულუმის დანერგვის პროცესი და სამომავლოდ რა მხარეებია გასამუჯობესებელი. სამომავლოდ სკოლა გეგმავს შექმნას მოქნილი ჯგუფი, რომელიც ორიენტირებული იქნება კურიკულუმით გასაზღვრული საქმიანობების მონიტორინგსა და შეფასებაზე. ჯგუფის წევრები იქნებიან დირექციის წარმომომადგენლები და მასწავლებლები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი, ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორციელებული აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას (კოლეგას ჰქონდა წარმოდგენილი, განხორციელებული დავალების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ანალიზი), რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასებისთვის სკოლამ კურიკულუმის დანერგვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში განსაზღვრა, რომ ყოველწლიურად მოახდინოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მოსწავლეთა სწავლა-სწავლების ,მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებებისა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა-ანალიზი. ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ პედაგოგები სამომავლოდ განახორციელებენ შექმნილი კურიკულუმების მონიტორინგს გაწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, ასახავენ შეფასების დოკუმენტში და გააანალიზებენ. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ: „სამომავლოდ ვგეგმავთ შევქმნათ მოქნილი ჯგუფი, რომელიც ორიენტირებული იქნება კურიკულუმით გასაზღვრული საქმიანობების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდეს უფრო ეფექტურად. ჯგუფის წევრები იქნებიან დირექციის წარმომომადგენლები და მასწავლებლები. მონიტორინგი მოხდება მინიმუმ სემესტრში ორჯერ და ყოველი სემესტრის ბოლოს“ შესაბამისად , მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლაში წლის დასაწყისში სკოლის დირექტორისა და ხარისხისა განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ მოწოდებული იქნა სხვადსხვა ტიპის ინსტრუმენტები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და წინსვლისთვის. ღრუბლოვან სივრცეში, საერთო საქაღალდე განთავსდა ისეთი დოკუმენტები როგორიცაა: თვითშეფასების კითხვარი, გაკვეთილის შეფასების რუბრიკა, კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკები და სხვა. ეს რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მასწავლებლისთვის და ეხმარება მასწავლებლებს დაადგინონ, როგორ წარიმართა კურიკულუმის დანერგვის პროცესი და სამომავლოდ რა მხარეებია გასამუჯობესებელი. სამომავლოდ ვგეგმავთ შევქმნათ მოქნილი ჯგუფი, სასკოლო კურიკულუმების დანერგვის მონიტორინგისათვის. სკოლის დირექცია აკვირდება სასწავლო პროცესს, თუ რამდენად სწორად და მიზანმიმიმართულად ხორციელდება დაგეგმილი კომპლექსური დავალებები. ამ მიზნით გამოყენებულია წინასწარ შემუშავებული დაკვირვების ფორმა. შეფასების ინდიკატორები შეესაბამება ესგ-ს სტანდარტს და არის გამჭვირვალე. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის წარმოებისთვის მხარდაჭერის მიზნით სასწავლო პროცესზე დაკვირვება ხდება სისტემატიურად. დაკვირვება ხდება ფოკუსირებულად კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებზე. სკოლაში ხდება მონიტორინგი, როგორც სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილი, შეფასება წარმოადგენს, როგორც სასწავლო პროცესის ეფექტიანობის მტკიცებულებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - დირექტორისა, ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ მიწოდებულ იქნა სხვადსხვა ტიპის ინსტრუმენტები მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და წინსვლისთვის. ღრუბლოვან სივრცეში, საერთო საქაღალდე განთავსდა ისეთი დოკუმენტები როგორიცაა: თვითშეფასების კითხვარი, გაკვეთილის შეფასების რუბრიკა, კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკები და სხვა. ეს რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მასწავლებლისთვის და ეხმარება მასწავლებლებს დაადგინონ, როგორ წარიმართა კურიკულუმის დანერგვის პროცესი და სამომავლოდ რა მხარეებია გასამუჯობესებელი. სამომავლოდ გეგმავენ შექმნან მოქნილი ჯგუფი, რომელიც ორიენტირებული იქნება კურიკულუმით გასაზღვრული საქმიანობების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდეს უფრო ეფექტურად. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სახელმწიფო ენა- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება უნდა განხორციელდეს სასკოლო საზოგადოების ყველა მხარის ფართო ჩართულობით. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება შემდეგი მიმართულებებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით;
- კათედრების მუშაობა
- დირექციის/ადმინისტრაციის მუშაობა სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მიმართულებით;
- მშობელთა / მოსწავლეთა ჩართულობა;

შესაბამისად, მეთოდოლოგიის დოკუმენტში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მასწავლებლები ერთმანეთის მხარდაჭერის მიზნით ახორციელებენ მონიტორინგს, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი დაგეგმონ. ამ მიმართულებით ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად / ორგანოდ თვლიან ხარისხის მართვის ჯგუფს, ასევე იგეგმება კათედრაზე, კათედრის ყველა წევრის ჩართულობით მოხდეს კურიკულუმების მონიტორინგი და შეფასება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისათვის, ასევე აღინიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ანხორციელებს მასწავლებლის შიდა შეფასებას, კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან. ჯგუფის მოვალეობაში შედის ასევე სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. ხარისხის განვითარების ჯგუფი ანხორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას, შეფასებას, გასცემს უკუკავშირს და რეკომენდაციებს. ჯგუფი მასწავლებლებთან ერთად განიხილავს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციეებულ აქტივობებს და აძლევს მათ განმავითარებელ უკუკავშირს. მასწავლებლის მიერ წლის დასაწყისში შევსებული თვითშეფასების კითხვარის გაანალიზების შემდეგ ეხმარება მას შესაბამისი აქტივობების დაგაგმვაში. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის კათედრებიც. კათედრის წარმომადგენლები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლის სპორტის კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა და სკოლის თვითშეფასების ფორმიდანაც ჩანს, რომ სკოლაში ხდება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა.(პროცესი ასახულია კათედრის დოკუმენტაციაში). იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ დანერგილ გამოცდილებას კლასების მიხედვით. რაც საბოლოოდ ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას. ამას ისინი განახორციელენ სადიაგნისტიკო შეფასების ინსტრუმეტის შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთი არჩეული ინსტრუმენტის გამოყენებით. საამისოდ შეარჩიეს სადიაგნოსტიკო შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინსტრუმენტი **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასებისთვის სკოლამ კურიკულუმის დანერგვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში განსაზღვრა, რომ ყოველწლიურად მოახდინოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მოსწავლეთა სწავლა-სწავლების, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებებისა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა-ანალიზი. ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ პედაგოგები სამომავლოდ განახორციელებენ შექმნილი კურიკულუმების მონიტორინგს გაწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, ასახავენ შეფასების დოკუმენტში და გააანალიზებენ. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ: „სამომავლოდ ვგეგმავთ შევქმნათ მოქნილი ჯგუფი, რომელიც ორიენტირებული იქნება კურიკულუმით გასაზღვრული საქმიანობების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდეს უფრო ეფექტურად. ჯგუფის წევრები იქნებიან დირექციის წარმომომადგენლები და მასწავლებლები. მონიტორინგი მოხდება მინიმუმ სემესტრში ორჯერ და ყოველი სემესტრის ბოლოს“ შესაბამისად , მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში. ხორციელდება დირექციის მიერ გაკვეთილზე დასწრება და უკუკავშირი, სამუშაო შეხვედრები ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და დახმარებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - როგორც თვითშეფასების კითხავარიდან ჩანს, ხარისხის განვითარების ჯგუფი ანხორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას, შეფასებას, გასცემს უკუკავშირს და რეკომენდაციებს. ჯგუფი მასწავლებლებთან ერთად განიხილავს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებს და აძლევს მათ განმავითარებელ უკუკავშირს. მასწავლებლის მიერ წლის დასაწყისში შევსებული თვითშეფასების კითხვარის გაანალიზების შემდეგ ეხმარება მას შესაბამისი აქტივობების დაგაგმვაში. (მასწ. სამოქმედო ინდივიდაულური გეგმა) აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის კათედრებიც . **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

სახელმწიფო ენა- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ციკლურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება. კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
- კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე;
- სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე;
- კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მონიტორიგნი და შეფასება ეხმარება მათ გამოკვეთილი ხარვეზებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაგეგმონ ინტერვენციები, გადაამუშაონ კურიკულუმები და გადაჭრან არსებული პრობლემები. 2023-2024 სასწავლო წელს გეგმავენ ამავე მიმართულებით გააგრძელონ მუშაობა და არსებული პრაქტიკა გააგრძელონ, საჭიროებისამებრ დაკვირვების საფუძველზე- პროცესში გაეუმჯობესონ ანალიზის საფუძველზე, რომელიც კათედრებისა და დირექციის დისკუსიის საფუძველზე გამოიკვეთება.

უცხო ენა- კურიკულუმის შემუშევაბის მეთოლოგიაში სკოლას გაწერილი აქვს სტრატეგიები რომლითაც გეგმავს სკოლა მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება და სწორი რეაგირება. გაკვეთილებზე დასწრება, ასევე ფოკუს-ჯგუფების ჩატარება, როგორც მასწავლებლებთან, ასევე მოსწავლეებთან. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს მიეცემათ პოზიტიური უკუკავშირი, რომლის გაზიარებისას ერთობლივად დაიგეგმება პრობლემების გადაჭრის გზები. სამომავლოდ სკოლა გეგმავს ეს პროცესი იყოს უფრო ორგანიზებული, შეიქმნას მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმების ეფექტიან მონიტორინგსა და შეფასება, რათა სკოლამ უზრუნველყოს რევიზირებული კურიკულუმების და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი . **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები. სამომავლოდ უმჯობესი იქნება სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები. ამას ისინი განახორციელენ სადიაგნისტიკო შეფასების ინსტრუმეტის შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთი არჩეული ინსტრუმენტის გამოყენებით.

რჩევა, სამომავლოდ უმჯობესი იქნება სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები. ამაში მათ დაეხმარებათ შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსრუმენტიც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში ჩანს თუ როგორ განსაზღვრავს მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. კერძოდ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პრობლემების იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის გზების მოსაძიებლად განხორციელებულმა აქტივობებმა პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში?(მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი?(შეფასება). თვითშეფასების დოკუმენტში სკოლა წერს:,,სამომავლოდ ვგეგმავთ ეს პროცესი იყოს უფრო ორგანიზებული, შეიქმნას მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმების ეფექტიან მონიტორინგსა და შეფასებას. სკოლას აქვს მზაობა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესში პრობლემის გადაჭრის და გაუმჯობესების მიზნით ხდება, როგორც გაკვეთილებზე დასწრება, ასევე ფოკუს ჯგუფების ჩატარება, როგორც მასწავლებლებთან, ასევე მოსწავლეებთან. სკოლაში საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან პერიოდულად იმართება შეხვერები კლასში შემსვლელ მასწავლებლებთან, სადაც განიხილება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული პრობლემები და პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ ადმინისტრაცია, კათედრის ხელმძღვანელები მიმართავენ სხვადასხა ხერხს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. კერძოდ მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს ეძლევათ პოზიტიური უკუკავშირი, რომლის გაზიარებისას ერთობლივად იგეგმება პრობლემების გადაჭრის გზები. კურიკულუმების შეფასების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ხელს უწყობს სკოლაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

მასწავლებლების საჭიროებების გამოვლენასა და მხარდაჭერას. მათი გათვალისწინებით შეიძლება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. მაგალითად კურიკულუმში ცვლილებების შეტანა, კომპლექსური დავალებების მორგება კლასის ან კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - დირექციის მხრიდან პერიოდულად იმართება შეხვერები კლასში შემსვლელ მასწავლებლებთან, სადაც განიხილება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული პრობლემები და პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ ადმინისტრაცია, კათედრის ხელმძღვანელები მიმართავენ სხვადასხა ხერხს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სამომავლოდ სკოლას გადაწყვეტილი აქვს შექმნას ისეთი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმების ეფექტიან მონიტორინგსა და შეფასება, რათა უკეთესად შექმნან რევიზირებული კურიკულუმები და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N7. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია საჩხერე #3
- დანართი #6 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- დანართი #2 სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ხარისხისა განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- საბუნებისეტყველო კათედრის სხდომის ოქმი N4
- სკოლის თვითშეფასების ფორმა.
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სახელმწიფო ენა - სასწავლო პროცესის შეფასება იგეგმება მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით; თვითშეფასების კითხვარიდანაც ირკვევა და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა ჰოლისტური ხასიათისაა.. მოსწავლეზე დაკვირვება, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, ერთმანეთთან გაკვეთილზე დასწრება და უკუკავშირი კოლეგებისაგან, დირექციისაგან, მშობლებისაგან. საბაზო საფეხურის მასწავლებლები აანალიზებენ კომპლექსური დავალების შედეგებს, შემაჯამებელ დავალებებს, მოსწავლეთა ნაშრომებს, დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მასწავლებლებთან ინტერვიუმ და თვითშეფასების კითხვარმა აჩვენა, რომ სკოლაში მოსწავლის და პროცესის შეფასების სისტემა ჰოლისტური ხასიათისაა, ეყრდნობა მრავალფეროვან ინსტრუმენტებს: ჩართულია მშობელი, აქტუალურია მოსწავლეების ურთიერთშეფასება, რითიც იღრმავებენ ცოდნას და იძენენ გამოცდილებას. სკოლას აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კომპლექსურ დავალებებს კი აფასებენ სოლო ტაქსონომიით - ზეპირი უკუკავშირის ფორმით აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. შეფასების სისტემაში იცავენ ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობის/სამართლიანობის პრინციპებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მეტწილად მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადგინდა რომ უცხო ენის მასწავლებლები შეფასების პროცესში იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს, როგორიცაა მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოციდილება, მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მშობლების უკუკავშირი, დამრიგებლის უკუკავშირი, კლასში შემსვლელი სხვა საგნების მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვა. აღნიშნული წყაროების გამოყენებით შეფასების პროცესი არის ორიენტირებული მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- საშუალო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნის განმავითარებელი შეფასებისას ითვალისწინებენ, საგნის საფეხურის მისაღწევ შედეგებსა და მკვიდრ წარმოდგენებს, მოსწავლეთა ფიზიკურ და პიროვნულ მახასიათებლებს, დამრიგებლებისგან მიღებულ ინფორმაციას. ამ მიდგომის შესახებ საუბარი იყო თვითშეფასების ფორმაშიც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. მომავალი საწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. სასკოლო კურიკულუმი ისეა გაწერილი თითოეული საგნის მიხედვით, რომ იძლევა საშუალებას მასწავლებელი ინტეგრირებულად დააკვირდეს პროცესებს და გაითვალიწინოს მრავალმხრივი მონაცემები და მრავალფეროვანი მეთოდებით მიიღოს სრული სურათი შეფასებასთან დაკავშირებთ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს: სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის მასწავლებლის დაკვირვებას, ყოველდღიური სასწავლო პროცესის შეფასების დინამიკას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, კათედრის ხელმძღვანელის, დამრიგებლის, დირექციის უკუკავშირს. შეფასების შედეგად უნდა გაირკვეს რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ: „მასწავლებლები შეფასების პროცესში იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს, როგორიცაა მოსწავლის წინარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ცოდნა და გამოცდილება, მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მშობლების უკუკავშირი, დამრიგებლის უკუკავშირი, კლასში შემსვლელი სხვა საგნების მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვა“ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და სწორი ხედვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის მასწავლებლის დაკვირვებას, ყოველდღიური სასწავლო პროცესის შეფასების დინამიკას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, კათედრის ხელმძღვანელის, დამრიგებლის, დირექციის უკუკავშირს. შეფასების სისტემის ჰოლისტურობა პირდაპირ კავშირშია სწავლა-სწავლების მიზნებთან. ეს კარგად ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში და სხვადასხვა ტიპის პროექტებში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ საშუალო საფეხურზე მასწავლებლები შეფასების პროცესში იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს, როგორიცაა მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება, მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობა. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. აქ მოიაზრება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, როგორც წყარო, ასევე სხვადასხვა დოკუმენტური, სტატისტიკური, ფინანსური თუ სხვა ტიპის რესურსი. მაგ., თუ ჩვენ ვაგროვებთ მოსწვალის შესახებ ინფორმაციას გარკვეული პრობლემის შეფასებისა და მოგვარების მიზნით, რეკომენდებულია ინფორმაციის სისრულისთვის მისი მოპოვება რაც შეიძლება მრვალფეროვანი წაყროებიდან: ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწავლებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა. მშობლების უკუკავშირი, დამრიგებლის უკუკავშირი, კლასში შემსვლელი სხვა საგნების მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვა. აღნიშნულის დასადასტურებლად შესაძლებელია განვიხილოთ სასკოლო სასწავლო გეგმა და შეფასების სქემები, თუმცა სასურველია ამ ინდიკატორისთვის წარმოდგენილი იყოს დამრიგებლის ანგარიში და მშობელთა კრების ოქმები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სახელმწიფო ენა- სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები. სკოლა შეფასებისთვის იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა დაკვირვება, კითხვარები, მონაცემთა ანალიზი (შემაჯამებელი დავალების ანალიზი, ფინალური გამოცდების შედეგების ანალიზი), ინტერვიურება და ა.შ. მონიტორინგი და შეფასება, რომლის განხორციელებაც დაგეგმილია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების და გადაჭრის გზების დასახვისათვის; ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან; პედაგოგებთან დიალოგისას გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის მასწავლებლები აკვირდებიან, რამდენად ეფექტურია მათი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, ითვალისწინებენ მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას, თემების შინაარსს, მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- თვითშეფასების კითხვარიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა ფიზიკური, კოგნიტური და ფსიქო-ემოციური განვითარების ხელშესაწყობად, მასწავლებლები ცდილობენ შეისწავლონ მოსწავლეები სხვადასხვა კონტექსტში: გაითვალისწინონ მოსწავლეთა სოციალურ - ემოციური ფონი, განსაზღვრონ მოსწავლეთა წინარე ცოდნა / გამოცდილება, ინტერესები, კოგნიტური / ფიზიკური უნარები და ამის შესაბამისად მოახდინონ მოსწავლეთა სწავლის პროცესის დაგეგმვა-შეფასება. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

უცხო ენა - მასწავლებლებთან გასაუბრებისას კიდევ უფრო გამოიკვეთა, რომ შეფასებისას ითალისწინებენ რამდენიმე კონტექსტს. მოსწავლეებს აფასებენ იმის მიხედვით : საკლასო გარემოში მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ როგორ ახორციელებს სხვადასხვა საქმიანობებს, თანამშრომლობს თუ არა თანაკლასელებთან წყვილში და ჯგუფებში, როგორ იყენებს საკლასო სივრცეში არსებულ რესურსებს სასწავლო მიზნებისათვის. ასევე საშინაო დავალებების წარდგენისას ჩანს თუ არა ინდივიდუალიზმი, რამდენად ავლენს ინიციატივას არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას. მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას უზიარებენ მშობლებს . მოსწავლეები კი აქტივობის ბოლოს ან გაკვეთილის ბოლოს მასწავლებლებისგან ისმენენ ზეპირ ან იღებენ წერილობით განმ,ავითარებელ შეფასებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - მასწავლებლებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა და შემუშავებული რუბრიკებიც ადასტურებს, რომ შეფასება ხორციელდება მრავამხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, ხდება თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით, მათი ინტერესების , ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების: ეს იქნება ფიზკური უნარებისა თუ გონებრივი განვითარების დონის გათვალისწინება. აქცენტი კეთდება აქტივობებში ჩართულობასა და სამიზნე ცნებების განვითარებაზე . სკოლამ გამოთქვა მზაობა ამ პროცესის შემდგომში დახვეწისათვისაც. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - საშუალო საფეხურზე მუსიკის, სახვითი და გამოყენებით ხელოვნების საგნობრივი პროექტების ეტაპებში ჩაშენეულია კომპლექსური დავალები. კომპლექსური დავალებებით სწავლება კი გულისხმობს მოსწავლეების მზაობის , უნარების, შესაძლებლობების გათვალისწინებას, სკოლა შეფასების მიზნიდან გამომდინარე ახალი სასწავლო წლიდან სრულყოფილი ინფორმაციისთვის დააკვირდება და შეისწავლის მოსწავლის მზაობას სხვადასხვა კონტექსტებით და ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; სკოლა თვითშეფასებაში წერს: „შეფასების პროცესში ძირითადად ვითვალისწინებთ რამდენიმე კონტექსტს. თანამშრომლობს თუ არა თანაკლასელებთან წყვილში და ჯგუფებში, როგორ იყენებს საკლასო სივრცეში არსებულ რესურსებს სასწავლო მიზნებისათვის. ასევე საშინაო დავალებების წარდგენისას ჩანს თუ არა ინდივიდუალიზმი, რამდენად ავლენს ინიციატივას არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას“ სკოლას აქვს გამოცდილება და სწორი ხედვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლაში იგეგმება სამომავლოდ მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტით შესწავლა და შემდგომი შეფასება მოსწავლის პირადი და ფსიქო-ემოციური მდგომარეობის უკეთ შესწავლის მიზნით. მასწავლებლები მოსწავლეებზე დაკვირვებას განახორციელებენ სხვადასხვა სიტუაციაში, იქნება ეს ფორმალური თუ არაფორმალური გარემო: სასკოლო ექსკურსიები, ლაშქრობა, შემეცნებითი გასვლები, სხვადასხვა წრეებში ჩართულობა და სხვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მოსწავლეების შეფასებას მრავალი კონტექსტის გათვალისთინებით ახდენენ. მოსწავლეებს აფასებენ საკლასო და საშინაო კომპონენტებით, ვაფასებთ თანამშრომლობს თუ არა თანაკლასელებთან წყვილში თუ ჯგუფებში. როგორ იყენებს საკლასო სივრცეში არსებულ რესუსრსებს სასწავლო მიზნებისთვის. საშინაო დავალებების წარდგენისას ჩანს თუ არა ინდივიდუალიზმი. რამდენად ავლენს ინიციატივებს არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

სახელმწიფო ენა - შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიაში სკოლას ნათლად აქვს წარმოდგენილი, თუ რა მონაცემების მოგროვება სურს სასკოლო საზოგადოებიდან თუ სკოლის სტრუქტურული ერთეულებიდან კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის ერთიანი სურათის დასანახად. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სკოლის ადმინისტრაციას და კათედრებს დაგეგმილი აქვთ ინფორმაციის მოპოვება შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტის გამოყენების გზით. ახალი სასწავლო წლისათვის სკოლამ შეარჩია სადიაგნოსტიკო შეფასების I ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენას და ამ მხრივ მონაცემთა შეგროვებას. ამ მხრივ სკოლას აქვს გამოცდილებაც და მზაობას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა - მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ მათ მიერ დაკვირვების შედეგად მიღებულ ინფორმაციას - საკლასო აქტიურობა, საშინაო დავალებები, შემაჯამებელი დავალებები, ასევე დამრიგებლისგანაც იღებენ ინფორმაციას - შესაძლოა მასწავლებლისთვის მკაფიო არ იყოს მოსწავლის არასაგაკვეთილო პერიოდის უნარ-ჩვევები, ამ ინფორმაციას კი მასწავლებელი იყენებენ სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვისას, მათ შორის კონტექსტ მაგალითების შეთავაზება, კომპლექსური დავალებების განხორციელება, პროექტების დაგეგმვა შესაძლოა სხვა ინსტრუმენტების გამოყენებაც, რომლის შესახებაც მოიძიებენ ინფორმაციას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდები: სკოლის მიერ ინიცირებული სადიაგნოსტიკო ტესტები სხვადასხვა კომპეტენციების მიხედვით, როგორც ინგლისური ენის, ასევე რუსულის მიმართულებით, სასწავლო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმები, მოსწავლეთა გამოკითხვა. გასაუბრებისას უცხო ენის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ 2023-2024 სასწ. წლისათვის სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტად სკოლამ შეარჩია შეთავაზებულიდან ინსტრუმენტი N1. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლას აქვს გამოცდილება (თვითშეფასების ფორმიდან გამომდინარე). მოსწავლეთა ცოდნის დონისა და ფიზიკური განვითარების მაჩვენებლების განსზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. ჩვენს საგანშიც, საშუალო საფეხურზე, არის ამისი მცდელობა და ინტერესი აღნიშნულთან დაკავშირებით (გასაუბრების საფუზველზე), . შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. სკოლის დოკუმენტაციაში, კერძოდ თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ სკოლის მიერ ინიცირებული სადიაგნოსტიკო ტესტები სხვადასხვა კომპეტენციების მიხედვით, სასწავლო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმები, მოსწავლეთა გამოკითხვა ეხმარება მოაგროვონ მონაცემები როგორც თითოეულ მოსწავლეზე, ასევე საერთო კლასის ჭრილში. 2023-24 სასწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი 1, რომლის მიზაანია: მოსწავლეთა შედეგების საფუძველზე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების შეფასება.შესაბამისად, მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში სათანადოდ იქნება განხორციელებული სადიაგნოსტიკო შეფასება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების რამდენიმე მეთოდი: ზეპირი გამოკითხვები მშობელთა კრებებზე, მოსწავლეთა გამოკითხვები კლასის საათზე და სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის მიერ ინიცირებულია სადიაგნოსტიკო ტესტები სხვადასხვა კომპეტენციების მიხედვით, როგორც ქიმია-ფიზიკის, ასევე ბიოლოგიის მიმართულებით, სასწავლო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმები, მოსწავლეთა გამოკითხვა. (მოსწავლეთა კითხვარები) აღნიშნული მეთოდები გვეხმარება მოვაგროვოთ მონაცემები როგორც თითოეულ მოსწავლეზე, ასევე საერთო კლასის ჭრილში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სახელმწიფო ენა - სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაზე, ახდენს სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ნებისმიერი მოვლენის შეფასებისას ცდილობენ გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის შედეგზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის შეფასებისას ითვალისწინებენ ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა აკადემიური უნარები, აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები და კომუნიკაციის ზოგადი უნარ-ჩვევები. შეფასების ამ ფაქტორებს იყენებენ მოსწავლისათვის სასწავლო მასალისა და რესურსების ადაპტირებისას. მუშაობენ სპეციალური საჭიროებების მოსწავლეებთან, სადაც ყურადღება ექცევა მოსწავლის განვითარების დონეს, სპეციალურ საჭიროებებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა - სასკოლო-სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, მშობელთა ჩართულობა და მხარდაჭერა სასწავლო პროცესში, მოტივაცია, მოსწავლის სტატუსი (სსსმ), მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები.**შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ნარატივიდან , იკვეთება, თუ როგორ ხდება შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. სასურველია მომავალშიც, ჩვენს საგანშიც მოხდეს შეფასებისას ყველა ფაქტორების გათვალისწინება, რომელსაც პედაგოგები გამოიყენებენ ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მოსწავლეთა საერთო განვითარების დონის და შედეგის შეფასებისთვის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სასკოლო-სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას მასწავლებელი ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებსა და მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და ასევე სკოლის თვითშეფასების ფორმის მიხედვით გამოიკვეთა, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს: მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, მშობელთა ჩართულობა და მხარდაჭერა სასწავლო პროცესში, მოტივაცია, მოსწავლის სტატუსი (სსსმ), მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლო ხედვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით, მაგალითად მოსწავლის შეფასებისას-საგნის კონკრეტულ შინაარსის, აზროვნების და დასაბუთების უნარ-ჩვევების, კომუნიკაციის(გადმოცემის) ზოგად უნარ ჩვევების მიხედვით. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - შეფასება ხორციელდება სხვადსხვა ფაქტორების გათვალისინებით: მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, ფსიქო ემოციური მდგომარეობა, მშობელთა ჩართულობა და მხარდაჭერა სასწავლო პროცესში, მოტივაცია, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მოსწავლის სტატუსი (სსსმ). ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, ნებისმიერი პროცესის თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი #11 შეფასების რუბრიკა პროექტის სამი კატეგორია პროექტი
- დანართი #12 ანგარიში პროექტის
- დანართი #13 SWOT-ანალიზი
- დანართი #10 გაკვეთილის შეფასების რუბრიკა
- დანართი #20 მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი
- დანართი #1 მოსწავლეების შეფასების კითხვარი 1
- დანართი #1 მოსწავლეების შეფასების კითხვარი 2
- დანართი #46 შეფასების რუბრიკები
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- სკოლის თვითშეფასების ფორმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სახელმწიფო ენა- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის განახლება ხდება წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კურიკულუმის რევიზიისას გათვალისწინებული იქნება წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი, თუ რამდენად მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად პროცესები და რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს შექმნას რეკომენდაციების პაკეტი მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და რეკომენდაციების პაკეტი სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის გასაახლებლად. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- სკოლას ამ მიმართულებით შემდეგი ტიპის გამოცდილება აქვს: კათედრის წევრები აკეთებენ ზეპირ რეფლექსიას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კურიკულუმის განხორციელების ეტაპებთან დაკავშირებით, რამ გაამართლა, რა არის გასაუმჯობესებელი და ერთობლივად შეიმუშავებენ საჭიროებებისთვის ინტერვენციებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- საგნობრივი კურიკულუმები, რომელიც შეიმუშავა სკოლამ ,,ზოგადი განათლების რეფორმის,, ფარგლებში აქტიურად ინერგება და როგორც წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, ასევე მასწავლებლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო რომ სკოლას აქვს გამოცდილება, რომლის საფუძველზეც იგეგმება კურიკულუმის კიდევ უფრო განვითარება და დახვეწა. მასწავლებლების აკვირდებიან პროცესს და აკეთებენ ჩანიშვნებს. საგნობრივი ექსპერტები გაკვეთილების ჩატარებამდე ხვდებიან მასწავლებლებს, შემდეგ ესწრებიან გაკვეთილზე და ტარდება გაკვეთილის შემდგომი შეხვედრა. ეს პროცესი მოიცავს მხარდაჭერას, რეკომენდაციების გაცემას და პროცესისი სრულყოფილებისკენ მიმართულ განმავითარებელი შეფასების გაცემას. ასევე დირექცია აკვირდება პროცეს და აკეთებს ჩანაწერებს. სასწავლო წლის ბოლოს, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მოხდება რეკომენდეციების პაკეტის შემუშავება, სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზკიური აღზრდა და სპორტი- ინტერვიუს დროს დაფიქსირდა და თვითშეფასების ფორმაშიცაა ასახული, რომ სკოლას აქვს მკაფიო ხედვა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ, სადაც აღწერილი იქნება, თუ როგორ უნდა მოხდეს კურიკულუმის რევიზია. სკოლა გეგმავს (რასაც სკოლის განვითარების გეგმა ადასტურებს), ქოუჩინგის შედეგად მიღებული და არსებული გამოცდილების საფუძველზე, კურიკულუმის განხორციელების პროცესზე დაკვირვებას, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლასა და მონაცემების მოგროვებას. და ბოლოს არსებული მონაცემების- გაკვეთილებზე დაკვირვების ანალიზის, მასწავლებლების რეფლექსიების, განხორციელებული შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგების -მოსწავლეთა მიღწევების, გაანალიზების შედეგად, სკოლა მზადაა შეიმუშაოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის განვითარება ციკლური პროცესია და მოიაზრებს მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და მათზე რეფლექსიას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის განვითარების საჭიროება, გააზრებული და გადანაწილებული აქვთ პასუხისმგებლობა, თუ როგორ დაგეგმონ და განახორციელონ კურიკულუმის განვითარების ეტაპები. ამ მიზნით იკრიბებიან კათედრაზე და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, რის შემდეგაც გეგმავენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის პაკეტს. მხარდასაჭერად მომავალი სასწავლო წლის ბოლოს მოახდენენ პროცესების რეფლექსიას, აღწერენ მიღწეულ შედეგებს, გადასინჯვისა და რევიზიის შემდეგ შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რაც მნიშვნელოვნად დახვეწავს და განავითარებს სამომავლოდ კურიკულუმს. აღნიშნულიდან გამომდინარე. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლაში სამომავლოდ იგეგმება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის (მიღწევების თვითშეფასება, SWOT ანალიზი, გადამუშავებული კურიკულუმი, წლიური სამოქმედო გეგმა) რევიზირებულ საგნობრივ კურიკულემში აისახება წლის მანძილზე დანერგვის პროცესში მიღებული გამოცდილება(საგნობრივი კურიკულუმის რეფლექსიები, კურიკულუმის შეფასების მექანიზმი). კურიკულუმის სამომავლოდ განვითარებისათვის სკოლა ამ ეტაპზეც ახდნეს და სამომავლოდ უფრო მეტი კოორდინირებით და მულტიფაქტორული მიდგომებით გეგმავს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, შედეგების გაანალიზებას, გაკვეთილების და განხორციელებული კომპლექსური დავალებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთას და შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინებით შედგება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები--შესწავლილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სკოლას ბოლო წლების მანძილზე აქვს კურიკულუმების შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება ,,ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში შემუშავებული კომპლექსური დავალებებით სწავლებას და ორიენტირებულია ცნებებით სწავლების დანერგვაზე, როგორც გრძელვადიანი სასწავლო ორიენტირის გამოყენებაზე. მათ აქვთ პრაქტიკული გამოცდილება სწავლების ყოველ წელს ანალიზის საფუძველზე გააკეთონ დასკვნები, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. ამას მოწმობს მასწავლებელთა სკოლის ფარგლებში არსებული პრაქტიკის ურთიერთგაზიარება, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიურების პროცესში, ასევე ჩანს კათედრების მიერ წარმოდგენილ მასალებსა და პედაგოგთა რეფლექსიებში. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სახელმწიფო ენა- სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. სადაც ასახულია როგორ ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის რევიზია. დოკუმენტის თანახმად (დანართი №7), ვიგებთ, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას საფუძვლად დაედება წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების გაანალიზება რამდენიმე მიმართულებით (მოსწავლეთა შედეგები, მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა, პედაგოგებისა და დირექციის მუშაობის ანალიზი. თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების მიხედვით, მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შექმნის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებულ ვერსიას, რომელიც დაეყრდნობა წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის შედეგებს. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა- მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ 2022-2023 სასწავლო წელს სკოლა იყენებდნენ სამინისტროს ექსპერტების მიერ მოწოდებულ კურიკულუმებს, წლის განმავლობაში ხორციელდებოდა კომპლექსური დავალებები. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად მიღებული მიგნებები ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში აისახა. საჭიროებების გათვალისწინებით და პედაგოგების პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე გაიწერა. 2023-2024 სასწავლო წლისთვის მასწავლებელთა პრაქტიკული საქმიანობისთვის შერჩეულია მატრიცებზე დაფუძნებით კვლევის წარმოება. კურიკულუმის რევიზიაში ჩართული იქნება არა მხოლოდ ის პედაგოგი, ვისი კლასის კურიკულუმიც განიხილება, არამედ კათედრის ყველა წევრი. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხო ენა- მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ხაზგასმით აღინიშნა , რომ 2023-2024 სასწ. წლის კურიკულუმი შეიქმნა წინარე გამოცდილების მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათალისწინებით. ასევე სკოლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია ,რომ მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში კათედრებზე მასწავლებლებმა ერთმანეთს გაუზიარეს კურიკულუმის განხორციელების შედეგები, გამოკვეთეს ის საკითხები და ცნებები, რომლებიც წარმატებით დაძლიეს მოსწავლეებმა. ასევე ისაუბრეს მიმდინარე წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კურიკულუმის ეფექტურად დაგეგმვის გზებზე. ამ პროცესებში მათ ასევე გაითვალისწინეს გაკვეთილებზე დაკვირვების დროს მიღებული უკუკავშირები. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - კოლეგების თქმით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს კურიკულუმების ანალიზი. მათ აქვთ მზაობა იმისა, რომ მუშაობა მიმდინარეობდეს მუდმივ რეჟიმში. გადამუშავებული კურეკულუმის შემუშავების დროს მასწავლებლები გაითვალისწინებენ როგორც კურიკულუმების გადამუშავების დროს მიღებულ საკუთარ , ისე კოლეგათა მიერ გაზიარებულ გამოცდილებას. პედაგოგები ინტერვიუს დროს საუბრობენ, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესს განიხილავენ კათედრაზე, აჯერებენ, თუ რა კავშირი და განსხვავებებია დაგეგმილ და განხორციელებულ კურიკულუმებს შორის. სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის საშუალოო საფეხურის კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. და ამ მიდგომით 2023-24 სასწავლო წლის საშუალო საფეხურის გადამუშავებული კურუკულუმები მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკა - ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის ჩანაწერში, ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე.“აგრეთვე თვითშეფასების ფორმაშიც აღნიშნულია, რომ რევიზირებულ საგნობრივ კურიკულუმში აისახება წლის მანძილზე პროცესში მიღებული გამოცდილება. სკოლას აქვს მზაობა და სამომავლო ხედვა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია, რომელზეც ამ ეტაპზე აქტიურად მუშაობენ მასწავლებლები ეფუძნება წინა სასწავლო წლების გამოცდილებას. სკოლა აგროვებს წინა წლის გამოცდილებას, ირჩევს სტრატეგიას ამ გამოცდილების გამოსაყენებლად სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად, მასში მოიაზრებს თანამონაწილეობით სკოლის ადმინისტრაციას, მასწავლებლებს, მოსწავლეებს და მშობლებს, ასევე შეიმუშავებს გაზიარების გზებს და საშუალებებს. სკოლის ბაზაზე აქტიურად ვლინდება კათედრის/გაერთიანებების წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვა საგნობრივ კათედრებთან/გაერთიანებებთან კოორდინირებული მუშაობა. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლას გააზრებული აქვს, რომ კათედრა კურიკულუმის განვითარების პროცესში უნდა დაეყრდნოს წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები, რასაც წინარე გამოცდილებისას მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა. სამომავლოდ ამ კუთხით აპირებს დაგეგმოს კონკრეტული მონიტორინგის გეგმა (პაკეტი), რომლის ფარგლებში გაეცნობიან საბაზო საფეხურის კლასების მასწავლებელთა გამოცდილებებს, გავლილ კურიკულუმებს, გააანალიზებენ შედეგებს, ანალიზისა და აზრთა გაზიარების საფუძველზე, შექმნიან გადამუშავებულ ვერსიას. **შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დანართი N7. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- *დანართი #6 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- *დანართი #2 სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023*
- *საშუალო საფეხურის კურიკულუმები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

01.11.2023 წ.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------